

ს.ს.ს.რ. ბ.ს.პ.
საქართველოს მუზეუმი

ძველი ქართული მხატვრობის მუზეუმი

წიგნი

თხზულებათა სკუდის კრებული
ორ ტომად



ად. ბაკაშვილისა და ნ. ბაკაშვილის
რედაქციით



პრეზიდენტი

პირველი ტომი

პ/მ რედაქტორი: გიორგი შიროტაძე


ტექნოდაქტორი: ს. იორდანიშვილი
კორექტორი: დ. კორძაია
გამომშვები: შ. ბერიძე

გადაეცა წარმოებას 9/X—35 წ., ხელმოწ. დასაბ. 28/XII—35 წ., მთავლ. № ა — 7064
ქალაქის ზომა 72×104, წიგნის ზომა 7×11, შეკვეთა № 488, ტირაჟი — 3.000
სასტამბო ფორმა 20¹/₂

საქ. კ. პ. (ბ) (ვ. კ. პარტგამ. სტამბა, ლენინის ქ. № 3.



Ս Ե Ի Ո Մ Ո



საქმის ხელმოწერა -

არჩილიანის ტექსტისათვის

არჩილიანი ეწოდება გამოჩენილი ქართველი მწერლის, არჩილის (1647 — 1713) პოეტურ ნაწარმოებთა კრებულს.

არჩილმა მთელი ლიტერატურული ეპოქა შექმნა, გაბედულად გაილაშქრა ირანული ორიენტაციის წინააღმდეგ მწერლობაში, პირველმა შემოიტანა ქართულ პოეზიაში პატრიოტული კილო, განამტკიცა ისტორიულ-ნაციონალური თემატიკა და მწვავედ დასვა პურისტული ენის პრობლემა¹. არჩილმა დიდი სიცხველით ასახა XVII საუკუნის საქართველოს ისტორიული სინამდვილე, ფეოდალური კლასის საუკეთესო შვილმა დაუზოგავად ამხილა თავისივე საზოგადოებრივი წრის მორალური დაცემულობა და პოლიტიკური სიბეცე. საქართველოს ისტორიული სურათის მოხდენილ დახატვასთან ერთად არჩილმა ჩამოაყალიბა ფეოდალური ზნეთსწავლულების მხატვრული კოდექსი და თავის დროისათვის შედარებით მოწინავე პროგრესული იდეები იქადაგა. მაღალი გრძნობიერებით არის აღბეჭდილი არჩილის ლირიკა. არჩილი, ერთი მხრით, დიდად განიცდიდა ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციების გავლენას, ხოლო, მეორე მხრით, თვითონ გახდა ახალი ლიტერატურული მოძრაობის მეთაური და წარუშლელი დალიც დაასვა ქართული მწერლობის შემდგომ განვითარებას.

და ეს დიდად საინტერესო და დიდად ნაყოფიერი მწერალი ჯერ არ ყოფილა. სათანადოდ შესწავლილი და შეფასებული. მეტი თქმაც შეიძლება, არჩილის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან გამოკვეყნებულია ხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი და ისიც, უმეტეს შემთხვევაში, უკრიტიკოდ და უხეიროდ. ჩვენი საკითხისათვის საგულისხმოა პროფ. კ. კეკელიძის შემდეგი სიტყვები: „სამწუხაროდ, შემდგომმა თაობამ იმდენად დაკარგა თანამედროვეთა ალლო და გააგება არჩილისა, რომ ჯერაც კი არ არის გამოცემული მისი უკუდავი არჩილიანი, რომლის ამომწურველად სთვლიან მხოლოდ თეიმურაზისა და რუსთაველის შედარებას, ისიც უნიჭოდ და შერყენილად გამოცემულს“².

¹ თუმცა საკუთარი შემოქმედებითი პრაქტიკით ეს პრობლემა ცალმხრივად გადაწყვიტა.

² ქართ. ლიტერ. ისტორია, II, 421.

არჩილის პირველი გამომცემელია პლ. იოსელიანი. 1853 წელს ამან გამოაქვეყნა ცხოვრება მეფისა თეიმურაზ პირველისა, აღწერილი ლექსად არჩილისაგან მეფისა, დაბეჭდილი ქალაქსა თფილისსა. პ. იოსელიანის გამოცემული ტექსტი წარმოადგენს თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასების ერთ ნოზრდელ ნაწილს. ეს გამოცემა ჯერ კიდევ 1888 წელს ყოფილა ბაბლიოგრაფიული იშვიათობა. არჩილის მეორე გამომცემელი, ლავრენტი მაჩიტაძე — დიმიელი წერდა: „მართალია აარჩილიანია ერთხელ უკვე დაბეჭდილია 1853 წელს, მაგრამა ეს წიგნი ჩვენ ველარსად ვიპოეთ“¹ და „ჩვენის მხრით განვიზრახეთ არჩილ მეფის ნაწიერების გამოცემით ცოტა რამ წვლილი შეგვეტანა მშობლიური მწერლობის შესწავლის საქმეშიო.“¹

ლ. მაჩიტაძის აგრეთვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ გამოცემაში შესულია თეიმურაზ-რუსთველის გაბაასების ნაკლული ტექსტი და ერთიც „ნაბანთქება“ (ასულ ასულა). სხვათა შორის, გამომცემელი თავის წინასიტყვაობაში გვიამბობს დაბეჭდილი ტექსტის წყაროს შესახებ: „ჩვენი გამოცემა დაიბეჭდა იმ დედნითგან, რომელიც ერთს პირს აქვს სოფელს დიშში და რომელიც, ასე გვგონია, თვით არჩილის ხელთნაწერი [ე. ი. ავტოგრაფი, ა. ბ.] უნდა იყოს, რათგან ბოლოშიც მისი ბეჭედი ახის“². მაგრამ მაჩიტაძის ხელნაწერი რომ ხეირიანი არ ყოფილა, ამას მისივე გამოცემა ადასტურებს. სიძველით ის „დედანი“ ყოველ-შემთხვევაში XVIII საუკუნის მეორე ნახევრის უადრესი ვერ იქნებოდა, რადენადაც ეს ჩანს გამომცემლის პოსტსკრიპტუმიდან: „არჩილიანის დედანში არის ნახარი ე. წ. მეტი ასოები, როგორც ჩვენ ბეჭდვაში აღარ შევიტანეთ, მით უფრო რომ არც თვით დედანშია ყველგან დაცული მათი ხმარება: ხან წერია ჩუცნ და ხან ჩვენ და სხ“. სწორედ დასახელებული ორთოგრაფიული დეტალი ამჟღავნებს „დედნის“ გვიანდებლობას. როგორც კარგად ცნობილია, უბრჯგუ ასო (ჟ) შემოიღო ანტონ კათალიკოსმა (1719 — 1788) და, მაშასადამე, არჩილის ნუსხაში მას ადგილი ვერ ექნებოდა.

არჩილიანის ნაწყვეტები დროგამოშვებით იბეჭდებოდა სხვადასხვა ქრესტომათიებსა და ანთოლოგიებში. ასეთებია:

1. ს. გორგაძის: ჩვენი ძველი მწერლობა (არსებობს რამდენიმე გამოცემა, უკანასკნელად დაიბეჭდა 1927 წ.).

2. ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია, II (XVI—XVIII ს.ს.), ტფილისს 1928.

3. ალ. ბარამიძის: ქართული მწერლობის ქრესტომათია (V—XVIII ს.ს.), ტფ. 1932.

4. ა. შანიძის, ალ. ბარამიძის და ილ. აბულაძის: ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ტფ. 1934 (I გამოცემა), ტფ. 1935 (II გამოცემა).²

როგორც ჩანს, სახელწოდება „არჩილიანია“ კრებულისათვის მიუყვია თვით

¹ არჩილიანი ანუ მეფის თეიმურაზ პირველის ცხოვრება. ისტორიული პოემა და სხვა ლექსები თქმულნი მეფის არჩილ მეორის მიერ. გამოცემული ლავრენტი მაჩიტაძის-დიმილისაგან. ქუთაისი 1888 წ. წინასიტყვაობა.

² საქართველოს ზნეობანი დაბეჭდილია თურნ. ივერიაში (1885, XII, 38. 65 — 79).

ავტორს. ავტორის ინიციატივით გადაწერილი კრებულის ერთ უძველეს ნუსხას, სახელდობრ მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის აღმოსავლეთის-მცოდნეობის ხელნაწერთა ქართული ფონდის № 22-ს, სათაურად აქვს «არჩილიანი».

«არჩილიანის» ხელნაწერებს ჩვენ დრომდის საკაოდ მოუღწევია. მარტო საქართველოს მუზეუმის კოლექციებშია დაცული ოცდაათზე მეტი ხელნაწერი. ოლონდ ეს კია, რომ ზოგი მათგანი სხვადასხვა ავტორთა ნაწერების კრებულს წარმოადგენს და არჩილის ტექსტებს მხოლოდ ნაწილობრივად შეიცავს. რედაქციის განკარგულებაში იყო შემდეგი ხელნაწერები:

I. ყოფ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების, ანუ S კოლექტიიდან: №№ 424, 536, 1203, 1624, 1547, 1537, 3700, 3704, 1543, 138, 142, 390, 418, 1511, 1729, 1544, 2663.

II. ყოფ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების, ანუ H კოლექტიიდან: №№ 1193, 338, 449, 771, 614, 153, 2136, 2294, 2116.

III. ყოფ. საეკლესიო მუზეუმის, ანუ A კოლექტიიდან: №№ 1575, 1735, 1757a, 1164.

IV. საქართველოს მუზეუმის ძირითად, ანუ Q კოლექტიიდან: №№ 203a, 173.

V. ლენინგრადის აღმოსავლეთის-მცოდნეობის (ყოფილი სააზიო მუზეუმის) ხელნაწერი № 22.

ამ ხელნაწერებიდან ყველა ერთი ლირებულების როდია. ხელნაწერთა უმრავლესობა გვიანდელ დროს ეკუთვნის და რედაქციულად სანდო არაა. მაგრამ, საბედნიეროდ, ორი ხელნაწერი ნუსხა, სახელდობრ S424 და ლენინგრადის № 22, შედგენილი და გადაწერილია თვითონ არჩილის უშუალო ხელმძღვანელობით. ამიტომაც ეს ხელნაწერები დიდი ნდობის ღირსია.

ხელნაწერი № 424, ჩვენი ლიტერით A, ვრცლად აქვს აწერილი ექვ. თაყაიშვილს.¹ ოლონდ ამწერელს კორექტურული შეცდომა მოსვლია და 424 ნომრის მაგივრად აღნიშნული აქვს № 426. ამ გარემოებას შეცდომაში შეუყვანია პროფ. კ. კეკელიძე, რომელსაც ჰკონია, თითქოს არჩილიანის ამჟამად, ჩვენთვის საყურადღებოა ნუსხა საზღვარგარეთ იყოს გატანილი 1921 წელს.² «არჩილიანის» მეორე უძველესი ნუსხის შესახებ ცნობები პირველად გამოაქვეყნა პროფ. კ. კეკელიძემ. პროფ. კ. კეკელიძე ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა ამ ნუსხის პირით, რომელიც საქართველოს მუზეუმშია დაცული (H2116). თვითონ დედან-ნუსხის შესახებ მკვლევარი შენიშნაყ: „ეს ნუსხა დღეს-ღყოებით არა ჩანს“. ო.³ სწორედ ეს უქანასკნელია ზეით დასახელებული ლენინგრადის ნუსხა № 22, რომელიც ჩვენ, პირდაპირ შევისწავლეთ ალაგობრივ 1954 წლის შემოდგომაზე სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას, ამ ხელნაწერის მნიშვნელოვანი ადგილების ფოტოგრაფიული პირებიც გვაქვს გადმოღებული.

A ხელნაწერის აწერილობას არ გავიმეორებთ. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ცდება ე. თაყაიშვილი (და ყველა ის, ვინც თაყაიშვილის ცნობა მი-

¹ Описание рукописей, 135, (II, 133 — 163).

² ქართ. ლიტ. ისტორია, II, 403, შენ. 3.

³ იქვე, II, 403.

ილო უკრიტიკოდ), როდესაც № 424 ნუსხის გადაწერა დასრულებულად მიაჩნია 1701 წელს.¹ თვითონ ე. თაყაიშვილს დასახელებული აქვს კრებულში შესული «მეორე ასეული ლექსია, რომლის დაწერის თარიღის გამო შენიშნავს კიდევ: „Шестьдесят пятое четверостишие этого стихотворения нам сообщает, что это произведение написано в 1703 г.“² ხოლო «მეორე ასეულის» მიმდევრო «იაზბიკო ლექსებს» სათაურშივე აქვს მიწერილი: „ეს იაზბიკო ლექსები მისევე მეფის არჩილის ნათქვამი. ორსავე ასეულს ლექსებს შემდგომად არის ნათქვამი“. მაშასადამე, «იაზბიკო ლექსები»ც ყოველ-შემთხვევაში 1703 წლის უადრესი ვერ იქნება. ქვევით გამოკვეთული გვექნება, რომ არჩილის უგვიანესი ნაწარმოებია «მეფეთა საქებელი და სამხილებელი». ერთი სიტყვით, უდავოდ ცხადი ხდება, რომ გივი თუმანიშვილის დამზადებული კრებული, ე. ი. ხელნაწერი № 424, საბოლოოდ გადანუსხული უნდა იყოს შინადაცადამინც არა უადრეს 1703 წლისა. 1701 წელს მზად ყოფილა, ალბად, კრებულის მხოლოდ ძირითადი ნაწილი. ხელნაწერის თავისუფლად დატოვებული ადგილები შემდეგში თანისთანობით შეუვსიათ. ერთი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ გივის ნუსხაში 1705 წლის შემდეგაც კი უნდა იყოს ტექსტები ჩართული. მაგრამ ამაზე ქვევით.

აქვე ვიძლევით ლენინგრადული ხელნაწერის მოკლე აწერილობას.

ხელნაწერი მხედრულია, შესრულებულია ლამაზი მდივური ხელით. კარდონის ტყავადაკრულ მკერივ ყდაშია, ფერით ყვითელია. ზომით 33,5 × 23 (32,5 × 22), 276 ფურც. ქალაღი თხელია, სუფთა, ევროპული. ქალაღის ფილიგრანია МСМД და გვირგვინი. ხელნაწერის თავ-ბოლოში შვიდ-შვიდი ცალიერი ფურცელია, ქალაღი ცუდი ღირსებისა და ლურჯია. ეს ახალი ქალაღი წიგნის აკინძვისას უნდა იყოს დართული. ხელნაწერი თავის დროზე ჰკუთვნებია პოეტ დიმიტრი ბაგრატიონს. უკანასკნელის მინაწერი დატულია 210ა გვერდის ამიაზე: „ეს წიგნა დიმიტრი ბაგრატიონისა არის“. 273ა გვერდის ამიაზე: „ვისრამიანის“ ტექსტთან) ამავე დიმიტრის მიუწერია:

„აშქაფუთის-დგოს ციხეს შეხვეოდა ჯარი ხშირად,
ვა, თუ იგი შემიწუხდეს, ეს მეყოჟის ჩემთვის ჰირად.
წავალ, კლდეთა წავადგები, დაუძახებ პირის-პირად.
და მას რომ მშვილდი მოუზია, გარდშაქცია ისრის პირად.

მაშის-ჩემის, გიორგი ბატონის-შვილის ნათქვეამია“.

როგორც მთელი რიგი ჩანაწერებიდან ჩანს, კრებული გადაუწერია არჩილის უახლოეს თანამშრომელს, დავით თურქისტანიშვილს თვითონ ავტორის ბრძანებით. გადამწერი პირველსავე გვერდზე მოგვიხრობს (ტექსტი დაწერილია წითურით, თუმცა შიგადაშიგ შავი ნაწერიც არის ჩართული):

„ქ. ვიწყევ: წიგნი: ესე: მოსკოვს: მაისსა: ა[1]: ქორონიკონსა:

ტუგ [1705]: ბრძანებითა: მეფის: არჩილისათა: და: შემეწიე:

უფალო: ჩემო: იესო: ყოვლად: ძლიერო: რათა: მსწრაფლ: აღვასრულო:

¹ შდრ. Онясанне, II, 133

² იქვე, II, 160.

ნამუშავევი: პატრონისა: ამის: კეთილ: მორწმუნის: და: კელმწიფისა:
ჩენისა: სახე: სახელ: კეთილისა: მრავალმცა: არიან: წელნი: ცხორ-
ბისა: ამისნი: ამინ:

103ხ გვერდზე გადამწერი ურთავს წითურით: „მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მეფის არჩილისა და პირმშო ასულისა მიისა, უმანკოს ნეს-ტანდარეჯანისა და ბატონის-შვილის ალექსანდრესი. ხოლო ვშრომობ: ორმოცდა: ათხუთმეტისა: წლისა: ნაშრომსა: ამას: პატრონისა: ჩემისა: ნაბრძანებსა: მე: თურქისტანის: შვილი: დაუთ: ვითაცა მრავალნ სხვანი სასჯელნი გარდამკვლიდეს სიყუარულისა და ერთგულობისა პატრონობისა ამისთვის. ამჟამად პატრონთათვის ჩემებრ გარჯას არაეინ შესწრებია და არცავის უმსახურებია პატრონთა თვისთათვის. ღვთის¹ გულისათვის შენდობას მიბრძანებდეთ. ქორანიკონსა ტუდ [1706].

ჩემი სამსახური რომე მოვსთვალო:

ენა დაშურების, მსმენელთა ყურნიცა დავალდებინა“.

156ხ გვერდზე მიწერილია ნუსხა-ხუტურით:

„ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი დაუთ², ამა წიგნისა ახლად მშრომელი“.

177ხ გვერდზე, კვლავ ნუსხა-ხუტურით:

„ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი დაუთ. ამინ. კირიელეისონ“.

185-186 ფურცლებზე მოთავებულია პროზულად დაწერილი არჩილის ვრცელი ქება, რომელიც ითვლება დაუთ თურქ-სტანიშვილისეულად, თუმცა ფაქტობრივ იმეორებს ორიოდ სრულიად უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობით გივი თუმანიშვილის ტექსტს A ხელნაწერიდან.³ ოღონდ ქების ბოლო, სადაც მებოტბე-ავტორი (ე. ი. გივი თუმანიშვილი) თავის ვინაობას აცხადებს, დაუთს საგანგებოდ შეუცვლია თავის სასარგებლოდ: „მას ჟანსა გვიბრძანა გარდაწერა ჩვენ, მისდა მიმართ მოქენესა, ცნობითა მდაბალსა, სწაველი რა სულელსა და წერით უნდოს თურქისტანის შვილს⁴ დაუთს, რომელჟან, მეცა მრავალნი ქირნი და განსაცდელნი შექმთხვიენეს კუალთა მათთა გზათა შინა, აღვსწერე დიდთა კელმწიფეთა რუსთა ქალაქსა მას მოსკოვს მყოფობასა აჟავე პატრონთა ჩვენთასა, რაჟამს განაგებდა დიდი კნიაზი და მეფე სრულა ჩრდილოეთსა რუსთა და ხაზართა ცარი პეტრე ალექსიშვილი. მრავა[ლ]მცა არიან წელნი ცხოვრებისა მიისა და პატრონისა ჩვენისა მეფის არჩილისანი. ამინ. ვიწყევ მის[ს] ერთსა და აღსრულდა აგვისტოს ოცდახუთსა, ქორანიკონს ტუგ [1705]“.

საყურადღებოა, რომ გივი თუმანიშვილის ტექსტის მისაკუთრება დაუთ თურქისტანიშვილის მიერ ძველადვე შეუნაშნავთ და ვილაც უცნობ პირს ციტირებული ნაწყვეტის გასწვრივ ამიაზე მიუწერია: „ტყუილათ: და[უწერ]ია: ეს: შესავე[ლი]: იმისი: ნათქვ[ამი]: არ არის: გივის: [მდივნის: ნათქვან[ია]: [თა]ვისი: სახელი: ტყუილათ]: დაუწერია“.

¹ ვხსნით ქ. რაგმებს.

² ეს ერთი სიტყვა მხედრულადაა დაწერილი.

³ ეს ტექსტი დაბეჭდილი აქვს ე. თაყაიშვილს, Описание, II, 133 — 137.

⁴ ამ ადგილიდან იწყება თუმანიშვილისა და თურქისტანიშვილის ტექსტის სხვაობა.

ქების ბოლოს თუმანიშვილს ლექსად აქვს გამოთქმული კრებულის გადაწერის თარიღი.¹ დაუთს თავისებურად შეუქეთებია და მიუსაკუთრებია გ ლექსიც:

წერილთ სრულყოფას თუ მკითხაეთ, რას ჟამში გათავდებოდა,
ქორანიკონის აღრიცხვად თუ რა ასონი სხდებოდა:
ტარი ჯდებოდა უნს ზეით და განი გვერდსა ხლებოდა,
და მას თვეს აგვისტოს მზე ეტლზე კირჩხიბს სარუთანს ჯდებოდა.

ავტორის დაუსახელებლადვე დაუთს ქვევით მოჰყავს გივის სხვა ლექსებიც.² ამოიგად, «არჩილიანის» ლენინგრადული ხელნაწერი № 22 გადაწერილი ყოფილა დაუთ თურქისტანიშვილის მიერ 1705 წლის 1 მაისიდან იმავე წლის 25 აგვისტომდე. ზოგიერთი თავი, თუ მინაწერი, თურქისტანიშვილს შემდეგ ჩაურთავს, სახელდობრ 1706 წელს. გადაწერს საფუძვლად აულია გივი თუმანიშვილის ნუსხა (A ხელნაწერი) და ფაქტობრივ უკანასკნელის პირი მოუცია. თურქისტანიშვილს ძალზე გაუზვიადებია თავისი ლეაწლი და ერთგვარად მიუოვისებია კიდევ წინამორბედი გადამწერის შრომა. რედაქციულად თურქისტანიშვილის ტექსტი ზუსტად იპეორებს თუმანიშვილის ტექსტს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დედანის ზოგიერთ უბრალო ლაფსუსების გასწორებას და უქნიშენლო ვარიანტულ წაკითხვებს, რაც გადამწერის წყალობად უნდა ჩაითვალოს. თუმანიშვილისეული და თურქისტანიშვილისეული ტექსტების ვარიანტული სხვაობის სრულ სურათს იძლევა «სამიჯაურონია» (ნ. ვარიანტებში). იშვიათად B ხელნაწერში (ე. ი. თურქისტანიშვილის ხელნაწერში) ზოგიერთი სიტყვა საგანგებოდ გადსწორებულია A ხელნაწერის (ე. ი. თუმანიშვილის ხელნაწერის) მიხედვით. ეს ფაქტიც, რასაკვირველია, A ხელნაწერის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

თურქისტანიშვილისეული «არჩილიანი» ხელთ ჰქონია ვ ხტანგ მიექესის წრის ერთ ცნობილ პოეტ ონანა მდივანს. უკანასკნელს კრებულში შეუტანია თავისი და ვახტანგის რამდენიმე ლექსი, უმთავრესად «ანბანთქება». ხელნაწერს შემოუნახავს აგრეთვე აკად. მ. ბროსეს წინაწერები ფრანგულ ენ.ზე. სამ ადგილას (34a, 118b, 113b) აშიებზე გვხვდება ერთიდაიმავე მდივანშიგნობრული ხელით შესრულებული თითო სტროფი ლექსი უცნობი ავტორისა. აქვე მოგვყავს ეს ლექსებიც:

ბაგრატიონთ მეფეებსა რა აუჩნდა მტერი მძლეო,
დავით კახთა გაიჰთავრეს, მათგან უფრო გვარით მკლეო,
არვინ იცის მამამისი, მკვიდრთთვის ესეც გაუძლეო.
და ის არ კვარა ველს[ა] ჰქონდეს, ყარაიას რად აძლეო?

დავითის სახლი მაღალი მღვთისაგან კურთხეულია,
აწ გლენხნიც აღარ ირევენ, არც მკვიდრი, არც ეულია;
მარვეიზ დასვი თვითმპყრობლად, სპარსთ მეფე დაქცეულია,
და ბევრი ამგვარნი თავმალლად ბევრი გკავს წაქცეულია.

¹ ე. თაყაიშვილი, II, 136.

² დაბეჭდილი თაყაიშვილის მიერ (II, 136 — 137).

გურგენი ცამდი მიეგრუნა, დაამხო, დასცა, დარია,
 მიწის პირს ემძივებოდა, მაკიდონელი მკედარია,
 ქაჩალი მაჰმად, მდაბალი, რა დიდთ ჰქენ შესადარია?!
 და კიდევ თავს მართლობს ურცხვინო, უბნობს: „რა ჩემი ბრალა!“

ტექსტური შედგენილობის მხრით დაუთ თურქისტანიშვილის ნუსხა თითქმის არ განსხვავდება გივი თუშანიშვილის ნუსხიდან. თითქმისო ვამბობთ იმიტომ, რომ პირველს აკლია «მეფეთა საქებელნი და სამხილეჲლნი» და «ახალი შემოღებული ანაანთქეჲა» (არ აღვილია აღკრძალვა). ორივე ეს ტექსტი არჩილის უგვიანესი ნაწარმოებია და, ალბად, თუშანიშვილის კრებულში შესულა თურქისტანიშვილის ნუსხის ჩ. მოყალიბების შემდეგ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თურქისტანიშვილის ხელნაწერს სატიტულო ფურცელზე მიწერილი აქვს «არჩილიანი». ამავე ფურცელზე შუა აღვილას მოთავსებულია ერთი ოთხტეპოვანი შესანიშნავი ლირიკული ლექსი, რომელიც ფაქტობრივ წარმოადგენს «არჩილიანის» ნამდვილ ეპიგრაფს. აი ეს ლექსი:

სიღარიბე და მწირობა პირველ აბრაჰამ გვიწესა;
 თუ კაცსა მიხედეს გრძლად ყოუნა უტხოს თემსა და მიწებსა,
 შარბათიც ჰქონდეს სასძელად, ნაღველად აღჰოიწებსა,
 მაგრამ სურვილი ქრისტეჲი ყველაკას დაავიწყებსა.

108ხ გვერდი შერაცავს ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული ხელით (რომელიც, სხვათა შორის, ვახანგის ხელს გვაგონებს) ჩაწერულ სამატრაოუან ლირიკულ ლექსს. შესაძლებელია ეს ლექსი არჩილს არც ეკუთვნოდეს, ამიტომ მოგვეყავს მხოლოდ აქ:

კვლავ მომიხდა, როს გაუშვი, ვრქვი გულს: სჯერდი ამაშია!
 გავღარიბდი, მწვეე გაემდიდრდი, კვლავ გამიტყდა ა მაშია.
 ან სოფელი რასთვის გეძრახ[ა]ქს, ან ჩვენ ვამბობთ: ა მაშ ია.
 და სოფლის მპყრობსა დაუსაქაავს ყოვლი ხლათი ამაშია.

ბევრ [რ]იგათ ესცადე სოფელი, დღე ვნახე მიწყვიე მწარია,
 ხან შემახეწის მტერი და ხანდახან იგი მარია,
 არც არა ჩემით დაშავდა, ვერც უხარ სოფელს: მარია.
 და ბოლოდ ესც[ა]: ყოვლი კეთილი იმისგან მოუხმარია.

ბრძენთ ლათინთგან გავიგონე, ესე მ[ა]თგან ბრძნულად თქმული:
 კაცი — მიწა, აწ სხე[უ]ლი კვამლი არი აღვზებული,
 ბოლო ყოვლთა ნაცარია ქარის პირსა დადებული.

და მ[ა]თლა უთქვამს წმინდას დავითს: ცრუ ვართ ყოვლი აგებული.

«იამბიკო ლექსები» («იკის ბრძენთან») თურქისტანიშვილის კრებულში ორჯერ მეორდება (გვ. გვ. 206 — 207, 208 — 210). პირველად ტექსტი შესრულე-

ბჭლია ხელნაწერის ხელისაგან განსხვავებული, წერილი მდივან-მწიგნობრული დანწერლობით. ეს ტექსტი სხვა ხელნაწერიდან უნდა იყოს შემოტანილი, ქალაქი სხვაა. რედაქციულად ორივე ტექსტი ერთგვარია (ისეთია, როგორც თუმანიშვილის ნუსხისა).

რედაქციის განკარგულებაში მყოფი ხელნაწერებიდან «არჩილიანის» კრიტიკული ტექსტის დასადგენად ინტერესს იწვევს შემდეგნი:

A = 424, B = 22, C = 2116, D = 2663, E = 1729, F = 173, G = 1544, H = 418, K = 1624, L = 1511, M = 1547, N = 3700.

აქედან B ხელნაწერი A-ს პირია. ხოლო B-ს პირებია C და N (უკანასკნელი ნაწილობრივად, რადგან შეიცავს მარტოდ «თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებას»). E ხელნაწერი ძირითადად A ხელნაწერის რედაქციისაა. E ს პირებია F და G. ხელნაწერები HKLM შეიცავს «არჩილიანის» ცალკეულ ტექსტებს და რედაქციულ თავისებურებათ არ იძლევა. ერთი სიტყვით, D ხელნაწერის გაპოკლებით (D შეიცავს «თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებას») ჩვენ საქმე გვაქვს ერთ არქეტიპ რედაქციასა და ერთ არქეტიპ ხელნაწერთან. ესაა გივი თუმანიშვილის გადაწერილი კრებული (A ხელნაწერი). A ხელნაწერი უძველესია, უსრულესია, გატარებულია არჩილის ხელში, ავტოგრაფული ჩანაწერების მქონეა და, თავისთავად ცხადია, რედაქციულადაც ყველაზე უფრო სანდოა. ჩვენ გამოცემასაც¹ საფუძვლად დაედო ეს A ხელნაწერი, დანარჩენი ხელნაწერები (უმთავრესად B და E) ასრულებდა მხოლოდ დამხმარე-საკონტროლო დანიშნულებას.

«არჩილიანის» ეს გამოცემა სრულია². ოღონდ ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებათა გამო აქ არ შესულა ერთი სასულიერო იამბიკო, რომელსაც A ხელნაწერში შვიდი გვერდი უკავია და ამის გამო წოდებულია შვიდ იამბიკოდ. ეს არის სასინანულო ლოცვა-ვედრება ღვთისა, ღვთისმშობლისა და წმინდანების მიმართ, ბოლოს შეიცავს საქრისტიანო შეგონებას. იამბიკო აკროსტიხულია. თავის მხრით კიდუწერილობა იძლევა შემდეგ ლექსს:

¹ ამჟამად მხედველობაში მაქვს წინამდებარე პირველი ტომი. მეორე ტომის ტექსტური მასალების შესახებ საეციალური საუბარი გვექნება მეორე ტომისვე შენიშვნებში.

² გარდა «არჩილიანისა» (ე. ი. ორიგინალურ პოეტურ ნაწარმოებთა კრებულისა) არჩილს ეკუთვნის აგრეთვე რაზღნიმე ნათარგნი პროზული ძეგლი («ალექსანდრიანი», ნაწილობრივად «ხრონოლოგია» და სხვ.), რაც ამ გამოცემაში ვერ შევიდოდა. «არჩილიანის» შედგენილობა თვითონ ავტორის განუსაზღვრავს იმ თავითვე.

გახ. «დროება»-ში (1878 წ. № 16) მოთავსებულ «დღიურის» უცნობი ავტორი, ნ. კიკინაძე (ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები ჩეჩილმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში, ტფ. 1888, გვ. 22) და ალ. ხახანაშვილი (Очерки, III, стр. 59 — 100, прим. 4) შეიძომით მიაწვიენ არჩილს «ნარგიხოვანს» და აღწერა ბროლის სვეტნი, როგორც სამართლიან და აღნიშნა, ორი უკანასკნელი ავტორის დამოწმებით, პროფ. კ. კვეციძემ (II, 421, შენ. 5). ამ საკითხს ჩვენ საეციალურად ვიზილავთ გამოსაცეხად დამზადებული «ნარგიხოვანის» წინასიტყვაობაში.

1. სამებით ღმერთო, ბუნებით ერთო,
დამხსენ სახმილსა უშრეტად მწველსა;
მიშველე რამე, შენ მნახო რა მე,
სათნოებითა რომ ვგვეარ მწველსა.
შენს¹ ნებაზედან, შენებაზედან,
ალარ მიმიშვა ბელიერ ნწველსა,
ჩამსომს მწვირესა, მის ნამწვირესა,
ვი, რა ავია მის დანაველსა!

2. ქალწულად მშობო, ქებით სამკობო,
და საღმობისა არასა მკრძნობო;
გამოუთქველად, მიუწოდომელად,
დამბადებლისა სულ არსათა ნშობო.
ვისცა ვერ იტევს, ისიმც მომიტევს,
შენ მეოხ მეყავ, ქებას გიმკობო!
და თუც² დავები, თუცა და ვები,
განსაცდელშიგან მებრ მქვენ იობო.

3. მოციქულთ ა თორ, ვევედრო ათ-ორთ,
თორე მიზმენა საქმეს ძნელ ავსა,
წინასწარმეტყველთ, მით გამომეტყველთ,
ღმერთმან იგინი სულით აავსა;
მღდელთა მოძღვრითა, ცრემლისა ცვრითა,
ამით უფალმა ალი დაავსა;
მოწამებითა, ქალწულ-ყრმებითა
მტერთა განვერო და ვიახოვ დავსა.

4. კაცთ საფრთხედ ოქრო ექნების, ვითა ფრინველთა მახეა,
ადამის მიერ ცთუნებით ბევრ-რიგ რაჲ მით მოსჩმახეა.
კმარა, დასწყნარდი, ეშმაკო, რაცა მკარ ანუ მახია,
არ მცირე წკეპლად მაჩვენე, აწ განადიდე მა ხია.³

«არჩილიანი» ორ ჯომად იბეჭდება. მეორე ტომში მოთავსებული იქნება «გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა», პირველ ტომში კი შესულია არჩილის ყველა დანარჩენი ნაწარმოები. პირველი ტომის მასალებიდან დღემდის გამოქვეყნებული იყო მხოლოდ «საქართველოს ზნეობანი», ანბანთქება «ა სულ ასულა» და რანდენიე ნაწვეტი სოფლისა და კაცის გაბაასებიდან. მასალების დალაგებისას რედაქციამ გვერდი აუხვია მშრალ ქრონოლოგიურ პრინციპს და ირჩია თემატიკური პრინციპით ხელმძღვანელობა.

არჩილის ცალკეულ ნაწარმოებთა დათარიღებისათვის საინტერესო ცნობებს

¹ დედანში: შენსა.

² დედანში: და თუცა.

³ ეს აკროტიხი ორი უკანასკნელი ტაქტის გამოკლებით დაბეჭდილი აქვს პროფ. კ. კეკელიძეს (II, 414). აღსანიშნავია, რომ 4, 3-4 ტაქტები წარმოადგენს მეშვიდე იამბიკოს-თაბოლო სტრიქონს და დედანში ჩაწერილია წითურით.

იძლევა A ხელნაწერის თავში დართული ზანდუკი («ზანდუკი ამის წიგნისა, რომელი პირველ ნათქვამია, ანუ შემდგომითი შემდგოჲადა»). აქ პირველად [ა] მოხსენებულია: «ყოველთასა პირველად არს ნათქვამი ერთი ანბანთქება, რომელი დავიწყებით არა წერია»-ო. მაშასადამე, «არჩილიანს» აკლია ერთი ანბანთქება, რომელიც საუღამო დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

ზ. მეორე: მეფის თეიმურაზისა და რუსთელის მელექსედ შედარების ბა-
ასი ერთის ანბანთქებით ჩახრუხ-ულით და ოთხის იამბიკოთა, სამს იამბიკოს
თავბოლო ასონი ჩახრუხად აქს ნათქვამი და ერთსა მართალ ლექსურად.

ესენი ოსეთს და დვალეთს არიან ნათქვამნი.»

თეიმურაზისა და რუსთელის გაბაასება არჩილს შეუთხზავს
9 თვის განმავლობაში 1681 — 1682 წლებში¹ ნაწილობრივად ოსეთს ფაიქომში
და ნაწილობრივად ასტრახანში. ამავე მუხლში მოხსენებული ჩახრუხ-ული
ანბანთქება არის «ასულ ასულა» (ჩვენი გამოცემით გვ. 247 — 251), ხო-
ლო ოთხი იამბიკოსის იამბიკოთა, როკლის აკროსტიხული ლექსები ზევით
მოვიყვანეთ. საყურადღებოა, რომ აქ იამბიკოთა რიცხვად ოთხია აღნიშნული,
ხოლო თვით ტექ-ტში შვიდი. უფრო სწორია «ზანდუკის» ცნობა. ანბანთქება
«ასულ ასულა» და «იამბიკონია» არჩილს უთქვამს დე-ლეთსა და ოსეთს, სადაც
ის იმყოფებოდა 1681 — 1682 წლებში [რუსეთს გაგზავრებული არჩილი თერგ-
ში ჩავიდა 1682 წლის 30 ივლისს]. ამ ლექსების შესახებ არჩილი ლაპარაკობს
«გაბაასებების» ძირითად ტექსტშიც, სახელდობრ 724 სტროფის შემდეგ ავტორი
შენიშნავს: «ამას ზეით ლექსები სამისა ერთგვარი იამბიკოთ, რომ თავ ბოლო
ლექსად აქვს, ერთს კიდევ სხვის იამბიკოთ ზეით-ქვეითი სტრიქონი და თავ-ბოლო
ლექსი აქვს; ცხრა ლექსი ანბანთქებისა [ე. ი. «ასულ ასულა»-ა. ბ.] ოსეთს არის
ნათქვამი ქრონიკონის ლექსით ორმოცს დღეს»ო.

გ. «სოფლისა და კაცის გაბაასებების» ზუსტი დათარიღება მოცემულია ტექ-
სტის ეპილოგში (356 — 358):

სრულ იქმნა წიგნი ბაასი ეს კაცისა და სოფლისა

წელს დასაბამით შვიდათას-ასოთხმოც-მეოთხრემეტისა,

აშთარხანს კაის ქალაქსა, მაგრამ ჩემს არ სამყოფლისა,

ზამთარ მწვე-ცივსა, დიად ცხელს ზაფხულს, მდენელსა ოფლისა.

ამავ წელიწადს ოცდათს მარტს აღდგომა გათენდებოდა,

ნაკი მოქონდა ფებერვალს და ოცი ზედნადებობდა.

ჩემს წელისა ჩამოსვლა ოც-შვიდმეტად თავდებოდა.

ქრონიკონისა ასონი ტარ-ონი-ბანი ჯდებოდა.

თუ არ ვთქვა, ვიცი, დარჩება ბოლოვამ გაუგონარად,

თუ ვთქვა და არ დაიჯერონ ეს ადვილ მოსაგონარად.

სამ თვე გათავდა ეს წიგნი, სულ ჩაიკდება ონარად,

იანვრით ოცდათ მარტამდის, ხან კიდევ ვიყავ მცონარად.

¹ ეს თხზულება 1681 წელში არა დასრულებული, როგორც ჩვეულებრივად ფიქრობენ-
ამის შესახებ საეციალურად მეორე ტომში.

დათარიღებისათვის აქ წელთაღრიცხვის ორგვარი სისტემა გამოყენებული — დასაბამითი და ქართული ქორონიკონი. დასაბამითი და ქართული ქორონიკონი იძლევა 1684 წელს [დასაბამითი 7192 — 5508 = 1684. ქორონიკონი ტარ-ონი-ზანი—372 + 1312 = 1684]. ასოფლისა და კაცის გაბაასება შეთხზულია 1684 წლის იანვარ-მარტის თვეებში.

ამის შემდეგ დათარიღებისათვის საჭირო ცნობა დაუცავს მხოლოდ ი მუხლს: „ანბანთქება წმინდის ღვთისმშობლისა სავედრებელი [გამოცემით გვ. გვ. 261 — 267] აშთარხანს არიან ნათქვამი“-ო. ასტარახანში („აშთარხანს“) არჩილი იმყოფებოდა 1682 წლის პირველი სექტემბრიდან 1685 წლის მეორე ნახევრამდე. ღვთისმშობლის სავედრებელიც აქ დროის განმავლობაში უნდა შეთხზულიყო. ასტარახანის პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს გ და ი მუხლებს შორის მოქცეული შემდეგი ტექსტები:

საქართველოს ზნეობანი (1 — 14)

რვათა გემისა ასოთა (14 — 16)

სიტყვა სანათლისღებო (65 — 70)

ორნი ლექსნი ეტლებრ მბრუნაენი (285 — 288)

კაცს უთხარ (111 — 115)

სამიჯნურონი (125 — 132).

დასახელებული ტექსტებიდან ზოგიერთი პირდაპირ იმოწმებს „აშთარხანს“ ასე საქართველოს ზნეობანშია ვკითხულობთ (4, ა-ჟ):

აბა გაზაფხულს აშთარხანს ნახე, თუ სჯობდეს რაცა რი,
ეგება კიდევ სხვაც რამ ვთქვა, სულ რუსთა ვნახო რა ცარი.

ასევე „სამიჯნურონი“ (46, ა):

ამად მივჰყავ შაირს ხელი, აშთარხანმან მომაწყინა.

ასტარახანის პერიოდს ჰკუთვნებია „ვისრამიანის“ პირველი რედაქცია:

„ვისრამიანიც უწინ რომ აშთარხანს მივიდა, იქ იწყო, მაგრა წვაში-
ნუსხები დაიკარგა. მეორედ რომ თერგზედ მივიდა, იქ იპოვა ზო-
გიერთი და მოსკოსაკენ რომ წავიდა, გზაზედ სრულყო“.

არჩილი თერგზე მეორედ მივიდა 1699 წლის პირველ ნახევარში. მაშასადამე, „ვისრამიანის“ ძირეული რედაქცია დაწესებული ყოფილა ჯერ კიდევ 1682-1685 წლებში, ხოლო შემდეგ ავტორი იძულებული გამხდარა კვლავ დაბრუნებოდა მას 1699 — 1700 წლებში.

იგ. „ამიციანად სათარგმანებელნი“ (გვ. 273 — 283) არჩილს უთქვამს „მეორედ ოსეთსა და დვალეთს დგომავია“. მეორედ იღვა არჩილი ოსეთს 1693 წელს, როდესაც რუსეთში გადასვლას აპირებდა და შეპყრობილი იქნა ყილჩიყოს მიერ (ქართ. ცხოვრება, II, 214). თუმცა შესაძლებელია აქ იგულისხმებოდეს 1698 წელიც, როდესაც არჩილმა უარყო აბაშიძის წინადადება მისი ქალის — თამარის შერთვაზე და იმერეთში ამ გზით გამეფებაზე. უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს: „და წარვიდა დვა-

ლეთს და იყოფებოდა ზრამაგას ზამთარსა მას მომლოდნე სპათა რუსთასა“ (II, 216). ეს მეორე თარიღი იმითაც მისაღებია, რომ ზამთარში უსაქმოდ მყოფ არჩილს მეტი დრო ექნებოდა მეღვქსეობისათვის¹.

ვისრამიანისა ეპილოგში ავტორი აცხადებდა (743):

ამიერიდან ვლუმენი ლექსთა თქმა-შაირობასაო.

მაგრამ რუსეთში საბოლოოდ დამკვიდრების (ე. ი. 1700 წლის) შემდეგაც განუგრძობდა მას შემოქმედებითი მუშაობა. ამ დროის პერიოდს ეყუთვნის სამივე ასეული ლექსი (გვ. 71 — 109). მეორე ასეულში არჩილი პირდაპირ იმოწმებს «ვისრამიანის» აღსარებას (1,1):

პირველ ვთქვი მოწყინებითა: ვლუმენინ შაირობასა.

მეორე ასეული დასრულებულია 1703 წელს. ამაზე ცნობას იძლევა თვით ტექსტი (65):

პირველ წარვწერენ ლექსნი და თავ-ბოლოდ იამბიკონი,
აწ ეს დავწერე ამ წელსა ლექსნი და სხუა ლექსიკონი;
მოვირთე შემწედ ამისდა წმიდათა კაცთა იკონი.
იყო ამეჟამდ ტარ-ჟანი და ანი ქორონიკონი.

ქორონიკონი ტარ-ჟანი-ანი იძლევა 1703 წელს (391 + 1312).

მეორე ასეულის შემდეგაა შეფხული ზესამე ასეული, ანუ «ლექსნი ასდა-ათნი». ამის 102 სტროფში დამოწმებულია როგორც ვისრამიანი, ისე პირველი ასეული ლექსი:

¹ ამოცანად სათარგმნებელნი წარმოადგენს ამოცანათა [ამოცანა ნიშნავს ამოცანას] კრებულს. მასალად უმთავრეს შემთავევში გამოყენებულია ბიბლიური ამბები, თუმცა გვხვდება განყვებული თემებიც. მკითხველისათვის რომ ტექსტი უფრო გასაგები გახდეს, აქვე ვიდლებით ამოცანათა მნიშვნელობის ნუსხას. ოღონდ ეს კია, რომ ყველა ამოცანის ახსნა არ მოგვიხერხდა. ზოგიერთი ამოცანა, სახელფობრ 12, 20, 21, 33, 39, 48 და 74 ამოცნობილია პროფ. კ. კეკელიძის მიერ. აი ამოცანათა მნიშვნელობის ნუსხაც: 1. ღმერთი. 2. არსი. 3. ქრისტე. 4. ელია წინასწარმეტყველი. 6. მოსე წინასწარმეტყველის მიერ ქნნილი გველი. 7. ებრაელნი და ეგვიპტელნი. 8. მეორედ მოსვლა (?). 9. აბრაამი. 10. ნოეს კიდობანი. 11. გედონი. 12. ქრისტე. 13. გოგორა (?). 14. ეშმაკი. 16. დედაპიწა. 17. წუთისოფელი. 18. ელისე. 19. მზე. 20. მეღვქსედკი. 21. საული. 22. სულიწმინდა. 23. იოანე ნათლისმცემელი. 24. ილია წინასწარმეტყველი. 26. ჩანგი (?). 27. იაკობი. 28. მონა (?). 30. დავით წინასწარმეტყველის შვილი. 31. მზე. 32. ოთხი მახარობელი. 33. გაქმნი. 36. ფენიქსი. 37. ოქო. 38. წელიწადი, დრო, თვე და დღე. 39. თამარი და ხარა [პირველი პარალიპსენონი, II, 4.] 40. ქრისტე 41. ჯოჯი. 42. თაუელი. 43. მთვარე. 44. ყრბათა აწყვერა ეროდეს მიერ. 45. სილოაჰის საბანელი. 46. ნათლისღება. 47. ფუტკარი. 48. ებრაელების მსაჯული იფთაი და მისი ქალი. 49. ძაღლი. 51. იუდა ისკარიოტელი. 52. ელისე. 53. ეკვატელ პირშოთა აწყვერა. 55. თობა. 56. დნიელ წინასწარმეტყველი და მისი ძმები. 57. ესაეი (იაკობის ძე). 58. ქიყნის შქინა. 60. ახლადშობილი მოსე წინასწარმეტყველის წყალში ჩაგდება. 61. წუთისოფელი. 62. ხორციელი ნდობა. 64. სამაონი. 65. სამსონი და დამი. 66. მისე. 68. იოსებ მშენიერი. 69. სოცოტლე. 70. ხაქარია (იოანე ნათლისმცემლის მამა). 71. სარე. 72. გვლთა სარეპტა. 73. წიქრლეს ქვა. 74. ვალაამის ვირი. 75. ტიანტველა. 76. იაკობს მხეერბლად შეწირვა. 77. ქორი (?). 78. ცოდვა და მადლი.

ვისრამიანსა დავსწერე ლექსების დადუმებადა,
მიზეზი პირველს ასეულს თქმისა, სხვა რა გამებალა?

კვლა რიტორების სურვილი, ვით ახალ-ნორჩა მებალა.

ბოლოდ შემეკმნა ბოროტი, თორ პირველ არ მომებალა.

ასეული ლექსების შემდეგაა დაწერილი იამბიკო იციის ბრძენმანა (გვ. 116 — 123). A ხელნაწერში ამას შენიშნული აქვს: „ეს იამბიკო ლექსები მისვე მეფის არჩილის ნათქვამი [არის]. ორსავე ასეულს ლექსებს შეუპოვმად არის ნათქვამი და იქ უნდა ეწეროს“ო.

გვიანი დროისაა «ახალი შემოღებული ანბანთქება» (გვ. 253 — 259). ყოველ-შემთხვევაში ესეც რომ არჩილის რუსეთში დამკვიდრების დროინდელია, ღანს ტექსტის ბოლო სტროფიდან:

მრავალთ მეფეთ დაუგდია უმიზეზოდ შეფობანი,
სვე, დოვლათი, დიდი თემი, ქალაქი, ან დიდებანი.
ჩემი რად გკვირსთ იძულებით სამყოფთა გარიდებანი?

არჩილის უკანასკნელი პოეტური ძეგლია «მეფეთა საქებელნი და სამხალე-ბელნი» (გვ. 221 — 245). «მეფეთა»ს შესახებ ტექსტის სათაურშივე შენიშნულია: „ამ ლექსებს მეფეთა ეწოდება და სულ ამ წიგნის ბოლოს არის ნათქვამი, იქ უნდა დაიწეროს“ო. ხოლო «ზანდუქში» ვკითხულობთ: „პირველთა და შემდგომითი-შემდგომთა მეფეთა ქება და სამხილებელნი მოსკოვს არის ნათქვამი“. «მეფეთას» ნაწილია (სტროფები 110 — 114 და იამბიკო) «ზანდუქის» ხუთი ლექსი და ათი სტრიქონი იამბიკო (ით). სხვათა შორის, თუ მივხედვით-ბაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ «მეფეთა» და «ანბანთქება ახლად შემოღებული» არაა თურქისტანიშვილის ნუსხაში (ეს ნუსხა ძირითადად გადაწერილია 1705 წელს), საფიქრებელი ხდება: ეს ორი ტექსტი 1705 წლის შემდეგ იყოს შეთხზული.

ტექსტის დადგენისას ვეწყარებოდით A ხელნაწერს. მართლწერაც ამისია შენარჩუნებული. ჩვენ უცვლელად დავტოვეთ A ხელნაწერის პარალელური ფორმებიც კი, მაგალითად: ბრძანა||ბძანა, გრძელი||გძელი, ადამისა||ადამისი, მსკავ-სი||მზგავსი¹. არ შეეცვალეთ, როგორც ეპოქის დამახასიათებელი, არც «ვლის-ვიყავი» (სოფლის და კაცის გაბაასება, 27,⁴) და მისთანანი.² უცვლელადაა დატოვებული სუბიექტურ-ობიექტური პრეფიქსების ხმარების წესიც. როცა A ხელნაწერის წაკითხვა შესწორებულია, სხვაობის ყოველი შემთხვევა ნაჩვენებია ან «გარიანტებში» ან ოთხკუთხ ფრჩხილებში. ე. წ. ზედმეტი ასოები დარჩა მხოლოდ ანბანთქებაში.

ცალკე უნდა გამოვყოთ «ვისრამიანის» საკითხი. ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ «ვისრამიანის» ერთი რედაქცია არჩილს დაუმზადებია ასტრახანში 1682 — 1685 წლებში. ტექსტის ძველი ნუსხა ავტორს დაჰკარგვია. შექმნეგში ის კვლავ დაბრუნებია გალექსვას, მაგრამ მუშაობის პროცესში დაკარგული ნაწილიც უპოვია. მაშინ არჩილს ორივე რედაქციის ტექსტი გაუერთებია, ამიტომაც ჩვე-

¹ გვხვდება აგრეთვე მსგავსი (სანათლისღებო 40,¹ და სხვ.).

² თუმცა ერთგან («ვისრამიანი» 89,⁴) მსგავსი ფორმა გასწორებული გვაქვს.

ნამდის მოღწეულია ევისრამიანის² ორმაგი რედაქციით. A ხელნაწერს აწვავს (გვ. 356) არჩილს საკუთარი ხელით ჩაწერია ტექსტის თავგადასავალი: „ორ-ლი ერთ რიგი ლექსები რომა აქა სწერია, ამ ლექსებში ბი ლომი, სადა ზინდ სხვაგანც სწერია, ამ ზინდისათვის: პირველი რომ იოქვა და ნუსხად დაიწერა, ის ნუსხა დაიფარა სადმე და მეორედ რომ თქმადვე იწყო. მაშინ გამოჩნდა. ერთი პირველ თქულისაგან და მეორე მეორედ თქულისა ერთათ შეუყარხენ; და ვითაც არცეთი იყო ერთმანეთის უღარესნი, მისთვის ორივე დაიწერა“ო. ჩვენ ასე მოვიქცეთ: უხეში განმეორების შემცველი ტექსტი გადავიტანეთ ვარიანტი: ზმი; ხოლო ისეთი ტექსტი, რომელიც შემცვა ერთგვარ განმეორება-პარალელიზმს იძლევა, მაგრამ ძლიერ არ ტვირთავს მოთხრობის წერილ მიმდინარეობას, დავტოვეთ ძირითად ნაწილში. ეპიკური ენარის ძეგლებს მსგავსი განმეორებანი ჩვეულებრივად არც ეტყობოვება. საყურადღებოა, რომ აქ-იქ არჩილი თვითონვე ცდილა როგორმე ორგანიზულად დაეკავშირებია ერთმანეთთან ტექსტის ორივე რედაქცია. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ 176 — 177 სტროფებს:

მერმე ზარდის შეუძახა: „გვითხარ შენი ვინაობა!

ან სით ნოხვალ, ან სახელად რა გძეს. გიარად ვინაობ ა?

ქორწილის დროს ახალ ზორხთა ცუდის სიტყვით ვინ აობ ა?

რად გწადიან დაგვანწარო დღე-კეთილი, სვიანობა?“

კვლავცა უთხრა ზარდის: „ვაყო. სახელი თქვი, გიარად ვინ ხარ?

ან ამბავზედ რაზედ მოხველ, რას გვინალავ, მაღლა გვითხარ!

ამაყად და უჟადრისად ჩვენს წინ ცხინზედ რაზედ ზიხარ?

არ მოხვალ და არ დასჯდები, ამ ღხინს შენცა არ გაიხარ!“

აქ პირველსა (176) და მეორე (177) რედაქციას არჩილი ერთმანეთს შეგნებულად ათანხმებს, უხეში განმეორების თავიდან ასაცილებლად მეორე სტროფის დასაწყისში ურთავს: „კვლავცა უთხრა“.

არჩილის პორტრეტი შესრულებულია ჰოლანდიელი მხატვრის მიერ. ამოღებული გვაქვს ეს პორტრეტი ალენის საქართველოს ისტორიიდან [A history of the georgian people, by W. E. D. Allen. London 1932]. თავის მხრივ ალენს უსარგებლია ნიკოლას ვიტცენით (N. Witzen). არჩილის ავტოგრაფი წარმოადგენს ევისრამიანის² ზეგით მოყვანილ მინაწერს, ხოლო ხელრთვადაუტყვის H515 სიგელს. ეს სიგელი გადაწერილია 1691 წელს მდივან თავაქარაშვილის მიერ.

დასასრულ ჩვენ მოვალეობად ვთვლით მადლობა მოვახსენოთ პატივცემულ პროფესორებს კ. ქეკელიძეს და მ. პოლიევეტოვს / პირველს — ზოგიერთი ამიციანის² ამოცნობისათვის, მეორეს — ბიბლიოგრაფიული ცნობების მოწოდებისათვის. დიდი მადლობა ბიბლიოგრაფიისათვის აგრეთვე ქრ. შარაშიძის ქალს. ალ. კობახიძემ დიდად გაგვიადვილა აღმოსავლეთის-მკვლევების ინსტიტუტის მასალებით სარგებლობა, ხოლო ნინო ელიაშვილმა დიდი ამაგი დაგვდო სარქივო მასალების გადმოწერითა და შემოწმებით. ივ. გიგინეიშვილმა ჩვენთან ერთად გაიზიარა საავტორო კორექტურის მძიმე ტვირთი².

ალ. ბარამიძე

² მეორე ტომს ტექსტური მასალების გარდა დაერთება ვრცელი გამოკვლევა არჩილის ცხორება-შემოქმედებისა და არჩილის დროის შესახებ, აგრეთვე ლექსიკონი და საძიებლები.

საქართველოს ზნეობანი

საქართველოს ზნეობანი

1. მოწყალე ხარ მართლის გულით მოქენეთა უხვად, ღმერთო, გვახოვნებით სამხატედო, ღეთაებითა მხოლოდ ერთო, ვინ თბე ჩვენი შეიმოსე, სხვას ნივთს არას არ იერთო, და რისხვაზედან სრულ სულგძელო, წყალობაზედ წამი ერთო.
2. ღმერთო, შენა ხარ კაცისა შემწედ დამხსნელი ჭირისა, უძლურთა ძალის მიმცემი, მოაჯაბნებელი გმირისა, მალალთა მამდაბლებელი, ამმალლებელი მწირისა, და ავისა კარგად შემცვლელი, მარგალიტ მყოფი მწვირისა.
3. აწ ეს მომინდა საქმელად, რამდენი ზნეობა არის სამღეთო და ანუ სამხედრო, მშეებლის და მოვგალახარის, ლაშქრობის, ნადირობისა, რომელმან კაცი ახარის, და საქციელ სამსახურისა ვინც იცის, ცოდნათაჲ კმარის.
4. თავსაჲ სამღეთო სჯობს, ზოლოსაჲ, კაცთა ზნე საქმე რაჲ არი. სიტყვა ნაგრეხი არ მითქვამს, მაშა, მკითხველო, რაჲ არი! აბა გაზაფხულს აშთარხანს ნახე, თუ სჯობდეს რაჲცარი, და ეგება კიდევ სხვაჲ რამ ვთქვა, სულ რუსთა ვნახო რა ცარი.
5. შესაყრელობა, ალერსი თვითოს ზნეს ყველას უდარსა, მხიარულსა და ჯაგრიანს მის-მისსა დანაყუდარსა, სიტკბოებაჲ იურავს, ვის გინდა, მის მემუდარსა, და თავს შეაყვარებს ყოვლს კაცსა, მოწყენილს ნისლსა უდარსა.
6. დია კარგია სხეებიჲა ზნეობა-საქციელები, მშვილდ-ისარი და ბურთობა, ორივე ცხენ ფიცხელები, რადაბრაგანს და გადრზედა მარჯვეთ იხმაროს ხელები; და წაელა-წამოვლა, ცხენს ჯდომა მწვედ ვარგა ნასახელები.
7. სიმღერა და დასდებელი ესეჲ ასრე დავითვალოთ, მასპინძლობა და ჩუქება ერთმანერთსა დავავალოთ, კარგი ხმა და თან უსული შევიყვაროთ, და ვითვალოთ. და ვინც მექთვრალობს მარტო სადკოჲს, ავაჲ უკდევ, დავავალოთ.

8. გარიგება მარაქისა, მის-მის ალაგს კაცის დასმა, სუფრის ბარაქიანობა, საამოვნო ჭამა და სმა; ბევრგვარ უნდა ხილის დაჭრა, ბეჭის გათლა, დანის მოსმა, და უფრო არის, ვერ მოთვალოს სამოცხუთმან, ვერც საპასმა.
9. ზმა და ხუმრობა, სიცილი, სხვის ზმისაც მალ გაცინება, კარგის აზნაურშიელისა სიტყვისა არ გამკუნება, დროიან გაჯავრებულმან კარგია, მოიგუნება, და მუნასიბისა ლექსისა უკეთ რა გაიგონება?
10. რაც საკრავია ყველა რამ, თვითო ზნეობად ჩავაგდოთ, ზაპი, ცეკვა და სამაი, ჯუბანაც რასთვინ დავაგდოთ? წმიდათ ჭამა და დიდი სმა, ვინ პირით აღარ წავაგდოთ, და კარგია ვინც კი შეირგებს, ვინც არწყევს, კარში გავაგდოთ.
11. ტანსა და ფეხსა გაწყობა კარგი რამ საცოდნი არის, ქარქაშის კარგა მობორბლა, ჩეკმა დეზითურთ კმა არის, უჩირქოთ წმინდათ ხზარება; კვლავ გასცის და მოიხმარის, და სანდომ მიხედვა, ნახედვა, თვალი მახვილად ნობარის.
12. მცჯინიობა, მხედრობა, ცხენოსნობა სხვადასხვაობს, მომტველობაც ფრინველებისა ცალ-ცალკეა, სულ ნუ მწყერობს; მან კი იცის ეს ასრეა, ვინ ოსტატათ ბაზიარობს, და ძალლიც კარგად მოუტიოს, ვინ კურდღლობს და მალე მწყერობს.
13. ცხენისა და ფრინველის ცნობა, ძალლისაც ზნე არიო, ამადა ვთქვი ესეები, არც ერთზედან არიო, ვისა გინდა, ეს არ გინდა, ასე რამ გარდაგრიო? და თუ არ გიყვარს, მხედარს კაცსა მაშ აღარ შეგადრიო.
14. აშფაშაქი და ყაბახი, ბუ[რ]თის სროლა, მესეფქობა, კარზედ ცხენის გკენება, ხელ-ძალიან ჯირითობა, ახლა ესეც ზნედ დაიდვა მოუცდენი მეთოფობა, და ის უწინცა ვარგებულა ხელ-ფეხი და ქვეითობა.
15. მტურაობაც კარგი არის, მაგრამე სჯობს ნავთ ხზარება, ვინც არ იცის, დიდროანს წყლებს ვერავინ მიეკარება; გაღმა კაცს თუ საქმე რამ აქვს, იმას სხვა ზნე არ ედრება, და მაშინ დია ვარგისია წყალწაღებულს ვინ ესწრობა.
16. მოტირობა, გლოვის წესი, ზარი, ახა ზნედ დაიდო, უსარგებლო მკედრის და ცოცხლის ვინ ძმა იძმო, ან და იდო, ერთმანერთის წაბაძვითა დაწესდა, ხიდად გაიდო, და წლამდინ ვინ ხორცი არ სკამო, ბძანე წინა გიდვა ი დო?

17. ჰადრაკის მღერა, ნარდისა და სხვა რაც რამა ყუმარი, ხარდიორდა და ჩალიჩი, სევედისა დასადუმარი, ხტომა, ქვის გდება, რკინობა, მოგვერდი, ფანდიც რამ არი, და ის კაცსა ბევრჯელ უკუჭურის, ვინც კარგი ხუმარი არი.

18. ვერ ხედავთ ფრიდონისასა, მოშაითობას ჩემულობს, საბელზედ ვაგლა-ხტომასა თამაზად, ართუ მოზარობს, ტარიელსა და ავთანდილს ქაჯეთს მისვლაზედ უამბობს. და ვინ იცის, მის დროს იქმოდეს ცოდნასა, ნურვინ მცონარობს.

19. ჰინდიც არ ვნახეთ ჩვენს წინა, ოთხს აქლემს გარდახტებოდა! ხელ-დაუკრავად ჰაერში მათზედ გარდაბრუნდებოდა, იქით ფერხს დადგის, მის მკერეტელს თვალი არ მოუსხლტებოდა, და ორს ცხრას იქით-აქ ხელჭერილს შიშვლის ხმლით შიგ გახტებოდა.

20. წმინდას შალზედ გაირბენდა კაცთ ჰაერში დანაჰირსა, მახვილების ბორბალშიგან შიგ გახტის და არა სჰირსა, ფერხებს ქედზედ დაიწყობდა ხელით, ვსჰკერეტლით ნარონინსა, და თამაშობდა უცხოებსა, ამათ უფრო ჭასაჰირსა.

21. თავთან დაისვის ხანჯალი, გულაღმა წამოწევებოდა, ანაზდათ ახტის პირდაღმავე, იქით თავს გარდევლებოდა, მუნით გულდაღმავე დაეცის, იმის წვრით თვის წვერს მყოფლობდა, და მნახავთ და გამგონეთაგან მუნ მაშინ საკვირველობდა.

22. ხეს დაიქერდა კბილითა, თუ ექვსმა კაცმა აიღის! ძელს დაიდებდა გულზედან, ძლივ ოთხმა ხარმან წაიღის, ქვეშ დაისევმდა მახვილსა, ქვე ტანი აღარ დაიღის, და ხმელზედ თევზურად ცურევდა, კვლავ უცხო რამ შემოიღის.

23. ინატრეს ბევრმან ვაჟებმან: „ნეტა ვინ ეს მასწავლაო! მისი სიფიცხე, სიმაღლე, ისე თამამად წავლაო.“ მაგრამ ის შაკი არ დადგა, არავის არ ასწავლაო, და მიზეზი ეს თქვა: „მწადიან სულ ხელმწიფების დავლაო.“

24. წყლის წურვა და ბადის სროლა, კარგად ესეც ჩაგდებულა, წეროს გეზით დამჰერლობა ზნეობადვე სწავლებულა, მეძებრისა ხალისიან სწავლებაც კი დადებულა. და ვინ ჯერდება მარტო ამას, ბევრჯელ კიდევ აგდებულა.

25. კვლევა, დანახვა კურდღლისა, მეზობეობა, მწყერობა, სტვენა, წრუწუნი, ძახილი გაეზის, იხვის მზვერობა, ბატონს ვაამო, ჩავაგდო ახლა ყაველი და წერობა, და მალე მიშველა ფრინელისა, მუნ აღრე წამოწვერობა.

26. ისრის თლა, სწორად გამართვა, გაქლიბვა, სეფქის გაწყობა, მშვილდის ჩაგდება, ყულაჯი, ქარქაშის კარგა ჩაწყობა, არც შორი-შორ და არც სულა ახლო ერთმანერთს მიწყობა. და რა ზნეა, თორემ ქვეყანა არის, ვარგისობს ბრიყობა.

27. ჩოგნის მოხვრეტა, მობანდვა, სწორის ბურთისა გამოკრა, ბურთობის დროსა ასპარეზს პირმხიარულად გამოკრა, ცხენის მოხტომა უხელოდ, იმის დროს ფიცხლად გარდმოკრა, და მოპაიტრობა სახმობის, ამორთმა, ხურდის ამოკრა.

28. ხრმლის ცემა, ლახტის თამაში, ბევრგვარ ბრუნება შუბისა, საცერის წყობა, მათრახის ბილდირგა რა შეუბისა, ისარი სხვილი და გძელი, ხელთ არ დადება უბისა, და ვისცა არა აქვს, უძრახვენ, სხვამან სხვას მიუღბნისა.

29. ჯაქვის ცნობა, სხვათ საქურვლის კარგია და ძნელიაო, გაწყობა და მორთულობა, ვერვინ თქვას ზენკალიაო, მასცა კარგად მოუხდების რომდინ ვინც ხდალიაო, და მაშინ შექმნას ცურცლა რამე, თრთოლა და კანკალიაო.

30. თუთხეტის დლისა მთვარესა შექურვა ვინ სულ დასწროს, ვირე სრულ ამოვიდოდეს, ცხენზედაც შეჯდეს, მიასწროს, ხელ-ფიცხა კაცმან ხელბუქსა ასაღებელი დასწროს, და ფერხით მსუბუქმან ფერხმძიმეს დგენაზედ ადვილ წაასწროს.

31. ენა და წიგნი რამდენი ვინც იცის, ესეც იმდენად ჩავაგდოთ თვითო ზნეობად, სხვის ქვეყნის ამბავ მოსმენად, მაშ ერთად როგორ ვიტყოდეთ, იკითხონ სხვადასხვა ენა! და ვინ სხვას ვერ ასმენს, ის ისმენს, იქ დაიწყებენ მიდენად.

32. მწიგნობრობა ჭრელ-სადაგი, ჭრელ ძილისპირთა გარდათქმა, მსმენელობა, მთარგმნელობა, ღრმის სიტყვის ადვილ გამოთქმა, ხუცურის და მხედრულისა სხვადასხვაობს თვითოსა თქმა, და კანანახი ხმამალალი სჯობს, ყინჩვილად ნუ იქათმა.

33. მწერლობა ხუცურს და მხედრულს, იცით, უნდა სხვადასხვა, და მგრგლოვანს, ყვავისფრჩილოვანსა, ასომთავრულს სმენ თავადა, მხატვრობას, მონახაზობას არვინ ჩ[ა]ვადებს ავადა, და გარეშე წიგნის კითხვაზედ ხმა ავად ნუ იხავადა.

34. ლექსთ მთარგმნელობა, გარდმოვლით ხუმრობის ადვილ შეტყობა, კარგად ჩამორთმა სიტყვისა, წყენისა არას დატყობა, თავის-გუნების კაცს გარდა სხვისაც ბევრისა გაწყობა, და ის ვერ მოგყვების, შენ მიჰყევ, მობრიყობს, რევს ამაყობა.

35. მოჩივრობა და სამართლის მართლის ქმნა, კვლავ დიდი ბკობა, ანგარიში და რიცხვთცოდნა, ჩაგდება, მეკენჭაობა, რამლის ყრა, მესტროლაბობა, ზნევეა მეკოჭაობა. და ისიც კი არის, მაგრამე, ცრულ თქმულა მებეჭაობა.

36. მრჩელობა, სიტყვის გაკვეთა, თავს ჩემობს ამისი სწავლა, ელჩობა, მოციქულობა, სიტყვისა სწორად დასწავლა, სხედასხვა არის ესენი, მე ასე ვინმემ მასწავლა, და დრო არის გვიანობისა საჩქაროზედან მალ წავლა.

37. მეღექსობა, შაირის თქმა, უდარესი აპიცინა, კარგის მთქმელმან გაძაგონა სიტყვა მქევრი, არ მაგინა, სააღერსოდ ვისდა მიველ, არ მიმიშო, თქვა, მაცინა, და გამოვბრუნდი, კვლავ ვიახელ, უხუმრე, არ გამიცინა.

38. კარგკაცობაა შენახვა ყოვლისა ხოშიადისა, ცრუს სიტყვას ყურსა ნუ ასმენ, ნურცა ენასა გასდისა. ჩხუბი და შეენაობა ვინც კაცმან დაიქადისა, და სასაცილოდ და საზრახად მან თავი გაიხადისა.

39. ვინ ბატონის საიდუმლო სიტყვა გარეთ გაიტანოს, მუსაიფს თუ სხვას, ვის გინდა, მისი რჩევა მიუტანოს, მას პირს უნდა შეადუჟოს, ზედ თავსლაფი დაატანოს, და ძირში ენა ამოართოს, კლიტე თან ამოატანოს.

40. მუშაობაც კარგი ზნეა, ზედ-მდგომობა და სარქრობა, ბარვა, წიღნვა, ხენა და თესვა, მკის და სთელისა მის-მის დრობა. კაცს შემატს და გაახარებს მოსავლის ბევრის მოსწრობა. და ვის მუშა ჰყავსთ, თვითან შვრება, ურეგია არზაქრობა.

41. კაცის სახელის დასწავლა და ცნობაც უნდა კარგაო, მგზავრობის წესი და ნისლში ვინცა გზა არ დაჰკარგაო, რაგინდა რამე წამხდარი კიდევ მალ მოივარგაო. და მზარეულობა, კაშნიგის ცნობასა მობენ ვარგაო.

42. ბატონის დარბაზის კარი რაგინდ რომ მაღალი იყოს, თავმოხრით უნდა შევიდეს, არც ლაჯში თავი გაიყოს; უმკროსის კაცის უფროსმან ხელი საკმელზედ წაიყოს, და მეფისგან მონაკითხავი ამხანაგებსა გაუყოს.

43. ნუ მომიწყინებ, მსმენელო, მოხსენებითა ამდენით, არ მინდა იყენეთ ზნეობის ავსაქციელად წახდენით, წავლა, წამოვლა, ზე დგომა, ჯდომა, ადგომა მოხდენით, და მენუზლეობაც ვარგისობს, თან უკლებ სხვისაც მოდენით.

44. უმცროსმან კაცმან უფროსი არ უნდა დაიწვიოსო,
ადგეს სჯობს, ისრე მჯდომელმან ქვემოთ დაიწვიოსო,
საჩოქეთ რა შეიყარნენ, უწინ მან წაიწვიოსო,
და არცა უხამსად დამდაბლდეს, არც ბეწვად აიწვიოსო.

45. ორძან ტოლმან ამხანაგმან დაიწვიოს რა მესამე,
ორთავ თავს არგარდუარო და ჩაუჯე შუა სამე,
ეს შენ კარგად ჩამოგართონ და იმათაც ორთავ ამე,
და უდროვოდ და ულაგოდ ნურც იმლერი, ნურც ისამე!

46. ჯდომაში ფერხი გარეთი ზეით არ უნდა დაიდო,
პირში რა გედვას, ნუ უბნობ, სიტყვის აღვირი აიდო;
მეორემ სიტყვა აცალე, თუ არ გთნდეს ლუკმა წაიგდო,
და ხელს ნუ დაიბჯენ, ადგე რა, იქ ჯოხი მხარს არ გაიდო.

47. წინ ჯდომით, უკან უკუხრით ზურგს ნუ მიჰყუდებ კედელსა,
ნურც თავს დაჰკიდებ, არ გვანდე თვალნაკლებს ოქრომჰედელსა,
ცალს თეძოზედან არ დასჯდე, რად ექვ ძნელს მოსადებელსა.
და ცხვირის გამოკრეკა არ წაგცდეს, ნუ ეძებ კბილის საჩრჩნელსა.

48. თუ რამ ბატონმა გიბოძოს, ორის ხელით ჩამოართვი,
აგრევე შენგან მისართმევი ორითავე მას მიართვი,
ამხანაგსა, მარჯვნივ მჯდომსა, მარცხენათი გამოართვი,
და მარცხენასა მონაცემი კვლავ აქათით წამოართვი.

49. ბატონს ზურგი ანუ გვერდი ვინ გინდა ვინ შეაქცია!
შინაყვასა თუ რამ მიაქვს საქცევი; ნუ დააქცია,
პატრონისა ბძანებაზედ მონანი მალ გაიქცია.
და ხამს იცოდეს ყველა რამე, ვინ არის კარგი კაცია.

50. კულით და ყანწით, სხვებითაც, სასმელს ვინ აწრუწუნებსა,
ვინ კბილებითა ბატონთან თხილს ამსხვრევს, ალაწუნებსა,
მკოდინარესა მეფესა უთუოდ გაამგუნებსა.
და ავსაქციელი მარტვილი მამას მწვე დაჰმუნებსა.

51. ბატონთან და უფროს კაცთან მჯდომი არას გარდევულო,
ზეზე მდგომი ფერხს ნუ იკავ, ნურც ბოძს ხელს ხევე, თუ არ ცუდო,
ნურც იცინი, ნურას უბნობ, არც ვინ ჯოხს ჩამოეყულო.
და თუ ვინ ასრე არა ზრდილობ[ს], მაშ იქნება სვანი ყულო.

52. მეფეს თუ რასმე ზრახვედე, ნუ ათამაშებ ხელ-ფერხსა,
ესეც ავია, ვინც მუდამ ულვაშს იკეთებს, იგრეხსა;
ხელ ქვე-მოქდობით ეუბენ, თაყვანს ეც მერმე ნაფერხსა.
და შენ არ მიწვართნიხარ, ამაყო, ვე ჰგავხარ ჩაუქსა ვეუხსა.

53. ვინ ხელით აზნაურშილობ, გამეცალე, წადი იქით, რად გგონია, უგუნურო, ბრძნის ვისგანმე მაგით იქით? თუ არ დაშლით, მოწვრთნა გიჯობს ჯოხითა და გინდა ბაქით. და მამებლად ვინცა ხუმრობ, მო, დაბძანო, ზეით, აქით.

54. ბატონი თუ ჯდეს მოწყენით, უთქმელად დასულე ზული, ნურც შენ იცინი, მასთანა დუმენი სულდაღებული. კანდიერება თუ გქონდეს, რა ნახო სუფრა დებული, და ეცადე ტკბილის სიტყვითა იხილო გაღიმებული.

55. თუ ვინმე ცხენით ან ქვეით თავისთვინ ლაპარაკობდენ, განახონ და შენკენ წარმოდგენ, შენც მიდი თუ კამათობდენ. რა გაგიდრიკონ, დაეხსენ, სძრახვედენ თუ ვის ამკობდენ, და მათ მართებ გაგირიონცა, თუ გულით არ ამყობდენ.

56. ყმისგან ბატონის სიტყვისა გაგონა, მოხსენებაცა, ძნელია ცოდნა ამისი, ანაზღათ მოგონებაცა. დია სჯობს, უპრიანეა ურჩეხას დამონებაცა, და დასაშლელს ცალკე უშლიდეს, ათაოს მისი ნებაცა.

57. ბატონ-ყმური ლაპარაკი სხვა არის და სხვისა სწვაა, ჩამორთმა და მოხსენება, ზოგჯერ სიტყვის შენახვაა, სწორ უმფროსულ-უმცროსულსა ქართულსაც აქვს, დასახვა; და ვინცა იცის ყველაკი ბევრის საქმის მონახვაა.

58. ოდეს ბატონი ბძანებდეს სიტყვასა რასმე ქართულსა, მოკლეს თუ გრძელსა ამბავსა, ერთმანერთზედან წართულსა, ნუ ლაპარაკობ, დაჩუმდი, ნუ ჰგეგხარ კაცსა ქერთულსა! და მწვედ გაეწყობა მეფენი ზნეკეთილს, ასრე მორთულსა.

59. სიწყნარეს და სიჩქარესა ორსავე აქვს მის-მისი დრო, სიმშვიდეს და სიანზღესა, მდივანბეგო, განა სადრო! ორზედ უნდა მუდამ იყო და იმ ორს კი უფრო ადრო. და სიჩქარე სჯობდეს სიწყნარეს, რუსთველს ეგე ვინ შეჰკადრო?

60. საქციელი და ზრდილობა, იცია, ბევრი სხვაცაა? ნურავის გინდა ავადა გადუჟა, ცხვირის ხოცაა, წინამავალს უკან მიჰყვე, ტალახი არ მოსცხოცაა, და უცხო მდიდარი მის სადგომს მალ-მალე არ ნახოცაა.

61. მეფეს ცხენით სერნობაზედ მარტო იქით ნუ მოუვლი, საითაც რომ კარგი რამ ჩნდეს, და ნურც წინა გარდაუვლი, ნურც ცხენის თავს დაუსწორებ, ნურც სულ სწორად წინათ უვლი, და ჯარისაკენც ნუ მოჰყვები, რასა ქვიან მასთან შულლი!

62. სამსახურიც ბევრგვარია, საცოდნელადაც ძნელია, ბატონს თავს მწვე შეაყვარებს, ვინც მისი მართლა მქნელია, დაუზარლად და თამამად, ფიცხი უნდა, არ ნელია, და მალ ისმენდეს ბძანებასა, დღე იყოს თუ სიბნელია.

63. მღვიძარება და სიფრთხილე, სწრაფად აღდგომა ძილითა, მალე ტანს-ჩაცმა დილაზედ ზორტით ჰქონდეს თუ ღილითა, ადგილზე მოდარბაზობა აამდეს მისის მისვლითა, და წყნარი, მღაბალი, თამამიც შეენოდეს გალიმილითა.

64. ზნეობა საქციელები არ ბნელობს, არის ნათელი, კამკამებს დაუფარავად, ვითა წყვილიადში სანთელი, ეს უნდა კაცმან იცოდეს, მის-მის დროს რა[ა] საქნელი. და ნურას მიზეზობთ, ისწავლეთ, ეს არის თქვენი მსწავლელი.

65. ვინ ამასა იქმს, მასცა იქს, რაც რომ არ დამიწერია, ბევრის რამ ზნეობებისა კარგი რამ ანაწერია, ზოგი რამ იცის წუმამა, მთავრობდა და აწ ერია, და მაშინც ეშმაკი ებძოდა, მორია, დააწვერია.

66. ამაღ ვთქვი ასრე გვიანად კარგები, ძნელად საცოდნი, ძვირად მინახავს ამათი სრულად და კარგად ნაცოდნი, ამათს მოქედსა მოყმესა სიავის არა საცოდნი, და სხვა რომ ერთპირად შეჰქარო, იქმნება ყველა საცოდნი.

67. მსწავლელი მოსწავლეებსა სასწავლოს არ გაუძნელებს, მცირედ-მცირედის სწავლებით ძნელს საცოდნს გაუადვილებს, ცოტა რომ კარგად ისწავლოს, გაუშვებს, მალ ასადილებს; და უწინ პატ-პაუა სწავლებით ამ დიდრონს დააქადილებს.

68. რა სჯობს დაუკლის ლოცვასა, უამთა ზეპირად ცოდნასა, საეროს გარდა დაფარვით არ აღვიძებდეს მონასა, ჩურჩნით ბავეს ქვეშ, იღუმალ არვისა გასაგონასა და ამის უკეთესს ვინ რას იქმს, ვის გინდა მოსაწონასა?

69. პურადობა და გაცემა, მამაცობა სხვას ყველას სჯობს, შეხვეწილზედა ნამუსი, ვინ თავმდაბლა მოაჯგობს, სახელს ეძებს უზაკველად, ფიცს არა სტებს, გამმარჯვეობს, და ამის მცოდნეს ესეცა სჭირს, სამღვთოზედანც განამარჯვობს.

70. სარდლობა, ზავთი სარჯლისა, დღე და ღამ დაუზარობა, უწინ სიფრთხილე, გასინჯვა, სიტყვისა მწვე მიხვედარობა. საქმე საქმეზედ რა მიდგეს, კატათ სჩნდეს უზამბარობა, და შემართვა მებრძოლთ თამამად, წინ წადგომისა დასწრობა.

71. რაზმის გაწყობა კარგვარად, აგრევე ნადირობისა, სადავე პირ ჩვილს სხვა უნდა და სხვაა გაშხირობისა, მოხშიროს ტყისა ეწრისა და კიდევ მინდორობისა, და ყოველთა უკეთესია, ვახ, ცოდნა ერთპირობისა.

72. ყოვლი ცოდნა ზნეობაა, საბაითიე რადგან ზნეობს, ისლარბეჩ მთვარეს კოჩები, ვინ ოხიჭურ ვარადაობს, ხელ-ბუჩხობა, კულის გათლა, ვინ შალაფს ხვარობს, ხარატობს. და ისა კარგი ზნეობაა, ვინც გულით არვის ბოროტობს.

73. სიბრძნეს ვერ სწორავს ვერა რა, არც ისე მოსახმარია. მცის ნაყოფი ბევრია, ძირი აქვს არ გამხმარია, სად წახვალთ, თან გამოგყვებათ, საგზლათაც მგონ სახმარია, და სხვა დაგრჩება და ის არა, გვერთ გახლავს, ცათ კამარითჯე

74. უცოდნი კაცი სადა გინდ უხამსხედ გამამაცდება, როს მართებს, ველარ ივარგებს, საქმესაც ბევრსა დასცდება, მუდამ ღინცილობს, მრავალჯერ ცუდმუდი სიტყვა წასცდება, და ცოტახანს თუცა რამ იყოს, სიბრიყვით მალე წახდება.

75. სიბრძნე სჯობს, თორემ უთუოდ ზნეობა ყველა კაია, მოზღაპრეობაც ივარგებს, საძილოდ არაკაია, მინდოდა სხვებიც რამ მეთქვა, მითხრეს: ევ კმარა, კაია, და თუ გინდა ცოდნა ვინცა თქვა, დამშლეღი მამუკაია.

76. სხვა ზნე ყველა მობრყვილდება სენითა თუ დაშავებით, მარტო დაფრჩი უსაკურგლო, სულ შიშველი ვის შევებით? ეს დარჩების სიკვდილამდინ არც სულ დაუნაშავებით, და ვინც იცით და ვინც არ ვიცით, ცოდვას მაშინც არ ვეშვებით.

77. პურადი ხარ, შენ სხვასა სთხოვ, აბა რალას იპურადებ? ქვეითი ხარ, ცხენი არ გყავს, რით ივადრებ ან ირადებ? დაბერდი და თვალს დაგაკლდა, მშვილდისარსა რად არ დასდებ? და სიბრძნე არის სამუდამო, სიკვდილამდინ ვერ გაავდებ.

78. ცხენი არა გყავს, ვერა იქ რაც სხვაა ცხენთა ზნეობა, ძალი გაქვს, მრკენალს ვერ შოებ, თუცა კარგია მხნეობა. ეს უჩუბება, ვინ იცის მღეთის ხეწნა, მოქენობა, და სიბრძნით მის ალავს რაც ჰხამდეს, მის საქმის მომგონეობა.

79. სიბრძნისაც ეგებ ვინმე თქვას: მსმენი არა მყავს, რა ვქმნაო, მაშინ სჯობს, თუ სულ მარტო ხარ, დაამოს შენი სულთქმნაო, მას შეგავედროს შესაწყლად, ვინ ზღვა და ხმელი შექმნაო, და ამპარტაფანის ვაჟისა იცის რამ კარგად მოქნაო.

80. სამლოთო საქმის უმეტარი ბევრს ავს საქმეს წაადგება, ეშმაკს ვერას ვერ შეუტყობს, რა საცთომლად შეადგება, მერმე მძაღლად საპასუხოდ კარს მღვთის რისხვა მიადგება, და შერცხვება და წაცაწყმდება, ველოროდეს აუღდება.

81. ეშმაკს მარტო წასაწყმედათ არ უნდივართ, რად არ იცით? აქაც უნდა შეგვარცხვინოს ავის კმნით და ცრუის ფიცით, მისის რჩევის ამყოლემან კარგი ვერა ვერ მოვიციტო, და თუ ვტყუოდე, გამამტყუნეთ, ჩემს წინ თავი გარდაიციო.

82. ვერ ხედავთ, მარტო ჩვენს ქამში, რამდენი ავი რამ იქმნა? რა ცრუ-ფიცობა, რა ზაკვა, უნაშუსობა, რა ლიქნა? მღვთის შიშის გულით განვარდნა, ვისგან სულ არსი შეიქმნა, და ვეშვ, აღსასრულიც მოვიდა, ავისაც ბოლო დაიქნა.

83. სიბრძნე ის უფრო მტკიცეა, ვის ოსტატი ჰყავს, ასწავლის, სამების მცოდინარისა, არ ახუნების არდაელის, გულს დაუდებს და ისწავლის, ბიჭურად კარზედ არ დავლის, და წარმართებრ წმასნას არ ჯერა მობედეთა და არ დავლის.

84. თუ ოსტატი ვერ იზოოს, ხელთა იგდოს სამლოთო წიგნი, უნდა ბევერჯელ წაიკითხოს, შეუიღეს შიგან შიგნი, ღირლოვანი, ღრმად მტყუველი ეცადო, რომ სულ შეიგნი, და მაშინ სიბრძნის გზა და კვალი უსათუოდ მალ გაიგნი.

85. მე ნუ გგონიათ სრულ ბრძენთან თავს ვდებდე, ანუ თუ ვიყო, არვინ მყოლია მსწავლელი, მეთქვას სხვაც, ვიწვრთნა თუ ვიყო, რაც ვიცი, სამლოთოს წიგნთაგან მაქვს, სხვათ არვისგან გავიყო, და სადამ ცოცხალ ვარ, ვსწავლულობ, ეს მცნება არ დავივიწყო.

86. წმინდათა ბრძენთა წერილი არის ნათლისა ებგური, სრულ ნათალ თვალთა ნაგები, არ ურევია აგური, იქით გიზახის, მიგიწოდს: „ჰე, ძმაო, თქვენი სადგური, და სასუფეველი ზეცათა, ნუ გსურთ სრულ სტვირი, ჩოგური“.

87. ეს ზნე სკირს მათსა წერილსა, ვინ ეცდება და ისწავლის, მათი ნათქვამი დარჩება და სხვათა ცუდი ის წავლის, მას ყურს ნუ უგდებთ ლიქნასა, ვინ სხვაცა ზაკვა წაავლის, და სხვის, ამ სოფლისა რიტორთა, მგზავსია მტერისა, ის წავლის.

88. ყველას რამ ზოგი სრულად იქს და სიბრძნეს ვერავინაო, ყველათ რითმ კაცი დაშვრება, იმით კი არავინაო; ვის აქვს სადგურად მთაწმიდა, ეგრეთცა მთავე სინაო, და ვერცა იქ მყოფნი სრულ მისწვთენ, ვერც ბრძენი დეო-ჯინაო.

89. სხეას გარდა ეს ვთქვა, რაზედაც კაცსა გულს განუხურებსა, ღმერთს დაამონებს, პატრონსა ერთგულად ამსახურებსა, სიმართლესა სწვრთნის ყოველთა, სიცრუეს ვინ უყურებსა, და შფოთსა დაუშლას, დაათმობს ავპირად ვინ უხუმრებსა.

90. საფუძვლად ღვთის შიშს დაუდებს, ზედ სიყვარულსა აუგებს, ღმერთსა ცხოველსა დაამონს, სხეას კერპსა არვის არ უგებს, გზას აპოვნიებს შეცთომილს, სიბნელეს ნათლად გაუგებს, და კარგ საქციელად ამყოფებს, დააშლევინებს ზუგებს.

91. უღებსა ლოცვად აღადგენს, მკონარსა გაამოღვაწებს, ღვთის სათნოების ისარზედ ფრთედ მაგრა სწორად დააწებს, ვის ქირი იპყრობს, ტკბილადრე მოსასვენებლად დაარწებს, და ვინ დაუჯერებს, ამას ჰყოფს, თორემ დააყრის მას ბრაწებს.

92. ცოდვილს მოაქცევს მართალს გზას, ცდომილსა მის განდგომილით, კაცს განსაცდელსა მადლობით მიათვლევინებს ღუმილით, მას დაანახვებს, ვინ არის ვერვისგან ვერ მიწდომილით. და პეშვით არ კმარა სასმელად, ვის გწყურის, მიღით, სუ მიღით.

93. ჯაბანს გაანხნობს, ხდალს კაცსა მგონივარ გაამამაცებს, ანჩხლს დაატკობს და განსწავლის სულელსა კაცსა და უცებს, ბრძენს კიდევ სიბრძნეს შესძინებს, ბევრს შეუმატებს ბრიყვს ხუცებს, და მოწყენილს დიად უკუჰყრის, სამუდმოდ არ გააბუტებს.

94. აშხანაგის სიყვარული კარგია დე მოუმატებს, დაამშვიდებს, დაამდაბლებს, აღარავის აამაყებს, სიტყვა მცდარსა დაადუმებს, ვინ ეწყობა სიტყვა როყებს? და იმას დია მოუხდება, ჭმაწვილობით ვინ იბრიყვებს.

95. ვინ ძნელ საქმეს დაბზულიყო, უადვილებს გასაჭირსა, ცოდვის თოკით მაგრა შეკრულს მოცაუშვებს მოსაჭირსა, სევდა-ნალღელს განუქარებებს, უმსუბუქებს სენს და ჭირსა, და ამას გარდა სხვა მრავალი კიდევ ბევრი კაი სჭირსა.

96. აწ სიბრძნეს უნდა ღვთის შიშის შემსკვალვა, მაგრა ქონება, ვინ უამისოდ აჰყვება, ეშმაკისაა მონება, ქრისტე მოირთე მის მცველად, მას დაამონე გონება, და თორ უამისოდ ცუდია, იქნება მართ მამონება.

97. ნუ გეშინიათ, არ გიშლით, სოფელი ნურვის გინდაო, ცოლი და შვილი, მამული, ძმა, სახლისკაცი გინ დაო, აბრამსაც ყონდა და ჰქონდა, ღვთის სიტყვას მოისმენდაო, და თორემ უმისოს საქმესა რასაც იქ დაინანდაო?

98. რასაც შვრებოდეთ სიზარტლით, ღვთის სადიდებლად იქმოდით, სად კაი საქმე ისმოდეს, ცუდი გაუშვიო, იქ მოდით, რა შეიმატოთ, რა ირგოთ, სულ ხმით ყვირილით იქმოდით? და თვარა ყოველმან სიცრუე იზღვიოთ, მწარის იქ მოდით.

99. არ ვიცით მოაქვს წამს რა და ან თვალის დახამხამებას, დილა, სადილობ, შუადღე, სამხარს, და ან დაღამებას, აქა-იქით სამ სიარულს, სასჯელსა, კვლავ დახამებას, და მწუხარებას და გლოვასა, უმჯობეს მას გახარებას.

100. ამაღ დავშურდი სიბრძნესა, მისი ვარ ესრეთ მკობარი, არ დამრჩეს თუ რამ ვიცოდე სხვისაგან შეუტყობარი, სხვათაც მოუწოდ სასწავლოდ, ვარ მათი მალლად მხმობარი, და ვერავინ მოვრჩეთ სოფელსა ცრუს ლახვარ-დაუსობარი.

101. საქართველოში იტყვიან სამასსამოცდახუთსაო ზნეობას, სხვას არ აგდებენ ქვეყნისას თუ არ მათსაო, აქაური რამ ყველანი ვთქვი, ვერვინ დამიხუთსაო, და ეს დაუცს, მაგრამ მე ვგონებ უფრო ბევრს ხუთათასაო.

102. თუ კაცის ფიქრი საერთოთ ერთ რასმე შემოკრებებისა, ქვეყანა გაიზონება გარ ზღვაში ქალაქებისა, ან დავლა ვისმე ძალუძეს მთების და სულ ვაკებისა, და მაშინ შეიძლოს ამას გარდ სულ მოთვლა ზნეობებისა.

103. ბევრი კაცი იმიზეზებს: არა მყონდა მომვლელო, ზნეობა რამ დამესწავლა ხარისხ-ხარისხ ამვლელო, ახლა რაღა პასუხი გაქვსთ, აი თქვენი მსწავლელო! და ვინ არ იწვრთნა, მალმც მოჰკვდები, ნუხარ ხანის წამვლელო.

გვაშისა რვათა ასოთა

1. კიდევ ესეც ვთქვა თვალსა და ცხვირსა და ორსავე ყურებსა, ენა, პირს, ხელსა და ფერხსა—რა ზნე სჭირს, რას უყურებსა, გული—ხელმწიფე გვაშისა, ვის როგორ იმსახურებსა. და მოკლედ ვთქვა, არ გავაგძელო, ვაამო ნაბახურებსა.

2. თვალი რა ნახავს საყვარელს, მოხედვას აღარ ინებსა, მის გამო წყალსა მოიციმს, სიხარულს მოიგუნებსა; ცხვირსა მისი ფშვა სწადიან, იყნოსებს, ზას უსუნებსა, და თუ წამს მოსცილდეს, მრჩობლთავე ხშირ-ხშირად არუდუნებსა.

3. თვალს ესე სჭარს ზნედა, მაგრამ აწ ჩვენ საქმე გაუსინჯოთ, ცუდსა რასმე შევხედვარობს, ტრფიალია თუ უსინჯოთ; შევიტყოთ და მას ნუ ვეტყვით, დავიდუმოთ, დავიმუნჯოთ, და ამაღ რომე არ დაიჯერს, რაზომ სიტყვით გაუგონჯოთ.

4. ყური კარია სიტყვისა შესვლისა, განსვენებისა, ზოგი სიბრძნისად ღიაა, ცუდზედან არ იხსნებისა, მეორე კარზედ დახშულა და ავზედ მალ იხსნებისა. და სადაც ამბობენ სიცრუევს, მას მისდევს, არ ეხსნებისა.
5. რა ქნას სიტყვამ მჭევრმან, სრულმან, თუ კარი შინ არ შეუშვებს, გარ დარჩება, შესცივდება, ათროლოდება, წუხს და უშვებს; ძალუძს მისი შესაფერიც, მისებრ ნამუსს თუ გაუშვებს, და მაგრამ როგორ შევადარო, ვინ კარგს ისმენს, ავს გარდუშვებს?
6. მაშ, უნდა სიტყვა უპოვნო მათ-მათი შესაგვანეო, ბრძენს საბრძნო, უცებს საუცბო, მის-მის დროს მოუპოვნეო; სრულს სრული საზრდო და ჩჩვილთა ვითა სძე მოაწოვნეო. და ვინც დაგიწუნოს ეს სიტყვა, შენ პავლე მოაგონეო.
7. ერთი ბრძენი ასრეც იტყვის მრჩობლს ყურსა და ერთს ენასა, ეს შეიქნა სამი კარი, ნუ მომიწყენ მოსმენასა; ორით ბევრი გაიგონო და არ აჰყვე შესმენასა, და ენას ცოტა ათქმევიწიო, მოუხდენდე წარდენასა.
8. ენაა კარგი წამალი ბრძნისა მის ზელოვანისა, მის ალაგს კაცმან იცოდეს, უთხრას მგზავს-შესაგვანისა, სხვა ბერის, სხვა კაბუკისა, ვით ყმაწვილს სააკვანისა. და ვერ გააგონო ყოველთა ერთი ეხი ბრძევი სვანისა.
9. ყოველს სენს ერთი წამალი ვერ ჰკურნებს; ვერ უშველისა, ამას შაქარი ულხენს და, ჰე, იმას შხამი გველისა, სხვასა ჰაერის სინამელე და სხვასა მწვე სისველისა, და ბერთ იაგუნდის მაჯუნი, კაბუკთ კაქაქი ველისა.
10. ენას არ უხამს სიმწარე ბუნებით ჰქონდეს შერთულად, ბევრი სხვაც უნდა იცოდეს, სრულ არ უბნობდეს ქართულად; თუ სხვისად გვიხმდეს სარგებლად სიმქისეზედან დართულად, და მსწრაფლ უნდა მოუშოვოთცა, ასრე სჯობს, იყოს მორთულად.
11. ბრძენმან ენამ მაშინ რა ქნას, კაცი შეხვდეს რა ასეთი, ტკბილი უთხარ შაქრის უფრო, მერმე ლახვრებ მოსაკვეთი, ვერც ერთი ვერ შეაგონო, ვერც სთქვა თუ, ეს შევიკვეთი? და იმას რალა გაეწყობა, საზღოთ თუა ანაკვეთი?
12. პირია გემოს შემტყობი სანოვაგისა კაისა, ტკბილისა, მწარის, მჟავისა, ცხარისა, ღია მწვავესა; ვის რა ნებს, იმას მიიღებს და არვინ შეაგინისა. და ნუ დაუწუნებთ, ნუ ეტყვიოთ: ეგ ავია და კა ისა.

13. ფერხნი არ ვარგა ასეთი, სადა გინდ წაეკვეთოდეს,
ასეთს რაზედმე წავიდეს, იმ საქმით მოეკვეთოდეს;
ან სად გინდ ჩაჰკრას აეს ალაგს, მერმე აფუი, მეა ფინთობდეს.
და სწორად ხამს მიაბიჯებდეს, მრუდად სავალზედ უთრთოდეს.
14. ფერხთა დიდება ეს არი, ფიცხობდეს, მერმე მალობდეს,
მალ მიაშუროს კარგს საქმეს და აესა დაემალოდეს,
ღვთის სამსახურზედ მტკიცედ დგეს, მოშიშრად მოეკრძალოდეს,
და არ იწიხლოდეს ჯორულად, უბრალოდ არ ეძალოდეს.
15. ხელს ძალუც ბევრა სიყთე ზნეობისა თუ საქმისა,
ხელოვნებისა კაისა, კალმითა ტკბილადა თქმისა,
მშრომელი მოღვაწებისა, ზეცად ამჟრობი აღთქმისა,
და დაფარვით ქველი საქმისა, მიმკემი ცოდვის დანთქმისა.
16. ის ხელი სანატრელია, ვინ სხვის მოცემას კრძალობდეს,
თვით მიცემასა მრავალთას ისწრაფდეს, მაზედ მალობდეს,
კეთილს გონებას ამონოს, ფსალმუნებდეს თუ გალობდეს,
და ღმერთს აღუპყრობდეს დღე და ღამ, სიმართლით ცოდვას სწამლობდეს.
17. გულია მეფე მთავარბ გვაშისა ყოვლთა ასოთა,
უმისოდ ყველა ცუდია მრავალ ნაწერად ასოთა;
ვის რა აამოთ, თუ არ მას, რაზომც რამ ტკბილ[ი] ასოთა?
და ის უნდა ღმერთსა მიუპყრათ, შემკველოთ, მაგრა ასოთა.
18. დაღაცა თუ გულსა ასო დააკლდება ყველა რამე,
ხელსა ფერხად ვერ მოიხმარს, უთვალ-ყუროდ მას რა ამე?
თუცა რამე მოიგვაროს უამათოთ, უ არამე!
და ვეჰვ ასრეა, დაიჯეროთ, მოგახსენო ყველა რამე.
19. ყოველი ასო გჴლისა მსახურია და მონა და,
გარე მოიხსნა საშრომლად, ამუშავებს და მონადა.
რა ის არ მიჰყვეს სიმართლით, ღმერთს ვინ რა მოაწონა და?
და ვინ შექმნა პირველ სიბრძნითა, მან ასრე მოიგონა და.
20. თუ თვალი ხატსა შემსქვალოს და ფერხი უდგეს სულ ზეზე,
ენა არ დაშვრეს ლოცვითა, სხვა რამე არ იმიზეზე;
ხელი სამუდმოდ განიპყრა არ ხანდახანა, სულ ზეზე,
და უმისოდ ყველა ცუდია, კოთ-მუთი ვერ გაიზებე.

გაზაანსეგა კანცინსა ღა სოფლისა

გაბაასება კაციისა და სოფლისა

ეს ერთი პირველი ლექსი დავით მამუკაშვილის ჯაფარიძეს ეთქვა სოფელზედ ამთარხანს. ამას ქვეითი სოფლისა და კაციის გაბაასება ამ ერთმან ლექსმან მოახდინა. ასრე არის ყოვლისფერის, კარგისა თუ ავის, საქმისა ორისავე მიხეზი: პირველ ასრე ცოტათ იწყების და შემდგომად ასრე განჰრავლედბის!

თქვეს, ჩარხი სოფლის სიმუხთლის სამუდმოდ არის მბრუნავი, ლხინს მოგვეცემს, ჳირი გვერთს ახლავს, ხან შეება, ხან საქჰუნავი, ნურჳინ სდევ, ვერჳინ მისწოდები, ცხენი გყავს, ანუ თუ ნავი, და თქმულა, რომ: არჳინ დარჩება ბოლოჳდინ მოუჰდურავი.

აქა იწყების შესავალი

1. დავით, უქრახეს სოფელსა, სხვათ ბრძენთა შენც აგიტანეს, მე არ ვემდურვი, მაგრამე მგონია მეც დამიტანეს; ვის ავი უყო, ან კარგი არცერთმან არ გაიტანეს, და ამად ჰკიცხვენ და ჰბასრობენ, სად უნდათ ვერ მიიტანეს.
2. სოფელს ჰმდურავ სიმუხთლესა, როს არ მოგყვეს, ჰკიცხავ, ჳრახავ, თუ გაამებს, გაუცინებ, გაწყენინოს—სულთქვამ, ახავ, მისებრ შენც თუ არ მუხთალხარ, მაშ ნუ გინდა, ნულარ ნახავ! და თორე სტყუით ორნივ სწორად, მსგავსი მსგავსსა განიზრახავ.
3. სოფელს კაცი, კაცს სოფელი მუდამ ჳრახვენ სიმუხთლესა, ერთად ჳაკვენ, თუ შენც იტყვი, არ ამბობენ სიტყვას მრთელსა; ორივ სწორად მოინდოჳებს ხან ბნელსა და ხან ნათელსა, და აწ მე ვიტყვი მათ საქმესა, თქვენ შეიტყობთ უმართლესა.
4. მათი საქმე მათ იუბნან, ნუ უდგავართ ჩვენი ნურცერთსა, სოფელმან და კაცმან სიტყუა თვით მიუკონ ერთმანერთსა; გაუსინჯოთ, რას იტყვიან ერთი-ერთხედ, თუ რა ერთსა, და მერჳე გავბჳოთ სამართლითა, მადლი მივცეთ უფალს, ლმერთსა.

აქათგან იწყების ბაასი სოფლისა და კაცისა

5. სიტყვა პირველი კაცისა: სოფლის სიმუხთლე, ტრელობა, ვაი სოფლისა დაწყებით, ბოლომდის მრუდად მელელობა! არას ბრძნისაგან იცნობა მისი ეზომი კრელობა, და რა მწვევ სიცრუის აფრაა, სიმუხთლის პელეგონობა!

პასუხი სოფლისა

6. პასუხი სოფლის: კაცო, შენ ღეთის მსგავსად რადმე შექმნილო, ჩემად და ჩემთ ნივთთა ზე[და] უფლად და მთავრად განზრდილო, ვა, შენ რომ მცნებას გარდაჰხე, ბოლო კარგა-ხან დაქნილო, და განშიშვლდი დიდებისაგან, უგუნურ პირუტყვად ქმნილო.

სიტყვა ადამისა ბ

7. აჰა, მაცთურო, როჰელმან აღმოსთქვი პირით თვისითა შენი მტერობა, სიმუხთლე, ღამითა ჰქმენ, ოჲ დღისითა; ნაყოფმან შენმან არ მომწყლა, არ ვიცი, მოგაქეს ვისითა! და ხილვამ სულ მომკლა, წარმწყმიდა, თქვი თუ სხვიო იქმნა ვისითა?!

პასუხი სოფლისა

8. ადამ, ამაოდ შეტყველო და უგუნურად მზრახველო, უბრალოს რად მყოფ ბრალეულს, შენისას სხვისა მძრახველო? სატანა არ ვარ არც გველი, არც ევას ცოტას მნახველო, და ღვთისგან შევიქმენ საშენოდ, შენ თავს რად ვერ ამიხველო?

სიტყვა ადამისი ბ

9. ეჰა, სოფელო, მწარისა ტკბილადრე-გამომეტყველო, წარსაწყმედელის საქმისა საამოდ მაჩვენებელო, მტერს თუ მტერობა უნდოდა, რად ჩაჰყევ, სულ საგმობელო? და მაგრამ შენ გპოვა მიზეზი სრულ ჩემო მაგლოვებელო.

10. დალაკათუ მტერმან ჩემჰან შეიშურვა ეს დიდება, მაშინც შენის ნაყოფითა მოჰბდა ჩემი შეჩვენება. რად არ უთხარ, ეგ მოკვდება და მეც წყევა დამედება? და თავს ნუ მართლობ, ვერ იმართლებ, სტყუი, სიტყვა წაგიხდება!

პასუხი სოფლისა

11. ადამ, უფლად, საპატრონოდ შექმნილი ხარ ღვთისგან ჩემდა, უსამართლოს ნურას ბძანებ, სტყუი, მართალს რად იჩემ, და? არ ნაყოფმან ჩემმან მოგკლა, დაიჯერე, შენმა მზემ, და, და არცერთისა ხილის ჰამამ, მაგ მიზეზს ნუ აიჩემ და.

12. რითაც მოჰყვდი, მე გაიმბობ მოკლის სიტყვით პირველ ნელად, ღეთის ბძანების არ საქნელის საქმის იქმენ რასთვინ მქნელად? მცნების მისის გარდახლოჰა რად არ ჰგონე დიდად ძნელად? და აწ ეს მითქვამს, კლავცა მნახე უფრო წვრილად აღმომთქმელად.

ს ი ტ ყ ვ ა ა დ ა მ ი ს ი ლ

13. სოფელო, ტკბილად მეტყველო, სიმწარის მომატყვებელო, საღ ჰქონდა გველსა ადგილი უშენოდ, დასავებელო! თუმცა ვეკთუნე, შენით არ, სიკეთის გამავებელო? და შენით მომკლა და განმგესლა, ნათლისა დამბნელებელო!

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა

14. აღამ, საქქეს მე ნუ მადებ და ნურცარას ჩეჰს ნაყოფსა, შენის ნებით ქმნილს საქმესა მწამობ რა, ვით განაყოფსა, ვინ აბრალებდეს სხვას თვისსა ნაქნარსა, ავადა ჰყოფსა, და ევას რჩევით დაცაჰკარგავ ეღემსა და კარგს სამყოფსა.

ს ი ტ ყ ვ ა ა დ ა მ ი ს ა მ

15. რა შიზეზია, სოფელო, მაშა ჩემისა 'ცთომისა? კურთხევისა წილ წყევისა, სირცხვილისა და კდემისა? დიდებისაგან სიშიშვლე, ვა შენის ნდომით ხდომისა, და რით შემეცვალა ცხოვრება, ვაგლახ, შენ მე მოკდომისა!

16. პატივითა უპატიოდ აბა გაეხდი, მითხარ, რისგან? ედემს ვიჯე მოსვენებით, აწ განეარდი დიდებისგან. შრომით უნდა ვიმუშაყო, თორ რით დაერჩე, მაშა, რისგან? და შენითა მკირს ესეები, უაუგოვ, სხვათ არვისგან.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა

17. გაუწყო აღამ შართალი, დაისაჯე თუ რა საქმით, ამ მიზეზით გამოეარდი სამოთხით და აბა [ა]პით, მტერს უსმინე მოშურნესა, შენს შენოქმედს მით რა ამით? და მე იმათში არ ვრევივარ, შენ რომე სცთი საქმით სამით.

ს ი ტ ყ ვ ა ა დ ა მ ი ს ა მ

18. მაუწყე მტერო ბოროტო და ჩემო მაყვედრებელო, სამოთხით გამოძებელო, კარის-კარ მაკარებელო; გესლის უმწარე ნაყოფო, მომწყველეო საარებელო, და რაზომცა სტყუი, გისმინო, ცრუე სიტყვის მაგეშებელო!

პასუხი სოფლისა

19. იხილე ადამ, თუ ღმერთმან წყალობა გიყო რაზომი,
ვითარ პატივ-გცა, აწ მაშინც აბა ეცადე, გაზომი!
რა შეგიმზადა, არ იცი, არც დაედება საზომი,
და საშვებლად მოგცა ედემი, რა სასურველი, სანდომი!
20. ოდეს ღმერთმან ერთმან, წმინდამ, გ[ე]ამოვნებით სამებულმან,
პირებითა განუოფილთა, ნებით სწორად დადებულმან,
მამამ, ძემ და სულმან წმინდამ სამთავ ერთად დიდებულმან,
და არასაგან არსი შექმნეს, ურთი-ერთზედ კიდებულმან.
21. ცა, ქვეყანა დაგვამყარა, სხვის ყოვლისგან შეუძლებად,
განაშორა ბნელს ნათელი საშრომლად და მოსვენებად.
განყო წყალი, ხე სამყარო, სხვა ქვეშ შეკრბეს, იქმნეს ზღვებად,
და აწ ქვეყანა განაშვენა, ხე, ყვავილთა, მდელი-ცსებად.
22. შემდგომ შეამკო ცა მზითა, მთვარიითა, ვარსკვლავებითა,
აწყა თევზნი და მფრინველნი, ვეშაპი სხვას მხეცებითა,
ყოვლი ცხოველი მოძრავი, პირუტყვი კარგ-ავეებითა,
და სრულქმნა ცანი და ქვეყანა, შენთვინ მით იყო შევებითა.
23. აჰა, ადამ, აქ იხილე შენზედ მისი მოწყალება,
არ დაგბადა ბნელსა შინა, ცეცხლის გინდეს რამ ალება.
არც შეუშკობს ცასა ქვეშე, ან მე მაკლს რა ნივთთა ხლება?
და მაგრამ საქვე ასეთი ჰქმენ, მოგვიანოდ გეშველება.
24. ცა ყოვლითა სამკაულით განჯიშვენა და დაგირთო,
კვლავ ქვეყანა ყოვლის ნივთით მით აგივსო, შენ მიირთო.
აწ შენ შეგქმნა საპატრონოდ, ბრალი არის რომ წაირთო,
და ამ დიდების მომზირალმან ჰბამს, სიცრუე არ შეირთო.
25. სამოთხე დასხა ედემსა კაცთა ენათა უთქმელი,
ეგზომ ტურფა და სანდომი, ვერცალა მე ვარ სრულ მთქმელი,
მუნ გაფუფუნა შევებითა, არ იყო ურვით სულმთქმელი,
და თუ მორჩ[ი]ლ იყო ივისი, ვინ იყო შენი დამნთქმელი?
26. ხატებითა გცა პატივი, სული შთაგბერა ცხოველი,
უფალ თევზთა და ფრინველთა, მხეტთა და რაც არს ცხოველი;
შიში და ზარი დაადუა და დაგამონა ყოველი,
და რად აღირჩიე ამის წილ, ვაგლახ მე, შენ სამოელი?
27. ცად დაგისხა მხე და მთვარე, იგ გამცნობენ ჯამთ ვსებასა,
დღეს და ღამეს, კვირას და თვეს, წელიწადის მომრგვლებასა,
ცანი ცვარსა, მე ნაყოფსა, უფსკრული წყალს ჩემს შევბასა,
და დაგვკარგე, თორ არ ვღირსვიყავთ შენს პატრონ-ყმობა, ხლებასა..

28. ესეოდენსა პატივსა ღირსგყო და არ შეირაცხე
ერთის ხილისა არ ჭამა, რად არ ისმინე, გაჰკიცხე?
გაგემარჯვება—გვიჩვენე—თუ გეჯობდა ყველას ერთიც ხე,
და ამისი მგზავსი სიცრუე, არ ვიცი, ვისით მოიცხე.

ს ი ტ ყ ვ ა ა დ ა მ ი ს ი ჯ

29. მუხთალო, ცრუო, მტყუანო, ერთს წამსაც დაუდგრომელო,
დაუნდობარო, მძრახველო, სრულ იქი-აქა მძრომელო,
ბრძენთ საძულარო, ყოველთა უცებთა მწვეგ სანდომელო!
და რას მყვედრი, რასთვის არ იტყვი, ვინ დააშავე, რომელო?!

30. არ სატანამ, მოიბირა უღურსუძო შავი გველი,
დედაკაცი მოაცთუნვა,—ვის მტერობას არ მოველი,—
რას ხილითა, არც ის ვიცი, მშრალი იყო თუ სოველი,
და წყეულმცა ხარ, მათიანად შენგან იქმნა სულ ყოველი!

31. თუ მცოდნოდა ეშმაკისა მტერობა და ჩემზედ შური,
ან შენისა სიმუხთლისთვინ მოცამეკრა სადმე ყური,
უთუოდ არ დამცდარვიყავ, გაცამეგდე შენ, აღმური.
და ვინ მომეცა შემწედ ჩემდა, მომცა, ვჭამე, დავეშური.

32. თუ არ გინდოდა შენ ჩემი მტერობა, ეშმაკთ მოყვსობა,
რად მიეც შენი ნაყოფი, რომელი გულსა მესობა?
მაგრამ ის ჩემსა არჩიე, რა ნახე უკეთესობა,
და მე არ მინდომე მართალი, მაცთური მაცთურს ეწყობა.

•-

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა

33. ადამ, ადამ, ევ ვითა სთქვი, თუ ევ საქმე არ იცოდი?
გონიერად, პირმეტყველად შექმნილი ხარ და იცოდი,
ხატმან ღვთისამ, ავადა ჰქმენ, სატანასი დაიც ოდი,
და მას ურჩ ექმენ, ვინ პატივ-გცა, მაშლა ვისგან დაიცოდი?

34. რადგან ეგზომი პატივი სამოელ ნახა შენია,
განალამც შეშურდებოდა, ეს ადვილ მოსასმენია.
მტრის საყვარელი ყოველს მტერს ცდილა და მოუტდენია,
და რა გაუყრია, ოდითგან შენებრივ ცრემლი სდენია.

35. დედაკაცს რადლა მიზეზობ, მე გეტყვი, მოგცა ამადა
ის შემწედ შენდა, შენ მაზედ გაუფლა, გაგათავადა.
რად დამორჩილდი ავ საქმეს, იცოდი რომ ჰქმენ ავადა?
და თავისი ლიქნა სატანამ მაგით მალ გაათავა და.

36. მე შენთვის შეშქნა, გიბძანა ერთისგან კიდევ ყოვლისა, ვინ წამსა შინა თვალისა იცის სრულ არსთა მოვლისა, არ შურებისა ხპარება, მორჩილებისა ცხოვლისა; და სტყუი, ნუ მართლობ, არ იქნა უძვირეს მის პირველისა.

ს ი ტ ყ ვ ა ა დ ა მ ი ს ა ე

37. საწუთროვო, როს ვიცოდი მე მტერობა ეშმაკისა, ზაკვით გველის მობირება სატანასგან, მის შავისა? არა ვიცი აღმარა-დაღმართ კვლავ აღგილი სივაცისა, და შენ იცნობდი სამთავ კარგად, ისიც შენით ზომიმკისა.

38. დედათა მალ ცთომილება შენვე იცი წამი ერთო, ხან სიმდიდრის მომცემელო, მალე კიდევ წამი ერთო. მე არ გინდი, სამოელ გთნავს, მეც დაგკარგე, წა მიერთო! და დამეშტერე ასეთ გვარად, ველარათი წამიერთო.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა

39. ადამ, რად გინდა მაგდენის ტყუილის სიტყვის მგებლობა, შენ მეცნიერად შექმნილო, უმეცრებისა მჩემლობა? სრულ სიკეთითა აღგაგო, არ მოგცა ავის მცნობლობა, და თავის თავისა უფალმან ბოროტს რად უწყე მფლობლობა?!

40. ავს ამისთვინ ვერ იცნობდი, რომე შენში არ ერია, რასთვის შესციდი, მცნებას დასციდი, არ გმართებდა შეგერია! ჩემს ნაყოფს რით დააბრალე, ძალად როდის მოგერია? და შენის ნებით თუ არ გექმნა, უგფლებოდა ვერც მტერია.

ს ი ტ ყ ვ ა ა დ ა მ ი ს ი თ

41. მაშ, თუ სრული დავიბადე და სიცრუე არ გამომყვა, ეგზომ დიდი და უმსგავსო ავი შენზედ, თქვი, რით მომყვა? თუ ბუნებით არა მქონდა, რახან აღვდეგ, რად თან ამყვა? და მაგით უფრო არ შენ მომკალ, ნივთთა შერთვით-აჟ არა მყვა?!

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა

42. ადამ, ყოველთ წმინდათ თქმული მაგაზედ წინ აღგიდგების, ღვთისგან შენში ავის ნდომის გარევა არ შეიგების. ხელმწიფება გაქვს თავისა, ავი ნურა მოგინდების, და როსაც ხილვა მოინდომე, თვალი მაშინ დაგიდგების.

43. ბოროტს მაგად ვერ იცნობდი, რომ არ ჰქონდა მის ბუნება, არ თუ გექმნა, რასა ჰქვიან, ვერცა გეწყო მოგონება! კოლმან გითხრა, მალ ჩამოჰყევ, დაუჯერე, დართე ნება, და ღმერთს განშორდი მოწყალესა, მტერმან გიწყო დამონება.

44. ოდეს ჰქმენ საქმე უშვერი, მაშინ სცან გემო ცოდვისა, ცოდვის უქმნელჰან არ იცის ცოდვისა, თუ რა მოსდისა; რახან სცდეს, გემო იხილოს მის სიმწარისა მოდისა, და უთუოდ მოხრებლში შთავარდეს, ვინ უაღვიროდ რბოდისა.

ს ი ტ ყ ვ ა ა დ ა მ ი ს ი ი

45. შეუკდემლად მუხანათო, ვითარ სრული-დავიბადე? შენის ნივთის ნაწილითა არ ამ სახით დავიბადე? ეგზომისა სიცრუვისგან წილს არ მიღებ, ადგ, ადგ, და ჰაი, სტყუი, მირევიხარ, მისთვის ასრე გავიხადე.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა

46. დაღაცათუ აღიზილე და აღიგე ჩემის მტვრითა, ყოელი არსი სიტყვითა ჰყო ერთითა და არ ბევრითა. შენ ხატებად თვისად შეგქმნა ხელით შემოქმედებრითა, და შემოქმედსა ნივთთ განწმენდა არ შეეძლოს, მითხარ, რითა?

ს ი ტ ყ ვ ა ა დ ა მ ი ს ა ი ბ

47. სოფელო მრუდო, უკეთუ დავიბადე საქმით სრული, არ მერია შენი რამე, შენებრ ტრელი, შენებრ ცრული, მსგავსსა ღვთისას ასე მიყავ, თუმც გენახე გაკიცხული, და არ უარესს დამმართებდი, მუდამცა ხარ გაბასრული!

48. მაშ, თუ ბუნებით სიცრუე არ მახლდა, შენით მომეცა, უფრო არა ხარ მტყუანი? მაგას ჩამოგყვე, მომეცა! არ მოგელორე სამოთხით, მგონია კიდევ მომეცა, და შენით წამერთო დიდება, ნუ სკრუობ, ისრეგ მომეცა.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა

49. ეგეც კმარა, შენ კარგად ხარ; სამტროდ ვინ ეს გაქნევიანა, რას მაბრალე მე საბრალოს, გვერც არ გიზის, ე, ჰე, ვინა? ცხოვრების წილ სიყდილითა ჯოჯოხეთს დაგანთქმევიანა, და შენ ეგ გიყო და უბრალომ მეც მაგან დამაწყევიანა.

50. ადამ, რა ექნა, არ დასულდი წყევითა და გინებითა, აწ გრქვა რითაც დაგემართა, ძალითა თუ გინ [6]ებითა; მართალს გეტყვი ყველაქასა არ ფერობით, არ თნებითა, და ვიცი, უფრო გამიწყრები შენ ამის მოხსენებითა.

51. სამოელსა და სატანას როს ესე დაემართოდეს, იზრახეს ამპარტავენება, მაგრამ არ წარემართოდეს, ანგელოზთ ბუნებისაგან უფროსად აღემართოდეს, და გარდახდეს. საზღვარს უფლისას, რახედაც დაემართოდეს.

52. გარდმოცივიდენ ზეციდალზე და უფსკრული დაიმკვიდრეს, ნათლისა წილ ბნელად იქმნენ, ვერაოდეს ველარ იდრეს; ანგელოზი შეიცვალა მსწრაფლ ეშმაკად, ასრე იდრეს, და ტყუილს არას მოგახსენებ, ხელს ხელზედა რაზე იდრეს?

53. კელავც გითხრა დიდი პატივი უფლება მიწიერისა, მათ უნიეთოთ წილ დადგენა უნებს შენ ნიეთიერისა; გამცნო მის შიშს და ბძანებას ქვეშ ყოფა შეენიერისა, და მისდა მადლობის შეწირვა ყოველთა შესაფერისა.

54. საზღვარი დაგდვა, გიბრძანა: ადამ, ნუ მეურჩებია, ამ ურჩებისა ნაყოფსა ნუ სჭამ, ნუ შეეხებია! თუ სჭამო, მუნეე სიკვდილით მოჰკვდე, ვერ მოურჩებია, და ნეტა თუ ის არ გესმია, სულ ქვეყნით ვერ დარჩებია.

55. ამის მსმენელსა მაცდურსა შურდა დიდება შენია, გაზრახა მცნების გარდასვლა, შენგან არ მოსასმენია. უსმიწე მტერსა, იუფლე სიკვდილი, ბევრი სენია, და რა ვქნა, თუ არ ვთქვა, მაბრალეებ; თორე რა მოსახსენია!

56. ნუ გგონია, ვაშლით მოჰკვდი, ნუთუ ყურძნით, ან ლელვითა, არა,—მცნების ურჩებითა და ბრძანების გარდასვლითა, უფრო კიდევ განღმრთობისა ნდომითა და სურკილითა. და რაც სიცრუე წარმოსკალე, მალ მიიწყე ისრევ წყვითა.

57. აწ ვინ არი ჩვენ ორთაგან უცრუე და მუხანათი? სრულ ქვეყანა ხელთ მოგცა და ცა შეგიჩქო ესრეთ მნათი, განღმრთობასაც შეეცილე, რადგან იყო დიდ ხანათი, და შეადარე ჩენს სიცრუევს, შენსა სჯობდეს რა ხანათი!

ს ი ტ ყ ვ ა ა დ ა მ ი ს ა ი ბ

58. მაცთუნევე, დავსციდი დიდ საქმეს, ჰო, ჯავრი შენი მაცთურო, აწ რად არ სცბრები, სიცრუვის ორღანოვ, ტკბილო სამთურო! უფროსლა მტერობთ ჩემთ შევილთა, წამს ზარული ხარ, წამს თურო, და ორს ბევრს გარდაჰკარ ლახვარი, სხვათ უმარავთა სამთ ურო.

59. ბოლოს არვის გაუთავებ, ვინც დაიპყრობს დიდებასა, ვინ ღარიბობს, არ აღირსებ მოსვენებით თავს დებასა. ზოგს გლოვით არ გამოიყვან, არ დაუფსებ ცეცხლთ დებასა, და რად არ იცი, გათავება უნდა დიდსა მტერობასა?

60. ნუ იკბინები სასტიკად, ასპიტო გველო ველისა, ნულარ მწარდები სამსალავ, ბოროტო უფროს ნაველისა, ნუ მუხანათობ, ნუ ჰრელობ, მგზავსად შენისა ძალისა, და თორ მოგინდება გარდახდა როსცაა ჩემის ვალისა!

პასუხი სოფლისა

61. მე თუ ვსკრელობ, შენ რას მბაძავ, შენ ხარ თავის ნების მქნელი, შემოქმედმან რაც რამ შექმნა, ცხელი რამ თუ ანუ ნელი, ცა, ქვეყანა, ზღვა, უფსკრული, ნათელი და გინა ბნელი, და შენგან კიდე არვინ არის თავისისა თნების მხმელი.

62. ცა, ქვეყანა ასრე არის. ერთმანერთის იძულებით, ცით თუ ცვარი არ მომეცეს, მადედავ, ვხმები დარგულებით; ჩემით აღწოვს ჰაერივე, თორ არ მისცეს მას ბუნებით. და დიდს ზღვას ქარი ააღეღებებს, არ აყენებს თავის ნებით.

63. მნათობთ ეტლი არ უტევებს წამსა ერთსა განსვენებად, მხე მომახლდეს, გამაახლებს; განმეშოროს, შემეიქს ვნებად; წელიწადში ოთხ გზით შემცელის ხან სიციხედ და ხან ყინვებად, და ჩვენ არვის გვაქვს ხელმწიფობა, ოდენ შენ ხარ თავის ნებად.

სიტყვა ადამის შვილთა.

თავი იბ

64. რა ვქნათ, სოფელო, პირველსა მამაჩვენს ცთომა დაადევ, შეათვისე და ატომე, შერთევ და ამე და ადევე; სიცრუეზედან აუფლე, სიმართლით გარე განაგდევე, და შენი ნდობა გვაქვს, მის გამო გვიდევნებ ჩვენცა, განა გდევე?

65. რა მამაჩვენი ადამი აცთუნე, ცთომა დაიდო, შენი სიცრუის ნაგრეხი წნელსავით ყელსა მოიდო; ღმერთს განაშორე, სიცრუე შეირთო, იძმო და იდო, და მშობელმან ჩვენმან ამისი წილი ყოველთა დაგვიდო.

66. რაც არსია ყოელი რამე თვის-თვის ნივთზედ ჩამოდიან, მფშვინიერნი გვარ მოდკამით თესლით მდელი აღმოდიან; ზოგთ ნაყოფი წმინდა მოაქეთ, ზოგთ უხპარი და ღვაძლიან, და კვლავ მშობელნი თვისთა შვილთა მისავ საქციელზედ ზრდიან.

67. ნაყოფი რაცა ერთბამად ძირთაგან ამოიღება, ჩვენც მის ფესვიდამ მოგვიდგამს, მით ბოლო არ მოიღება, შენით ცთუნებით მის გამო ჩვენშიაც შემოიღება. და რას მოგვცემ, შენვე დაგრჩება, სხვით არსით არ წაიღება.

68. შენ ხარ შექმე ჩვენის ცთომის, მაგრამ არას დალონდები, დღეს სხვაფერად აგვიჩნდები და ხვალე სხვად გამოსჩნდები. მოგიძულებთ კვლავ საცთომლად, ლიქნით ხელში დაგვიბნდები, და ასეთს გვარად რას მოგვირთავ, კიდევ უფრო მოგვიბნდები?

პასუხი სოფლისა

69. ჰოი, ძენო აღამისნო, სტოა პირველი დედა თქვენი, მაჰაც იმან მოგილორათ, ცთომილების მალე მფქვენი; მაგით სხვას ნიეთს ნუ ემსგავსეო, თქვენ მალალ-ხართ და სხვა ქვენი, და თვარ კაცობას ნულარ იტყვიოთ და პირუტყვენი დაირქვენი.

70. იციოთ, ენუქ სათნო ეყო ღმერთს, მისცვალა სამოთხე და, ნოე ჰჰოეა მის წინაშე მადლი მტკიცე, არ მოთხე და; აბრამს რწმენა შეერაცხა, სიმართლე და მსხვერპლს მოხედა, და კვლავ ელია ცეცხლის ეტლმან აღიტაცა მეოთხედა.

სიტყვა კაცთა იღ

71. ვითარ გვარწმუნებ, სოფელო, მის ცთომის უწილობასა, ან დაგვაჯერებ ევასა წყევას ქვეშ უმყოფლობასა, მის ცთომილთ თესლთ დათესილთა სიმართლის ნაყოფობასა? და ამათით ხელთ არ ჩავცვივდით, ვა, შენსა მაცთურობასა!

პასუხი სოფლისა

72. არ წაგრობეგია უფლება კარგის და ავის მფლობლობა, ხელმწიფება გაქვს ორისავე, რომლისაც გინდათ მჰყრობლობა. რომელიც გინდათ, იმას იქმთ, ჩემზე რასი გაქვსთ ბრალობა? და ძედ ღვთისა გიხმობთ, იჩემოთ—ვინ დაგიჯეროსთ ობლობა?!

73. არც ეს იციოთ, ორი გზა გაქვსთ: სიცოცხლის და სიკვდილია? წინა გიძესთ გასავალად სინათლის და სიბნელისა, რომელიც გთნავსთ, მაზედ წარხვალთ, რა საქმეა სიძნელისა? და აღირჩიეთ უმჯობესი, ნუ გსურსთ ცრუ მოქადულისა.

74. არც ზვაობით სათნოება წარგემართოს, ეს იცოდე! თუ თავით რას მოქადულობ უმლოთოთ რასმე, ეს იცოდე! რაც კარგი გჰირს, ყველა წახდეს, აღარც მისგან დაიცოდე, და ის გიხმს შემწედ სიმართლეზედ, თორე ცოდვით დაიცოდე.

75. თვინიერ ღვთისა კეთილი არარა წარემართების, ვინ წჰინდობს მოღვაწეობა, ფინიკებრ აღემართების; მწიკლოვანება განწმდება, სიმრუდე დაემართების, და ვინცა აღზვავდეს, დაეცეს, ეს ასრე დაემართების.

სიტყვა კაცთა იღ

76. არა რის ხელმწიფება მაქვს, როსცა გინდა შემაწუხებ, რაც მაქვს ხელში, გამომართმევ, თვალს ჯავრითა დამიწუხებ; მე კარის-კარ მარონინებ, მტერს მისცემ და მაზედ უხვებ, და ფუ ეგზომსა სიცრუევისა, რომ შენ ძლით გულს ლახვარს ვიხებ!

პასუხი სოფლისა

77. ვინ მას ცთომასა შეუდგეთ, ნანდვილვე ისრვე შესწუხნეთ, ვინ მე მყვარობდე უძღებად, დასქმუნდეთ, თვალნიც დასწუხნეთ. რა ჩემის სიყვარულის წილ ქრისტეს სურვილი მიიხვნეთ, და თუ ვინ გამძღავრობდესთ, გამტერობდესთ, აღარა რათი დაინთქნეთ.

სიტყვა კაცისა იმ

78. რას პირით გვიშლი, სოფელო, მის საქმის უქინელობასა, გესწავლი და მერმე მოიღებ სიტყვისა მწვე ძნელობასა? გინდა და მაგრამ ეერა სთმობ ტუჟილის უთქმელობასა, და გვიკვირს, პატრონი ვით გითმობს მაგდენს უსამართლობასა!

79. მაჰა-ჩვენმა შენით პოვა ეგზომ დიდი შეჩვენება, შენვე გვეყვდრი, შენვე გვეციხავ, შენვე გემძღავრობ, ვით ეგება? ხე ხილისგან, ხალი ხისგან — ნათქვამია — იცნობება, და შეხეთ მაცთურს, უაუგოს, კიდევ რასმე გვეუბნება!

80. სხვა ნივთი ვით განოილოს ნათესმა ძირის გარდამო? არა გასმია, ვინ არის კაცთა ძე თავი ადაჰო? შენი სიმწარის საწდევი მაკისგან უფრო არდ ამო? და მაგრამ ნაცვალი პატიჟი მიილე ზეცით გარდამო.

პასუხი სოფლისა

81. კაცნო, ძენო ადამისნო, გაიგონეთ კიდევ რა ვთქვა, სულ მართალი, არ ცრუული, პასუხიცა ველარა სთქვა; მოგამშვიდო გულ-ფიცხელი, რაზომცა ხარ გულადა ქვ, და რა გასინჯოთ ჩეჟი სიტყვა, მერმე მართალი დამარქვა.

82. ქრისტეს მოსელამდიც თუ ჰქონდათ ადგილი მაგა სიტყვისა, თორე აწ რა გაქვსთ პასუხი, მიბძანეთ ვინ რას იტყვისა! მან ტვირთი თქვენნი იტვირთა, სიმძიმე რომე იტყვისა, და ღმერთი კაც იქმნა, დაგცხნათ, ვინ ნეზსით თავი იტყვისა.

83. იტყვით: ადამის ცთომისა წილი გვიც, მითა ვსცთებითო, მიბრძანეთ ერნო, მითხარით, თქვენით იტყვით თუ კრებითო? არას მიჯერებთ, მაგრამე აგრეც ვერ გავიყრებითო, და მაგით ვერ მორჩეთ წარწყმედას, ნუ ბორგით, ცუდად შერებითო!

84. აწ გითხრა თქვენი ქვა-სიბრძნე, რა ძნელი მოგონებანი, ფიქრით და რასმე განზრახვით შორს საქმის მიახლებანი, ხელოვნებითა კარგითა ძველისა გაახლებანი, და რასათვის მაგდებთ ერთგულსა, თვით მინდა თქვენი ზღებანი.

85. მოიხვამთ ტკბილის ხილისას, ტყავს სხვაზედ შთამოაცობ და, ჯერკვალსა ძირით მწარესა გარ რასმე შემოაცობ და; მის პირველისა სიხნეშეს დაატკობ, გამოამობ და, და ამით საქმითა სხვა სხვითა ბუნებით შემამცვალობ და.

86. კვლავ მოიტან სამფერს ხილსა, სხვას ნივთისა ხესა დამყნი, სამსავ სხვაფერ განახარებ ხილითა და ზოგს აქვს სამყნი; მის პირველის ბუნებასა შესცვლით, არ ხართ ვით ბაყაყნი, და სხვას ცხოველს რას ემსგზავსებით, ვინ არ იყოთ ცრუ ამყნი!

87. მწარეს ნუშს, მყავეს ბროწეულს ამასაც ასე გამოსცვლით, ორსავ ძირში მკვარს გაუყრით, სიტკბოებად ამით შესცვლით, რა ნაყოფსა გამოიღებ, ავისაგან კარგსა მოსთვლით, და მე სრულ რასთვინ მათქმევინებთ, თქვენს საქმესა თქვენც ვერ მოსთვლით?

88. არ თქვენს უფრო შემოქმედმან ხელიწიფოს ნივთთ განწმედა, ქნას რამ უსასწაულესი, მოგახსენო აწ თქვენ მე და, დაიზდაბლოს თავი თვისი; გარდამოხდეს თქვენდა მწედა, და ეშმაკს აღარ დაგანებოსთ, არ ინებოთ თუ წარწყმედა.

89. გაპირჩია უფალმან ნაშობთაგანი ევასა, ქალწული წმინდ მარიამ დახსნის მის გამოწყევასა; განხორციელდა მის საშოთ, გარდახდის თქვენსა ზღვევასა, და ეს უხზდა თქვენის სიცრუვით ევზომსა ტყვენვა-რბევასა.

90. მარიამის პატივითა ევას წყევა აღმოხოცა, ადამის თბე შეიმოსა, მტერი მისნი დაამხოცა; გველმან ზაკით რომ გიქადა, კაცნო, ამან განგაღმრთოცა, და უკვდავება თქვენ მოგმადლა, მოშურნე კი დაგიხოცა.

91. ნათელილო და დაგიღვა სახე მის ნათლისღებისა, ძველისა მის თბის დანთქმითა ახალი მიიღებისა. ეს ცად აღგიყვანსთ ამ სახით, დახშული განელებისა, და უზეშთაესი იშოვეთ სამოთხის კარ ბაღებისა.

92. ძველს ადამს კი განიძარცვათ, რახან ქრისტე შეიმოსოთ, ძედა ღვთისათ აღმოხდებით, ნუ გგონიათ შეიმოსოთ! უკვდავნი ხართ, განღებული გვერდი ნახოთ, სისხლი მოსოთ, და თქვენს სიკეთეს ნუ აბრალებთ, თბე თქვენი ღვთის მარჯვნივ მოსოთ.

93. თვით ივნო, თქვენ უვნებლობა მოგცათ წყლით, სულით შობილნო, ცხოვრებისა და სიკვდილის ორისავ ახლაც ცნობილნო. რომელიც გინდათ ხელთა გაქვს, რას თაყსა მართლობთ, ძმობილნო! და ვინ ეს წყალობა უვარგყოთ, პირველის უფრო გმობილნო.

94. აღამ თქვა თვისად სიპართლედ საქმისა დაუცდელობა, თქვენ აღარა გაქვსთ მიზეზი, თაგის მართლების მცდელობა; კარგსა და აესა ორსავე იცნობთ, ნუ გინდათ ხელობა, და არ იცით, არვის შეგრჩებათ ტყუილი, ცრუ-მფიცველობა.

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც თ ა ი ზ

95. სოველო, ეგ ჯგროვანი თქვი: როდესცა ქრისტე მოვა, შეცთომილნი მომიძია, მხეტთა პირში ღრღენად მპოვა, უჩინარის აღგილიდამ მისი მანვე მომიშოვა, და შენგან მკედარი —ჯოჯოხეთით აღმადგინა, აღმამსოვა.

96. რა კიდე აღარ მეხსნები, მატუნებ, შემაცოდება, რაზდენ რიგითა საქმითა გინდა ცეცხლისა მოღება! დილას გვახარებ, საღამოს მოვა ტირილი, გოდება, და არ გაგეძლება, ასეთი იცი საქმისა მოღება.

97. თუ განგვამდიდრებ, ზეობას ჩაგვიგდებ გულსა საწყენსა, ღვთის ნებაზედან იცი რომ აღარ მიმიშვებს, მაყენსა. როს დამამდაბლებ, საგმობარს სიტყვას მათქმევ და მაყენ სა? და ლოცვაზედ წასვლა გვინლოდეს, ქვე ჩაგვსვამ ზეზე აპყენსა.

98. ზღვით და ხველით ორითავე შემაწუხო ამას ცდილობ, დილას ერთით და მგორით აღმაშფოთო, ხან სადილობ. მათქმევიწო ღვთის წინაშე საგმობილო, ვით გმობილობ, და მერმე მითხრა: სიტყვას დასცდი, რუგუნურო, ავად ზრდილობ.

99. განგვახარებ, სულერსა საქქეს ყველას დაგვაფიწყებ, რა მოგვაწყენ, მწუხარებით მცონარებას ამოვაწყებ. რა ვქნა შენი გარდამკადე, მუღამ ვტირ და ხშირად ვიტყებ, და ზოგს განსწავლი ყოვლის კარგით და მე ასრე გამამბრეყებ.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა

100. კაცო, იცი ორივ კარგად, რომელია უარესი, რაზომ დიდის საქმითა სჯობს ძვირს კაცს უფიეფესი?! მაშ, რა გინდა ეგე რამე უმჯობესის უდარესი, და უგუნურო, რასათვის ხარ ავზედ უშუმოსწრათესი?

101. კვალად გასწავო რა იყავ, რა ხარ და რა იქნებია, მიწა ხარ, მტვერი, რომელსა სთურგენენ სრულ პირუტყვებია. პატივ გცა ღმერთმან მსგავსებათ თვისითა, არ გეთნებია, და მოცტა უფლება ყოველთა, ხედავ რომ დაგმონებია.

102. არ მარტო ნივთი უფალი ხარ, უნივეთონიც გმორჩილობენ, წმინდათა კაცთა ანგელოზნი ემსახურნეს, არ ურჩობენ; ეშმაკიცა ბევრმან ტყვე ჰყო, თავზედ ფერხს გარდაცმულობენ, და ვინ ხატება დაიმარხოთ, ვერა რაზე ვერ უგრჩობენ.

103. სასუფეველი მოგეცათ სამკვიდროდ და მამეულად, თქვენი არის დღეის წაღმა, ნელარ უჭკრეტ მისეულად. ვინც იესო შეიმოსოთ, ვერვინ გძღავერობსთ მოსეულად, და ცოტას ხანს თუ ხორც გატყენდესთ, ვერა გაენოსთ სულსა სულად.

104. რად მოყვარე ხართ, უკვდავო, მოკვდავის ცრუ დიდებისა? იმ პატივისა პატრონსა ესე ვით მოგინდებისა? თუ შეირაცხო ღვთისაგან, ის აღარ წაგიხდებისა, და თორემ მიწა ხარ უძლური, ღირსი სკორცსა დებისა.

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა ი ჲ

105. მინდა ყოველი სიკეთით, ყოფა სიმდიდრით, სოფელო, სახელით განელა შენ მიერ, ცრუ ხანის წამ საყოფელო, ზეცის ქალაქსა მკვიდრ ყოფა, მის წილად არ სამყოფელო, და არამედ შენვე მაცდუნებ, ტკბილადრე შემომეყეფელო.

106. თუ მდიდარ მყოფ, კლდე უფროს დიდებასა მომანდომებ, როს შემომყრი დიდს ლაშქარსა, თავსა დიდ მომაწონებ; მერმე ერთს სხვას წამოჩქიდებ, მომრცე. იმას დამამონებ, და გკონია რომ შენს სიმუხბაღეს ვერ ვხეღვიდეთ, ამას ჰკონებ.

107. უფროსი ვიჭკრა ქიქვანა, სხვათ დარჩეს უმციოვრესა, ვირ წამჭიდებდე სულ წძრახავ, იტყვი თუ: „მაც, არ ესია“. მასკა არ იპყრობს სახელი, არ უნდა უკეთესია, და მაგრამ ეგ შენი ნარჩევი ვიცით, რომ უარესია.

108. უთვალავი ოქრო-ვირცხლი მქონდეს, თვალნი თლილნი ხშირად, არ გაჰაძღებ, სიხარბესა შემყრი, შემაქ დიდად ჰირად; ჩემი მყვანდეს შეგნიერნი და სხვას ესვას რამ დუხჭირად, და ფუ, წყეულო, მომანდომებ, შოვნადც შემიქ გასაჭირად.

109. მეღვას ცხენი ბედაურნი, ფიცხნი, კარგნი, მუხლად მაღლად, ოდეს ვნახო ერთი სხვისა თოხარიკი ლალად მავლად, ან ნებითა გამოვართმევ, თუ არ მომცემს, მერმე ძალად. და ასრე გაჰხდი უსამართლოდ, არ მყოფ ვინად შესაბრალოდ.

110. სხვა რაც ნივთია შენი რაჲ სადები, კაცთა სახპარი, არასფრით არათ გამაძღებ, ვარ ვით შიმშილით მომყმარი. მიძხდენ, არვის არ მივცემ, ძახილით ხმანი დამხდარი, და სად ხმება, სად რა დაღებება, იქა ვძე ცულად წამხდარი.

111. უქორწილოთა ქორწილი ჰსურის და ეოცნებიან,
 ქორწინებულთა ნიადა სახპარი ეზრუნევიან.
 უშვილოთა სწვაეს წუხილი, მუდამ ერუდუნებიან,
 და შვილ-ბევრიც ქმნილა მრავალჯერ შენის ჯავრითა დნებიან.

პასუხი სოფლისა

112. ვინათგან, კაცნო, სიმდიდრის მოცემაზედაც მყევდრია,
 კეთილი გიყო მაშ რაღა, ან შენ რას შემომჩერდია?
 თუ გაღარიბდდე, მასუქან მოცემას შემომევედრია,
 და აწ მართალს გეტყვი, მაცალე, მე ცრუს კაცს არ შევედრია.

113. მითქვამს ყოელი ჩემეული მოკლეა და გახრწნადია,
 მინდა მოგცე საუძღებოდ რაღაც რაკი მებადია,
 შენ რასთვის იქ, გონება გაქვს კარგის ქნის დანაბადია,
 და ყმაწვილურად მისთვის ლაყბობ, გვერც არ გიზის რომ გადია.

114. თუ გყვანდეს სპათა სიმრავლე, ურიცხვი ლარი დაგედვას,
 ყოველს ქვეყანას შენისა შიშისა ზარი აღედვას.
 კეთილს უყოფდე ყოველთა, მით აკი აღარ მოგედვას,
 და ნუ მოიწყინებ გუნებით მდაბალთ წყალობით მოხედვას.

115. რად გინდა შენი ქონება დასაღობლად, მლილთ საქმელად?
 რად არ ირცხენი მშიერთაგან, საზრდო გედვას ძველის-ძველად?
 რად არ იცი ღმერთს ავასებ, რა გამოსჩნდე გლახაკთ მზრდელად?
 და როს დაკვირდეს, ბევრ-წილ მოგცეს და მოვიდეს შენდა შევლად!

116. თუ ეს არა ჰქნა, თავს იღვა ტანჯვა მის მდიდრის ლაზარეს,
 მოკედე, აქ დაგრჩეს სალარო, გიკრეფდენ მრავალს მოზარეს.
 რა გარგოს, მუნ რა მიხვიდე, ცეცხლსა შთაგაგდონ საზარეს,
 და მას შენატრიდე, საბრალოვ, ვინ გთხოვდეს აქ სამაზარეს.

117. აბრამის წიალს იხილო შენი მთხოვარი პურისა,
 ის ფუფუნებდეს, იშვებდეს, შენ აღში წყალი გწყურისა,
 სველის თითისა დაწება განხმარს ენაზედ გსურისა,
 და რაზომცა ცრემლით ითხოვდე, აღარ გყვეს მომგდე ყურისა.

სიტყვა კაცისა ით

118. სოფელო, ჩემობ სიმართლეს, ეს რა სიმართლის მგვანია?
 ნუ ამბობ, ცრუ ხარ, მართალი შენი არ შესაგვანია,
 უსამართლო ხარ, უწყალო, ვით მულახელი სვანია,
 და ვნახე, სახლს მდიდარს შეუხედ, ნაცართა უწყე გვანია.

119. დიდებულ მყოფ ყოვლის საქმიო, მნახ-მსწენელთა სანატრელად, დაგჯერდები, აღარ ვიტყვი: სოფელია ჩემზედ ქრელად; ხრიკს გარდამკრავ, ზურგზედ დამცემ, შემიქ მტერთა საყვედრელად, და ბოლოს მაშინც მუხანათი ხარ, არ იყო პირველ ტრელად.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა

120. კაცო, მაგას ამად გიზამ, მიმადლიდე მე და ბედსა, ანგარებ და უსამართლობ, გაირისხებ შემოქმედსა; მაშინ ცეცხლსა მოაკიდებ ტალს-კვეს შუა, ვით აბედსა, და ბოლოს როგორ გაგიტავებ სიკეთისა ავ-მოქმედსა!

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა ძ

121. თუ ეგ გქირდეს მარტო ოდენ, ანგარსა და უსამართლოს წაართვედღე, ნაზო ვინმე საიმურლო ან საქართლოს, კახეთს, ოდიშს, გურიასა, გარ ვინ იყოს, ან საფართლოს, და მხოლოდ მრუდნი გაბრალებდენ, მართალთ ყველამ განგამართლოს.

122. მაგრამ ცოდვილთ და უმანკოთ საერთოთ შემაწუხარო, წამს თუ შვებისა მიმცემო, ხანგრძლივ და დიდხან უ ხარო. ცას თავსა ჰკრეჯდეს სიმაღლით, თავი არც იმას უხარო, და ყოვლის საქმით რომ განმართლდე, იობით მაინც ცრუ ხარო.

123. რა უყავ მართალს, უმანკოს იობს, მსახურსა ღვთისასა, რაზომის სიმდიდრისაგან გლახაკ ჰყოფ უხანს სხვისასა? პირველ ტახტზედან მჯდომარეს სკორეს სომ ეამს სიცხისასა, და ამით, ვეჭვ, პირსა დაგიყოფ შენისა სიცრუვისასა.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა

124. იობის საქმე იცოდე, ჩემი რა დასაბარია? თვით წიგნი მისი მოგითხრობს, იკითხე ვის აბარია, ეშმაკმა უყო, განცადა, მაგრამ იგ ვერამ არია, და მანცა მიუშვა მიხედვით, ვის უძრწის მთა და ბარია.

125. ვინ გონიერ გულისხმა ჰყოთ მის ამბვისა მომსმენელთა, სარგებელი დიდი გეყოსთ მგზავსად მისებრ მომთმენელთა; იგ უმანკო გამობრწყინდეს უფროს ყოვლთა ცის ნათელთა. და მართალს თუ ის შეემთხვია, რადღა გიკვირსთ ცოდვის მქმნელთა?

126. ვითარ ხედვიდა უფალი შინაგანს ფარულს გონებას, გამოგიცხადებს ყოველთა მის სარწმუნოსა მონებას. ვით მან უწყოდა, აპირებს თქვენ კაცთა გამოჩვენებას, და უხანკოს მართალის იობის არ მოსწყდეთ თქვენ მოხსენებას.

127. კელავ განსაცდელის შევთხევეა ორპირად გამოაჩინოს, თუ ვინ მართალი შთავარდეს, მადლობით მალ მოარჩინოს; უნანელს ცოდვილს პასუხი მიეგოს, არ შეარჩინოს, და უღვთოს ანგარის კაცისა კვალიცა ნუ დაეჩინოს.

128. ამის მგულყელმან უფალმან ამისთვის ეს ინებისა, უტყევა ეშმაკს განცდადა, ასე მას მიანებისა, სულს გარდა ყველას მიუშვა, ის კი არ დაანებისა. და მან სანატრელმან დაიდგა გვირგვინი მოთმინებისა.

129. მიუღო ყოვლი დიდება სახედ ხილულის მტერისა, მონანი ამოუწყვიდა რამდენ რიგ ანაწერისა! ქარი დაკვეთა დარბაზსა, სად მკობა იყო სერისა, და ძენი, ასულნი შიგ დარჩენ, დახოცა, მოუმტვერისა.

130. სულ ერთპირად წარუტაცა, რაც ჰყვანდა და ან ემარა, სახლში, გარედ, მეზობელთა, ველად, შიგნით მიებარა, ლაღადისი მორბიოდეს: „მოგვსრეს, ტყვე გვუყვს, რაც გვებარა“. და ოდენ ცოლი შეარჩინა, უნდა ევად მოეხმარა.

131. ოდეს მტერმან უკეთურმან განცდა თვისი აღასრულა, არა სცოდა იობ ღმერთსა სიტყვით, საქმით, არა სულა; ხორკს შეახო, ქალაქს გარეთ უბანს დასვა სულ მოწყლულა, და აწ საცთომლად დედაკაცი ზრახავს, მან კი დაასულა.

132. დედაკაცმან ჰრქვა: „პატრონო, ვიდრე სთმობ ამ წყლულებასა, კიცხვას და სიგლახაკეს[ა], კაცთა შეურაცხლობასა, სკორესა ზედან შენს ჯდომას, სხვის კარად ჩემს მავლობასა? და კიდევ უფალსა იმედობ, არ მოშლი მის მადლობასა!“

133. მან უთხრა: „ზრახავ რად დედად ერთი ვით უგუნურამდი, თუ შევიწყნარეთ უფლისა ყოვლი კეთილი აქამდი, ბოროტიც არ მოვითმინოთ ცოცხალმან სულის დგმისამდი? და იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ უკუნისამდი!“

134. ჰე, კაცო, იობ მოიგო ბევრ-წილად მოთმინებითა, ჩანს მთიებისა ვარსკვლავის უფროსად ბრწყინვალეებითა; სასუფეველისა ღირსია მოწყალის ეგზომ თნებითა, და სამადლობელის სიტყვითა, წყევითა, არ გინებითა.

135. აწ, კაცნო; მისნო მსმენელნო, გონიერად გიხვსთ განზრახვა, როს სიპიდიდრისგან დავარდეთ, მისთვის არ სულაქმა, არ ახვა, მადლობით მითვლა სიმდაბლით, არ კიცხვა სხვისა, ნუ ზრახვა, და ნათქვამი არის ხიღია, წინ მიმავალის დანახვა.

136. თუ სიზარტლეს შეემთხვია, ღმერთი ნაცვალს აქვე გაგებს,
და უკვდავის ცხოვრებისად ნამეტნავად დიად გარგებს,
თუ ცოდვის წილ დაგემართა, მაშ მოვალე შენი გეძებს,
და აქვე გიჯობს გარდუწყვიტო იქ უშრეტი ცეცხლის დაგებს.

137. ამ ორისავე პირისათვის ღვთისა გმართებს დიდი მადლი,
ხვეწისაგან კიდე რაზომ განზრახვასა მის ნუ აღლი;
ქრისტე კარგსა, აეს არ გიზამს, მაგრამ თქვენ კი არ უმადლი,
და დამიჯერე, უგუნურად ზრახვე, თავით რასაც ქადლი.

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა ქ ბ

138. ერთი ოდენ ეგ დაადე, ეშმაკს რომ შენ არ ერიე,
თორე მაგის გარდაისათ ყოვლი წმინდა შენ შერიე;
ტყუილით და მაცთურობით მგონი კიდევ მოერიე,
და შორ იყავით ერთმანერთზედ, მაგრამ ნდომით გაერიე.

139. რასაც ის მიზამს შენითა, თორ ბრძოლას ვერ მისწორებდეს,
ის სახილავი გონჯი და შავი რით მომლორებდეს?
უშენოდ ხელთ რა უჭირავს, სადა გინდ კიდევ დარებდეს!
და თუ არ შენისა შეენებით, ბილწი ვით მოიდარებდეს?

140. იმას გარდაის მტერობა შენგან ეს არის ჩვენია,
ტრელობ, მუხთალობ ეგზომად, ვით თავი შეიჩვენია;
არც მდიდარი და არც გლახა არავინ მოსვენია,
და სიცრუე, ცქაფად მქცევლობა ეს შენი გასამჩვენია.

141. ზოგს ამდენს მისცემ, სოფელო, რიცხვსა არ შეაგებინებ,
ზოგი სიყმილით მომყმარი გყავს, ნაცუნცუს მთაძებნინებ;
მრავალთა სახლს არ აღირსებ, ერთს ცამდის ააგებინებ,
და ძველს თავადს ლალანიძესა ქვეშ კოლობს დააგებინებ.

142. ანუ სულ მწუხარებაში გყევარ ხელ-მოკულობილია,
დილას გვახარებ, შუადღე გლოვა კარს მოდგომილია;
აქ გყავარ ასეთს ყოფასა, ვინც შენი მონდობილია,
და სხვის სოფლისათვისც გვაბრკოლებ, ასე გაქვს მონდობილია.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა

143. მიკვირს, კაცო, ცუდს სიტყვასა რასთვინ ზრახვე, გონიერო,
პირმეტყველო, არ პირუტყო, მსჯავსო ღვთისა, შევნიერო;
ერთისაგან შემოქმედის ორნივ ქმნილვართ, მაწიერო,
და შენ უფალი, მე ვარ მონა, ბძანებაა მის მიერო.

144. თუ ჩემსა ჩემი მომცემი უფალი აღირჩიოო,
 არც სიმდიდრითა აღზვავდე, არც სიღარიბე სჩიოო,
 ყოველი ჩემი ნაყოფი ეამ-ეამად დაირჩიოო,—
 და ეს დაისწავლე, კაცი ხარ, თუ პირუტყვი ხარ, ჩიოო?

145. მომცემლისგან თუ უფროსად შემიყვარო, ვაი შენო,
 არც სიმდიდრით, არც სიმკირით, არცერთით არ მოგასვენო;
 მწუხრს ტირილი დაგაცადო, ცისკარს შეება ვერ ახსენო,
 და იცი, ჩემი სიყვარული ღეთის მტრობაა, მოკაახსენო!

146. ნანდვილვე მტერსა ღეთისასა კეთილი არა ეყოს რა,
 ვინ უძღებება შეიტკბოს, მას ნიეთი არა ეყოს რა;
 სრულ ტახტად ჰქონდეს ქიყანა, არცა ის ართუ ეყოს რა,
 და კაცს მგზავსსა ჯოჯოხეთისას რა მორჩეს, ან რა ეყოს რა?

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა კ ბ

147. სოფელო, ვითარ მინდოდეს, რა-ეამს შევხედო მეუფსა
 გვირგვინითა და პორფირით ტახტსა ჯდეს დარბას-სეფესა,
 გარემოს — ჯართა სიმრავლეს, ახლოს — დიდებულს სეფესა!
 და არ ძუნწსა, გაუცემარსა, უქებდენ სიიეფესა.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა

148. საძაგელ არის უფლისა ყოველი მაღალი გულითა,
 მას სწყალობს უხვად ნოწყალე, ვინ მდაბალია სულითა.
 არა ჯერა არს წადილი მეფობის ურჩის უღლითა,
 და აქამდინ ტკბილად გეუბენ, აწ გეზრახები შულლითა.

149. მონისაგან ვით ეგების მეფობისა ნდომა ყოლად?
 როს გონებამ ეგ გიზრახოს, სცან, ეშმაკის ხარ ამყოლად,
 ეგ [ა]რ არის მოსაგონად, თუმც ძლივ ღირსხარ ყმურად ყოლად,
 და ეგებ ეს კი მოინდომო, გვერდს იახლო კაამყოლად.

150. ადვილი ტვირთი გგონია მეფობის უღლის დადება,
 ვერ ხედავ რაზჰთა სიმრავლეს საშიშრად დაექადება,
 მერმე წყალობით მიხედავს, მისცემს და არ იქადება,
 და მეფე სიმართლის მსაჯული ღვთისაგან დაიბადება.

151. რა-ეამს ნახო მეფე სეითა, ერი მის გარ მდგომარენი,
 განკრთი ღეთისა ძლიერებას, ვით ამონა ერთს ამდენი;
 ვისცა სყალობს, იხარებენ, შიშით ძრწიან დამქადენი,
 და ვინცა იკის, კარგი არის უფრო ტკბილი, ხარ მწარენი.

152. ოდეს სჭვრეტლე ქვეყანას და ერს სიმართლით. გაგებულსა,
დამონდი და ემსახურე მას და ყოვლსა მის ერთგულსა.
უსამართლოს ასრე მზერდი, ხეს ფესვ-დამპალს დანერგულსა,
და მცირე რამ სჯობს სიმართლითა დიდს სიცრუით მოგებულსა.

სიტყვა კაცისა კმ

153. არა, ცრუე, როგორ ნუ მინდა, რა ვნახო ამხანაგნია
დიდებასა და პატივსა, გვერთს ახლდენ ყმანი კარგნია,
აქლემის-ყათრით, ჯორებით ბევრი დასდევდენ ბარგნია,
და მე ბზიანს საბძელს ვეძებდე, თბილია, ცივა, ვარგნია!

154. მე ასრე ცარიელი ვარ, სიცხის დროს როგორც ნახევი,
ტანს არაფერი მაცვია, თუ არ ძველი და ნახევი,
სახლი დავაგდო, დამრჩება ვით მონაგლეჯი, ნახევი,
და ეს შენი უსამართლობა, უწყალოვ, მოდი, ნახევი.

155. სხვანი ხელმწიფეთ წინაშე იღვნენ ზრახვად მეგობარებ,
მე ასეთსა ადგილს ვდგევარ, შორით თვალსა ძლიე მოვარებ;
უსადილოდ გამაბრუნებ, შიმშილითა მაკარკარებ,
და მათ ღვინოსა ყინულიანს ასმეე, კულით აკარკარებ.

156. მონასტერს შეკრბენ აღდგომას კეკლუცად მოკაზმულობით,
ფერ-ფერად შეხამდებოდენ ერთმანერთისა ცილობით,
მე კაბის ძველში ვეხვიო, რაზომ ვარ კარგი ზრდილობით,
და რად გამხდი ასრე, სოფელო, ვერვინ მჯობს გვარიშვილობით?

157. შემოვლიდენ ლიტანიას, ახლოს არვინ მიმიშვებდეს,
დამცინოდენ ქიშპნი ჩემნი, მე ვწუხდე და ის იშვებდეს.
ჯარშიდ ვიყო ამ ყოფასა, შინ ბატონი არ მიშვებდეს,
და დიდი რამე ცოდნა უნდა, ვინც შენს მუხრუქს მოიშვებდეს.

158. მეფე ლაშქრობდეს სარაზმოდ არ ცუდსა მოსარბიელსა,
საპირდაპიროს მტერზედან ომი მოლამდეს ძლიერსა,
ერთმანერთისა ხლმის კვრასა არ შორიდაღმა ბრიელსა,
და ემზადებოდენ საომრად, მზერდენ შემოყრა-ყრიელსა.

159. რა მოეკაზმნენ წასავლად, დედოფალს ესალმებოდეს,
შორიდამ მადლსა იხდიდეს, ქალები შიშით დნებოდეს;
ეროდამ სჭვრეტდენ წასულთა, ვირე თვალს მოაშორევდეს,
და მე უკან მივსჩანჩალებდე, ნაბადი მეაბჯრებოდეს.

160. კიდევ მეფე დიდსა რასმე ეკაზმოდეს ნადირობას,
წარვიდენ და ინადირონ ქოჩობას და მყვირალობას,
შემოიქცენ მხიარულნი, აპირებდენ აქ პურობას,
და გვერც ვიახლო ის არა სჯობს, სადგომს შიმშილს, უპურობას?

161. ასრეთს ჰყვანდეს კარგი ცხენი, შენეული ტყვის ვაჭრობით
წაუბორჯლდეს, ფაფარს წასწედეს ჩამოვარდნის მოიჭობით;
ბიჭ-ბიჭებიც კარგზედ ისხდენ ცერ-ნაცვეთი კოჭობით,
და მე მყოლოდეს და აღარ მყეეს, ასრე ცრუხარ, რას ვიბჭობით?

162. მე ულაყსა ზურგ-დამპალსა ფორხილს ვზივარ მუხლად მოკლეს,
ვინც არ იცის მშვილდ-ისარი, ცხენის ძალით მათ კი მოკლეს,
დაჰხოცეს და დაჰპატიჯეს, მათგან ერთი არ მოაკლეს,
და დაურიგეს საბოძკარი, სხვათ მისცეს და მე დამაკლეს.

163. შემოიქარნენ დარბაზსა დღე წართონ სმა და მღერითა,
მეც კაცს მოველი, კარხედან თვალი მეტკინა მზერითა,
არ დამპატიჯეს, შინ დავრჩი უქმელი მე მის სერითა,
და რა ასე გამხდლი, სიმუხთლე მამ ნუ გიძრახო მე რითა?

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ის ა

164. რა იხილო ამხანაგი ევე რომელს დიდებასა,
ერთგულობით ნაშოვარსა, არ ცოდვისა კიდებასა,
შენც მას სთხოვე, ვინც მას მისცა, ეს სჯობს სხვის წაქიდებასა,
და მოგცეს შენცა, ვინცა იცის—გაცეჴა სჯობს კიდებასა.

165. ნუ მისთვისა გშურს, მიეცა რომელსა სიმართლისადა,
შენცა მან მოგცეს, თუ გნახოს ერთგულად მონები'ადა;
როს ნახო მეფე სჯულ-მტკიცე შინაგან გონებისადა,
და გინდოდეს მისელა სიახლეს, თავდაბლად იყოს ისა და.

166. მეფე თუ ერჩიდეს ცუდს სიტყვას, ნუ გინდა მისელა სიახლეს,
რამეთუ ყველა ცრუ იყოს მის ქვეშნი, ვინ მას იახლეს;
მართალს არ ხედვენ არცერთი, ძველი საცთური იახლეს,
და გული განიგდეს მსაჯულოთ, უსამართლობას მიახლეს.

167. მასთან ეს სჯობს, არ მიხვიდე. მგზავსი მგზავსთან ზივიდესა,
ესევე სჯობს, მოიცადო, ვირემდის მზე დავიდესა,
გლახაკი სჯობს სიმართლისა სხვის სიცრუის სიმდიდრესა.
და მამული სჯობს მამეული ნაძალადეს უმკვიდრესა.

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა ძ ლ

168. ეგ კარგადა სთქვი, სოფელო, თუ შენვე არ მალორებდე,
ცოტას ხანს ღარიბობისად არ მწრეტდე, არ მაქმუნებდე,
არ თავშიდ გამზიდვარობდე, მომყვე, მორჩილად ჰუნებდე,
და პატას რამ მეც რას მომცემდე, დიად არ დამალონებდე.

პასუხი სოფლისა

169. ვინა არ იცი მტყუნთა მოყვარეთაგან უფრორე,
მტერთ მართლის მტქმელთაგან გერგება, თუ უცები ხარ, მაშ, მორე.
დაგაახლოვე კეუსა და წარხველ კიდევ შენ შორე,
და ამაღ ეგ ავი გუნება ააყროლე და აშმორე.

170. რად არ იცი, ესე სიტყვა ბრძენსა უთქვამს ვისმე ძველსა,
მოყვარესა მატყუარსა ვნება მოაქვს, არ ჰირ-მტქმელსა,
მართლის მტქმელის მტერისაგან უფრო ნახავ სარგებელსა,
და კეუს ახლო მოყვანილი გამივარდი კიდევ ველსა.

171. ვიცი, რაგინდ კარგადა გწვრთნა, მაშინცა მშხერ ისრევ მტერად,
არ დავიშლი, კიდევ გე ზევი, თუცა გხედავ განაშტერად,
კარგად ვანბობ, არ მიჯგობებ, რად შექმნილხარ ვით ტერტერად?
და მითქვამს და ვთქვა: ჩემი ყოვლი განქარდება ავლად, მტვერად.

172. გინდოდეს ჩემი დიდება, სიმართლით საჩინო ყოფა,
ნუ ძალით რბევა ტყვენვითა სხვის მონახვევის გაყოფა;
ულეთოს საქმისა ყოვლისა ძნელია ხელის მიყოფა,
და ნურვის მოსტაცებ თავისას, დასჯერდი, ჯერ ეკ გეყოფა.

173. ნუ გრცხვენის სხვათა მოკაზმა და შენი ყოფა ჩოხითა,
ნურც ვინ ზეით ჯდეს პატრონთან და შენ ქვეით ჯდე ნოხითა,
ნურც მაზხედ, თუ ვინ კარზედან წინ გარდავიდგეს ჯოხითა,
და ნურცა რას სქმუნავ მაგითა, ნუ სულთქამ გულის ოხითა.

174. არა ცუდათ ნათქვამია, ბრძნისაა მის მოსაწონის,
სირცხვილია წარმწყმედელი და სირცხვილი მადლი მონის,
ესე მაშინც დაიჯერე, სიტყვა არის სოლომონის,
და თუცა დიდი ბრძენი იყო, ზრახვა ღვთისა არც მან წონის.

სიტყვა კაცისა კმ

175. ეს რაღა მსგავსი შენისა სიცრუისა გჭირს, ბეჩაო!
ბევრს ასეთს მისცემ სიმდიდრეს, ვირობს და იკამბეჩაო,
დანის ხმარებაც არ იცის, თუ არ კბილებით კბეჩაო,
და ვინ იცის შენი ხელისურა, ღარიბობს, მატყლი ჩეჩაო.

176. სმევა და კმევა არ იცის სხვისა, ვერც თვითან შეირგებს,
ვერც ლაშქრობს, ვერცა ნადირობს, ველარც რას შინათ არიგებს,
კარგი ჩაიცივას, გაჰკიცხავს, აგრევე თუ ქვეშ რას დაიგებს,
და არა იცის რა საბრალომ, კარგსა და ავს ვერ შეიგებს.

177. არ იცის ზმა და ხუმრობა, არც ესმის, ვერ აიტანსა,
 აზნაურშილად არ ვარგა, ჯარში ნუზღს არ მოიტანსა.
 გარ რასმე შემოიჩაჩლავს, ვერას გაიწყობს კი ტანსა,
 და არა გ[რ]ცხენიან, მაზედან ეგზომის კაის მიმტანსა?

178. გლახაკს არ მისცემს, უცხოსა რა ნახავს, თვალს ხელს იფარსა,
 ამხანაგი სძულს, ყმაზედან ძვირია, არ იეფ არსა;
 ცხენსა და ქორს ვერ ეწყობა, მწვევარსა ვერცა მყეუარსა,
 და რად მისცემ ესრეთს, წყეულო, უნდილსა, დაუჭიფარსა?!

- პ ა ს უ ხ ი . ს ო ფ ლ ი ს ა

179. კარგო კაცო, რად არ იცი, რომელ ეგე აღვილია?
 ამდა ვიქ, დამიჯერე, დასაჯერი ნანდვილია,
 ოდეს ვნახო ევე ვინმე კაცი აგრე გაზდილია,
 და ავიგდო და გავიციხო, ეს ჩემი დაქადილია!

180. რად არ იცის უგუნურმან, არა მაგად მიეცემის,
 სიმდიდრე და საქონელი თუცა რითმე მიეცემის,
 უხამს, მისცეს უქონელთა, მაგრამ ზედა დაეცემის,
 და დააჯდება კრუტსა ვითა, არავიზედ გაეცემის.

181. კაცო, იცოდი, სიმართლით ცოტა რამ საქმარ ესია,
 უსამართლოთა საქმითა ვინ ვისა რა წაესია,
 ის გაუწყრება უთუოდ, რომელსა ჰქვიან მესია,
 და არ იცი, სხვისგან მოღებას მიცემა უკეთესია?

182. მიენიჭების უმცირესთ დიდება ეგე ვითარი,
 უმრავლესთ სილარიბენი, ვით ზედაე ეგე ვით არი?
 ერთით მრავალნი კეთილსა იყოფდენ, ევ ავით არი?
 და ვინც ჰქვიანია, ნუ უნდა ევ სახე, ევა ვითარი.

183. ყოველთ თუ სწორად მოგეცესთ დიდება ევ საპატიო.
 აღარცა ღმერთსა უმადლდეთ და არცა ის საპატიო.
 უმცროსთ ბევრი აქვსთ, მრავალნი რჩებიან პატ-პატ[ა]თიო,
 და ზოგთ აქვთ შემგული სასერო და სხვათა არც კუპატიო.

184. ერთსა თუ რამდენს სიმდიდრის ნიჭი აქვსთ, გულისხმა ყონო,
 ამად მიეცა ღვთისაგან ამ სახედ, ასრე გაჰყონო;
 ამ ერთით გამოიზარდენ ლარიბნი, ყველას აყონო,
 და ღმერთს მადლი მისცენ, ის ლოცონ, ავის მოქმელთ პირი დაჰყონო.

185. ვინც მოიხმაროს ქონება ასრე და ამა წესითა,
 რაც ჰქონდეს, არვის უჭერდეს, ზოგთა აძლეედეს სესხითა,
 ყველამ აქეთ და შენატრეთ, თავს ნურვინ ნუ დაესხმითა,
 და შეატყობინეთ, მზას დაგხედეს, თორემ გიშოოს მალ სითა?

186. ვინ ამას არ ჰყოფს, აგროებს, იცოდეს, გასაბნეველად, იპარავს, მაგრამ შევეჩნევე შევიდწილად მას საზღვეველად. მეკობრეს რა კარს მიადგენენ მძებნელნი შესაცნეველად, და თუცა დაინანს, სად წავა, მე ვჰყვევარ მისასეველად.

187. ერთსა რასმე შესდიოდეს, გასავალი აღარ ჰქონდეს, არ ძლებოდეს თითოს ლიტრით, სხვათ მუხულოთ მიუწონდეს, მისი მსგავსი ჯოჯობებით არის ტოლი, სხვა არ ყონდეს, და ასეთი რომ დავინახო, აბა მითხარ, რით მომწონდეს?

188. განვხეთქო იგი უძლები და მისი ნაგროვებია, ძრახვა, გინება, სირცხვილი, წყევლა და საყვედრებია; უკანასკნელი წარწყმედა თავს აძეს, არ ჰკორებია, და დაეჭადლი შეიღსა ზღვევასა, ჰე, მიეცე ნაქადებია.

189. მე ამად ვიქ, აწ შენ გკითხო, საქმესა იქ ამას რადა? მრავალ-ფერთა სანოვაგეთ მოიზხადებ ზომის გარდა, შემოუწოდ მეგობართა, სად სახლს ჰკიდავს გაშლით ფარდა, და ზოგი გაძლა, ზოგი დათვრა, ზოგს კიდეც კი გამოჰქარდა.

190. გული უთქვამს აღარავის ბეჭის ქამად, არცა მაღალ, კიდეც მოაქვთ მოსამატი ზედი-ზედა, მალე-მაღალ, აღარც ღვინის დაღვეა სთნავთ, მეღვინენი უსხმენ ძალად, და თასს ამრულებს, სუფრაზედან აქცევს, ჩქერენ კიდეც კვალად.

191. მშვიერ-მწყურვალ კარს გადგა, გიძახის: „მოგვე ღვთისათვის, მაქამე რამე, ან მასვი, სულ რად გიძს უფროსისათვის?“ ყურსა არ უგდებ, არ უსმენ, გარდაგიბიჯავს ჰქვესათვის, და ეს მაღლს, სახელს და ნამუსსა, ბრძანე, რათ ერთვის, რისათვის?

სიტყვა კაცისა კვ

192. ჰოჲ, უბადრუკო სოფელო, აროდეს მართლის არ მთქმელო, რამდენთა სიღარიბისათ სიმწუხარითა დამნთქელო! მაღალთა დიდთა ხელმწიფეთ პატარა ჩვილებრ ამქმელო, და მტერთა და მოყვარეთაგან ორთავე მუხთლად სათქმელო.

193. ვით მოგიტმინო ყოველთა ჩემთა სწორთა და უმცროსთა, სიმდიდრითა და შევებითა საფსება მოსახმაროსთა? ნამეტნავისგან უფროსსა მისცემ ზოგთ მათ საკმაროსთა, და ვის სჭირს ესეთი სიბრიყვე, თუ მიზორელთა არ ოსთა?

194. მე თვით პატრონთან ვერ წავედგე, თუ შინ ვარ, უნდა ვიკენესო, თუ მივიდოდე, ამიგდონ: „ნეტა შენ ვინ და ვინ ესო?“ ძველი საყელო მინახონ, თქვან: „შენ კარგა ხარ, გიკებნსო.“ და მათ რომ ხუმრობა დამიწყონ, პერანგ შეიგნითუ რამ დამკებნსო.

პასუხი სოფლისა

195. თვითან უბადოდ მეტყველო და ცუდად მეტყეო, შენ კაცო, ვეჟე ჩემი ვალი შენ გაძეს, თორე მე შენი რა მაცო? აწყა დადევ და ვიტყოდე, ეგ წინ რომ გვიდგა, მომაცო, და მიყურე, კარგად გასინჯე, არ ხდალო, დია მამაცო!
196. აჰა, ღმერთო, შემიწყალე, დამხსენ ამათ საყვედურსა, მე ერთი ვარ, ვით გაუალ ამდენს პირსა უმადურსა? ვერვის ვნახევ მადრიელსა, ასე ყველა ერთად მდურსა, და რას მწყევლიან, რასა მძრახვენ სადაურნი სადაურსა?!
197. კაცო, თვით ხედავ, მეც მითქვამს, ჩანს ჩემი წარმავლობა, ამხანაგთავან გრცხენიან ტანსაცმლის შეუხამლობა, უჩახჩურ, უმაშიობა, თერხს წინდა, მერმე ხამლობა, და რად არ ახსენებ, მერმისას რა არის მომავლობა?
198. აწ მოიგონე დღე იგი მეორედ ქრისტეს მოსვლისა, დავიწვა ჩემის ნიეთიანა, ცეცხლი მომედვას აღისა, მთანი და ბორცენი გასწორდეს მსგავს ბძანებულის ძალისა, და ცა წარიგრაგნოს, ვარსკვლავნი დაციენეს დასაეალისა.
199. მხე და მთვარე გაუჩინრდეს, ჩარხთა ბრუნვა სრულ უქმობდეს, მოიშალოს კისა სფერო და მნათობნი რაც ამკობდეს; საყვირი ჰკრას ანგელოზმან, საშიშარად რასმე ჰხმობდეს, და ყოელთა მკვდართა განიღვიძონ, „ქრისტე მოვა“.— ამას მბობდეს.
200. მოვიდეს, დაჯდეს მსაჯული, თან ახლდეს თვისნი კრებული, ქალწულისაგან შობილი და მერმე ნათელ-ღებული, თქვენთვის ნაყვედრი უმსჯავროდ, ჯვარცმული, სისხლით ღებული, და დაფლული, აღდგინებული, კვლავ ზეცად ამაღლებული.
201. გარემოს მისა ეხვიენეს უსხეულოთა დასობა, მოციქულთ, წინასწარმეტყველთ, მამათ მთავართა მშვიდობა, მღრდელთ-მოძღვართ, წმინდათ მოწამეთ, რომელთ ჰყვეს მისი მიწობა, და მამათ, ქალწულთა და მარტვილთ იქ შეკრბენ ყოელთა წმინდობა.
202. იქ წარგადგინონ ყოველნი, მართალნი ხართ თუ ცოდვილნი, საცილობელნი საქმისა, ყოველნი კაცთა შობილნი, ხელმწიფე, მეფე, მდიდარნი, მცირნი და ბატონისშვილნი; და მაშინ შორს დაგრჩესთ, ვისა გყავთ სიცრუის დობილ-ძმობილნი.
203. ქედ დადრეკით სრულ შიშველნი წინ წარდგებით ჯვარცმულისა, ღეთაებითა უვნებლისა, კაცებრ თქვენთვინ ვნებულისა. მუნ არ იყოს ქედ-მალლობა სტავრა-ნახლის ჩამცმელისა, და აღარც სიტყვა მჭევრობადა, არც ხმარება უსულისა.

204. ცხადად გემხილნეს ყოველთა თქვენი ნაქმარი აგები,
პირს წამოგიდგნენ თამამად მოცილე და მოდაგები;
ტყუილით ველარ დაჰფაროთ თავ-თავის დანაშაულები,
და წასაწყებლს ზედ დაგხაროდესთ ეშმაკნი ბილწნი, შაგები.

205. მართალთ უბძანოს უფალმან ხმა-ტკბილი და დიდებული:
„მოვედით, დაიმკვიდრენით, ეს თქვენთვის განმზადებული
სასუფეველი ზეცათა და იყვნეთ ჩეჩი ხლებული,
და იფუფუნეთ და იშვებდით მართალი, ნათელ ლებული!“

206. განიხარონ ანგელოზთა და სულ ერთბამ წმიდათ კრებულთ,
მათთან შერთვა მოღვაწეთა კაცთ ოდითგნით მათებრ ქებულთ;
მართალთ ღარიბთ ანგელოზნი ეხვეოდენ მაშინ შვებულთ,
და მრულთ ეშმაკნი დახაროდენ საბრალოებს ცრუ დიდებულთ.

207. უსამართლოთა, ცოდვილთა ესმენს ხმა საშიშარია,
უფალმან სიტყვით ამხილოს, ვინც მცნება მისი შარია:
„წადით, წყეულნო, ჯოჯოხეთს, იქ ჩემს წინადად მარია!“
და ბნელთა ეშმაკთა შეიპყრან, მიჰყვანდენ ხვა-დამხდარია.

208. იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთსა ანუ საქართლეთ,
ვინ ჩემის ცრუ-დიდებისად აქ რამე იუსამართლეთ,
ტყვე სტყვენეთ, ზაკვით იფიცეთ და ამხანაგი მოლაფლეთ,
და რამე მიუგოთ უფალსა, ბრძანეთ თუ, რითა განმართლეთ?!

209. თუ ცა ფიცო, არა გმართებს, და ქვეყანა კვარცხლბეკია,
თავს იფიცავ, არ ძალ-გიძეს შავი თმა განსპეტაკია.
ნურას ჰფიცავ, ეს გეყოფა: „ეჲ არა და, ჰე, ეს კია!“
და ცუდსა სიტყვას იუქმებდი, ნუ გსურს ავი ტაკტაკია.

210. ორივე სირცხვილი გასინჯე, უუროსი იყოს რომელიც,
ღვთის წინ გემხილოს, თუ აქა გძრახევედეს ბრიყვი და ხელიც,
იქილამ გამობრუნება და გელის კვლავ სამოველიც,
და თუ მართო ვერ გაარკვიო, ბრძენი მიიხმე რომელიც.

211. ანგელოზთ ყოველთა წმინდათგან დაკლება, ეშმაკთ მიცემა,
საუკუნოთა სატანჯვლით ფსკერთა ძირისკენ დაცემა,
სად არის ყინვა უთმინო, უშრეტი ცეცხლი გეცემა,
და დაუძინართა მატლთ ჭამა, გველთა ზედა-ზე კვლა ცემა.

212. აქ გინდა უცხოს ქვეყანას წახვიდე გამოსამჩვენოთ,
ან თუ სტუმარი გეწვიოსთ, ძალისგან უფრო ეჩვენოთ;
თქვენი არ გქონდეს, სხვისი რამ ინათხოვროთ და უჩვენოთ,
და რას ხელს ჰყრით ასეთს საქმესა, იესოს თუ შეეჩვენოთ?

213. ყოვლის ქვეყნისა კაცთა ძე იქ მოვა, შემოიყრება,
გული გაავლეთ, გასინჯეთ, იქნება დიდი რამ კრება,
იქ რად არ გინდათ გამოსჩნდეთ და აქ გსურსთ ეჯიბ-მაყრება?
და თქვენისა სიცრუისათვის ბევრჯელ გულს შემომეყრება.

214. გმართებს, კაცო, კარგი რამ ჰქნა, ვირემდისი აქ ხარ ოდეს,
ემშაკის წილ სატანასა ანგელოზი დაგხაროდეს,
იუდასა უნაწილო დარჩე იქი შენ ეროდეს,
და მოკლე ესე რად გგონია, საუკუნოს ესწოროდეს!

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა მ ა

215. სოფელო, კიდევ გიზრახავ, არც გაგვეძღება უშენოთ,
არას ვარგივართ შენ არ გყვე, ვით სახლის ხე-ტყე უშენოთ.
შეურჩომელი მამულიც ცუდია, რად მოვაშენოთ?
და თუცა გვადორებ, პასუხად ჩვენ ძრახვა მოგვაქვ საშენოთ.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა

216. მართალს გეტყვი, კარგი ვარ და დიად ძნელად დასათმობი,
პირველ ტკბილი, საამოვნო, მერმე ანჩხლი, დაუთმობი;
ძნელი არის სულ მიტყოდეს ვინ ჩემია ამბვის მბობი,
და არვინ მინდა ზოგარჩინო ბოლოს ჩემი დაუგმობი.

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა მ ა

217. საწუთროვ, დაგიყენია: „ცრუ ვარ და არ შეგრჩებო, შენ გაქვსო, ვისცა არ ჰქონდეს, მიეც, ნუ ეურჩებო.“
მუქარობ, მაგრამ ჯერ კიდევ მაქვს, მეც რას ვეჩუებო,
და რაც მიშოვნია, სხვას მიეცე, უმისოდ რით დაერჩებო?

218. რაცა მაქვს, ერთპირ გავფანტო სალარო, ჩემი ქონება,
მე ვინდა მომცემს, პატრონო, ამას გაავლე გონება?!
წარამარაობ ყველასა, იტყვი რაც მოგეგონება,
და არ დამჯერდები ცოტ-ცოტას, ვაძლევ, ვინც დამემონება.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა

219. აჰა, კაცო, მე სიცრუეს მძრახავ და შენ გამოსჩნდები,
ამბობ: „ჩემი საქონელი სხვათ რომ მიეცე, არ წაეხდები?“
რასთვის ხელობ, რაზედ იტყვი, რას მიედებ-მოუდები?
და ასეთს რასმე დამანახვებ, საგინებლად მომინდები.

220. თუ ერთს უსჯულოს ვაქარსა ენდობი, მისცემ მრავალსა,
წარგზავნი ასეთს ქვეყანას, ვერ იცნობ შორე საეალსა,
ან ნაეში ჩასდებ ზღვაშია მღელვარე ძნელ-გასავალსა,
და ამას არ იტყვი, გლახაკთა ვინ სწყალობს, ღმერთსა აეალსა.

221. გასმია, თვითანც გინახავს მრავალნი ნავნი დანთქპულნი, ხმელზედ ვაჭრები მეკობრით დაცრცილი, შიშვლად დასმულნი; მას ენდობი და მას მისცემ, რომ ნახო ველარ მოსრულნი, და ამას არ ისმენ, რა არის წინასწარზეტყველთგან თქპულნი.

222. ყოველნი დიდად აქებენ გლახაკთა მოწყალებასა, ამხანაგისა გაწყობას, უცხოთა მოყვარებასა; მას ენდოთ, ვინ რომ მართალს გეწვრთნის, ეს არ სჯობს სხვის ყურებასა? და ვინ ხართ, მოწყალე, მდაბალნი ძლივ ეღირსვარ თქვენსა ხლებასა.

223. რასთვის ქრისტეს არ უჯერებთ, ვინ არს ყოველის შემძლებელი? გეტყვისთ: „რასაც მცირეთ უზამთ, ჩემიაო სამებელი, მე მავალთო მრავალ წილად, მოკცემ, ჰპოვოთ საქებნელი“. და იმას ენდევე, კაცო, ნუ ხარ ცრუი სხვის მაცილებელი.

224. რად მკირის სარგებლისათვის კაცს ავასხებ და ღმერთს არა? ვის აქვს მრავალ საუნჯენი, მოვალედაცა მგონ კმარა! ვინცა გასცეს მის სახელზედ, ხედავ, იმასვე ახმარა. და დრო გარდასული შვილის სხვის, ისაკს წარ[მო]შობს მით სარა.

სიტყვა კაცისა კმ

225. რა ვქნა, სოფელო, შეილები მყავს, მიყვარს, მებრალებისა, მინდა დაუგდო მრავალი სალარო-საუნჯებისა, მე ძლივ შეეკრიბე, დათბლდენ, ამით სად ეშოგებისა? და მოვკვდე ეს მინდა, მით მიყონ წესები რამ სულებისა.

პასუხი სოფლისა

226. კაცო, რომელმან არ იცი საქმე ერთის ჟამისაცა, რამე არის მომავალი ქვეყნისა და ან ცისაცა, ეგ ვით იცი დიდ-ხანს უკან რა იქნება, მაცა, მაცა! და შვილისათვინ ნუ ირჯები, ღმერთს მიანდევე, მას დააცა.

227. ეგ როდის იცი, უწინა შენ მოჰკვდები თუ იგია? შენი ქონება მტერს დარჩეს, თუ შვილებს, რაც მოგიგია, ამოდ ამბობ ყრუულად, რას იტყვი, ვერ გაგიგია, და უცოდინარი ლაყაფი, არ იცი, მწვე აუგია?

228. თუ შვილისათვის ირჯები, დაუკდე, საუნჯე დესა. ღვთის წინ სიმართლე წყალობით ნიადავ მათ მოხედდესა, ყმა, ანხანაგი, მოყვარე შენს უკან არვინ ყვედრდესა, და მამული მოუდევარი, საბრალო, ნუ ვინ სწყევდესა.

229. სულის საქმე, რომელიცა შენ ქმნა, გერგოს უფრო სხვისგან, რაც შენ გასცი, შენი შენთვინ წაგიხდება არა ვისგან, თორ შენს უკან რაც გაგიცენ, ქება გქმას არაუისგან. და დამიჯერე, დაჯახლოვდი, ნუღარ დარბი შორს განის-გან.

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა ლ

230. სოფელო, სად იშობება აგრე მეფობა, მთავრობა, მამული, ანუ სალარო, თუ გინდა დიდ-ვაჭარობა? აგრე სიმართლით ვინ იპყრობს, ან ერთსა ვინ შეესწრობა? და კიდევ რომ გითხრა, ნუ გიკვირს მაგისი მე უარობა!

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა

231. უფრო ღვთით და სიმართლითა იშობება ეგვები, უიმისოდ კიდევ კპოო, ცუდია, ქვეშ ნუ ეგები. ისიც ისრევ წაგერთმევა, ლახვარზედაც აეგები, და მართალს ვამბობ, დაიჯერე, ნუ ხარ კაცი შეუგები!

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა ლ ა .

232. ვინ დაგიჯეროს, სოფელო, მეფეს ნუ უნდა მეფობა, სახელი, ბრძოლა, ლაშქრობა, კვლავ ლხინი, ვარდთა მკრეფობა, ვაჟკაცს ცხენი და აბჯარი, ბატონის სიიფეობა, და ნადირობა და უკუყრა, მყეფრისა ხშირად წყეფრობა?!

233. თავადთ, მთავართა მთავრობა ნუ უნდა, საქმის ხელთ ქონა, აზვავება და სიმდიდრე, ქიშპები; ნუ დაბაქონა; ბერებს დიდ-დიდი სახელო, სულ უმცროსთ აგერ ოქონა, და თუ ეს არ იპყრან, მაშ უთხარ, თუ თავი რითლა იქონა?

234. ვაჭარს ვაჭრობა, სარკებლის ნუ უნდა ბევრი იშოოს, მაშ, რა ქნას ცოტას პატრონმან, თუ სხვისგან არ მოიშოოს? მუშამ პარტახი ნუ მოხნას, თუ საღვე ეული პოოს, და ხარს არ ძალევედეს, სახრითა ხან არ უძახდეს „ო-ო-ო-ს“!

235. მაშ რით დავრჩეთ, ისიც ბძანეთ და ან რით გამოვიზარდოთ? შენ ამბობ და დაგემოწმობთ, ჩვენცა სიტყვა სიტყვას დავერთოთ. შემოქმედმან ჩვენთვის შეკქმნა, მოგიხმაროთ, ლხინი წავერთოთ, და ჩვენ არ გვინდევ, რა იქნები, რაზომ სიტყვა ავიზართოთ!

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა

136. ვაჟო, როდის გეუბნები, არ ვარგვარ და ნუ გინდივარ? ევ ვის ეთქმის: „ავი ვიყო, ისომ ასე მწვე ვარგივარ“? თქვენ მოხვალთ და მალე წახვალთ, მე სიმაგრით აქ გიდგივარ, და რიგი მოსდით, რიგი მიზდით, საბრალოვე აქა ვგდივარ.

237. რომელმან ზომით, სიმართლით მიხზაროს, გაღანამც ვარგვარ, ჩემა უსახლვროთ მოყვარემ, თქვენომ ხართ, ევვ დამავგარ, კეთილი ვერა იყოთ რა, სიცრუვის საქმისა მომგვარ, და აქ დანისაჯნეთ, იქ წარსწყუდეთ, რას წაგვერთ, მევე მალ მომგვარ.

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა ლ ბ

238. სოფელო, ერთი ესე გჭირს ყოველისგან უჟარესი, გულს დასაკლისი, საწყენი, ნაღლისგან უუმწარესი, კარგიც საქმისა შორს მყოფი, სამტეროდ კი საქმარესი, და ამის გამოის არა ხარ არვისგან შესაწყნარესი.

239. ერთს ახალსა მოწიფულსა ხელისმყრელსა სიკეთისას, დღითი-დღე რომ მატულობდეს ყოველს წესსა ზნეობისას, ვინც ნახევდეს, ზეფრფინვიდეს უნახთ ნახვად სანატრისას, და სენსა შეჰყრი, დაცაუტკნობ ყვავილს მისის შეენებისას.

240. მოჰკლავ, დაჰყრი მის საყოლსა, ვით ირემს ღვიძლ-დაკოდილსა, დაამწარებ სიცოცხლესა ყოველთ დღეთა, არ ერთ დილსა, უემოდ მოჰკვეთ ახალ ნორჩსა, მას უებროდ ამოსულსა, და ვით გვპირდები სიკრუვესა, ათაებცა დაქადილსა.

241. სხვას ერთს ასრე დააბერებ, თვით სიცოცხლეს შეაზარებ, საყოლს ყველას მოაძულვებ, მაზე არვის არ ახარებ; უცხო ნახავს, თვალს მოარიდს, ახლოს აღარ მიაკარებ, და უძღურების ცხედარს დასცემ, კარხედ მიაგლადც არ მოარებ.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა

242. რაც მაგ სიტყვისად ჯერა-არს, წმიდათ წერილთგან ისწავებ აგერ ძეს საღვთო წიგნები, უკან ნუ მიხვალ, წინ წავე, იკითხე, გული გააღლე, სად არის — იქ შეისწავე, და ეგ ჩემი ბრალი რა არის, მიწა შეიქნას მიწავც?

243. ყოვლი მუშაკი მის მის დროს მოჰკვეთს მის სამუშაკოსა, ოდეს იხილო ჰაბუკი უამს ახალს სასაკოსა, ჩემ მიერ წარტაცებული ვით კრავი არ საბაკოსა, და მართალი, ღვთისა მოშიში, შორს მყოფი საეშმაკოსა?

244. მხედველმან დაფარულთამან სხვისათვის გამოირჩია, ამის წილ სასუფეველისად იგი უნუერო ნორჩია, მას ჩემი ცოდვა არ მოსცხო, მით შემომძახა: „მოგრჩია“. და მე დამიმძიძა, თამამად დამხვდა, ვერ უუხარ: დამრჩია.

245. ან მოწიფული მადლსა და ცოდვაში მყოფი, განსული, ცოდვისგან უფრო მადლისას ხარისხსა ზედან ასული, აღარ მიტყუა სხვას ცოდვას, აღისით იხსნა გან სული, და უფალმან თვისად მცხიდა, ყრმა იყო, გინა ასული.

246. უკეთუ მოკვდეს ცოდვაში მწვე დიდად გარდარეულსა, ხედავს, ვინ იცის ფარული, ავისგან მას მორეულსა, მის ძლით სხვა აღარ აბრკოლა, მყოფს მაზნდ მე მისეულსა, და აქაც მოკვდა და იქიცა, მივცემ მას მისაე სეულსა.

247. ეცევითარი სიბერე სიტყვითა რომ შემოიღე, ამ ორთ პირთაგან იქნება, გეტყვი და სული დაიღე. შტრისაგან რგება საქმისა შენა ჰქმენ, შენ შემოიღე, და გითხრა მართალი, თუცაღა ქრთამი არვიზე გაიღე.

248. რომელი სათნოებითა ცხორებდეს სინანულითა, სიბერის პატვის ღირს იქმნას, უმანკობდეს გულითა, ჰნებაეს უფალსა, აღვიდეს ზეცას უბიწოს სულითა, და მე, მწიკლოვანი სოფელი, მოვძულდე იქ მისულითა.

249. ანუ თუ მოუქცეველად მცოდნელი დაბერდებოდეს, ვინათგან ვსური, არ ზრუნავს უმჯობესისად შვრებოდეს, არ წავერთმევივარ, მე უყვარ მანამდინ გაეძლებოდეს, და აქავ მიიღო ნაწილი მისი, რომ მას ვერ სწორებდეს.

250. მაგ საქმისათვის მრავალი თქმულა და იძიებიან, გარნა რომელნი წმინდათა წერილთ არ გიუწყებიან, იმისგან კიდე არა ხაჰს, ამას სხვაც მემოწმებიან, და ღვთის საიდუმლოს ძიება, ვერცავეინ მას მისწვდებიან.

251. ეს შვილთა ნათლისღებისთა არიან განჩინებული, არ მათთვის, ვისცა არა სწამთ ღვთაება ერთარსებული; პირუტყვებრ ღმერთსა იცნობენ, სხვა სჯული მიდ-მოდებული, და იესო ქრისტე ღვთათ არ სწამთ, ღმრთებრ უენებ, კაცებრ ვნებული-

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა ლ ზ

252. მაშ, გვასწავლე მრავალ-ფერად, მბრუნაო და ავად მქცეო, ვინ აშენებ ოხერსა და ზოგს ქალაქებს მოაქცეო. ერთს შეაბამ მხნედ, მამაცად, მეორეს კი გააქცეო, და მერმე მეც რამ მოგახსენო და პასუხი მალ მოგცეო.

253. ვით უხამთ შენი ხპარება დიდ ხელმწიფეთა, მეფეთა, მთავართ, დიდებულთ, სჯულის-თავთ, მღრდელთა არ სისხლთა მჩქეფეთა, მოლაშქრე-მონადირეთა, ვაქართა ღართა მკრეფეთა, და მდიდართ და გლახაკთ, მუშაკთა დილით ღამემდინ მყეფეთა.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა

254. არა, რა გწვართო, რაზომცა კარგი რამ გითხრა, მმზერ მტრადო! არას მიზადლი, მაგინებ, მაგისთვის დავშვრე მე რადო? ჯერ დაასრულე წყევა და მჯილი უქუმკარ ზორადო, და მერმელა გაჯავრებულმან გასწავლო რამე სწორადო.

ხატყვა კაცისა ლ

255. თუცა შენის მტერობითა არ მიტევ, რომ დაგაცალო, არ გწყვევლიდე, არ გყვედრიდე, სიმუხთლეს არ დაგაცალო; მაშინც სიტყვა შემინახავს, დასახნავად დაგაცალო; და მაგას ნუ ექვ, თუ სიტყუვე წინ მიგდო და დაგაცალო.

წვრთა სოფლისაგან კაცთათვის თავი ა

256. სწავლა სოფლისგან კაცისა პირველი თავი ეს არი, თვეს იანვარსა ყინვისად დრო მოგვეახლა, ეს არი; ზოგ-ზოგი უზის თბილს სახლსა, ზოგი სიცივით მკენესარი, და მეფეთა უწინ ხსენება მანკა თქვა დანაწესარი.

257. გაუწყყო რაზომ მართალი, ევრეთცა არა ისმინოთ, ერთხელ ამოსწყდით წყლის რღვნითა, კვლავ კიდევ ჩემში ისმინოთ. სხვის წვრთილებასა ჩემი სჯობს, ეს აღმასია, ის მინოთ. და თქვენც დამემოწმნეთ ყოველნი, მოგვონდესთ, თითზე იკბინოთ.

258. მეფეთ უხმს შიში ყოვლს კაცთა, უფროსი ღეთისა ცხოვლისა, მით რომ ის არის მეუფე მალალ-მდბლისა ყოვლისა, იგია ყოვლგან მხედველი დასავალ-აღმოსავლისა, და თუ მე არ მიჯერ, ისმინე სიტყვა მის პავლე-სავლისა.

259. ამასთან რჯულის სიმტკიცე, სიფრთხილე სამართალისა, მცოდველთა ზომით შერისხვა, ჩვენება მრუდად თვალისა, ერთგულთ წყალობა, პატივი ბევრგვარად დანათვალისა. და სიბრძნე, გონება, ჭკვით ცოდნა საქმისა მომავალისა.

260. ქვრივთა, ობოლთა მოწყალე, თვალის მომვლები შორეთა, ყოვლს მძლავრს შიშს უნდა დასდებდეს, გლეხს ძალი მოაშორეთა, მართლის ყურისა მიმგდები, მოძულე ცრუ მეჭორეთა, და საჩივრის გამგონებელი, მომცდელი მის მეორეთა.

261. ოდეს ნახოს მიმძლავრებით ქვრივი ძალს ქვეშ ნარებია, ასე უნდა იტკივნებდეს, ვით დედა შესწუხებია; კვლავ ობოლი—ვითამც შეილი თვისი წინ ასტირებია, და დაადუმოს სამართლითა და სიტკბოთ ნამტირებია.

262. არცავეს თვითან მძლავრობდეს, არცავეს სხვას ამძლავრებდეს, ლაშქრის გაწყობა-ზავთთა ქვეყანას გარე მორებდეს; წარმოიტყოდეს ბრძნად სიტყვას, ავს პასუხს არ აშურებდეს, და ვინ ღმერთი იცის, ესეც სჭირს, მას მტერი რითლა მორევდეს?

263. მეფე ჰბამს მგზავსი მკურნალის ბრძენისა მის ხელოვანისა,
ვით მან სნეულს და მრთელზედა არ მაჯა ერთი ჰპოვნისა,
ყოველს სნეულსა სხედასხვა წამალი მოუწოვნისა,
და ზოგს კიდევ წყლული გაუჭრა, იმ სხვას კი მოუწოვნისა.

264. ვითა ვოქვი საქმე მკურნალთა, მეფეთზეც აგრევ მეუქმისა,
ჟამი პატივის სიტკბოთა, ჟამი შერისხვა-წყრომისა,
ჟამი ღუმელი საქმისა და ჟამი კვლავ განცხრომისა,
და ვით იტყვის ბრძენი სოლომონ, ჟამია ყოველი საქმისა.

265. არც ყოველთა სწორი პატივი, არც სწორი რისხვა ზოგადო,
პატივის შემწყნარებელთა მის-მის დროს მისა მგზავსადო;
მას რისხვა, ამას საწვრთნელი; ვინ შუთობს, არის ბორჯადო,
და ზოგს შეუნდობდეს და ზოგი არ უნდეს დასაზოგადო.

266. მოძღვარი ცოდვის მკურნალ არს, აქიში ხორცთა სენისა,
თუ ერთმან ხორცს არ დააკლოს, სულს ვერათ განუსვენისა;
მეორემ ხორცი განჰკურნა, რომლითა სულსა კპენისა.
და ბრძენს მეფეს ორთავ წამლობა ძალუც და კარგაც შეენისა.

267. მეფეთ წინ ბოდისს მოვითხოვ, ავი რამ მეთქვას, შემინდონ,
რაც არ ვიცოდე, მისი თქმა არ ბძანონ, აღარ მომიდონ.
თუ არ უნდოდე, გამიტყდენ, თუ მინდონ — კიდევ დამინდონ,
და სად ცუდი სიტყვა ეწეროს, მიჩვენონ, ხელი დამიდონ.

სწავლა მღრღელთ-მოძღვართა

თავი ბ

268. რანიც არიან მსახურნი წმინდისა საიდუმლოსა,
პატრია[რ]ქი თუ სხვა ვინმე, მთავრობდეს ან ვინ იმდღლოსა,
დიდი რამ უხამს სიწმინდე, მსგავსად მის უსხეულოსა,
და მყუდროებითა ცხოვრება, განკრძალვა საუსულოსა.

269. ნურავინ ქრთამით დაიპყრობს, ნურც დიდ-გვარობით საყდარსა,
ნუ იჩემს თვითან სიწმიდეს, სხვას ხედავს მისგან უქდარსა.
სიმშვიდისა და სიმდაბლის ხამს გარ იხვევდეს სუდარსა,
და ჩემს შეებას ასრე მოშორდეს, ცოცხალს ჰკონებდენ ვით მკვდარსა.

270. თუ სამწყსო ვინმე აღილოს მსგავსად პირუტყვის, ცხვარისა,
თავის თავითა, ან ძალით დაპყრობა ბაკის კარისა,
მაშინ დაჰკარგოს, არა აქვ პასუხი მას უარისა,
და მყის უნდა უზლოს უჯალსა მის ნდომით მინაბარისა.

271. ძალად თუ ვინ დაადგინოს, მაშინც უხამს სტეინვა ხშირად,
დღე და ღამე მღვიძარება, მხეტთა იყოს სულ საშიშრად,
სამწყსო მისცეს სწავლა-ჰამად, არა ჰყვანდეს მისგან მშვირად,
და წვრთილება და ქადაგება ხელთა ეპყრას მუდამ სტეირად.

272. მეფემ თუ მწყემსი უღირსი დასვას, რა ესე უქმნია?
თავის სენზედა მკურნალი მიჰყავს, უცოდნი უქნია,
მართელი რამ ხორცი დამპლის წილ მის ძლითა ამოუქნია,
და სიბნელე დაუც ნათელზედ, სულ დაუგსია შუქნია.

273. ვედრივარ წმინდათ ამისთვის, არვინ მიწყინოს ესა მე,
პატრიაქ-მიტროპოლიტმან, ეფისკოპოსმან ე სამე,
მოციქულთ განაჩენია, მანდ თუ ივარგებს ეს ამე,
და მაკურთხეთ, დაცამლოცვედით, შენდობა ბრძანეთ მესამე.

სწავლა სოფლისაგან მხედართა

თავი ზ

274. თავადთ, დიდებულთ, მონათა, დიდთა თუ ანუ მცირეთა,
პირველად სჯული, მეორედ ყველამ ეს დააპირეთა:
თავის პატრონსა დამონდით კარგ-გულად, ნუ ავ-პირეთა,
და სჯულის-თავთ, ეფისკოპოსთა თავიდაბლად ემსახურეთა.

275. მონათა უზამს უფლისა მოწყალეთ, უწყალოთაცა,
სახიერს დამორჩილება, უსახურს უწყალოთ აცა,
ვის რა გაქვსთ ნურავისთვინ გშურსთ მდიდართა, საწყალოთაცა,
და ჰზამს დაჯერება ამისი, ვითარ არს უწყალოთ აცა.

276. ერთმანერთის სიყვარული, ზომისაებრ ცხენ-აბჯარი,
ნუ ტყვის სყიდვით და პარვითა, ეგ არ არის მოსახმარი,
ისე შოვნით და ბატონის ბოძებითა, ესა კმარი,
და მუდამ უნდა მის ქვეყანას განწყობილი იყოს ჯარი.

277. ქვეყნის და თქვენის სჯულისა აღვიჩნდესთ მტერი სამეთა,
სიმხნით შეითქვით მათზედან და ყველამ ეს იწამეთა,
მათი შებმა და სიკედლი ლხინურად გაიამეთა,
და თუ მათგან მოჰკვდეთ, მიიღათ ნაწილი თქვენ მოწამეთა.

278. მხედარი უყვარს მომპირნე უფალსა ერთგულობისა,
ცხენ-გაწყობილი, იარაღ მორთული უკლებლობისა,
მეფეთ ერთგული, ქვეყნისა შემძლე გარ-შემამელობისა,
და ხელ-გამომავლად მომკრები სიკეთის დარგულობისა.

279. ვახ, ვახ, რა სანატრელია, მოყვე ასეთი მქცეველი,
სჯულ-მტკიცე სათნოებითა, ქვეყნისა არ მაქცეველი,
ცხენ-აბჯარ დაუკლებელი, მამაცი, არ გამქცეველი,
და მისის სჯულისა მტერისა მებრძოლი, სისხლ-დამქცეველი.

სწავლა სოფლისაგან ვაქართა

თავი ლ

280. ვაქარნი ნუ ნამეტნავით მიიწყავ, მისცემ მცირითა,
 ნუცა ადღ-გძელობ აღებას, გასყიდვას შერები მწირითა,
 დიდად მოირქვამს ვინც იღებს და მისცემს სწორის უღლითა,
 და ჩვენგან სიცრუით ნაშოვნი წაგერთმის კვლავ სიცრუითა.

სწავლა სოფლისაგან მუშაკთა

თავი მ

281. მუშაკმან თვისი ნაშრომი მოიმკოს მრავალ წილადა,
 არ ნაპარევი, სიმართლით რაც ჰქონდეს დათერძულადა;
 ნაძალადევი ორნატი შეუშთვეს ცკლეულადა,
 და ცრუ ფიცით გამოტანილი ვენახა არ მოსთვლილა, და.

სწავლა სათანადო სოფლისაგან ყოველთა კაცთა

თავი მ

282. ოდეს გამდიდრ[დ]ე დიდი თუ მცირენი ნიქით ღკთიანადა,
 თავით შენითა, ან დაგრჩეს შოვნილად კვლავ მამისადა,
 შეიმოსე და შემოსე ვინ სწუხდეს სიშიშვლისადა.
 და უნაყოფანოდ სვი, ჰამე. ლხინი, მინახე, ვთქვი სადა?

283. ნუ გააბრუნებ უკმელსა კარით შენითა მშვიერსა,
 ერთი გთხოვდეს თუ რამდენი, რა შეკრბეს ბევრი ჰიერსა.
 ვინ გინდა იყოს, აჰამე, ნუ დაუყინებ სულ ბერსა,
 და მან დაგიმადლოს უზომოთ, ვინ მატინეს გიწერსა.

284. აზხანაგს წინ მიეგებე თავ-მდაბლად შორ მომავალსა,
 ნურას დაუქერ გასაცემს, თქვას იმან: „ეს მე მავალსა“.
 ეს დაგრჩეს, სხვა არაფერი, ჰე, კაცო, შენ წარმავალსა,
 და უმჯობეს არის სახელი კეთილი განძსა მრავალსა. ❖

285. უცხოთა მოყვარებითა აბრამ მით ღმერთი ისტუმრა,
 მალ შეემზადა რაც დახვდა, არ ნამზადისი ისუმრა;
 სარრა დაფარვით განილიმს, მაგრამ შეუტყვეს სასუმრა,
 და ვის სძულდა, ის დაისაჯა, ავ-პირად ვინ გაისტუმრა.

286. შეირტყთ სარტყელი სჯულისა, სიმხნისა, გულადობისა,
 თქვენის ქვეყნისა სიმავრის, მეფეთა ერთგულობისა;
 ცხენი, აბჯარი გაიწყეთ სალაშქრო, ნადირობისა.
 და როსცა დასჭირდეს პატრონსა, სჯობს, ვინც მალ მიესწრობისა.

287. სიხარულით წადით ლაშქარს, თუცა სისხლი გენტხეოდეს, ქვეყნისა და პატრონისთვის სასჯელს არვინ შეულონდეს. ვინცა მოკვდეს სჯულისათვის, დაიჯერე, ესე ცხონდეს, და რაც გარდარჩეს მეწინავე, მას სახელი დიდი ჰქონდეს.

288. კარგია და ღვთის წყალობა, თუ ჟამია მშვიდობისა, მეფეთ ხლება, ამხანაგთან უკუყრა ნადირობისა, შეგებულთან კაცთან ლხინი ნადიმის და პურობისა, და ხან შინ ყოფნა, სიხარული და ალერსი და-ძმობისა.

289. თუცა თუ ფერად-ფერადთა ტანსაცმელსაც აქვს ხარება, კარგია მოკმაზულობა, კარგს კაცს მწვე შეეხამება, მაშინც ცხენი და აბჯარი სჯობს, უფრო მოეხმარება, და ცუდს კაცს რომ კარგი ჩააცვა, მას კი ვინ მიეკარება?

290. საკაცო მუდამ საცმელი მგონია ზნე-კეთილობა, სიბრძნე საღვთოსა საქმისა, საეროს კარგა ზრდილობა, სიმშვიდე, სიტყვა-მარჯობა, სამართლის განმკვეთილობა, და უამაყოებით სასირცხოს საქმისა მოთაკილობა.

291. ვის ეს სჭირს, ეს სჯობს კაბისას ჩაცმასა ახალ-ახლებსა, სტავრასა, ხარა-დიბასა, ატლასბაბსა და ნახლებსა, მალალსა ტურფად დახატულს სარაიას და სახლებსა, და მას აქებს კაცი ყოველი, მეფეცა მას იახლებსა.

292. ამით სცან, მეფეს თუ ვინმე ესტუმროს კაცი შორითა უცნობო მისი სახელით და მერმე გვარის-გვართა, ამხანაგი და მის ალაგს მყოფნი პატივის სწორითა, და ერთი საიად, მეორე მორთული თვალ-გუართა.

293. უწინ მას უპყრან პატივი, რომელს ემოსნეს სტავრები.. ტანისამოსის სიკეთით ვნახე თავს გარდმონარები, დიდებულთანა დამჯდარი, შინაგან ეკალ-ნარები, და რა გაუსინჯეს ზრდილობა, არ იყო მოსახმარები.

294. ჰკითხეს და ვერა ეგეთი თქვა რამ, ვით გარეთ ემოსა.. გათითხნა რამე, შეჭამა, აპყვა სულ პირის გემოსა. კვლავ დაჰპატიჯეს, ზნეობა, შეხეთ, თუ არ იჩემოსა! და მაგრამ ზედა-ზედ პატიჯმა, მგონია, გააჩემოსა.

295. საიად მოსილს უმზერენ საქციელ განკრძალულადა, მერმელამ რა თქვა სასიბრძნო, ყური მიუპყრეს სრულადა, დაჰკრა ზნე-კეთილობასა სანდომად, კარგ-უსულადა, და მორთული ესრეთ გაზრდილა, ეს ასე ამოსულა, და.

296. რადგან მეფე მათ უცნობთა საქმეს ასე რამ იხილდა, ენახეთ, შესწრფა, დიალაცა დაუძიმდა, შეწუხილდა, წამს უყოფდა მეღვინესა, გაცლის ნდომას არ უმხილდა, და აუესეს და ვერ დაღია, ადგა ავად, წაფორხილდა.

297. მაშინ მეფემან შეხედა, მას დაუტევა ეს ახლო, დაუწყო იმას ალერსი, ბძანა თუ: „ეს ა საახლო, ეს ისმენს წადიერად და ძლივ საქმელს ხელი დაახლო“. და თქვის: „მისი თესლიმც გასწყდება, აშენდი ამისო სახლო!“

298. კიდევ რამ გითხრა ამისთვის უფრო დაფარვით, იგავით, ორში ერთია უმჯობეს და მეორეა იგ ავით; შემკული გარეთ, შინაგან საუნჯე სხვას აქვს იგა ვით, და რომელიც სჯობდეს დაიგდეთ და უდარესი ი გავით.

299. ერთი მოთეთრო ქალაღი და ვარაყ-შეფრქვეულია, კარგ-ხელნაწერი, მაგრამე ამბავი არეულია; სხვა მოყვითანო, ფრჩხილ-ყვავად, სასიბრძნოთ დაწერილია, და ბრძანეთ: რომელი სიკეთით ამათგან მორეულია!

300. ოქროთ შემკულსა ებანსა სცემს ვინმე, ავად აჟღერებს, სხვა ლიტონისა შეშისას ჰკრავს ტკბილად, ამო ამღერებს. ორისავე მცოდინარენი გულს რომელს უფრო აჯერებს? და რომელი შენდა უმჯობეს, შენ გეტყვი, ყელ-მონაღერებს?

301. მისიმც დედ-მამა ცხონდების, რა ღინდ რომ იყოს ცოდვილი, ვინც შეილი კარგი დააგდოს, ზნე-სრული, კარგა გაზდილი; ულხინო აღარ გამიშვას, მაკამოს კარგი სადილი, და ის მოკმაზული სადგომს ჯდეს ავი რამ, ცრუ მოქადული.

სწავლა სოფლისაგან კიდევ საერთო
თავი ზ

302. ეს მეშვიდე წერთა ისმინეთ, ყოველთაა სათანადო, თავადნო და დიდებულნო, აზნაურნო, მუშავე, ნადო, ჭიხამსთ სხვათა წვრთილებასა ესე სწავლა მათთან აღო, და ნურავინ ნუ გაუმტყუენებთ, ვინ ერთმანერთს მისცეთ სანდო.

303. მშვიდნი იყვენით, რამეთუ მე მშვიდნი დამიმკვიდრებენ, ყოველი მეშფოთე, გულ-ანჩხლი სიცოცხლეს დამიწარებენ; ავად შერებიან, საძაგლად, ვერა-რას გაიხარებენ, და ვინ მოყვასს მთხრებლი უთხარონ, თვითვე თავს ჩაიკარებენ.

304. კაცო, რას ზომის უფროსად გულს გაიფიცებ საშფოთლად, აღიმღვრევ თვალსა, ციოდეს — პირსა გაიხდი საოფლად, აღმოუტევებ სიტყვასა მწარესა შხამად და გესლად, და ამხანაგსა და მოყვარეს აღარ ახსენებ არც ფოთლად.

305. რად არ მიხედავ ზღვის ლელვას, არ გარდახდებ საზღვარსა, — თვის ლელვას ზედავ იმუსრავს, ნაპირზე წყალსა არ ღვარსა, ქარსა სასტიკსა ჩრდილოსას და იძულებას სამხარსა, და შენ გონიერი ევ კაცი ემსგავსი წარმრღვნელსა ღვარსა!

306. კაცო, რას ზვაობთ, არ იცით რა არის წინამდებარე, ღამე რას მაკობს, დღე რას შობს, ვინა ხართ ამის მძებარე? ვერვინ მიხედება სრულიად იქი-აქ მიმომდებარე, და არავინ არი ღვთის მეტი სრული და დაუკლებარე.

307. თუ არ ძალ-გიძეს გულისა განურისხველად შენახვა, ენა დაღუმენ, ნუ გინდა ავის თქმა, სულთქმა, შენ ახვა! მერმელა გულიც დაამდეს, მოგინდეს კაის შე ნახვა. და პირველ ქნისაგან უწინ სჯობს საქმის გასინჯვა, შესახვა.

308. ნუ აღმოანთხევ შენსა და სხვის სწორად მაკვლინებელსა გესლსა მწარესა, რომ გვანდეს წითელსა სანელებელსა; ნუ აღმოუტევ სიტყვასა რას გინდა მაგინებელსა, და ყოველი კაცი გიძახდეს მოშულარ უამებელსა.

309. რადგან მადლობის სიტყვითა გაუმართლდები პატრონსა, ავის თქმითაცა ევრეთვე გნახვენცა კარ განარონსა, მიხედვ მოსეს მშვიდსა და დავითს და მათთან არონსა, და ის ღმერთს იხილავს, მეორე იცხებს მეფობის მირონსა.

310. ცუდი რამ მეწვრთნას, ნუ გინდათ, თუ კაი — შეიწყნარეთა, სიჭქართ ნურას გასინჯავთ, აქ გული დაიწყნარეთა; საამებელსა იამდეთ, საწყენზედ დაამტქნარეთა, და ნულარ მწყევთ, ნულარ მაგინებთ, ხმა სიბრძნით განარნარეთა.

აწ კიდევ კაცთაგან სოფლის სამღურავი

311. თუცა კარგა გვწრთნა სოფელმან, მაშინც უძრახავთ სიმუხთლეს, ამას ამბობენ: მაშ რა ვქნათ, სად რას უპოებთ სიმართლეს? არვიზე სამუდამოა, ანაზდ და ავსებს სინათლეს, და ყოველთა კარგთა ნაყოფთა დანასა მოსაკეთათ ლესს.

312. ვა ჯავრი ამის სოფლისა ცრუსა და დაუღვრომლისა, წამ ერთს ერთ ნირზედ არ მყოფის, მყოფის და მომავალისა, სიკეთის ცოტას მიმცემის, დამამხობლისა მრავლისა, და ვერ შეგვიგია, სით მივა კვალი მის მიმავალისა.

313. მყის მოიყვანს, წამს წაიყვანს, ეს ზნედა სჭირს სააუგო, ერთს თავს სახლი დააქცია, მას მეორეს, ჰე, აუგო; ამას ლმერთი აცნობინა და იმ სხვითა კერპსა უგო, და ზოგს გზა კარგად გაურკვია, ის დაჰქარგა, არ გაუგო.

314. გუშინ ვინმე განამდიდრა, ადიდა და გაახარა, დღეს დასცა და დაამდაბლა, საბრალო დააგლახარა, შემოსძახა: „ის ომ დაგეც, ფერხზედ რადლა მიდგახარა?“ და ასე შტევეს და უაუგოს ვით არ უთხრან „ვაგლახარა“!

315. იქ ახარებს და აცინებს, აგერ ატირებს, ატყებსა, იგ ვინმე იშვა განცხრომად, მშობელთა აამაყებსა, სხვათ დედ-მამათა შვილებსა სტაცებს ვით ჩიტის ბარტყებსა, და მათ ანადირებს, აბურთებს, დიდებს უკიდებს მაყებსა.

316. მხეცმან მისტაცოს რა კრავი ცხოვართ ახალი, ჩჩვილია, მწყემსნი ყიოდენ ხმა-მალლად და შექნან სიყვილია, ვერა არგონ რა, მობრუნდენ, დაიწყონ მწვე ჩივილია, და ეგრეთ მშობელთა ურგებად აგლოვს, მოუკლა შვილია.

317. ჰოი, სოფლისა მრავალნი საცთურნი ჩვენდა რწყმულია, დაუჭრის ძმათა გულდვიძლი, ვინ ვისი მოყვარულია; მოწყლის მოყვასნი, ვინ ვისგან ხლებითა მოხარულია, და გაყრით და ძმისგან სამუდმოთ მტირალი, ცრემლთა ცრულია.

318. ბატონს გახდის უყვოდ და ყმას ოხრად დასვამს უპატრონოს, უმისობა გულს სდაღვედეს, მუდამ უნდა სულთქმით რონოს, გმობდეს მისსა სიცოცხლესა და უბედურს ეტლსა კრონოს, და თუმც სხვა შოვნოს საპატრონოდ, მისებრ ველარ უპატრონოს.

319. ვინა იჩემებ, სოფელო, უმუხთლო-უხანობასა? იჩქითი რამ ხარ, ანაზდი კარგს ავის ზე დასწრობასა. ვირე გაუძლო შენს ეგზომს მუდამ ლახვართა სობასა? და ყოველთა გვათქმევ ამასა: „ვა ჩვენსა შენს შესწრობასა!“

320. მიჩვენე გუშინდელისა ყვავილის შვენიარება, სად არს სიტურფე, სინაზე და მისი ნებიარება, ფერი ყირმიზი-ყაყაჩო, თეთრ ბროლი შეიწერება, და ეგზომ სიკეთე არ ცუდჰყავ, რომე ძლივ დაიწერება?

321. სადა არს ლაწვთ თეთრ-ყირმიზათ შერთვა სიწმიდე ვერცხლისა? სადა ვარდობა ბაგისა, თვალთ წყალი მის სიმკვირცხლისა? წარბს შვენიერსა წამწმითა ძალუც დაბერვა ცეცხლისა, და ცხვირს მათთა შუა მდგომელსა ძალი აქვს მკედრის სიცოცხლისა.

322. სადა არს თხემის დალაღა, ბეჭთ საშუაღთა კოწოღნი?
ყელი მთიებთა უნათღე, ბეღაღურთ მკღაღეთა წანწოღნი?
იგი უღებრო მიჯნურნი ერთმანერთთანა არ მწოღნი.
ღა ერთბაღმად დაანთქ ყოვეღნი ღა უღერო ზენი ამყოღნი.

323. რა უყავ მეღეე სვიანი, ვისაც ჭეღეყანა ღახარღა?
პალატი სავსე ღხინითა, ან ის სიციღი ხარხარ, ღა,
კვღავ ნაღირობა, - შეღქეღვა, იღახღენ: „არის ხარ-ხარ, ღა“.
ღა აწ ოხრად სკვრეტენ ყოვეღთა, ასე სიღმუხთღეს მზა ხარ ღა.

324. მზერენ მოწყალის მეღვისას პორღირს, ტახტს ცარიეღაღა.
ჭეღე-მღღებარესა ვიღრგვისნა, სკიპტრას პყრობიღსნა ხეღაღა,
ხმაღს ოქრო-რჩუნვიღს, რომელი მტრის სისხღით იყო სვეღაღა,
ღა მის წიღ სხვა დასვი უშვერი, ვინ თავი ისახეღა ღა.

325. თუ დააჩნღება ზღვას კვღლი ზედ მიღმავღლის ნავისა,
სიზმრის რამ სარგებელია კარგისა ანუ ავისა,
სოფღის სიღმიღღრესც ეწნება ცრუსა ღა წარმიავღლისა,
ღა ამად არა სჩანს სიკეთე წონა ბუ ნატაღმღლისა.

326. რასთვის მგონია სოფღისგან კაცი უცრუე, აწ ვიტყვი,
თუ სიტყვა კარგად გასინჯო, დამემოწმები, ზენც იტყვი;
ჩემთვის ზეღმნიღი დავკარგე ღა გავისწორე პირუტყვი,
ღა პირვეღმან მამამ დავვიგღღო, მის გამო ასე დავიტყვი.

327. მას სოფელი რას მღღავრობღა, მისი ყვეღა არ ხეღთ ჰქონღა?
ღეთის ბრღანებას გარდავიღა, მტერს უსმინა, ის მოსწონღა,
ამით სოფელს დავგავონა, მისთა ზვიღთა მოგვიწონღა,
ღა ვა, უხრწნელი საჰოსელი განსახრწნელად მომიქონღა!

328. მამის ნაზრომი ზვიღებმან მოვიმკეთ, მოვირეწეთა,
მისით გვეუფღა სიკვიღღი, ცხოვეღთა დამემოწმეთა!
სხვას რას ვაბრაღებთ, მის გამო სიღმღღით მიწად დამწეთა,
ღა მაგრამ უფღლი პატრონი გვივის მოწყალეთ, ზემწეთა.

329. გუღისხმა პყავით მსმენელთა სიბრღნითა, ნუ გარეტებით,
პირვეღ პატიგვეცა უფღღმან ჩვენ მისის რამე ხატებით,
სული შთავგებრა ცხოვეღი წყაღობის მეტის-მეტებით,
ღა გონება, სიბრღნე მისთანა, ამღენს რას ზევეღატებით.

330. ეს არის ჩენი, ხატება ღეთისაგან ბოძებუღია,
მოგონება ღა გონება, ჭკვა ერთად წამებუღია,
უხმართა რადმე სახმარად ჩვენგანცა გაგებუღია,
ღა არ ვეღსგავსებით სხვას სახღთ, იგ არ არს აგებუღია.

331. სადაც არა ვართ, ჩვენცა ვართ ფიქრით თუ მოგონებითა, სიტყვით ჩვენც რასმე შევმზადებთ, არ ხელით სხვის მონებითა, ავსა და კარგზედ ფლობა გვაქვს, ორსავ ვიქთ ჩვენის ნებითა, და ხატნი ღვთისანი, ცუდს საქმეს ვშვრებით და არ ვეხსნებითა.

332. მზე და მთვარე ჩვენთვინ შექმნა, თორემ მას რას ეხმარება, იგ ნათელი სამუდამო არსად არ დაიარება, სხვას მნათობსა ბნელი მისდევს, მას კი ვერ მიეკარება, და ყოვლგან არის, ყოვლგან სწვდება, არ უხმს ეტლთა მოარება.

333. ცა და ცისა შემკულობა ჩვენდა სახმრად მოიგონა, ქვეყანა და ნივთი მისი მოგვცა, ყველა დაგვამონა, შიში დასდვა ადამისა, ზე უფლება გააგონა, და ერთი სიტყვა არ უსმინა, იპატრონა მით მამონა.

334. ვხედავთ ცასა და ქვეყანას შემკულსა სამკაულითა, რამდენი კ სხვადასხვა გვარით ნივთთაგან ნივთებულითა, მოგვცა, გვიბრძანა: „უფლებდით ჩემ მიერ ბოძებულთა.“ და ადამ დაჰკარგა, მოიწყლა, ჩვენც მოგვწყლა მისვე წყალულითა.

335. პირუტყვთა, თევზთა, მფრინველთა, მხეტთა, ქვე-მოძრავ ყოველთა, ვეშაბთა, ლომთა, ნიანგთა, სულ საშიშართა ცხოველთა მივიდეს, ადამს თაყვანი სცეს შიშით ვით მოკრძალებთა, და ყველას სახელი უწოდა მორჩილთა, არ მოძალებთა.

336. დაემონნეს მას ყოველნი, თვით არვისგან ეშინოდა, უთხრა: „წადით ქვეყანაზედ, ვერავინ ვერ მიწყინო, და“. თვითან დარჩა ეფემადვე მოსვენებით, ვით შინო, და. და პაი, ადამ მტრის ქებითა თავს დიად ნუ მოიწონ, და!

337. ღმერთმან ოდეს ადამ შექმნა, სიცრუვე არ დაატანა, მტერს შეშურდა მოშურნესა, წყეულს ჰქვიან ვის სატანა, გველს აზრახა ცთობა მისი, ევას სიტყვა მიუტანა: და „ჰამე ხილი ცნობადისო, ღმერთ იქმენო, აი ტანა“.

338. რა ევამ გემო იხილა მწარისა მის ნაყოფისა, ავს ვერ იცნობდა, მითა სცნო, შერცხვენდა შიშვლად ყოფისა; კვლავ ადამს მისცა, აჰამა, საქმე ქმნა განაყოფისა, და მანცა იხმია, გავარდნა ადრე სცნო კარკ სამყოფისა.

339. რადგან მცნებას გარდავიდა, მაშ ბოროტი ეუფლოდა, კარგს მოშორდენ, სტენს სირცხვილი, ვით მწვირეში დაეფლოდა, მწუხარების სირცხვილითა პირი მათი იოფლოდა, და გამოემხვენეს სამოთხითა, მტერმან მალე ასე სძლო და.

340. ოდითგან დაგრიით წყევას ქვეშ მის მამით ჩვენ შვილებია,
მიეიქცით მიწა მიწადვე, არა გვეყა მეშველებია,
პირველ დიდების პატრონი მით სხენან სრულ შიშვლებია,
და ქრისტეს მოსვლამდინ ჩაგვეყარა მტერთ ხელთა ჩვენ საწყლებია.

341. კვალად იესომ მოგვმადლა ნიჭი ეს უსასყიდლოდა,
ცა ჩვენთვის ბრუნავს, ქვეყანა ნაყოფით გამომდღელოდა,
სხვა ლარი ანუ საქურქლე ამისთვის მოგვემადლოდა,
და გვიბრძანებს, გლახაკთ მივსცემდეთ, ნეტარ ხართ გამომზრდელო და!

342. ზოგთ მიეცა დიდებანი ასეთს, რომ ვერ შეიტყვიან,
არ იმადლის, არვის მისცემს, ვინ უბოძა არ იტყვიან;
თვისი დადეს მოუხმარად, სხვათაც იმათ გაიყვიან,
და ვაიზე თუ თვით მე ვიყო, თქვიანო და არა ჰყვიან.

343. სოფელი ესე მსგზავსია ადგილსა ერთსა კრებისას,
ჩვენ ვაჭარნი ვართ, განხრწნადით ვიყიდდეთ უხრწნელებისას,
ამ საჭიროდამ ვისწრაფოთ მისვლად მუნ ფართოებისას,
და თუ ეს წარხდება; სხვას ჟამსა ვერ ვჰპოვებთ კვლა ვაჭრობისას.

344. ვთქვათ, სოფელი რასა სტყუა? გველია თუ ანუ ევა,
ვით რომ შექმნა შემოქმედმან, ისევე ჰგია, არ ისევა.
ჩვენის ავის ნაქმართა არ ესეც კი დაიწყევა?
და თუ უფალი გამოგვისევეს, რა ქნას, ერჩს და მოგვესევა.

345. სოფელი ჰგია მას ზედავ. მაარსებელმან ვით არსა,
ხან მოგვიღრუბლავს, ცვარს გვიცვრის, ხან ყინავს, ხან კი გვიდარსა;
ვინ ღმერთსა ესავს, მორჩილობს, ვერაზედ ეტყვის უარსა,
და სხვას საქმით ვერვინ დაიჭერს, ვერცავინ შემოუარსა.

346. რაც ნივთია, ღვთის ბძანებით მის-მის დროსა აგვიჩნდების,
ცათ შევინება გაუცვდების, მთა დიდ-დიდნი გავაკდების,
კვლავ ათასი წელიწადი მის წინ ერთ-დღედ გამორჩნდების,
და კაცისაგან კიდევ არსი საზღვარს ვერვინ გარდახდების.

347. ეს სოფელიც ჩვენი იყო, მისი ნივთიც, რაც ვთქვი წინარ,
მამა გვიც და დავგიკარგა შვილთა, მიხვდა ამას ვინ არ?
ოფლით ვიმკით ჩვენს საზრდოსა, კუროსთავეთა ხელთა ვინარ,
და რა უყოთ, თორ საქმე დიდი თავს დაგვადვა მწვე საწყინარ.

348. ხის ნაყოფისა მიზეზი ძირია, აღმოაცენებს,
 ეგრეთვე კაცთა მამადა ყოველნი ადამს ახსენებს,
 მისით მოგვიდგამს, ის შეგვეყრის სიცრუვის-გვარსა ამ სენებს,
 და მართალს ვანბობ თუ უზრახავ, ნურავინ ნუ მოახსენებს.

349. ადამ შექმენ ხატად შენდა, ზე აუფლე ყოვლსა არსსა,
 აღზელილმან მიწა-მტვერმან ეს პატივი ვით იღირსა?
 არ შერაცხა ეს დიდება, სცოთა, მით წყევა დაგვიარსა,
 და ჰაი იქმნა მიშვებითა, ვინ შენ მცნებას იუარსა.

350. ამად ვთქვი საღვთო-სასიბრძნო ლექსად, არ სიამაყათა,
 ეგება ამით ისმინოთ საწვრთნელი, არ ბაყბაყითა;
 მოგართვი თევზი, ბადესა სავსე გაქვს ვის ბაყაყითა;
 და ვინ ჯერხართ სარგებელი გაქვთ, თუ არა, წყალი ნაყითა.

351. საღვთოს წიგნების გალექსვას მე არვის მივეცმ დასტურსა,
 ნურავინ წამბაძავს ამაზედ, სიტყვას ისმენდეს დასტურსა!
 ჩემსა ნურავინ ნუ იტყვის, მისით მოგვესმა ჩვენ ყურსა,
 და სადა გინდ შემოიღებდენ, თათლს სწვეთდენ არ მშრალ ფიტურსა.

352. მე არ მითქვამს საღვთო წიგნი თავ ბოლომდინ სრულ ერთპირად,
 სადა გინდ რამ მოვიყვანე მუნასიბათ, არ ავ-პირად,
 არ ადელი მოსაგონი, ვეჭვ თქვენც ხედავთ გასაჭირად,
 და მე იეფად ყოვლთა მოგეც, რუსთველი ჰყიდს თუცა ძვირად.

353. ვინ სრულ ინებოს, ვით შესძლებს ინს არ აკლებდეს, ან ბანსა?
 ვინცა დააკლებს, რას ბძანებს, ცოდვას იღებს თუ ან ბანსა?
 ნამეტან ნაკლებისასა ის სჯობს, იწვრთიდეს ან-ბან-სა,
 და დაწერას მათსა იმღერდეს, გინა იტყოდეს ან ბანსა.

354. ვსტყვრეტდი წიგნებს მონასტრებში უბუღობით სულა ობდეს,
 სიტყვა მათი სასურველი საუკუნოდ გვიფასობდეს,
 საღვთოსა და საკაცობოს ორსავე კარგათ შეამკობდეს.
 და მას ყურს არავინ ათხოვბდა, ცუდმუღებზე ბაასობდეს.

355. საღვთო წიგნი ბევრი წახდა უყლოთა დქ უბუღობით,
 საშაიროს ინახევდენ სტაერის ბუღით, ან ნახლობით.
 უმჯობესი დაიფწყეს წესის რასმე აწ ახლობით,
 და სიმართლესა მრულზედ სცელიან სიცრუვისა მომზახლობით.

356. სრულ იქმნა წიგნი ბაასი ეს კაცისა და სოფლისა,
 წელს დასაბამით შვიდათას-ას-ოთხმოც მეთორმეტისა,
 აშთარხანს კაის ქალაქსა, მაგრამ ჩემს არ სამყოფლისა,
 და ზამთარ მწვე ცხესა; დიახ ცხელს ზაფხულ, მდენელსა ოფლისა.

357. ამავე წელიწადს ოცდათს მარტს აღდგომა გათენდებოდა, ნაკი მოჰქონდა ფებერვალს და ოცი ზედნადებობდა, ჩემის წელისა ჩამოსვლა ოცშვიდმეტად თავდებოდა, და ქრონიკონისა ასონი ტარონი, ბანი ჯდებოდა.

358. თუ არ ვთქვა, ვიცი დარჩება ბოლოჟამ გაუგონარად, თუ ვთქვა და არ დაიჯერონ ეს ადვილ მოსაგონარად. სამ თვე გათავდა ეს წიგნი, სულ ჩაიგდება ონარად, და იანვრით ოცდათ მარტამდის, ხან კიდევ ვიყავ მცონარად.

სიტყვა სანათლისგებო:

სიტყვა სანათლისებო

1. სიბრძნე მსურს, მწერტნელი არა მყავს, მაშ რა ვქნა, როგორ ვიშოო? მრავლის ცოდვისა მოქმედი, აწ წმინდათ ვითლა ვიშოო? მისი საკვრელი მიჭირებს, მკიშნედა რითლა ვიშოო? და მიხვს სინანული ვიძიო, თვალთ ცრემლი მიწყი ვიშოო.

2. ანგელოზთ ხილვა არ ძალუცთ, ვინ თანაარსობს მამასა, კაცთაც მცხენიან შეხედვად, პირს ვით მივხედო მე მასა? უგბილმან გულმან ბოროტი უანგარიშოდ მამასა, და ცოდვა მეუფლა, შემიპყრა, მყის დამიბა და მემასა.

3. ქრისტე, თუ შენ არ მოგხედო, სხვალა ღმერთი სადლა ვიცი? აღმოვხდე თუ ცად კამარად, შენც მანდა ხარ და ეგ იცი. ჯოჯოხეთსაც ახლოვე ხარ, თუ თავი სამ იქ ჩაიცი, და დავემევიდრო ზღვის დასასრულს, იქიც მწვდება ხელი მტკიცი.

4. თუ შორა გთქვა, ყოვლგანა ხარ, და თუ ახლოცა და იცი, ვინ იტყუა ერთმანერთზედ და სახერხოდ ცა დაიცი ვინ შთავარდა ვეშპის მუცელს უვნებელადცა დაიცი, და მორჩილნი და შენი ნება ქვემეთრევენი ცად აიცი.

5. სად გარდვიხვეწო, მაშ რა ვქნა, შენ სწვდები არსთა ყოველთა, შენ აცოცხლებ და შენვე ზრდი, რაც რა არს სულს და ცხოველთა. უტვირთავს ყოვლი მალალს მკლავს, ხელს მტკიცეს არსთა მსახველთა, და შენივე გვიხმს ხვეწნა, უშენოდ სხვას ვერ აღვილის მშოველთა.

6. ნათლისღება შევაგინე, სჯულს გარდავხედ სიკბაბუკებს, დავემონე სატანასა ჩემს მომღერალს და მებუკებს. აწ ვსტან ტვირთი მისი ძძიმე, ზურგსა მწრეტს და დამწყვეტს სუკებს, და უარი ვთქვა, გამამტყუენებს, ხელის-წერილს მომცემს რუკებს.

7. გრიგოლი იტყვის მეტყველი ღვთის განბრძნობილის გულითა, მოსემ ნათელსცა წყლითა და ამის პირველად ღრუბლითა. ზღვა ამ წყალს მოასწავებდა იესოს ნათლისღებითა, და ღრუბელი სახედ სულისა, მამის,ძის სრულის წილითა.

8. ზრახავს ცხოვრების პურისას წინასწარ სახედ მანანას, მის სასუმელსა ამისსა საღეთოსა აწ ამისთანას.
ვინ სკამდეს, სმიდეს სიწმიდით, იქმოდეს ცოდვის დანანას, და ნათლისღება, ვით ესეცო, განსწმედს, იმოწმებს ან ანას.
9. ვიცია სხვაცა სახეო მჯობი სხვათ ნათლისღებისა, შეუმწიკვლარი ცოდვისგან, ბიწთ ბოლოს სულ მოღებისა; რაზომ ძნელს ცოდვას შეეპყრას, მყის ამით წარირღენებისა, და ქრისტეს წამების სისხლითა ვინ გვამი შეიღებისა.
10. ბრძანებს, უწყვი მეხუთეცო საპირო და საწუხარი, თვალთა ცრემლი სამუდამო, გულთა გლოვა გაუხარი, სულთქმა, კმუნეა აღტეხილი, კვამლს უშვებდეს ვით ბუხარი, და ამით გახვეს ცოდვის ფესვი სინანულს ნორჩს გაუხარი.
11. მე არცა სისხლით წამება და არცა ცრემლი ძალმიძეს, განწყედა ამა ცოდვისა მამშობლეს, მცთომელთ გამიძეს.
ვხედავ კაპანსა უფალსა, წინ გასავალად გზად მიძეს.
და ქრიატე, შენ უსასყიდლოდა წყალობით შენით გამიძეს!
12. სად არის სულთქმა, ან კენესა და ოხრა, ანუ უშები, დაფარვით ქველის-საქმედა ცოდვისა გარდმოსაშვები, ესრეთ ძნელთ საქმედ შეკრულთა წყალობით შენ ხარ მომშვები, და ქრისტე, დამალვე წამალი მრჩობლთ წყლულთა დასაშუშები!
13. აწ მეც ეს მტკიცე წამალი, ვიცი, ცოდვისა ბიწისა, შენს მოწყალებას ვქადაგებ, ამან სინანულს მიმწისა, ნანდვილ შეინდოს, ვინ ინანს, შიშითა ვინ იწიწვისა, და აღვილად ძალგის სიახლე დაძველებულის მიწისა.
14. შენ, ქვას უძრავსა ძალითა აბრამის შეილად აღადგენ, ბრმათ თვალს აღუხვამ, საპყართა ასრბოლებ, მალეთ აღადგენ, განრღვეულს ცხედრის აღებას უბრძანებ, სხვათ წინ წალადგენ; და ჩემ ცოდვილისაც, თუ გნებავს, მის მართლის წილს დამადგენ.
15. შენ ხელმწიფებ ესევითარ, ქვასა კაცად გარდააქცევ, წარმართთა და კერპთმსახურთა შენს საცნობლად სჯულს მოაქცევ, ცოდვის გოდლებს აგებულსა ერთის სიტყვით სულ მოაქცევ. და მეც თუ მიწვივ მტერი მებრძვის, მხნედ შემაბამ, არ გამაქცევ.
16. უძლური თუ ვარ, მე შენი განმამხნვე, ბრძენ მყავ სულელი, ვერავინ ვერ დამადუმოს, ქარი ქრის, ხმობენ: სუ ლელი! ყველა შენ გმონებს, შენ გაქებს არ მარტო მორღედი სულელი. და ჩემებრ ცოდვილსა თუ ჰპოებ, სასინანულოდ სულ ელი.

17. შენ შენის სავენახისა მშრომელთა ოფელში მკურავთა, დილითგან დადგინებულთა მზის დასვლად მართ მიმწურავთა, კვლავ ათერთმეტის ეამისას სწორს მისცემ, არ უშურავთა, და სასყიდელს პირველისასა განუგდებ კმუნვა-ურავთა.

18. მე ვერ ვიკადრებ ვერცერთის, რომ ვიყო სულ მოწილეთა, მრავლის საუნჯის პატრონო, პატა რამ მინაწილეთა, ჩემს მოდავესა ბელიარს დამხსენით, გამიწბილეთა: და მონად მაახელ, უმცროსად შენს სასძლოდ მექორწილეთა.

19. მინდა გაგიტყდე, მოძღვარნო! სახიერ, სხეც რამ მინდაო: ძმანი მიჩვენე მშვიდობით და მათთან ჩემი გინ დაო. რა მათ მოეშორდი, სიბნელემ თვალები დამიბინდაო, და ყირმიზად აყვავებული გული ნაღველმან ინდაო.

20. სხვანი რამდენნი საყოლნი და ყრმანი ჩემთან შეზრდილნი, ზოგ-ზოგნი ჩემნი გამზრდელნი და სხვანი ჩემნი დაზრდილნი; კა ამჟოლ-მუსაიჟები, მოლხანე, თან მოლიმილნი, და იმერნი, კახნი, ქარაველნი, ვისითაც მქონდა ქადილნი.

21. მახსოვს ლხინი და თამაშადღე და ღამე წართმით მღერა, მხეცთა სრვა და ნადირობა, თავი ლალად მომეღერა; ბურთობა და მინდორობა, კვლავ ნაღიმი, ჭადრაკ-მღერა, და უნობა და გასაცემი, სრულ ვითა გთქვა, მოჰელე რა?

22. აწ იგინი უჩემობით არა სწუხან, ისრეც ზმიან, ვინ ასპარეზს ასპარეზობს, მერჰე სმენ და მღერენ, ზმიან; მე აღარვინ მომიგონებს, არ ვიცი თუ რად მაზმიან, და ბუტუტობენ ზოგიერთი, მგონი იქ ხანს ბეერს დაზმიან.

23. სოფელო, მუდამ ტრელობით, მიკვირს, არ ცხბრები რად არა? არ მოვსთვლი შენსა სიმუხთლეს, რაები მიყავ, რა და რა. ვერვინ მოგიჩინა უენები, ცუდად ისრბოლა, რა დარა! და თუ არ უცებმა წარმავალს, ვინ წარუალი რა დარა?

24. სხვათ მეღეჰეთგან მინახავს, შესავალს სწგრდენ სულ თავსა, ეს იმასა ჰგავს, ეზოსას მალალს იბემდეს ბჰის კარსა. შიგან ჩალისა ქოხებსა იდგემდეს, ზრდიდეს ფუტკარსა. და რა შიგ შეხვიდე, ვერ სჰვერეტდე სიბრძნისა მას მინაკარსა.

25. თუ ეს გამეყო, თავსა და ბოლოსაც მგონივ კმაოდა, არ მოიხდინა აქ ამად, რაგინდ რომ საქმედაო და, მოგართვი ჩემად სახსოვრად; ძმანო და ჩემნო დაო, და, და მომიგონებდით ამ წიგნიო ტკბილადრე, ნუ სააოდა.

26. სიბრძნეს თუ ვინ თავს უღებდეს, ბოლოც იმაზედ მოუღოს.
თუ კარგს სასმელზედ დასვემდეს, სულ ისიც კი მოუღოს,
უფრო და უფრო დაუტკბოს, შემსმელთა ცნობა წაუღოს,
და დახშულთა გულთა უგბილთას სასმელად კარი გაუღოს.

27. ყოველი საქმე ბოლოსი სჯობს რასაც უკეთესდებდა.
თორ ერთ წამ კი რამ არი და მას უკან კი წახდებდა,
იტყვიან, ცუდი რამ იყო, სასაცილოთაც გახდებდა,
და საღა გინდ წავა ამბავი და ეს ხმა ყველგან გახდებდა.

28. კაციც აგრე სჯობს, საცნობლად პირველად იყოს ძნელადა,
დიდის საქმისა შემართვად ადვილად უნდა მქნელადა.
კარგისა ავი არ მითქვამს, არც შინაგანა ქრელადა,
და ეგზომი სიბრძნე იცოდეს, თითქმის გაჰკვირდეს ელადა.

29. კაცი უნდა პირველ იყოს მართალი და ღვთის მოშიში,
სჯულ-მტყიცე და მოსამართლე, ნათლისღების ეღვას ნიში,
მამაცი და თავმდაბალი, ამხანაგის არ მოიში,
და პურადი და კაცის გამწყო, ნუ მარტო ზის ვითა ქვიში.

30. ეს კმარა, მაგრამ სხვაც არის მრავალი ზნეობანია:
მშვილდოსნობა და ბურთობა, სიმღერა, ტკბილი ბანია,
ზმა, სიცილი და ლაღობა, ესეც რამ კაის გვანია.
და ვინ ყველას უქმობს, რა არის, მაშ, თუ არ ბრიყვი სვანია?

31. თვითვეულად ვით გასწავლო, რაც ზნეობა არი სულა?
კაცი ვნახე, შემიჯერა, არ ფიცა და არ ისულა,
დიად თავი შემაყვარა, რა ის სიტყვა აღასრულა,
და ცოტა სხვაც რამ მათქმევინა, ჯერ აღარა დამასულა.

32. სიტყვა-მარჯობა კარგია, ცოტას თქმა, ბევრის გაგონა,
საქმის შეტყობა, მიხვედრა, გასინჯვა, კარგა გაგონა;
ვინ-ვინ ნამუსზედ შეაგლოს, ეცადონ რითაც არ გონა,
და ვინც კაცი არის, სიკეთეს იჩემებს, ეს გააგონა.

33. მაგად არ მითქვამს, მეჩემოს რაცა ვთქვი საქმე ესენი,
სოფელმან ავს დროს მიმუხთლა, ცრუმ შემომყარა ე სენი,
მაგრამ მე მისად საზრუნლად ვერ მნახოს სხვისებრ მკენსენი.
და თქვენ ასრე გმართებს, ვინცა ხართ ცნობილნი, სიბრძნის მთესენი.

34. მე არ დამცალდა, რაც მნებდა, საღვთო და არცა საკაცო,
მექნა რამ მოსაწონარი ჯერ ღვთის წინ, კვლავ სამამაცო,
საქმე მომირთო სოფელმან თავს საცემი და სატაკცო.
და მო, მამეხმარეთ, დამხსენით, ახლო თულა მყავს მამაცო!

35. მაგრამ მე ლეთისა იმედი ამაღ არ გადმივარღება,
ამაღ რომ არის მოწყალე, ეს ცოდნა მინარნარღება;
მისი წყალობა, მოხედვა ერთხელ სამ ზედ მომეარღება,
და აწ მოქუფრვილი ყვაილი, მგონია, გამივარღება.

36. ავლთ მგზავსობა, წარმავლობა ამ სოფლისა უეჭუა,
ეს გვიქსელავს სიცრუესა, სატანა ჰყავს მებეჭუა.
კოჭებრ არის საქმე მათი, შაქისაგან უფრო კუა,
და არ მოვსტუფედეთ ამათ გამო, ლეით ვახმაროთ კაი კუა.

37. ნუმცა გინახავ, სოფელო, ვით სიკაბუქეს შენს მდომსა,
ისევე შენდა მოყვარეს ამ ქამის იქით შემდგომსა;
ჯვარ-ტვირთულსამცა მახილავ ქრისტეს ჩემისა შემდგომსა,
და მონანულს მრავლის ცოდვისას, შენდობის თხოვნის შემდგომსა.

38. რა საზღვარი ძეს, გასინჯეთ; კაცს კაცად აგებულისა:
შეუგებლისა მოყრობას ომი სჯობს შეგებულისა,
ამაღ არ ძალუძს პასუხი ზრძნად სიტყვა მიგებულისა,
და ის ავსა კარგად შეგიცვლის, სიკეთე უთქვამს გულისა.

39. აგრევე სიბრძნე ბრძნის წიაღს მივლენ და მიეყრდნებიან,
იგი რა ისმენს დაღრმობილს, კითხვავე მოუნდებისა.
რაზომ ღრმად ძნელად იტყოდეს, მიჰყვების, დამონდებისა,
და უგბილს თუ ნახავ პატრონად, სიკეთე სულ წახდებისა.

40. ბრძენმან გულმან ოდეს მსგზავსი სხვისაც ჰპოოს, განისვენებს,
იგ დაჯდება სამუსიკოდ, მას სასმენლად განისვენებს,
განუზრახავს საიდუმლოს, ხშირად ხან-ხან გან ისვენებს.
და თუ დასულდეს, მცირედ ღუმნეს, სიბრძნევე სურს განისვენებს.

41. იქნებიმც, ჩემნო ნაშრომო, მოსთელილი ბრძენთ მუშაკთაგან,
ნუმც დაითურგენი უგბილთა და სიცრუისა მაკთაგან!
ცნობილთ სურვილით საკითხო, არ ჰყობილთ მათ ეშმაკთაგან,
და მგონია წიაღს მიგხევამს, ვინ არის ქრისტეს ბაკთაგან.

42. ნაშრომი კარგი მოვიდეს, დარჩება მოუმკალია,
თუ მუშაკს ველარ იშოვნის, ჰამას დაუწყებს მკალია.
მით ნაღვაწს ნურვინ წამიხდენ, თუ არვინ არ მომკალია,
და საღვთოსაც გეტყვისთ, საკაცოსც, ორითავ ნაკამკალია.

43. რა ვქნა, შაირი მით ვიწყე, საქმე დაძვირდა საქნელად. კარგი რამ მინდა დავსწერო, ავი არ მინდა სათქმელად. ეგებ შენდობა ვინმე თქვას, თუ რამ ვარგიყოს სასმენლად, და არ ვიცი, საით მივყავარ სოფელსა მე დასანთქმელად.

44. არ გიკვირსთ ჩემთა მნახავთა, ვით მოვიკალე ამდენად, ეს ლექსი ჩარხებრ მბრუნავი აწ მოვიგონე უსმენლად: ერთს სტრიქონს სიტყვა რამდენი აქვს, ლექსიც იქმნა იმდენად, და ნაძლევი ვარ, თუ ჩემს წინათ ეთქვას ვის, იყოთ მოსმენად.

ლექსნი ასნი ორგუხლნი

პირველი

1910

ლექსნი ასნი ოკრუხლნი

პირველი

ასნი ორმუხლნი შაირნი ვართ მეფის გამოთქმულია,
არჩილის, ვახტანგ მეფის ძის, ბრძენთა სანუკვრად თქმულია.

1. ჭირსა და ლხინსა მადლობა ღვთისა ჰხამს ყოვლის მპყრობლისა,
და სარწმუნოებით ვადიდოთ, პირი დაიყოს მგმობლისა.

2. მეცნიერება ბრძენთანი ღვარისებრ განმდიდრდებიან,
და ბრძენთ ზრახვა ცხოვრების წყაროდ ისმის და ედინებიან.

3. კაცი პირს ხედავს კაცისას, ღმერთი მწვლილს გულის-სიტყვებსა,
და ვერ დაიფარავს საქმესა, ვინ იშვებს, ან ვინ იტყვებსა.

4. კაცი ბრძენი სჯულდებულსა საქმეს არას მოიძულებს,
და უმეცარი უსჯულოობს, სხვათაც მაზედ აიძულებს.

5. კაცი სრულარსთა მთავარი თავსა რად განინადირებს?
და ძვირის მოქმედთა ძვირივე ბოროტად მოინადირებს.

6. ვინ მრწემსა სწყალობს, ავასხებს უხვად წყალობის მძლეველსა,
და შემწყნარებელი ობოლთა მძლე ექმნეს თვისსა მძლეველსა.

7. თქვეს, ძღვენი ბრძენთა კაცის თვალს უჯეროდ დაარწმუნებსა,
და უსამართლონი მსაჯულნი ქრთამს არვის დაამკუნებსა.

8. გრცხვენოდეს გინებისაგან, ევლტოდე სმენად ქებასა,
და თავი ნუ მოგწონს, ერიდე ცრუ სიტყვა-დაქადებასა.

9. სხვის მომზირალი თავისას აეს ვერას დაინახავსა,
და უცები კაცი ხვაშიადს ვერათ ვერ შეინახავსა.

10. ბრძენს ცოდვას თვისი გონება ამხილებს, შენანებსა,
და უგბილი უმეცრებითა ვერ ხედავს, თვის თავს ავნებსა.

11. დაღმართ არს ცოდვა მოქმედთა, სუბუქად ჩაიტანებსა,
და მადლი მძიმეა ამღებთა და ზეტათ აღიტანებსა.

12. სიტყვა უცებთა ზღვა არის მღელვარე კლდისა მცემელი, და არა მღუმარე, წვიმისებრ ნაყოფის გამომცემელი.
13. თუ ძნელ არს ფიცი მართალიც, ცრუსი რალამე იქნების? და აღთქმაც დიდია სათქმელად, გარდასვლა რა შეიქნების.
14. თუ შენ არ მისცე, ნუცა მას ელილა რასმე მოცემას, და უჩინარის[ა] მტრისასა ერიღე მუდამ დაცემას.
15. გული ნუ გითქვამს მეტს რასმე, რადგან უგუნურთ წესია, იფქლსა ვეროდეს შეიკრებს, ვის ღვარძლი დაუთესია.
16. ეტლთა ბრუნვათა მსგზავსია ამ სოფლის ლხინი და შვება, და წამიერთ იცის ორივე, ამაღლება და დაშვება.
17. რაღაა ურჩეულესი მეგობრის საკუთარისა? და რა უბოროტეს მოყვისისა ქვე მკბენის, მოკუთარისა?
18. სჯობს აღსასრული კეთილი დიდად დასაბამ კეთილსა, და სჯობს ახალ ნორჩი ხე დიდსა, ნაყოფით ქვე მოკვეთილსა.
19. გატეხილს ქურქელს მიჰრონი არ ერწმუნების, იციოთ? და ცრუს კაცსა საიდუმლონი არ ეთქმის, მითქვამს ფიციოთა.
20. ხრდლის კაცის ყოლა გატეხილს მშვილდსა ჰგავს, ვინ ვერ მოიზღვს, და ვიდრე მტერს ნახავს, კაცსა ჰგავს, მაშინ წინ ველარ წაიზღვს.
21. მოშიშარს, ამპარტავანს და მოსავს თავისა ძალისა და რაეაჲს ხმა ესმის საზარო, ძრწოლით სამ დაემალისა.
22. სასიკვდინენი წყლულია მცირე ნაკბენი გველისა, და დიდს შფოთს აღადგენს ერთიცა სიტყვა ცრუ, ენა-გრძელისა.
23. ვინ ენას სძლევეს და მუცელსა, დიდი ნიჭი აქვს მადლისა, და ვინ ბოროტსა სძლევეს, ხელთა აქვს სრულყოფა მას საწადლისა.
24. მუშაკი დღეის საქმისა ხვალისა მდები სცდებისა, და მის-მის დღის საქმე მის დღეს სჯობს, რადგან სოფელი სცდებისა.
25. ვინ ძრწის სამღვთოსა შიშითა, ვერა რა შეაშინებსა, და უშიში ღვთისა თვისისა ჩრდილისგან შეიშინებსა.
26. კაცს უყვარს ღვთისმოყვარესა ყოელი კაცი სრულებით, და ძმის მოძულარსა ღმერთი სძულს სიბოროტისა კრულებით.
27. სიტყვის სიმრავლე სასმენელს ავნებს და ვერ აამებსა, და მეტი საზრდელი სულსა და ხორცს არც ერთს არ დაამებსა.

28. თუ კაცი თვისად ბოროტს ჰყოფს, სხვას ვისლა უზამს კეთილსა?
და ნუ სთხოვ ნაყოფსა საშენოდ ხესა ფესვს-აღმოკვეთილსა.

29. გვიან საქნელ არს ბოროტი, კეთილი— მოსწრაფებითა,
და ვინ ვშვრებით ავსა საქმესა, სინანულს შევესწრებითა.

30. ბილწის სიტყვისა სასმენლად დახშვა ჯერაარს ყურისა,
და ენით კიცხვა და ბასრობა ნურავისთვიმცა გსურისა.

31. სჯობს საქმე უხმო სიტყვასა, თქმულსა, არ გათავებულსა,
და თქმა და არა კჳნა სარცხვენელ ჰყოფს კაცსა გათავებულსა.

32. თუ თავს ვინ განიკითხვიდეს, სხვასა აღარას აბრალებს,
და თვისის ცოდვისა მხილველი ღმერთს სხვასაც ბევრს შეაბრალებს.

33. ამაღლებულნი დამდაბლდენ, ამაღლდენ დამდაბლებულნი,
და მოღვაწე წარწყმდა სილალით, ცხონდა სიმდაბლით ვნებულნი.

34. რისხვა ბრძნისა სჯობს ცრუთასა აღერსსა, სიტკობებასა,
და უგბილთან ლხინსა დია სჯობს, თუ კაცი ბრძნისას ებასა.

35. დიდი სიბრძნეა კაცისა ცნობა თავისა თვისისა,
და სიბოროტეა ძვირის თქმა მეგობრისა და თვისისა.

36. წყლით დაივსება სახმილი, შერისხვა — დაღუმებითა,
და შური იძლევის ტკბილისა სიტყვისა დაამებითა.

37. მეგობარს გამოუცდელსა არ უნდა კაცი მიჰყვესა,
და ჯერ შეზავებით ვკითხვიდეთ ჩვენს წინ მეგობრად ვინ ჰყვესა.

38. სარწმუნოს მოყვისს შერისხვა სჯობს მტრის პრისპირ ქებასა,
და ბრძენი სხვათაცა სწავლიდეს, დიდად სჯობ დაღუმებასა.

39. მოციქულია მქებარი პირად სასმენელ ბნელისა,
და შემასმენელი ლიქნითა მკვლელია შემასმენლისა.

40. კითხვა საღვთოთა წერილთა გონებას განანათლებსა,
და რისხვას დაიდებს რისხვაზედ, ვინ ცრულ თავს განიმართლებსა.

41. აღთქმას ღვთისასა ნუ ჰყოვნი, მიცემად მისაცემელსა,
და სჯობს არ ქადება არასა, ქადებულს მიუცემელსა.

42. მამა შვილთ დაკლვის მიზეზსა ნებსით არ მიიწურავსა,
და ღმერთი გლახაკთა მონახვექს მსხვერპლს არას შეიწირავსა.

43. უღვთო მწყევარი ეშმაკთა, არ იცის, თავს იწყევლისა,
და ზაკვით მეტყველი მსგზავსია გველისა მის პირველისა.

44. უგბილი თვისსა სიცილზედ ხმას დიდად აღიმაღლებსა,
და ბრძენი და მეცნიერენი ღიმილსაც დაიმდაბლებსა.
45. უგუნურთ ნიჭი დიდია, ერთის წილ ითხოვს მრავალსა,
და მცირედ მისცემს და აყვედრებს დიდად კნინ მისა სავალსა.
46. კაცი ბრძენი ღუმს ეამადმდე, სხვას უსმენს წადიერებით,
და მრავლის-მეტყველი საძულელ იქმნეს მკლე გონიერებით.
47. უცბოსა თანა ნურას იქ საქმესა საიდუმლოსა,
და ყოვლს კაცს გულს წინ ნუ დაუდებ, უფროსლა ცრუ უმადლოსა.
48. ურცხვინო არის, ვინ სიტყვა მოყვისსა არ დაიმარხოს,
და თვისი აუგი არად სჩნდეს და სხვისა მალ დაინახოს.
49. მსაჯულად ყოფა ცუდია, ვინ ვერ სცნობს ცრუ და მართალსა,
და მოიკიცხება საჯაროდ, დააკლებს ვინ სამართალსა.
50. ნუ თვალს არიდებ გლაზაკსა, ნუ სცემ ადგილსა წყევლისას,
და რიდე შესმენას ღვთისასა, სწრაფით ჰხამს, ისმენს ყე ვისას.
51. რაბამ დიდ იყოს, მაშინ ჰხამს კაცი გულითა მდაბლობდეს,
და კაცს სათნო ეყოს და ღმერთსა სამარადისოდ მადლობდეს.
52. მხედველი აღსასრულისა მტერობას რიდებს მოყვისსას,
და ღღისა დიდისა მომლოდნე, შურს აღარ ეძებს არვისას.
53. ბზიკი ვის უცემს, ვერ მოჰკლავს და თავსა მოიკვდინებსა,
და კაცი მოყვისსა მოშურნე მისგან თავს უფრო ივნებსა.
54. თავგი ჰურს ღვინით სავსესა მცირეცა შეაგინებსა,
და ბევრს სიკეთესა კაცთანა სიცრუე მოაყივნებსა.
55. ძე ბრძენი მამის სწავლასა კვალად და კვალად ინებსა,
და მონა ერთგული სამსახურს აროდეს მოიწყინებსა.
56. ათას წელთ სოფლის დაპყრობა ცუდია სულთა ვნებითა,
და ბოლოდვე გავლით შიშველი სასიკვდინესა სნებითა.
57. ჰირშიგან გამოიცილება მეგობარ ყოფა მოყვისსა,
და თუ დასდებს თავსა შენტანა, არა იქს საქმეს ავს ისა.
58. მეგობარი ბევრი უნდა, თანამზრახი ერთი ოდენ,
და საქმეს კარგად გაიმართვენ, თუ ჰქვა ორთავ სწორად რბოდენ.
59. ბოროტი რამე სენია თვით-სჯულობისა ქადილი,
და მანებელია თვისისა ნების შედგომა, წადილი.

60. უცნობო კეთილს ბოროტად შეჰკრაცხს, ბოროტსა კეთილად, და უნაყოფოს ზრდის სამისოდ, ნაყოფოანს ჰყოფს კეთილად.
61. ბრძენი არც იშვებს ფრიადა, არც დია შეწუხდებისა, და უცები ლხინსა და ჰირსა მის-მის დროს ვერ მიხვდებისა.
62. კაცი კაცს საქმით შეეჯერდეთ და ნუ ამოსა სიტყვითა, და ადვილად კაცის ცნობასა ვიტყვით, თუ ვინმე ვიტყვითა.
63. სჯობს მონა ბრძენი უგუნურს მეფესა მოხუცებულსა, და არ ეთხოება კეთილი კაცსა ცრუ, ცნობა-ვნებულსა.
64. მტირალთ-ან გლოვა დაგვიდევს, მოხარულთანა შეებანი, და ნუ აღვიტაცებს დიდება, ნუცა პირისპირ ქებანი.
65. ცეცხლს წყალი დაშრეტს და განსწმედს მოწყალეზანი ცოდვასა, და ადვილად შეიწყალება, ვის ცოდვა თავს დაედვასა.
66. სხვის სიკვდილს რად განიხარებ, რადგან რომ შენც მოკვდავი ხარ? და ცოდვილი ცოდვილს რად ჰკიცხავ, ზრახავ და ან თავს რად იხარ?
67. ბერს კაცს ნუ გიობ, ჰაბუკო, ნუთუ შენც სამე დაბერდე, და დამწვარსა კვალად ნუ დასწვავ, დასაშუშებლად დაბერდე.
68. სძულს ამპარტავანს მდაბალი, მდიდარს ზოგს გლახა მთხოველი, და ღმერთი მართალი გვითმობსა, თვარ ცრუ ვართ კაცი ყოველი.
69. კაცი სიცოფის მფარველი, სჯობს ბრძენსა სიბრძნის მფარველსა, და ლალს მონას არჩევს პატრონი სამსახურისა მკრძალველსა.
70. მოშიში ღვთისა თუ ძვირსა შთავარდეს, იგივე იხსნისა, და ცოდვილი ტვირთსა მძიმესა უნანლად ვერ მოიხსნისა.
71. ღრკუთ კაცთა გული ნიადაგ ეძებს მოყვასთა ძვირებსა, და გული მშვიდი და მდაბალი ძრახვას არ გაიკვირებსა.
72. გულსა გამწყრალსა კეთილი განზრახვა არ ეპოება, და უსამართლოსა ვერას იქს, ვინ მეფეს შეეპოება.
73. როგორც არ არის უცოდო კაცი, აგრევე უმადლო, და დიდად ბოროტის მყოფელსაც სჯობს ცოტაც რამ დაუმადლო.
74. ვინ ძმასა სძულობს, სჯულსა და განწმორება მცნებასა, და ვინ საბრხე უგოს მოყვასსა, შთავარდეს დიდსა ვნებასა.
75. გვალვის ჟამს წვიმა ქვეყანას შემატს და გაახარებსა, და წყალობა ჟამსა ჰირისას სჯობს, ვინც ხელთ მიაბარებსა.

76. სიტყვათა შენთა საზომი დაუდევ კეთილის თქმისა,
და ეკრძაღლე ფიცსა სათქმელად, ნუ ხარ მეტყველი აღთქმისა.

77. ბევრი რამ არის სოფლისა უფროსი ამოებანი,
და ცუდს კაცსა მწვეე ააზავებს მორაჭმა, ტყუილი ქებანი.

78. კაცია ნათელს ბნელად და ბნელს ხედავს ნათელსავითა,
და თვისსა სიკეთეს არ ეძებს, თავს იქებს ნათესავითა.

79. ავი და კარგი მრჩობლივე ჩვეულობასა მმოსია,
და არ დაეკარგვის უფასოდ, ვის გლახა შეუმოსია.

80. სიცოცხლე, აგრევე სიკვდილი ხელთა უპყრია ენასა, -
და სისხლს დაღვრის უბრალოთასა, აპყვება ვინ შესმენასა.

81. მართალიც მოინადირა მტერმან, ცრუ სადღა განერ სა?
და თავსა ჩემსა ვწვრთნი უფრორე, ბოროტად გხედავ გან ერსა?

82. თუ მეტურკლესა ქურქელი ვერ ეტყვის ავად შემქნეო,
და კაცმან ვით ჰკადროს შემოქმედს, ესე რად ესრეთ მიქმენო.

83. უშვილოთა სჯობს სიკვდილი უკეთურთ შვილთა ყოლასა,
და სჯობს მარტოთ ყოფა კაცისა ბოროტთა თან აყოლასა.

84. სჯობს სიგლახაკე სიმართლით, ცრუს დიდსა გამდიდრებასა,
და მტერობავე სჯობს მოყვრისას ცრუდ სიტყვით მიფერებასა.

85. სჯობს სნეულობა, ბოროტსა სიმართლე ფერხზედ რებასა,
და ცოდვილთა თავსდება ცოდვისა, სიწმიდის შეფერებასა.

86. უყამოს მწუხარებისა სიბერე არის ნაყოფი,
და გაადუხჭირებს კეკლუცთაც კმუნვა და ავი საპყოფი.

87. ღვთისპოყვარება ეს არის, კაცს ყოელი კაცი უყვარდეს,
და მოყვასი უნდა მოყვასსა, ვით თავსა შემოუარდეს.

88. ცული თვინიერ მცემლისა ვერ მოჰკვეთს ხეთა ძირებსა,
და თუ კარგად ვერვინ ვერას იქმს, ღმერთსა მწუედ დაიძვირებსა.

89. კაცი ასეთს კარგს რასა იქმს, ან ავსა, სხვასაც არ ექმნას,
და მაშინ გამაჩნდეს ორივე, რა ორთაგ ბჭობა შეექნას.

90. უფროსი ერთი კაცთ იქვი ვით საზვრენ, არ იქნებიან,
და მცირე გულისთქმა ბოროტი დიდ ცოდვად შეიქნებიან.

91. რაცა არა მაქვს, ის მინდა, რაცა მაქვს, ვერ დამიცავსა,
და იმას ვერ ვშობებ და ამას დაეკარგავ, წინ ეს მიცავსა.

92. თავს ვაბრალვბღუ ნუ სხეასა, ნუ ვაკლებთ ღვთის სამართლებსა, ..
და რისხეას შესძინებს რისხეაზედ, ვინ ცრუთ თავს განიპართლებსა.

93. რაზომცა დიდად ბრძენ იყო, ნუ ექობ სიბრძნე-სრულებას,
და რაზომ სევამ წყლისგან წყაროსა, შეატყობ ვერ ნაკლულოპას.

94. მრავალგზის ნავი დაინთქმის ნავთსაყუდელად შესული,
და მრავალჯერ ვისმე უნახავს ლელვისგან გაღმა გასული.

95. შიში არ უნდა ხორციელს, სიკვდილს სად დავემალვებით?
და ვერვინ ვიკადრებთ გაქცევას, ვინ მეუფეს შევეპოვებით.

96. ვინა სთხრის მთხრებლსა, არ იცის, ვისთვინ ამოჰკვეთს სიღრმესა,
და ვინცა აღმოჰკვეთს, უწყოდეს შთაიგდებს თვისსა სიყრმესა.

97. შვილისა სიკეთისაგან იხარებს მამა ძლეული,
და კაცს უნდა სძულდეს საფასე სხვის ქრთაჲად შემოდლეული.

98. სოფელი ესე მსკავისია სავაჰრო შესაკრებელსა,
და აქ თუ არ ვიღვწით, ვერ ეპოვებთ სხვას კეთილთ მოსაკრებელსა.

99. სხვა არა სჯობს რა კაცთათვინ სასმენლად ბრძენთა ზრახვასა,
და სჯობს მონაგებთა წარგება კარგად ყე ქვე შენახვასა.

100. სოფელს ვაგინებ, მაგრამე მიყვარს და ვერ ვეხსნებია,
და ყოფაც მძულს ცრუსთან, ჯერ ხანად გაყრა რა სახსენებია!

10/10/2023

10/10/2023


10/10/2023

10/10/2023

10/10/2023

ლექსნი ასეულნი

მეორე



ლემსნი ასეულნი

მეორე

1. პირველ ვთქვი: მოწყინებითა ვლუმენინ შაირობასა.
ნუ ვერწმუნებით ჰაერსა, დარივ სძლევს ავდარობასა,
სიწრფოება სჯობს გონების გულისა გურიობასა.
და მე ლარიბობავ ვარჩიე ქვეყნისა ცულ დაპყრობასა.
2. ითქმის, ვეჰვ, ლექსი ასეთი სხვამან ვერავენ იოცნოს,
მაგრა რა სიამოვნე აქვს, რა კაცმან ვერ გამოიცნოს?
ესე მასა ჰგავს, ვინ მოყვსად არავენ არ შეიმეცნოს,
და რა თუ მზე სურვილით ვისმე აქადგან იქ აიკოცნოს.
3. ლექსად უნდა ყოვლი სიტყვა ერთი-ერთზედ გაწყობილი,
სულა ტანით საძებარი, ერთმანერთზედ მიწყობილი.
უმეცართა უარშიო, ბრძენთა დია შეწყობილი,
და ძნელოვანიც მისვე სიტყვით საამოვნოდ შეტყობილი.
4. არც გულსა აქვს თავი ხელთა, არცა თავსა იგივე გული,
რას კარგსა იქს სიკვდილისა ალით ასე დადაგული?
ვის ეძებდეს საძებარსა მიწყვი თავით დაკარგული?
და სწორად ვითარ აღიზარდოს ნერგი, მრუდად ძირ-დარგული?
5. ერთჟამ დაკარგულს ქეუასა გრძლად ძებნა მოუნდებისა,
მცირითა ნაბერწყალითა სახმილი აღეგზნებისა.
გუშინ სხვა იყო, დღეს სხვაა, ჟამი ჟამს არ ეთნებისა.
და მრავალ-წელ საქმე წამხდარი ღვითთ წამ-ერთ გაკეთდებისა.
6. თუ ჟამი ჟამს ჰმორჩილებდეს, ერთ საქმეზედ ვიქნებითა.
კარგს ვინ ვყოფთ თუ, ანუ ავსა, არ მძლავრებით, ვიქთ ნებითა.
რასაც ვთესავთ, მას შევიკრებთ თვისისავე ხელის ნებითა.
და ვერავენ ჰპოებს სამკვიდროს სულ ხორცთა განსვენებითა.
7. გარდასულთა დღეთ მოქცევა ველარავენ ხელიწიფოს;
კოხი წმანხი ხან-გამოსლვით სიტკბოებად შეიმწიფოს.
სირეგვნე სჯობს გარდაუშვას, რა ყვაწვილი მოიწიფოს.
და მონება ხამს პატრონისა, ვინცა ვინ გაიხემწიფოს.

8. ვინ ღირსა ღვთის სიყვარულსა, ვინ ძნიად საძებნელია, ნათელ არს თვით და გზა მისიც, გარნა ცოდვილთა ბნელია. ყოველს კაცთა სწორად სიყვარულს გვიბრძანებს, თუცა ძნელია, და მაგრამ გვიხმს კარგად განრჩევა საქნართ და რა უქნელია.

9. დასაბამ დასასრულამდე შენთანა ღმერთი სრულ იყავ, გესმის, გასწავებს უფალი, ვით იგი, შენცა სრულ იყავ; მისის შიშისა საწერტი სამუდმოდ გულსა სრულ იყავ, და სიტყვა სწავლისა გაჰფინე, უქმი სრულიად დაიყავ.

10. აღსასრულამდე კაცისა არავინ სანატრელია, კაცთა ბუნება კინკლოსებრ ნანდვილვე მარად ტრელია, ვინ ქვენას ხედავს, სხვა ზენას სწორებით შემკურეტელია. და ჰე, ერთი იწღვეს სიტკბოსა, იგ ნაღველთ შემხვერეტელია.

11. თუ ცას ვინ ხელსა ახებდეს, მაშინც დაცემას ეკრძალოს. შთახდეს რა ვინმე უფსკრულად, აღმოსლვასავე შესძალოს. რა კაცს კეთილი ორისავე სოფლისდა არ შეიკრძალოს. და ნეტარძი ქალსა ვისა მას, ვინ უკვდავს სიძეს ესძალოს.

12. ბრძენს თუ სცემ სიბრძნეს, შესძინებ უგუნურს სიმძულვარესა; ხელოვანთ მუშაკთ ყამირიც კარგად რამ მოიბარესა, თესლი უგბილთა ნაბნევი გონიერთ მოიბარესა, და ვინც ეს ცნა, კარგად ჩაიგდო, ვინ არა — გაიკმარესა.

13. დღეს შენ გაქვს, ხელე, ჰე, იმას და სხვისაც არვისი არი. ვის მტერობს, ან ვის მეგობრობს, ხედავთა, არ ვისი არი. ვის გვინდა ხანგრძლივ შერჩენა, მყის გვიხმობს: დროსა იარი. და თუ არ ვერჩით, წყრომით გვიბრძანებს: არაა დრო საუარი!

14. რომელი წრფელ არს, ვეროდეს ავს ვერას მოიგონებსა, მწვლილთაცა გულის-სიტყვათა ვით საყვირს გაიგონებსა, ჩვენა გვწრთენის ტკბილად, თორ ზგი არვისგან შეიგონებსა. და ვინ რა იცოდა ფარულად, მუნ ცხადად მოიგონებსა.

15. მოყვასთა შორის ვინმე თქვა: „კრებულნო, ორი ღმერთია“ — ვინ ეს ჭადაგა, წყეულ არს! ვითარმედ ღმერთი ერთია; უცებ ხარ მისებრ, ვინც ამას თუ თავი შეიერთია. და ნუ ვართ მიმდონი სოფლისა, ვინათგან წამი ერთია.

16. ბოროტის კაცის გონება ბოროტსავე განიზრახავსა, თვის ავს კეთილად, სხვის კარგსა საწუნლად დაინახავსა. სიმხნეს მოყვასთან ჯაბანი ცილს რასმე მოუნახავსა, და ძმას და საყვარელს მეგობარს სიტყვას არ შეუნახავსა.

17. ნუ ერწმუნები გონებას, თუ მოყვას[ს] განგიკითხვიდეს, /
სცან, არის ბოროტისაგან, ვინ მარად ამას ზრახვიდეს.
რას ეშურებინ, ანუ სჩხრეკ, სწერდეს რა, ან იკითხვიდეს,
და ვის სწყევდეს, გინა ლოცვიდეს, ამკობდეს, ან თუ ჰკიცხვიდეს?

18. შურმან დააბრმნა გონება, ესევეთარად იხილეთ.
რაზომ ნათელ არს მნათობნი, ქვენათგან ზე აიხილეთ.
იმათი დამბადებელი შურითა არც თუ იხილეთ.
და ვაჰურიათა მედგარათა, მე მითქვამს, თქვენ განუმხილეთ.

19. ყოვლთ საკვირველთ სასწაულზე თვალნი მათნი დაიწუხნეს,
ხედვიდეს და არ, ხედვიდეს, ამაღ ღმერთი შეაწუხნეს;
აღარ სადათ აღიხილნეს, შური თვალთ მოიმარწუხნეს,
და ვიდრე ჯვარსა არ შემსკვალეს მათ წყეულთა, არც წამ უხნეს.

20. ვერიდნეთ შორსა, ვეკრძალნეთ ცოდვასა მაკედინებელსა;
პატრონთა ორგულებასა, სიკვდილის შემძინებელსა;
გესლოვანს ენას, უბრალოთ სისხლისა მადინებელსა.
და ვამე სხვათ მწვკრთნელსა კეთილად, თავისა შეგინებელსა!

21. უმეკართ შორის სჯულისა არა ჰყავს დასადარი ოს.
ყოვლთ მწვალებელთა წინ უძღვის წყეული დასად არიოს.
ლუტრანი იღვწის, სიზართლეს საღ უბრკმას და საღ არიოს.
და მათი მძლეობა ასე მჩანს, ვით მხნემან დასა დარიოს.

22. მწვალებელთა თანა-ზრახვას აღვირჩიე უქმად ყოფა;
მართალს არას გაიგონებს, არცა პირი დაეყოფა,
ამად რომე ეშმაკთ შეუდგს, ანგელოზთა განეყოფა,
და სიზართლე სძულს, სიწმიდღ სძავს, მეძავეთ დია შეეყოფა.

23. თუ ზღვას ვინმე აღმოავსებს ღღე ერთ რითმე ჩაგდებითა,
მაშინ მათსა პირს დაუყოფ მართლის სიტყვის შეგდებითა;
რასაც წიგნით გაძტყუნებ, სიტყვას გიგებს აგდებითა.
და ნურავინ ნუ ვეზრახებით, წყეულმცაა ძმა-დებითა.

24. ამ სიტყვასა სწორად გეტყვის ბოლდანს ჰკითხავ, ანუ თუ ვლახს.
ნუ დაუფენ ღორს მარგალიტს, თორ, უწყოდღე, ფერხით დალახს.
ვინ ბრძენს სიტყვას დაუწუნებს, შეურაცხყოფს, დია გალახს.
და ნუ ხარ ცრუ და ცუდ-მეტყველი, ნუ დაისხამ თავზედ ტალახს.

25. კაცი სიცოფის მფარველი სჯობს კაცსა სიბრძნის მმალავსა.
რა საუნჯისა მფარავსა, რა სიბრძნის ქვე შემკრძალავსა!
რა უსამართლოს მსაჯულსა, ცრუსა, უბრალოთ მძალავსა!
და კარგს ნიჭი უხამს, ბოროტსა პასუხისგება მალავსა.

26. მომხვექსა ხელსა გაშლილი უფრორე საქებელია
ამად, ვის მისცემ, გაქებს და მის წილ სხვა მომგებელია.
ვინცა მიმძლავრებ, შვასმენს ვინ ყოვლთა განმგებელია.
და ძუნწი საფუძველს აღიფხვრის და უხვი ამგებელია.
27. ბრძენმან ვინმე განგვიკეთა წყალ, მარილი, რკინა, ცეცხლი
ჩვენდა საზრდოდ, კმა-საყოფლად, არ ქრთამითა ბევრი ვეცხლი.
ვინა ზიან ჰუნეთაზე, ან თუ არის ვინმე მკვირცხლი.
და ზომით უნდა ყოვლი საქმე, თორ ნამეტანს თავ დაიხლია.
28. ოქროსა ცეცხლი გამოსცდის, კაცსა სიმდაბლის აღია.
მდიდარი თუ ვინ დავარდეს, გლახაკთგან უფრო ბრალია.
შეწყალება სჯობს, ნუ ვეჭყვით: ჩვენდა რა შენი ბრალია.
და პატიოსანთა შერაცხვა უშეერად დიდი ბრალია.
29. ვინცა იტყვით «ვარ რამეო», რა ხარ, თუ შენს თავს ვერ იცნობ?
შენ რა თავის უმეცარი იყო, სხვასლა ვის გაიცნობ?
განიკითხე თავი შენი, სხვათა ზედა ნუ ვის მისნობ.
და იყავ ყოვლთა სახიერი, ნუ გულძვირობ, ნურას მკიშნობ.
30. ვინ აშასა ჰყოფს, კაია და სხვადა უკეთესადრე.
ნუ ეშურები, რეგვენო, ვერ მოერევი მხნესადრე,
ვის ექნები თავ-დაყრით, შვერდომით სიტყვა შეჰკადრე,
და ნუ თავ მალლოი, ვის ლალობ, მის გამო შენც შეიკადრე.
31. არიან არას მქონენი და მდიდრად გამოჩნდებიან;
ტრფილი გონჯთაც იქნება, გარნა სურვილით ბნდებიან.
მდიდარი, საქმით გლახაკი, ბრძენთ ავად აღუჩნდებიან.
და ვინც წვალებითა იღწიან, უწყოდენ, ავად შვრებიან.
32. სხვათა ბრძენთა ბოროტთაგან განგვიშორეს მოყვსობანი,
ამად რომე, არ იქნებდს მათი ერთგულ დაპყრობანი,
ლახვარი აქეთ დაფარული, მყის იქნება მოსობანი.
და მრავალთ ქირთა წამალია კარგთა კაცთა შესწრობანი.
33. ტვირთთა მძიმე აღმართსა გვერდს ხლება. კაცთა ცოფისა,
არ ძალუც სიტყვის მოგება გულისა გულ-შეყოფისა,
მათსა ძლივ ვლირსვართ შესწრობას კაცთა ბრძენთანა მყოფისა,
და ძალუცთ მოცემა სიტყვეთაც საზრდოსა სულთ საყოფისა.
34. მელოტი ორჯერ არ მივა ერთს წელსა მექულისასა.
ვის ელმინ მწარედ საკვდავად ზე, ქვერე ბარკალისასა,
მოკრძალვით ითხოვს წამალსა ბრძნისა მის აქიმისასა.
და ქუურტი აროდეს შეიკდემს ავად სმას სხვის ღვინისასა.

35. თქვა ბრძენმან: ცრუთა მართალთა საქმენი შეემთხვევისო, ღვთის მოშიშთაცა უღვთოთა სასჯელი დაემთხვევისო, ნაყოფით სავსე და ბიცი რტო ერთათ შეირხვევისო.
და ამ სოფლის ფუფუნებითა მიეცა სამოთხე ვისო?

36. მე არა ვზრუნავ ჩემს საქმეს, რადგან სამართლად ვისჯები, მაგრა ეს მინდა, უცებთა არ უბრკმეს მათი ბიჯები, არ იქმნენ ცუდის მეტყველნი, ვით კალბინი და თრინჯები,
და არა თქვან: ცუდათ დაკარგა ესეოდენი ბრინჯები.

37. კაცნი მდიდარნი ქვე ჩასხდენ ქვეითნი, უნუზლონია, ამხედრდენ ცხენთა რაინდთა მონანი უაზნონია; სიბრძნის საქმეთა შეესწრნენ თავხედნი, უმეცნონია.
და ეს რითმე მსჯავრით უფლისათ იქნება, ასე მგონია.

38. ვინ მალს ელოდეს, მასმია, შეესწრას ღიღსა ცოდვასა.
ვის ცოდვის ტვირთი გვაძიმებს, შევნატრით ხეთა მკოდავსა.
თუ ესე უწყით, რას ვგავართ კაცსა მძინარსა მბოდავსა?
და რად ვიტყვით, ანუ რასა ვსწერთ სიტყვასა საამბოდ ავსა?

39. თუ მწვირეში სურნელისა სული რამე იპოება, მაშინ ძვირის მომხსენეთა სიყვარულიც ეპოება. —
აგრევ არ აქვთ უმეცართა ბრძენთა სიტყვის შეპოება,
და თორე უჯობსთ მონაზონთა სიმდიდრესა უპოვრება.

40. სიბრძნე უშიში მტილია, შეულობავი, უსარო;
ვინ თანა წარხდეს, განიკრებს, დაატანებენ თუს არო.
თუ სიყვარული არა გვაქვს, გვამია მკვდარი, უსარო.
და მყის დაეცემა უფესოდ, აღიზრდებოდეს თუ სარო.

41. მეგობარი დაცემისდა არა სადა დაიგდება.
თუ მდიდარი არა გძულდა, არც გლახაკი გარდიგდება,
არცა მცირის შეცთომისთვის სამართალს ქვეშ შეიგდება.
და რა ცოდვა ვის შეემთხვიოს, ბრძენთავან არ აიგდება.

42. თუ სიმდიდრე გაიხარე, სიგლახაკეც დაითმინე.
რადგან ქება გაიმება, მხილებაც რამ შეისმინე.
ვის რა სიტყვა შენი უთხრა, მაგიერიც მოისმინე.
და სცოდებ უფალს ცრუს ენითა, თუ მართალი შეისმინე.

43. რა მეფობა, რა გლეხობა, რა სიმდიდრე, გლახაკობა,
რა შეება და სიხარული, რა ტირილი, ვაგლახობა;
განიჩევა მის-მის ალაგს დედოფლობა, მოახლობა.
და ერთს დღეს სწორად შეიყრება სულ ამათი მოსახლობა.

44. აგრევე ბრძენთა და სულელთა დღე იგივე შეესწრობისა, ერთს დღეს სიკვდილი, განკითხვა სწორებით ყოვლის მპყრობლისა, თავ-თავის ნამუშავენი საზომით მიეპყრობისა.
და ზოგთ გვირგვინს მისცემს საქმე და ზოგთ ავად მიეპყრობისა.

45. ღმერთსა სოფელი, სულ ხორცი თუ ვინჟე აღირჩიოსა, სხვათ მინახოკი მძლავრებით თავისდა გარდირჩიოსა, მაშინ რამე ჰრქვან მსაჯულსა, რა სიტყვა შეურჩიოსა,
და უმანკო კრგენი თიკანთგან მარჯვენით გარდირჩიოსა?

46. ნუ ჰყოენი საქმეს კეთილსა და ავსა დია დრო[ს] სცემდი. ვინ გთხოვდეს თვისსა სახმარსა, წხიარულებით მისცემდი. დაეგენ მტერსა საყვარლად და ძოდან ვისცა მის ცემდი, და ყოვლთ ხილულთ კეთილს უყოფდი და უხილავსა დასცემდი.

47. დაბადებულთა მთავარნი კაცნი ვართ, უნდა ვიცოდეთ, და უმდაბლესნი ყოველთა, უფალს წინ ვინცა ვიცოდეთ. უპატროსნეს დედათა, არ ვიცით, თუმც ავი ცოდეთ.
და კეთილნი ღირსად გვიღვწიან, ავთაგან ვით დავიცოდეთ?

48. სიმამლრე, კვერთხი და ტვირთი, სამივე წესია ვირისა. პური, -სწავლა და საქმენი — მონისა არ ერთ კვირისა. შერისხვა ურჩთა, წყალობა — ვინ კარგად გაიკვირ ისა.
და რაჲ კარგს იქს ხელ-ქვეშ მყოფელნი პატრონის გულად ძვირისა?

49. უღელი და აპაური კარგად მოსდრეკს მაღალს ქედსა, აგრევე მონას გვემა გვერდსა, ურჩსა საქმით, ენა-ყბედსა. კარგს წყალობას ნუ მოაკლებ ავს საბეგროს დასადებსა.
და სახიერნი იხარებდენ, უსახურნი სწყევდენ ბედსა.

50. გიყვარდეს სული და გულსა ნუგეშინის-ეც ამოდა, განავდე მწუხარებანი, დაცემას ვინ გილამოდა. მრავალნი მოსრა ნავლელმან ერთი არ, ორი, სამო, და.
და გიძახდენ ქვენათ ზე სადმე შევების ხმას, მალე ამო, და.

51. მწუხარებას შეუდგების გულისწყრომა, მცონარება, შური კაცთა, უდებება, სამუდამო დამთქნარება. უემოდ მრვა მწუხარეთა სიკვდილისა მესინგარება.
და აღარც ხელსამეწიფება, ვისაც უხაჲს შეწყნარება.

52. ღვინო საშვებლად გულისა კაცთათვის ბრძნად დადებულა, არა წარმრდენელად გონების და შფოთად დაბადებულა; სვით ზომიერად, სალხინოდ, ვინ თქვენთვის გარდადებულა.
და კარგა გასინჯეთ, ნუ ბძანებთ: რას მისდებ, ან მოდებულა?

53. დადევ საუნჯე მცნებისა მალლისა მის-მის ამინდსა,
უფროს საუნჯეთ გექნების ოქროსა სულა წმიდისა,
ფართა უფროსათ გფარვიდეს და შუბის მძიმეს ჰინდისა,
და ბრძოდეს შენ-წილად შენს მტერსა, ჟამი არ შეგხვდეს ბინდისა.

54. რასთვისა იქ ასეთ საქმეს, უსამართლოს, ვით ფაშაო,
შენ ინანდე, სხვა გძრახვიდეს, მესამე ქვე დააშაო?
არ შეიკდემ მეზობელთას, უსტუმროო, პურად შაო.
და ნუ გყვედრიან, მაშა, რა ქნან, თუ ვიზედ რამ დააშაო?

55. არიან სადიდებელნი, ვინ ესე ასე იციან.
ასე ყვეს კაცთა მართალთა, ვინ ქვენათ ზე აიციან,
იქმოდეს საქმეს მართალსა, რაც თქვიან, დაამტკიციან,
და არცა ფუტყვიდეს თავით და არცა ვინ დააფიციან.

56. არ მომწონს ბრძენი ძლიერი მორჩილი უგუნურისა.
არც უვიცი და უღონო ურჩი ბრძნის შინაურისა.
ორივ უშვერად აღმიჩნდა, ვით ცხება წვერსა ნურისა.
და სხვა ქვეყნის კაცთაც უცხოდ უჩნსთ, წესია ჩვენ თემურისა.

57. თქუ მართალმან, სხვა მართალი წინა მიყავ, ვინ აფიცა,
არ თუ ცრუმან, მარგალიტად ვინ იყიდა სადაფიცა.
იყავ კაცი პირად მტკიცე, მაღლად გიხმობს სა დაფიცა.
და თუ ხარ კარვა, მოვიხდება სიმართლესთან იაფიცა.

58. ვხედავთა, ჟამნი ყოველნი დღითი-დღე იცვალეზიან,
ვინ იშვებს, ვინმე იხარებს, მგფენიც გარდიცვლებიან,
ამ საწუთოსა დღისაგან სხვის დღისად მიიცვლებიან,
და სრულ ყოვლთა წელთა სიმრავლე ერთ დიდ დღედ შეიცვლებიან.

59. ის დღეა ყოვლთა განმრჩევი, კარგისა გინა ავისა.
მუნ წარგვადგინენ ყოველნი ზევაად მთხოვარნი დავისა,
არ იყოს რგება მლიქნელთა ენისა კარგ სადავისა,
და ვერავის შეგვწევს ძმანი და ეძებდენ სადა და ვისა.

60. სოფელი ნივითი სავსეა და წმიდად არ დაგვილია,
ესოდენ მწუხარებანი აროდეს არ დაგვილია,
მიმილო ლხინთა საწდევნი, აღარსად არ დაგვილია;
და სახმართა არსად გვპირდება, რაც გვქონდა, გამოგვილია.

61. გარდახდეს ჟამნი პირველნი შეებისა დღე და ისარი,
ლამეთა ლხინთა, დილისა დავშორდით მე და ის არი.
ჟამთა სიმუხბლემ ესე ქმნა, გარდავხდით მე და ისარი.
და რალასა ვიყო მომლოდენი, ამ დროსა დღეც დაის არი.

62. განუწყვიდელსა ცოდვისგან კვლავ ჩვეულება მერვევის, ბიწთა მწვირეთა, ლტოლვილსა სულ-მყარალობავე მერვევის. რად აღუდგომლად დავეცი, თუ მეტომე ვარ მე რვეის? და ბოლოდ გამოჩნდა მკვიდრივე, ჩვენ ეამად ჰქონდა მერე ვის?

63. ნიეთთა სიპრაველე ყოველი არასგან არსად ეგების. ნიეთთა ქვემდებარენი, კვლავ ნიეთი არსად ეგების. ვინ უძრავია, სხვა მსრბოლი, ხედავთა, არსად ეგების. და ლექსად შეთხზნვისა საძრახი, ვეპე, ბრძანოთ არსად ეგების.

64. დასაბამ ყოვლთა იქნების სიტყვა ყოვლისა საქმისა, მის უპირველეს განზრახვა ყოვლთა მართალთა აღთქმისა; განჩრევა ბრძენთა წინ გვიძეს უცოთურად სხვათაცა თქმისა. და ცოტა რამ ლექსად აღმოვსთქუ სიტყვები მე შესაქმისა.

65. პირველ წარვეწერენ ლექსნი და თავ-ბოლოდ იამბიკონი, აწ ეს დავეწრე ამ წელსა ლექსნი და სხვა ლექსიკონი; მოვირთე შემწედ ამისდა წმიდათა კაცთა იკონი. და იყო ამჟამად ტარ-ენი და ანი ქორონიკონი.

66. მხილველნო, ნახეთ ეს ლექსი, აბა გენახოსთ თუ სადა; ოდიდგან ნახოთ, ქებასა ნუ ზე მოურთავთ თუსა და. იმღერდით ტკბილად, რას აქნევთ სიტყვასა ჰაი-ჰუსა და? გიჯობსთ, ცოტა სვათ სალხინოთ, არ დაისხემდეთ ბრუსა და.

67. ოდეს ვინმე ცოცხალ იყო, გიჯობს, რასაც ზონით იამ. ნამეტნავი ნუვის გინდა, თუმც გიჩვენოს კარმა ღიამ. ეს ადვილად ირწმუნება, ვერ უღაროს ვარდსა იამ. წამი დასდევ, თუ მოყვასი შეგაძულოს რა ბაიამ.

68. არ ვარგა ერთის გამცემი თვით მიიღებდეს ასადა. მხედავთ, სოფელი რასა იქს, სადაური ვარ ა სადა! კმარა, ოქროს წილ იღებდეთ ქება-დიდებას ფასადა. იტყვი შენც, ძმაო, ასე თუ: ჰე, მაგას უთხრა ასა და.

69. თქმა სჯობს სიტყვისა ტკბილისა, თუ კაცსა ვინმე იაჯდეს. ხედავ მიზეზსა თავ-დანრით, რა კაპანთ შორის ია ჯდეს, ვერ მიეხლნენ საყნოსლად ვინ ქაბობდეს თუ იაჯდეს. ეს მდიდარს რად ეკადრება, კარზედაც ვერვინ მიაჯდეს?

70. ლამის სიტყვამ სრულყოს ლექსი, მოგონილი ახალია. ოდეს ვისმე პატივის ცემდეს, ვის ეწოდოს ა ხალია. თუ თქვენც ბრძანებთ, ეს იგია, ვაგლაბ იმას, ახ ალია. უბადრუკის სიძე არის, სამოელის მზახალია.

71. ესე სიტყვა, ეგებ ვინ თქვას, რად უთქვამსო იმას ეს ავ?
სადა სჯობდა მშვილდოსანად ანუ სიმხნით ამას ესავ?
პირს მითქვამს, რომ მე არა მრწამს, არა მშურის თუ შენ ესავ.
იციოდი, რომ მის ძლით იფქლსა ვერ მოიმკი, ღვარძლსა სთესავ,

72. რამაც პირმან კანდიერი პატრონს სიტყვა შეჰკადროსა,
ვერა სცნობდეს შესატყვისსა სიტყვა-მჭევრსა მას მის დროსა,
ერთ წამს მიხედეს შურის-გება, რისხვით მაზე იავდროსა,
ლაღად ველარ წადგებოდეს, თავს ხედვიდეს საყვედროსა

73. ერიდე სიტყვა-უცებსა, ამაღ ავსა ხელავ ისომ.
თუ სიტყვა სიტყვა კანდიერი, ისე თქვია, ვით თქვა ისომ.
ქენებისდა ორ-ენასა კაცსა ახლო ნუ მოისომ.
ვაგლახ მეო, იტყვიით მაშინ, რა ცხვირს მურსა ჩამოისომ.

74. აღარ გასინჯავ სიტყვასა, რად იტყვი, ვისთან აბარებ;
სად მიხვალ, თუ გზა არ იცი, აბა მიბრძანე, რას არებ?
ვისსა სთხოვ, არ თუ იმასა, ვის შევედრ, ან ვის აბარებ?
იციოდი, ფრთხილად იტყოდი, თორ დია თავს დაიბარებ.

75. სადაა კაცი ასეთი, ყოვლთა ეტყოდეს მას მისსა.
მოსწრებულს სიტყვას, მართალსა, არ საწყინოსა და მქისსა,
ეტყოდეს ყველას უკდურად შეჰყრელსა მიის-მოისსა?
გასმია, წვიმა სადაფში რას შეიქვს შეიდსა მისსა?

76. არა სადა კარგი არის მოუბარი სრულ პირ მქისად,
სადაც ვინ რას გაუგონებს, უღირსად ჰყოფს იმას თქმისად,
ასაგდებად მოუნდება კაცსა მისის გულის-თქმისად.
გაბჭე გულით, ასეა, თუ სადაური სად ითქვი სად?

77. ოდენ თქმას და უთქმელობას ბრძენნი სდებენ სადმე დროსა.
ნუმც ვინ სიტყვა საიდუმლო გასამხელად იკადროსა
იგი ველი შეინახოს, ვინც რაჟ ვის რა შევედროსა.
ავად არვის ჩამოერთმის, ვინ სახიერს ევედროსა.

78. შავედრებელი ვისიმე რად ქენებასა განიშორ?
იამებოდეს რაცა მას, აამე, არ გრქვას: წადი შორ.
სურნელად უჰყრენ აჰონი, სიტყვას პირისას ნუ იშმორ.
თქმა სჯობსვე შესავერდომელი, არ გახდეს საქმე საიშორ.

79. არას ვარგხარ, დაიჯერე, ვინცა სიტყვით სულად იავ,
ნარგისად არ დაინახვი, თვალ-მოცინრად ზამთრის იავ.
ავის მთქმელო, ყია მყრალო, ცრუს-სიტყვასა ასაბიავ,
დასდევ კარი ბაგეთ შენტა ძნელოვანი, პირად ღიავ.

80. ავის სიტყვის აღმოშვებად ენას შენსა კბილნი დაადგ; გიჯობს, იწვრთნა, დაადუმო, გარედამეც ბაგე მიადგ. იცი, არის უმეცრებნა, გამოსაცდათ ვისცა შეადგ. წუნწუბა ვით მოედება, ნის მსმენელსა ასე დასდაგ.

81. ეროდე რა ქნა, გასმიათ, რა ფიცით იმან აღმოთქო, რაბამ უჯობდა დუმილი, სრულიად, „ჰეცა“ არ ეთქო. ოდიდვან ფიცთა სიმტკიცეს დიდი ბოროტი დაეთქო. აწ შენ რა ენა-მოსწრაფობ, ჰპატიჟობ: მალ იარე-თქო.

82. წესი დაუდეგ საზღვარსა სიტყვისა თქმისა სულ გვიან, თქუ მისდა სრული კეთილი უცდურად, ვინ შეგიტყვიან. ქროდენ რა ქარი სასტიკი, მის ქებას არსად იტყვიან. ვინ არ ეკრძალოს ენასა, სახლსაცა მიწყვი იგვიან.

83. ენოვანსა არა სადა წარემართოს, ეს იცოდე. ნამეტნავად ცრუ-მეტყველი, ბრძანე, ვისგან დაიცოდე? ვისთან ყბედავ შენს სიტყვასა ძალით, თუ შენ არ იცოდე! იყავ მშვიდ და სიტყვა-ფრთხილი, თუმცა ცადმდეც აიცოდე.

84. სადა სიტყვა არა გიღირს, რას ზღაპროი, რას არაკობ? მოელთა ცრუ სიტყვითა, ნუთუ ჰკონებ, თავს შეიმკობ? ვეროდა ცრუს სიტყვასა, სიტყვა-მჭევრად თუმც მუსიკობ. არსად წაგდეს ცუდი ენა, ლექსობ ვინ თუ იამბიკობ.

85. რაა სიტყვისა ამისა უფრორე განვრცელებანი, ან ენა მჭარტლავთ სწავლისა სიტყვითა ცეცხლთა, დებანი, ცრუთ და ორ-ენათ კაცთაგან მართალთ შორ განკიდებანი? უხამს ტვირთვაცა ერთგულად, ვინ სხვათ ყოს მოკიდებანი.

86. დროს სცემს კაცსა ენოვანი, ვინა არის მამაც, მამაც. ოღრქინება მართალთ ზედა, ძმა ჰყვანდესა ანუ მამაც, არას ვარგა სამეგობროდ, თუ ახლო მყვეს, მოდი, მომაც, საუკუნოდ განმამორე მოყვისობა და მისი ნდომაც.

87. არ ითქმის საუკუნითგან, სად რა ავი ყო რაც ამან, გამგონეთ ისრე სად აწყენს, იქექოს რისხვით რა ცამან? დუმილსა სად მოაგონებს, შეხვეწნა ვის იმ, რაც ამან. ეს რაც მასმია, მისთვის ვთქუ, უყურეთ, რა თქვას რაც ა მან!

88. ბრალი არის, წრფელი ვინმე ვინცა იმას შეესწრობა. იმ წყეულის სამართლებლად ძნელია სიტყვის დასწრობა, სადა გინდა სიტყვას ჰკაზმავს, მაღლა მას ვინ აესწრობა, არ გაუშეგებს ტყავ-გაუხდელს, ვირ მოწამე მიესწრობა.

89. კბილს ნუ იღრქენთ, ორ-ენანო, შეიკდიმეთ, ცრულ არ ითქმით!
 იცნობთაა სატანჯელსა, ტარტაროზსა სად დაინთქმით?
 ცხორების წილ საუკუნოდ სასიკვდინედ ნუ შეითქმით!
 ხელს ვერას ჰყრით იქ სასჯელს და არცა ვისგან აქ მოითქმით.

90. ზღამისითგან აქამდე ენანი გესლოვანებსა,
 ვითარ ვენებულობს სხვათათვის, თვისსავე თავს უფრო აენებსა,
 ის[ქრის ფიცხელსა ისარსა სულთა და ხორცთა სავენებსა.
 კრულმცაა მწვალებელთ ენა, ეშმაქსა განუსვენებსა!

91. ედემს სხვა რა დაგვიბშევდა, გაიგონე, ყური მოყავ.
 რაც რა ნივთი, სიტყვის მეტი, შენ გასაზღვრე, კარგა გაყავ,
 ძნიად იყო ხელსაყოფი, რასაც ენით ხელი მივყავ.
 იცით ვინმე ღვთისგან კიდე კვალად მასვე საღათ მივყავ?

92. რას ვინ იქს ავსა ასეთსა, გესლი არ იყოს იმისი.
 იპარვიდენ თუ კაცს ჰკლვიდენ, საქმე არ იყოს საშისი.
 სარჩოსა გარდააგებენ, მეფეთ ჰკადრებენ: მიპისი.
 შითხარით, შემასმენელნო, უარი ვინ სთქვით ამისი?

93. ერნი ბევრი მყის სამ მოსრწა კაცმან ერთმან ენოვანმან;
 არსად იცის მოწყალება ენამ დია გესლოვანმან,
 მართალთ სიხლი ესრეთ მიაჩნს, ვით იტყირთოს ჩიტი სევანმან,
 აგრევე საზრდო არ იკმაროს მუცელ-ლორმან, ნაყროვანმან.

94. სად დაშვრება ტყუილის თქმად, დაახლოს თუ ყური სამ,
 ის ჰსურინ, რომ მართლის წილად იპოოს რამ ორი თუ სამ;
 ქერდული და საღალატო მოიგონოს ძემ ცრუისამ,
 იგ მლიქნელი, სატუხელი სად დაითმოს გულმან ქვისამ?

95. თქუთ, რაც ორპირი მახილი იმისგან იყოს უპკვეთე.
 შურსა აღლესავს კაცთასა, თუმც ვინმე არ შეუუკვეთე.
 ერიდებოდე მცბიერსა, ნუ მოყვსობ, ნუ შეიკვეთე,
 ის რა ბორგიდეს, გძულდეს და სრულ შენგან გარდაიკვეთე.

96. გონება ვისი მისწოვება სიბოროტესა ენისას?
 ორად განაპობს სასმენელს კაცისა მართლის მსმენისას,
 ნაწილსამც ნუ მიემოხევეა მართალი სიხლთა მდენისას.
 ორდნოდ ისმენ სიტყვასა წრფელისა ღვთის მოქენისას.

97. განვერო ცრუსა ენასა, ხელი ვყო საამებელთა,
 აღუპყრნე ბაგე სამკობლად ენითურ კაცთ საქებელთა,
 მოციქულთ, წინასწარმეტყველთ, მღვდელთმოდღვართ ღვთის მაქებელთა,
 გუნდთა მარტვილთას, მამათა, ქალწულთა საწამებელთა.

98. ოდიდგან იწყეს წინასწარმთქმელთა ქრისტესა მოსლვისა, ნივთთა თაყვანისმცემელთა შარავანდელთა დასლვისა, ემხილებიან უღვთოთა, ღონე სადა აქვსთ წარსლვისა? ოხერ-ყენეს მცბიერთ ენანი, აღარც ჩირად სამ განსლვისა.

99. რა ვთქვა მოციქულთ სიბრძნენი, ვინათგან ძალუც არვისა, არ დარჩათ კიდე ქვიყნისა, სად უარი თქვეს წასვლისა. შეცთომილ იყვნეს ცხოვარნი ბაკისა ქრისტეს ა რვისა. ესეა ენა-კეთილნი, მაშ, მტვერი მათი არ ვისა.

100. იწყეს მარტვილთ წამებითა სასუმლისა ქრისტეს შესმა, ხატანჯველთა ლახ[ვ]როვანთა არა ჰრიდეს გულთა შესმა; მწვალებელთა შურით რითმე წარსაწყუედელს უწყეს შესხმა. ერთპირ ღავგმით ესენი და მათ ვევედრნეთ ცადმდე ახმა.¹

¹ შავად დაბეჭდილი ასოები იძლევა აკროსტიხს:

მოიგონე, წამკითხველო, თუ ეს ბირველ ეთქვას ვისმე,
გასაგონი ამისთანა დაგიწერო აწ თქვენ ვის მე,
არა ცუდი, ასაგდები, საკიცხავი კერძი რისმე.
ამას იქით შეიგონო, გამგონეო, რა შეისმე.

ტექსტის ბოლოს კი წითურირ მიწერილია:

ამას ავ-ამბად არ ვგონებ, იცნათა ვინმე საოდ.

ლიქსნი სლასთნი

მისამ

ლექსნი ასდაათნი

მესამე

1. თუმც უცებ ვარ, ვა[მ]ჯობინე უქმად ყოფას ისევ შრომა,
ამ სოფლისგან შეპყრობასა—მისის ხელით გამოძრომა.
თურე იცის მოლამჟღეობა კარგთა კაცთა ავმან დრომა,
და გულ-ფიცხელთა მომდოვრება სიტყვა-ტკბილმა სწკადრომა.
2. ვერ ხედავ საქმეს სოფლისას, მკვირცხო, თვალითა გრემანო.
ჯაბანი ვერსად გაამხნო აბჯრისა სიმაგრემანო.
მართალი არსად გვიამბო ცრუისა მოსაგრემანო.
და ხანი სად შემოიყვანა წამისად წასაგრემანო.
3. ვინ გძულდეს, მისგან სიყვარულს, მაშა, ნუცალა შენ ელი.
მწარე თუ ჭემას სხვისაგან, შენ სიტკბოებით შენელი.
ნუ ბრძანებ უქმის სიტყვასა, ნუ ხარ ცუდისა მსმენელი.
და ნათლისა შემოლებითა განიდევნების მყის ბნელი.
4. მეფეს გვირგვინი ვერ ბრძენ ჰყოფს, ბუნებით თუ არ ჰქონდესა.
ძირ-გავეარდნილი სარწყული წყლით საესე ვის მოქონდესა?
თუ ფესვი ხესა არ ებას, ნაყოფს რით მოიქონდესა?
და ცრუს კაცსა სიტყვა მართალი, არ თქმულა, სად მიქონდესა.
5. შენსა ვერ ხედავ, სხვისასა ადვილად დაინახავა;
სიმართლეს ჩემობ, დასტურა სიცრუეს განიზრახავა;
ვეზირობაში თავს ჯდები, სიტყვას არ შეინახავა.
და თვისსა სრულ კარგა ხედავ და სხვისას მკლედ, ეს გინახ ა ვა.
6. ანგაარი შემოქმედსა შემწყნარებლად ვერსად იყოფს,
რაზომ მიხვეჭი, არ გაძღება, არას ნივთსა არსად იყოფს.
მოწყალენი თვის საზრდოთაც მშიერთაგან არ განიყოფს.
და ძვირთა მძრახი მეგობრისა, პირს აროდეს არ დაიყოფს.

7. სახიერი კაცი ბრძენი მტერსა თვისსაც ავს არ უყოფს, იწროების დღეს, საჭიროს, განსვენებად აღგიღს უყოფს; ცუნდრუკნი და მემრუშენი ფარვით ძმათაც ლახვარს უყოფს, და მთხრებლს უთხრიან უჩინარსა, გარნა თავსავ თვით ჩაიყოფს.

8. საბრხე ფრთხილთაც მრავალგზისი ვერა სადა განიცადეს, მასვე შთახდენ, სანადიროს რით თავი გამოიცადეს. ვინ უცებ არს ყოვლის საქმის, ბრძანე, ახდეს ვითარ ცად ეს? და ვინ ა, სიყრპით ბრძენთ წვრთილება სიბერედმდე გარდიცადეს?

9. მაგრა უჯობს დახშვა ყურსა, კარი ძნელი შესხმად ბაგებს. მეფთოთენი ვერ ეღრება კაცსა მშვიდსა ბრძოლთა დამგებს. თუმცა ვირჯები ამ სოფელსა, ვესავ უფალს, ნაცვალს მაგებს, და ვინ ქერაბინთ ტახტზე მჯომი მიიწვინა პირუტყვთ ბაგებს.

10. მეგობრის ბრძნის და სარწმუნოს არ იპოება ნაცვალი, არ შეაწუხებს მოყვასსა, თუმცა არ ქონდეს საცვალი, ახარებს თვალსა და გულსა, ვით მარგალიტის მარცვალი, და ლხინად შეგიცვლის კმუნვასა, გემართოს ვისმე რაც ვალი.

11. ვინ მეცნიერ ხართ, გვასწავეთ და უმეცართა ისწავლეთ. უღებ-ყოფასა ინანდეთ, რაც წინარ ხანი გარდავლეთ. თუ ვინ რა კაი იცოდეთ, შვილებრ სხვათაცა ასწავლეთ. და ასე არ სჯობდეს, ნუ ვინ იქთ, გასინჯეთ, გული გაავლეთ.

12. განვიდევნოთ გულისწყრომა, ცრუი რისმე ენოვნება; დავიშრიტნეთ გულისთქმანი, რომელს ძალუც დიდი ვნება; მოვიძაგოთ ნაყროვნება, ცუდი, უქმი მოსვენება; და ბეჭთ ვიტვირთოთ მუშაკობა, ვით ცხედრისა განსვენება.

13. მივდრკით მეფენი თანად და ერნი და მღვდელნიც ჩვენთანა, რაზომ გამსტოვრენ პირველნი, სხვა ვერ ვიპოვენ ჩვენთანა; გვამხელენ ჩვენი საქმენი, ვით დავითს მაშინ ნათანა. და ვის რასაც ავგლეჯთ, დაგვრჩება აქავ, წარგვეყება არ თანა.

14. ნუ ვართ მუცლითა მოზღაპრე, ვით მწვალებელნი არიან, ნურც ვიგებთ მამა-პაპასა, ბრიყენი ვიყვნეთ თუ გვარიან. ვის არა შესწევს გონება, მხნენიც ცუდ ვინმე არიან. და რადმე იჩემებ შევენებას, მდელი, ზამთრისა არიან?

15. რად ვართ მიმდონი ჟამისა, ჟამიერს ჟამნივ დახსნიან; ანუ სიმდიდრის მონაწი, უჯეროდ მუნ ვერ გვიხსნიან. სად არს მკვიდრობა მართალთა, ვერცა ვინ ვის შერისხიან. და მშვიდთა, მდაბალთა, მოწყალეთ დახშულთა კართა გვიხსნიან.

16. მე ვარ ცოდვილთა პირველი, არ ნაკლებ შემდგომთა ჩემთა.
 უფროს ლალი და უკადრი, ბოროტთ კეთილად შემჩემთა.
 გამოგიცხადენ საქმენი, კეთილთა ვინა მიჩემთა?
 და ვინა მე ასე სხვანილა სიმართლეს რათ დაიჩემთა?

17. შემოქმედმან ყოელი ნივთი არასაგან არსად იყო,
 ანგაარმან მინახოჭი არავისი არსად იყო;
 მოხედვითგან მიხედვადღე ვნახე კვალიც არსად იყო.
 და გულით წრფელმან მორკინალის საწერტელი არსად იყო.

18. არა სახმარ არს ენაცრუ, აგრივე ქცევა უწესო.
 დრკუსა, ორ-ენათ, მცბიერსა, მიბრ-ძანე, სადათ უწესო?
 თუ არ ორგულთას სასჯელსა, აბა, სხვა რა განუწესო?
 და მაშა, თუ არ ეს, ის უყო, სხვაღა რა შენ ვანმიწესო?

19. ნუ ვანრისხდები, უფალო, მსგავსად საქმეთა ჩვენთასა!
 ვინა შენ შეგვედრებით, ვაბრალებთ ჩვენვე ჩვენ თავსა.
 ნუ სწვრთი გვემითა ჩვენითა უცხოთა ნათესავთასა,
 და შერისხენ აგარიანთა, შენს სჯულსა რად არ ეთავსა?

20. უაზნონი განვილაღდეს, უმეცარნი პატივს იცნეს,
 უგულისხმოდ შეირაცხნენ, არა სადა პატივ იცნეს;
 უღთოებით დიდებანი გულსა მათსა დაიტკიცნეს,
 და ძირ-ჯერკვალთა სიმართლისა ვერ ნაყოფნი გამოიციენს.

21. ცოტას მკამელი ბევრსა სჭამს, ბევრისა უფრო ცოტასა.
 ვინ მარგალიტსა შეიკრებს და ზოგი ვერც იოტასა.
 ვის გეშინოდეს ორთაგან, ნუ ეძებ, ვერ იოტასა.
 და ძნიად მოიქცეს მშვიდობით, გზას შედგეს თუ ბოროტთასა.

22. ჯერ ეს იყავნ, მეგობარო, თუ შეისმენ, სხვაც რამ ვიცი.
 დია მაქვან სასინანლოდ, სადათ ცრუ რამ დავფიცი.
 ჰეე, იყოს შენდა საკმოდ, გარდაუშვი სხვა საფიცი.
 და ნუ ყურ-მძიმობ, გაიგონე, დაიმწყსების ურა კიცი.

23. ნუ მომიწყენ, კვალად გეტყვი სიტყვას დია დასამგებლოს;
 ნუ მიმძღავერებ, ნუგეშის-ეც გექპრიოს, ან ვინ გეობლოს;
 ეცდებოდი მართლის გულით შეჭირვებულთ სასარგებლოს,
 და მოიღვაწდე გულსმოდგინედ შენსა სამნოს, გასამგებლოს.

24. ნუ ვართ თვით-სჯულნი, თვითნება და მუცლითა მოზღაპრენი,
 ნუცა მლიქნელნი, მცბიერნი, სიცრუის მოასპარეზნი,
 ნუ ცალიერნი, კეთილთა წინ ნუ გვითქს ცოდვის ზღვა-ბრპენი.
 და ვიყვნეთ მშვიდნი და მოწყალე, ნუ შურის მომპოვარენი.

25. მაგრამ, ვიცი, ზოგიერთი იტყვის ვინმე ამასაცა:
ჯერ, მკურნალო, თავი თვისი განიკურნე, ამას აცა,
თუ საბრხისგან თავი იხსენ, წყალზედ გიბამს ა მასაცა,
და შთა—თუ არ—ხდე შენ უფსკრულსა, მაშ, ექნება ამასა ცა.

26. სიკვდილამდის არა კაცი არეინ არის სანატრელი,
ამად რომე დღე-დღეზედა არიან რამ დია ტრელი,
კვლა ბოროტი, კეთილისა დაუცად[ა]დ შემპვრეტელი.
და ვერა ხედავ, ანდამატის ბრპენი არის გამზვრეტელი.

27. ნუ ვიქადით სიბრძნეს ვინმე, თუ სადათაც მოიწიოს,
ნუ სიმდიდრის ძლიერებას, თუმც ცათამღვც აიწიოს,
ნუ შვენებას, სიჭაბუკეს, მყის არ სადათ გაიწიოს;
და ვინა ჟამმან, მსწრაფლ ქცევადმან, შენ წილ სხვა არ დაიწიოს?

28. აჩრდილ რამ არს წარმავალი ყოვლი კაცი მზეაობარი,
მოქაღული დიდებისა, მჩემებელი, ცუდ-მზმობარი,
თავის საქმის თვით მქებარი, სხვათა კაის დამგმობარი,
და მსწრაფლ განქარდეს, ვითა კვამლი, არეინ დარჩეს შემკობარი.

29. ვის ძალჯცს კაცსა უმაღლეს თავის თავისა სხვის ასოს,
ან წინა სწრობა აჩრდილის, გინ იგივე მტერსა ვის ასოს?
მაგრამ კაია მწყურვალთად თვისი არ ჰქონდეს, სხვის ასოს.
და ვინ სავაჭროსა ვერ სცნობდეს, სხვა მისგან რა დაიფასოს?

30. კაცი უნდა ვით თავისა, სხვათაც აგრევე მოყვარე,
ჰე, უბედო ბედო ჩემო, ესე არსად შემომყარე!
მაგრა არ ვთქვა სამღურავი, რადგან ასე დამამყარე;
და მხოლოდ მივის მეგობარი, ვინა შექმნა ცათ სამყარე.

31. სადაური სადმე ტყვე მყავ, ვით ემუდა შემყარე,
მტერნი ჩემნი აღმიზავენ, ჯავრი არსად ამამყარე,
ყველა ხელში გამომართვი, პირველ წინ რაც მომიყარე.
და ამ ყოფითა მარონე, აწ სიბერეთაც მომყარე.

32. ეს მაშინც ყავ, ბედო ჩემო, ვინ ტყვედ მყევანან, მათ შემყარე.
სულა მძიმეს აღვირითა რად მხედნი და არ წამყარე?
თუ არას იქ საკეთილოს, ბარე, მო, აწ, სულს გამყარე,
და ზრქელს და უნდოს მორფსა ჩემსა დამხსენ, მიწა მომამყარე!

33. ლიკ-გიყოფს მოყვასთა ჩემთა არ უნდოს სიტყვას, ამოსა;
არა დაგმართებ უხამს გზას, ვითა კალბინთა ამათსა;
წინა დაგიგებ სანუკვარს, არ ნივრით შემწვარს ქამასა,
და თაყვანის-ცემდეთ სულს-წმინდას და ძეს სამებით მამასა.

34. სარწმუნოება უძლური წესია კევა-მსუბუქისა,
 ცრუთა ნივთია შესხმა და უმეცართ ხობა უქისა,
 მდებდრთა აჩრდილთაც შიში და გინა თუ თვისის შუქისა.
 და ნუვის შვაშთობ რისდამე უჯეროდ, მსგავსად ბუქისა.

35. არა ადვილ არს რიტორთა და მელექსეთა განრჩევა,
 ძალთა და ლექსთა სიტკბოთა მის-მის ადგილსა შერჩევა,
 ვით წალკოტს შორის ყვავილთას ერთის სხვათასა აღრჩევა,
 და ვა თუ ვერცეთი ისუნო, სულთ უქნოსელი დარჩე, ვა!

36. თვითოეულთ ყვავილთ ფერი თვალთ სხვადასხვად მიიზიდვენ,
 საყნოსლად და შესაკონად ვინ რომელზუდ წაიზიდვენ,
 ერთს ყვილა არ გამოირჩევს, თუკა ყველას გარ გაზიდვენ.
 და უგბილთა და უმეცართა სიბრძნე მძიმობს, ვერ აზიდვენ.

37. სად ედრება ღანძილი და კოჩივარდა ყარამფილსა?
 ვინ შეყოფდეს, სიბრძნე არის, საქმეს უორად გაყოფილსა.
 დია რამ სჯობს აწინდელი კარგი პირველ სამ ყოფილსა.
 და გული მითქვამს, დამიდებდეს ვსესეწკაზუდ ვინმე ფილსა.

38. ვერას ვიტყვით, ვერცა რას ვიქმთ, პირველ ჩვენსა არ ქნილობდეს;
 ერთის ხმითა მეც მინახავს უმარავნი შეყრილობდეს.
 ხელთა შინა მჭედელთასა ფოლადიცა მორბილობდეს,
 და ჰაერთ შეცვლით მომქსინვარე იანვარი აპრილობდეს.

39. მეც ვიყავ ერთხელ, მოყვასნო, თავმოთნე ვითარ ევე თქვენ.
 აწ წინა გიყოფ ნაქმართა ამად, რა სახელ ჰე გეთქვენ,
 მოხარულთ სიხარულითა, მოტირალთ ასე მოგეთქვენ.
 და ვინ შემოუდგეთ ჩემს კვალსა, ჩემი სახელი დაითქვენ.

40. ნუვინ ვიტყვით: „დიდ ვიცოდე“, უბადრუქმან აწ რალა ვყო?
 თუ სინანულს შევეცადო, ვა თუ ხანი ველარ დავყო!
 მაშინც რალა მეშველება, საბნელოშიც თაფი შევყო,
 და ანუ ჩემი მონაგარი სალხინებლად ჩემდა გავყო?

41. ნუ ხარ უსასო იმისი, ვისაც აქვს უხვად წყალობა!
 თუ სენი დიდი მკურნალთგან განიკურნებ სალობა,
 სად ჯაბანს სადმე გააბნობს კარგის კაცისა სარდლობა,
 და არ უადვილეს გვილხინენს, მას თუ შევსწირეთ მადლობა?

42. მაშ, სრულ ჯაბანი იქნება, დაეცეს, ვინ ვერ აღდგესა.
 ნუ ელმინ შობადს, სალობა არ მუხლად ყრმაზე მიდგესა,
 უსასო მოწყალეებისა ვისალა კარზე იდგესა?
 და სიტყვა დაატკობს სასმენელს კეთილთა ყურის მიმგდესა.

43. გვივის უფალი მარადის, ვინ წყალობასა გვიძიებს,
ჩვენ შეცთომილთა ღრღოვანთა ცხოვართა მსწრაფლ მოგვიძიებს,
გვიტვირთავს ბეჭთა უვნებლად, მხეცთაცა გაგვიბიძიებს,
და ძვირით მომქცევი მის მიერ დიდ რამეც ინეტარძიებს.

44. სოფლის ნივთსა ეს არა სჯობს, ვეტრფიალნეთ გულვებადსა,
ვის ესრეთ ვსურთ თვისნი ქმნილნი, მეორედცა დაგვიბადსა,
საბრახისაგან გამოგვიხსნის არ თუ წინ რამ დაგვიბადსა,
და სულ უღვაწთ და უპოვართა სათნოებას მოგვიბადსა.

45. ნუ მიბრძანებ უმეცრულად, ესე ასრე არ არიო.
არ გარდახდე სრულა საზღვარს, შეუმრღვევი არ არიო,
დაჯგერე გული ამას, თუ არ იქმნე სულ არიო.
და მემც ვიქნები საუკუნოდ მიწყი ამის სამარიო.

46. მოიხსენენით ვნებანი უზომოს ჭამა [და] სმისა,
კვლა ქედმაღალთა სილაღე, უჯეროთ ადგილთ დასმისა,
დამზრალთა ზედა მხურვალის სალბუნთა რასმე დასმისა,
და უპატიეება პირისა, ვინ აგინებდეს დას მისა.

47. აგრევე კაცთა უშვერთა საძაგელთ სიტყვათა თქ[მ]ისა,
გინ დადება და გარდასვლა საშინელისა აღთქმისა;
ან სიხდლე, პურად შაეება, სადათგან სად განითქმისა!
და ოთხივ საქება საძრახი და უფსკრულთამდე დანთქმისა.

48. სულა ერთპირ ვით წარმოვთქვა სხვაცა ვიცვი რათა მეა?
თუ ეს არად მოიწონო, სხვით, მიბძანე, რათ ამეა?
იმას კაცად რად ჩაიგდებ, ვინ სამართალთ მოქრთამეა?
და ერთპირზედა უდგომლობა კაცს არ მართებს, ქართამე ა.

49. სიხარულის წილ იჩქითად ჟამიც სამ მოვა გლოვისა,
მშვიდობის ჟამს და შევებისას შეხვდება დროცა ბრძოლისა,
გლახაკთა ამალღება და დაცემა ტახტზედ მჯდომლისა,
და ფუფუნეულთაც მრავალგზის წილ უც დია რამ ძრწოლისა.

50. ამად არა ვთქვი, რაცა ვთქვი, ყველა სწორებით ისმენდეს;
ვინ იყოს არცა ქოცო და ტკბილთ დატყვენელი ის მენდეს;
ვრცელნი გონებით მიხვდენ და ვერვინ თუ სიბრძნით მჭიშვიობდეს,
და მეცნიერთ შვებად იხნიობ, უგბილნი კვალად იგნებდეს.

51. ცოდვილთ გვხადიან მოგცევად, ნუვინ წავიკვეთთ სასოებასა,
ფრიად ტვირთ-მძიმეთ თუმც ყელსა დიდი დოლაბი გვებასა,
ყველა ცრუნი ვართ, რად აფყვეთ მაცთუნებელთა ქებასა?
და აქვე ვიტანჯეთ, ეს გვიჯობს ულხენსა მუნ ვაებასა.

52. მოღვაწება სჯობს სულისა უღებებითა გდებასა.
რა ძალუც უქმად ყოფასა, კაცობის სულ დაღებასა,
უსარგებლოსა ტირილსა, მოთქმასა ან გოდებასა?
და ესევე უკეთესია ცუდ სიტყვის მიღ-მოღებასა.

53. უვნებლობა არა ჩენი, არამედ მხოლოსა მისა.
არაქვიან ვართ კაცი უცდო, ვის წილ გვიც მის ადამისა.
თუ ვინ სულ წმიდაც იტყოდეს, სტებების და ცუდად დამისა.
და ეს არის ერთ-ღვთაებისა და გვამოვნებით სამისა.

54. ვინა ცოდვათა ქვეშე ვართ, მიენდნეთ სასოებასა,
ვინანდეთ შიშვლის გულით [და] დავეხსნათ უქმად დებასა,
ვემჯნეთ გველთ გესლოვანებთა და მწვალებელთა კრებასა.
და აღსარებითა წმინდითა წარგზღებით ცეცხლთა დებასა.

55. არ არის ცოდვა ასეთი, წყალობას სძლევდეს უულისას,
გოლეულისებრ დაიტკობს მონანულთ წუთხსა ოფლისას,
შეიტკობს ძესა უძღებსა მოქცეულთ ბილწთ სამუაფლისას,
და წყალობას უზაჰს უზომოს განდგომილთ პირ-დაყოფისას.

56. არ გველმის ჩვენ ჩვენთა წყლულთა, ვითარ უფალსა ელმისა;
ვის შობით ბრმათაც ახილვა ძალუც, მაშ, არ თუ ელმისა;
ვინათგან მოწყალებაა მოუკლებელი ხელ მისა,
და ურცხენი მეძავნიც, სიტკბოთა მომქცენი, მოიმხეგლისა.

57. სხვაც რა ვიცი მგ-ამბავი, კაცო ამას გარდაისო,
თუ გიამბო, ჩემგან პირველ მოქმელი, არ ვეკვ, გარდაისო.
მსაჯულობდა ისრაელთა შემდგომ მოსეს გარდა ისო.
და ვინა ოფლი მოციქულთა სამკურნალოდ გარდაისო?

58. ოდეს ყრმა ვიყავ, მიკითხავს ამბავი მე საამისო,
უმჯობეს არვინ მსწავლიდა, მეგონა რამ საამისო.
ჩემნი პირველნი ნაქმარნი იყოლა რა საამისო?
და არიან თანად სწორებით დიდება ერთათ სამისო.

59. მუნ ბნელი აღარ დარჩების, სადა მზე მიეფინების,
მის ძლითვე მცირე, ნორჩიცა რტო ჰრავლად გარდღენების,
ყოვლნი შიშველნი მცივანნი მისგანვე იფუფუნების.
და მაშ სჯობს უხერხობა სიხარბეს, ძლით მიმცემს იფუ ინების.

60. დიდ რამ არს სოფლის დაგდება, ვინ კვლად აღარ მოიქცეს,
ტკბილი უღელი დაიდვას, მის მწყემსისაყე გაიქცეს,
რა ხელი ერქვანს დაადვას, არ უკუნ-ხედვად შოიქცეს.
და ამათ უმჯობეს იგი თქვეს, ვინ სისხლი მისთვის დაიქცეს.

61. დიდადვე შემირაცხია მხედრობის კარგ გაგებისა, შიში უფლის[ა], პატრონის ერთგულად განსაგებლისა, სისხლთა დათხევად მზა-ყოფა, სულ წოლა არ საგებლისა. და ყოვლთა სწორებით მიგვაჩანს დღე ერთი სიტყვის-გებისა.

62. მხედართა დიდი ღვაწლია სიქველე შემსგავსებულნი, — მეფეთა ქვიცნის შემოვლა და მსჯავრი პირ-განვსებულნი, უღონოთ მოწყალეზანი, აღპართნეს სახლ-დავსებულნი; და დრკუთ სწვრთიდეს, მისით ხარობდენ სიმხნესა ზედა გებულნი.

63. მხედართაგან რა წესია სრულ ჩოგური, ვარადაო? მთიდამ გბრძვიან, რა ხელი გაქვს შენ სასმელად ბარადაო? სარდალი ხარ, არას ნაღლობ, დაგაყენეს მაშ რადაო? და თუ გაბნობდენ, ვით გახსენონ მეგობართა კარგადაო?

64. დიდი ძე საქმე მათ შორის ამ სოფლიოთა მოწესეთ: მეფეთ, მხედართა, მღვდელთმთავართ და მონაზონთა მოწესეთ, ვაჰართ, მუშაკთა, გლახაკთა, — თვით თვისით თქვენ გაიწესეთ. და ვინ არ იცოდეთ, ამიერ მითქვამს და ეს დაიწესეთ.

65. რა მეფეთ შესაფერია თვით ხნევდეს და ან ბარევდეს, საქმეს რასმე აამოსა ხელ-ჰყოფდეს და გარდარევდეს, თვისსა ავად განაგებდეს, მძლავრებითა გარდარევდეს? და მაშინ ყველა მალლა ხმობდეს, რა დრო აღარ უდარევდეს!

66. მთავარნი მღვდელთა ხორც-წმინდა შესატყვისია ქებისა, სამწყსოთა მწყსელი, მოწყალე, უმანკო რა იქნებისა, მართალი, წრფელი, მოღვაწე ღვთის მიერ შეიქნებისა. და სასყიდლით დადგინებული ღირსია განქიქებისა.

67. მოშიში ღვთისა იქნების მკერავიც მაშიებისა; მდიდარი ცოდვის-მოყვარე, სიკვდილმდე მაში ებისა; ძვირთაგან მოუქცევართა სჯულ აქვან მა შიებისა. და საყნოსელთ დახშულთ სად ძალუცოთ სუნება მაშ იებისა?

68. სრულიად უცოდველობა უზენაეს არს კაცთასა; ბოროტთა ზედა დადგრომა ლტოლვილთა ცათა-ცათასა, უმეტრება დიდი რამ შედგომა კვალთა მათთასა. და დაცემათაგან აღდგომა საქმეა მხნედ უცთურთასა.

69. ვის ელმინ, უდებ-იქმნების, დიდ თურე უღმობელია; ბრძენთგან უგბილნი საწვრთელად გვერდს სადმე მოსაბმელია, მართალნი მართმადიდებელთ არიოზ, არ საბელია. და ვინ ხელიწიფოს სუფევა, თუ ემბაზო უბანელია?

70. ვითარ მაღალ გვეყნა უფალმან, ჩვენ უფროს დავიმდაბლენით,
 ცათა მათ ბრწყინვალების წილ სულ აღვივსენით სიბნელით;
 ანგელოზთ თანა მოდასე, სატანათ მოვისაბლენით,
 და უვნებლის ხორცთა ვნებითა ძვილ გამოვევით საბნელით.

71. მოვიხსენნეთ უწინდელნი, გინდა ჩვენი პაპა-პანი,
 სად არიან, სად წარვიდენ, თუ აქ ვეჭობთ, აბა, პანი?
 არა ყველა ჩვენს წინ წარხდენ, პო, ვაიმე, ჩვენიანი.
 და რად არ ვხედავთ ჩვენ ამასა, რაბამ დავეჭვდით ჩვენ იანი?

72. არა ყველა ერთ-წამიან, რაზომ იყოს ვინ სვიანი,
 დიდი მეფე, ბრძენი სრული, მოწყალე და სულ-გვიანი,
 მთავარნი და დიდ-შემძლენი, გინ გლაზაკი უსავანი,
 და ხელოვანნი უტოურ-მწერნი, ვინ დონხედა დასვა ანი.

73. ვიცით, ნივთები სოფლისა სხვადასხვად იცნობებიან,
 ფერი, სული და გემონი თვის-თვისად გვემეცნებიან;
 სიზმრებრი ჩვენი ცხოვრება არცლათუ გვეოცნებიან,
 და ამისად უადვილესად ვიფიცავთ, რაც იქნებიან.

74. ცხორება ჩვენი კვალსა ჰგავს ზღვაზედა ნეთ მავლისასა.
 გინა სიზმარსა ამაოს, წუთი-ერთ, ძილ-მოკლისასა,
 ღრუბელს—ქართ მიმოკვეთებულს, ანაზდსა, დასავლისასა,
 და ზღაპარსა დაუჯერებელს, მემუცლედ გამომთქმლისასა.

75. სოფელიცა, კაცი იყო, ვინა ღმერთმან კეთილად ქმნა,
 ყოვლის ნივთით განაშვენა, საპატრონოდ კაცი შექმნა.
 ამ კეთილსა ჩემის ცთომით აწლა ვხედავ ბოროტ მექმნა,
 და რა გველისა მაცთურისა ზრახვა გარე შემომექმნა.

76. გველმან მაცთუნა, უკვდავი სიკვდილსა დამამონაო,
 სახე გველისა შემექმნა სატანა და მამონაო;
 ჩემდა სარგოდლა მიშო რა, ძმამ[ა] და დამა მონაო,
 და გამოვიძენით სამოთხით. სადა მე, სად ამონაო?

77. რა არის ნივთი ასეთი, ჩემი სახმარი არ იყოს?
 იგიც სამ ოდეს მერგება, რა წყალმან ქვანი არიყოს.
 ესეოდენი დიდება რა არის, კაცმან არ იყოს?
 და ეს ლექსი კეთილ სასმენი, ვინ ბრძენმან გულსა არ იყოს?

78. რადგან ჩვენია სოფელი, მაშ, გვიხამს კარგა ხმარება
 ყოველი ნივთი მის-მის დროს კაცთაგან მოიხმარება,
 ნაყოფიანთა მოსთლვადა და ნერგთა არ გამხმარება.
 და კაი ზნე არის კაცისა სიბრძნესთან კარგ სახმარება.

79. არვის მართებს, საქონელი სულ თავისთვის კაცს უნდოდეს; უშურველად უნდა გასცეს, მსგავსიერად ვის მოუნდეს, მხიარულის გონებითა გაცემაზედ არ დაჰმუნდეს, და სიმართლისა მოღვაწებით შემოჰქონდეს და გაჰქონდეს.

80. ამ წესით უნდა უნდოდეს, ვინცა რასა მოიქონდეს: მისცემდეს თვისსა მონაღვაწს სახმარსა, ვისცა არ ქონდეს, ვინ სახლს ეწიოს იმას და სხვათათვისც გარე გაჰქონდეს, და ტანსაცმელს გაუცვეთელსა, ვიდრემდის სულ არ გაჰქონდეს.

81. სიძუნწე კაცსა უშვერ-ჰყოფს დია რამ ზნეობიანსა. რასთვის იკადრებ ქონებად ქვე დამპალს, ზე ობიანსა? არსადათ უხამს, ვის სკირდეს, ბრძენსა და გონებიანსა. და ვინცა კეოილად იხმარებს, საქმეს იქს ზინობიანსა.

82. სხვას რასა იქს კაცი უფროს სახელს და სულთ მოსაგებსა, ვინ შვიერსა პურს აჰმევედეს, მუდამ სტუმართ დასაგებსა, მწყურვალთ სასმელს მიადღევდეს, ყოვლთ კეთილად გას[ა]გებსა, და შეყინებულთ თბილს სახლსა და მერმე ქვეშ რასმ დასაგებსა?

83. რას გვიბრძანებს სახარება, გავიგონოთ, ყური უგდოთ! ნუ ვართ სტუმართ-მოძულენი, უცხოთ კარი არ მოუგდოთ, გავიკითხნეთ თავნი თვისნი, უკეთეს[ს]ა ვის დაუგდოთ? და ვინ ჩვენ მოგვცა ესოდენი, მაშ, მას პურიც არ მიუგდოთ?

84. არას კაცსა ეს არ გვეთქმის, ზიანი გვაქვს გაცემითა, რად ვინა შთხოვს, არვის მივცემ, გავისტუმრებ გარ ცემითა, მიცემითა შევწუხდები, გავიხარებ მოცემითა. და ნუმც ვინაა, მტერიც იყოს, ამ სენისა დაცემითა.

85. ღვთის წინაშე ვინ რასა ვიქთ ამის უფრო მოსაგებსა? რად უშურვებთ მოწყალესა მისსა მისთვის წასაგებსა? რად არ მივსცემთ მრავლის მქონნი შიშველთ თავის გასაგებსა, და განრღვეულთა, ხმელად მწოლთა, სალხინებლად ქვეშ საგებსა?

86. მოვიძულებთ მეგობარსა, ვინ სნეულებს ა ვადარი, ვიტყვი: მემცა კარგადა ვარ, სხვაც მიხსენან ავად არი. ნუ ქვენათგან ნისლი წარხდეს, მთაზედაცა ავა დარი. და თუ მივხედნეთ სენოვანთა, ამას სხვა რა შევადარი.

87. არსად მასმია ქებანი, ვინ ლარი დაიუნჯესა; ვინცა არ მისცემს მოქენეს, უმატებს სულ საუნჯესა, მისდა საძრახად გლახაკნიც ავარდნენ, ვინც იმუნჯესა. და აქ მიხვდეს წყევა-გინებას და მერმე იქ იქენჯნესა.

88. არ მისცემს და იწყევლება, იგინება, იბაქიქებს,
თვით უძღებად მონადიმობს, სვამს, ხელთ იგდებს ქიქა, კიქებს;
სიმღიდრეს და გარიგებას ზედა-ზედრე იქებს, იქებს.
და უსაწყლვა ყოვლთ საბრალოთ, ვინ ასე თავს გაიქიქებს-

89. არ ვარგა არას საქმისა საზომის გარდაცილება,
უმეცართაგან ბრძენთასა სიტყვისა რასმ დაცილება,
ვით მოლინცალმან უწესომ სიცილით სასაც ილება.
და სიხარბეც მამაკაცისა დიდია სასაცილება.

90. ნუ მიმძლავრებ ქვრივს და ობოლს, დაუტევე, მო გონება.
ქარგი არის შექირვებულთ მეზობელთა მოგონება,
ღარიბთა და ყოვლთ უღონოთ სათხოვრისა გაგონება.
და ვინც არ იცის, დანიჯეროს, უჯობს ამის შეგონება.

91. სოფლისა შებორკილებულს შენდა ემუდას რას უყრი?
წყლულ-დაწუთხვილსა ბედთაგან მარილსა კვალად რას უყრი?
ათ[ასის] მყოლე გლეხისა ერთის პატრონსა რას უყრი?
და ვის უხამს, გთხოვს და არ მისცემ, სხვასა უხამს და რას უყრი?

92. ეგება კაცმან კაი ქნას, ზოგთ ავად დაინახონო,
ქებულს არ შეიწყნარებდენ, უქები შეინახონო;
ვინ განუსვენოს დარბა[ხ]სა, საბძელი მოინახონო,
და ყვავის ყრანტალი თუმც გესმის, არ მოგცეს, მოინახონო.

93. ოქროპირმან თქვა პირველ ღვწა თვის ქვეშ მყოფ სხვათა მთხოვართა,
უზრუნველ-ყოფა ჩვენს მტერთა, დავისა გამომთხოვართა.
უცხოთ-მოყვარე თუ ვინ ვართ, თვისთათვის ნუ უცხო ვართა;
და თუ გაროვანთა დავმწყსიდეთ, ემწყსიდეთცა ჩვენთა ცხოვართა.

94. მაგრამ რა ვქნა, თუ არა ვთქვა, ვა თუ ვერვინ დაინახოს!
ვწერთნა ვინმე და არ იწვართოს, არც წყალობა შეინახოს,
იწყინოს და გამეცალოს, ჩემ წილ სხვა ვინ მოინახოს.
და მსგავსნი მისნი უმეცარნი გარეშემო მოინახოს.

95. ღმერთს ბუნებითა შერისხვა არვისი მოეგონების,
მაგრამ ჩვენ აღვსძრავთ, წყალობა ვისცა არ მოგვეგონების;
შეინანს ჩვენსა შექმნასა, ჩვენთ საქმეთ შეეგონების.
და ოდეს შერისხნეს ცოდვილსა, მაშინც ძვილ დაემონების.

96. აგრევე ხორციელთ უფალსა, ესევე საქმე უწესებს,
ვის უნდა თვისთა მონათა არა ქმნა, რას განუწესებს?
ვით ყოს წყალობა მსახურთა სამსახურისა უწესებს?
და ტკბილის სიტყვით და წყალობით თუ უწეს, არ განიწესებს.

97. ვით უწყალო არს უფალი უწყსოთანა აღმრევთა,
- უმადლოთ, მოუქცევართა, შეცთომილთ მიმო-გამრევთა,
მუდამ გულ-ძვირთა, მართალთა ცუდის ენითა შემრევთა,
და ნუსტალა ჩვენ გვეწყალვიან, რას ხელს ვყრით ყმათა მომრევთა?

98. არ გაეძღება მონასა ურჩსა და შეუბოვარსა,
უმადლოს თვისის უფლისას, მის მიერ ბევრის მშოვარსა.
უძღებსა, სულით იწროსა, პირუტყვისაებრ მძოვარსა,
და გარ მქონიერსა, მდრტეინაესა, თვის სახლში სულ უბოვარსა.

99. ღმერთმან ნუ ყოს მოწყალება, ჩვენთ საქმეთებრ მოგვაგებდეს,
თორე კაცსა ხორციელსა, ვეჭვ, ერთპირად გარდგვაგებდეს,
მამას შვილთა ც მტერად შეკვაკვს, არ თუ მტერსა დაგვაგებდეს,
და ნაშენებთა ც მოგვიოხრებ[ს], თორ უშენთა აგვაგებდეს.

100. მაგრამ დვირე დავინახოთ, ვის უძებნით თვალში მწველსა.
როს სპილოს რძით ვერა ვძღვებით, რად დიდ მიგვჩანს ვინ თხას წველსა?
დავერიდნეთ გენიასა, საუკუნოდ დასაწველსა,
და დავითმენდეთ უფლისათვის ვინ გვაგინებს, ან ვინ გვწყველსა.

101. სად იპოვებინ მსახურ[ნი] ყოველჟამ მაამებელნი,
არათა თავს შეგვაწყენდეს, საქმე ქმნან საამებელნი;
უქმნი უქმნელთა მათისა ხელისა კარგ გამგებელნი,
და შენთა დამცველნი, უშენთა ხელოვნებითა მგებელნი?

102. ვისრამიანსა დავსწერე ლექსების დადუმებალა,
მიზეზი პირველს ასეულს თქმისა, სხვა რა გამება-ლა?
კვლა რიტორობის სურვილი, ვით ახალ ნორჩსა მებალა.
და ბოლოდ შემექმნა ბოროტი, თორ პირველ არ მომებალა.

103. ვითა ძვირისა მოქმედი ბოროტს ძვილ მოიკვეთებსა,
თურ ესეე წარეკიდება რიტორთა სიტყვა-მკვეთებსა,
გაყრაც ძნიალობს, რასაც ვას ვინ რასამ შეიკვეთებსა.
და ცეცხლთა მოქენე შეშასა ზედა-ზედ შეუკვეთებსა.

104. ვესაე უფალსა, დროსა მცემს უდარეს უმჯობესისად,
- თუ მივიწიო, მუნც სამლა მიხილოთ მხნეთ უმხნესისად;
სად მელმის, თქვენ მას ვერ ხედავთ, ვისი ვარ მე შემოკვნესი სად.
და ვინცა ვეშიშვით უფალსა, არ მივიწევით ბესისად.

105. თუ ღმერთსა უნდეს, ამისგან უკეთეს[ს] ზედა მომაცლის,
ჩემს ქვეყანასაც ხელთ მიგდებს, აგარიანთაც გამაცლის,
მტერთა და მეუნებელთა ანაზდა გარ შემომაცლის;
და სნეულ რამ ვიყო, მაშინცა ხანს რასმე კიდეგ დამაცლის.

106. სად მოცალე ხარ ამისდა, არა თუ შენს გარემოსა?
 ვითა ნათლის წილ ფურცელი ლეღვისა ვის გარ ემოსა.
 არ ვეჭობ სანოვაგენი კაცს სასას გარე ემოსა.
 და რა მადლი ეყოს მას მწყემსსა, ბაკისგან ვინ გარე მოსა?

107. რა არის კაცი უსჯულო, მცნებისა გარდამავალი,
 შეუსვლელ ეკლესიასა, წარმდებად გარდამავალი?
 გზა კაპნოვანი დასტოვე, შეიტკბე ცად აღმავალი!
 და რაცა გებოძა, მოვილე, ამისაც გარდა მავალი?

108. ხელოვნებით ხელოვანთა რვალი ოქროდ შეიქნება,
 რაც მე მინდა, თუ ის მოხდა, მაშინ ოღონ შეიქნება;
 უმძლავრესთგან ძლიერიცა ლბილს ტყავსავით მოიქნება.
 და კაცი ცდას ქვე ნუ დააგდებს, ღმერთს თუ უნდა, ის იქნება.

109. მაშინ სხვას ვიტყვი, ამიერ რა არენი გამოზავდეს.
 თუ ამხედრდეს ჯვართ-მტვირთველი, მოქენეთა არ დაზავდეს,
 დაამხენეს მტერნი სასტიკად, ლალადრე მათზე აღზავდეს.
 და ჩენი ჰაერნიც მაშინლა ოთხითაგ ნივითთ შეზავდეს.

110. ჩამოიგემენ, ასეულს ქვემორ რაც ათში სწერიან.
 თუ შეიძლება აღრიცხვა მუშლი, ან კოლო, მწერი ან,
 ესეცა მანვე აღრაცხნეს ურიცხვად ანაწერიან,
 და ჩემს გულსა ვიეთ მეგობართ ვით ხატად გამოწერიან.



კაცს უთხარს



კაცს უთხარ

1. კაცს უთხარ: შენი წალკოტი მიჩვენე კარ-გაღებულნი.
მან დამიძალდა, წამიძღვა, მეც მიეპყეე მისი ხლებული;
შევედით, ვნახეთ ხილნარით არც ერთით არ დაკლებული,
და ზოგი ყვაოდა, ზოგს ესხა, ზოგი ქვე ჩამოგდებულნი.
2. განიხარა მან მოყვასმან, მეც მიძულა სიხარულად,
უსათნოე, აყეეე მეცა, რადგან ვსჭვრეტდი მხიარულად;
თვით ჯერიყო მუნ მკვიდრობას, მე ვხედვედი გარდასულად,
და მე რომ მტილი მწადდა მისი, კარნი ებნეს სრულ დახშულად.
3. მას დღეს მას ვახლდი, რაც ბრძანის, მიეპყეე და უსათნოებდი;
რაც რა იამის, ვაამი, ბძანებას გაუგონებდი,
თავმდაბლა, ამხანაგურად თვის გამოც მოვახსენებდი,
და არ თუ სწორ მეგობარებრი, მართ ყმის ოდნადაც ვმონებდი.
4. ხვალის დღე ვკადრე: მეცა მაქვს ბალი ასეთი ნაშენი,
ძველ დანერგული ხილნარი, არ ჩემი ახლა საშენი;
ვექვე, განიხარო, რა ნახო სალხინო მტილი საშენი,
და გულდასადები, საამო, შეება შეებაზედ საშენი.
5. ზოგე [ათ]ვინ ახალ საშენი და ზოგთა აყვავებულნი,
სხვათათვის მკვახე და სხვისდა მოსთელადი, დამწიფებულნი,
საამოდ მყოფი მომკრეფთა, აროდეს არ მოკლებული.
და ვინც მათ ისერებს, იქნება მარადის განათლებული.
6. დამართო მანც ნება ვითა მე, წარვედით ჩემსა წალკოტსა,
შეუძეხ, ზე თავს დაუდგი სელი საჯდომად მარტოსა,
მერმელა ვკადრე: მოზიე, რომელიც გინდეს მა რტოსა
და ნაყოფიანსა. აწ ნახეთ, იმან ვით განმიმარტოსა.
7. პირველს ხეს ხილად ეს ესხა, თუ მომკრებს მოენდომების,
ვინც სჭამდის, ერთს ღმერთს იცნობდა, რით მას წინ წაედგომების.
თვითმიუხლომი სამება ჩვენგან ვით მიიხდომების?
და რაბამად მიუწლომელ არს, ანუ ვით მიიწლომების?

8. ანგელოზს სცნობდნენ მთავრითურთ, ვინც მეორესა ისერდეს, სერაბინ-ქერაბინებთა უფლებად სხვანი ისერდეს, ძალთ ხელმწიფებთა საყდართა მთავრობათ ცხრა დას იბევრდეს, და ჩვენთ მცველთა, კვალად სულთ-მხდელთა, ვინ მატიანეს გვიწერდეს.

9. მესამეს—თვით არსისაგან არაარსისა არსებად, ცათა და ქვეყნის შექმნადა, ზღვის ხმელთა ცხოვლით ავსებად, დიდთა ქვეყანის მნათობთა ჟამამდინ არ დასაყვებად, და შემოქმედისა მათისა საღიდებლად და საქებად.

10. მეოთხე—ოთხთა ნივთთასა ხელთ მჭერთ მისცემდა ცნობასა, ვით ამათ გამო მივეცით ყოველნი მოძრაობასა, ან შეზავებით ქონება მათი, რით მოგვეცემს ბრძნობასა, და მეტ-ნაკლებისა ზედ დართვა რა დიდსა სნეულობასა.

11. მეხუთესა ხესა ხილი უგემური რამეს ესხეს, ვინ მოჰკრეფდა, ეშმაკს სცნობდა, მისი სხვისგან არ ესესხეს; ვით ნათელი ბნელად იქმნეს, ან ღმერთი რით გაირისხეს? და ანგელოზთა მოდასენი რად უფსკრულად გარდმოიხსეს?

12. შეექვისი—ყნოსა ღვთის ხელით ადამის შექმნილობასა, სულ არსთა ზედა დადგენას უფლად, მის მიერ ფლობასა, აქ გულისხმავყოთ, მოძმენო, შევხედოთ ჩვენს წყალობასა, და შემდგომად ამ პატივისთვის ეგზომსა უმადლობასა.

13. მეშვიდეს—ხელთა ქონება, ან მუღმად წინ დაკიდება, მის გემოს ხილვა ამცნებდა, განა თუ ცუდი კიდ ება; რამან მოგვატყვა უთმინო, ყინელი ცეცხლად კიდება, და რისგან დავკარგეთ ეზომი წყალობა, ჩვენი დიდება.

14. მერვე—გემობდა რეაათას წელთ შინა აღსრულებასა, ამ ნივთთა განქარვებასა, ჟამისა შემოკლებასა, უმჯობესისად შეცვლად, სხვად რადმე გაახლებასა. და მან მხოლომ უწყის რა იქმნას, ჩვენ ვერ ვჰყოფთ მიახლებასა.

15. ვერც მდაბალს დასწვდა, ვერც მაღალს ასწვდა, რაც ესხა იქ ხესა, ტკბილი ჰადარეს რა ქენებით, თუ მწარე შეცარისხესა, ვერც ერთი მან ვერ ისერა, ვექვ, ჩემზეც გაარისხესა. და მისვე წალკოტსა იქნება ზღუდით სასახლეს ციხესა.

16. თუ ბრძენი მოხედეს სამოყვსოდ უბრძნოსა, შეუგებელსა, არ უნდა სიტყვას ეტყოდეს მის სმენად შეუძლებელსა; ვერ მიგიხედება შენსა მას, ნუ უგმობ თვის საქებელსა, და მიჰყევ ცოტას ხანს, გეძახდეს კარგს კაცსა, მაამებელსა.

17. თუ ცხენთ მხედარი იგია საქები, მოსაწონარი, რა ჰუნეს მოხედეს უხედნსა კარგ ცხენოსნობის მგონარი, უარშიოს და კისრულის მცოდნეს არ მოსაწონარი, და მით მოჰკლას მხეცი, იბურთოს, კარგად მას უქონ ონარი.

18. ბრძენს უფრო უხამს, უკბილს კაცს მაშა თუ მოიხმარებდეს, არ სიბრძნისმეტყველებითა რა ეყოს, მას აკჰარებდეს; რაც ესმას, იმას ასმენდეს, მას მისით გაახარებდეს, და მარგალიტს ლორთა სალახად არ ფრქვევდეს, სხვაგნით არებდეს.

19. რა შეეყარო კაცს ასეთს გაზდილსა, სიბრძნე-კლებულსა, უწვრთნელსა, შეუსწინარსა, პირუტყვებრ მიმორებულსა, ის ვერ შეგაქცევს, აამე ცოტას ხანს შენსა ხლებულსა, და ეცადე მორჩე უწყინრად, გაცვილდე მალ ავღებულსა.

20. თუ ემტერები, სცოდავ, და თუ ემოყვები, გევენების; არ მიგიყოლებს, მიჰყვები, მოზვევ, არ მოგედვენების; ნუ მტერ-მოყვარე ექმნები, ვისთან არ განისვენების; და პარველ სოლოჰონ გიბძანებს, აწ ჩემვან მოგეხსენების.

21. ვეროდეს კაცი ამაო კეთილისმყოფლად იხილო, ვით ხილის ძირად მწარისა ძვირად სამ სიტკობო იხილო; სჯობს, შორად ექცე სამოყვსოდ, აროდეს არ მიიხილო, და მის მტერ-მოყვრობას დაეხსენ, არც ერთი არ გაიმხილო.

22. ვის ძალუძს მწვირის შეხება და ყნოსა სურნელებისა? ან მდელოს ნივთთა ურგების რგება სამ მოისთვლებისა? სახვილს უმწველად ვისგანმე თუ ხელი მიეხლებისა, და მეგობრის ბოროტისაჲ კარგიც რამ მოისთვლებისა.

23. ლექსი გახლავარ ნათქვამი მეჟისა არჩილისაო, ვით გულზექერთ მოუწონარი, მართ აგრე გულჩვილისაო, უგბილთაც არა საფასი არც წონა მარჩილისაო, და საამოდ გასაგონარი ბრძნისა ყურ-მორჩილისაო.

24. გონიერთაგან პირს ქება გინებად შეირაცხება ამაღ, რა არად მიაჩანს ძლევა თუ გინ დამარცხება, არცა სიმაღლედ აღწევნა, არცაღა ქვედ დანარცხება. და უკუნურთაგან ადვილად ვარსკვლავიც აღირაცხება.

25. წყალმავ წავილოს ისივ სჯობს, ცრუთ კაცთა ხილთა განსლვასა, სიტყვა მართალი, მის ალაგს ტყუულის ძვირად გასლვასა, სიმართლით ჯდომა იატაკს, უღვთოთა ტახტსა აღსლვასა, და ჰაერს ქვეშ დგომა ბრძენთ თანა, უკუნურთ სახლსა შესლვასა.

თავისუფალი ლექსები

ივანე ჯავახიშვილი

იამბიკო ლექსები

(იცის ბრძენმან)

1. იცის ბრძენმან სიტყვა ტკბილი, სხვათაც კარგა გაგონება,
რიტორთა და ღრამატიკთა — უცხოთ თქმათა მოგონება,
ერთა ბევრთა უმეცართა ხელოვნებით შეგონება.
კვლავ უგბილთა სიტყვის თქმასა ძალუც გამგონთ შელონება.

2. ეც ნაწილი სიბრ[ძ]ნე-სრულსა, წარუალსა, მარად მდკომსა,
კატილორებ წმასნილებას, ნუ მიბაძავ მის მიმდგომსა;
არსსა ქებად შემოქმედის გაიციდიდი და შემდგომსა,
ცოდვა გძაგდეს, გარდაუშვი, ნუ ერჩ თვალთა დასადგომსა.

3. ოდეს დაიცო სიწმიდით, გული ნუ აღვიწვავდების,
გონებით ამპარტავანი წმიდაცა მალ დავარდების;
ულმობელი და ლმობილი აროდეს არ შეზავდების,
ლალი და ცუდის მეტყველი ბოლოვამ სულ გაავდების.

4. ითქმოდეს ვინმე მართლიად და ქვე-ქვე ზაკვას ცდილობდეს,
თვით უსუსური ძალითა სხვათ ძლევის მოქადულუზდეს,
არად შესწონდეს ფოლადი, თავად ცვილებრი რბილობდეს,
იმწუხრებოდეს კეთილთად, მართალზე სადლა დილობდეს?

5. რანი ვართ კაცნი? ცუნდრუენი, არა თუ საწყალობელნი,
წუწენი, მიმდონი სოფლისნი, თვისის სჯულისა მგმობელნი,
მოთენნი, თავთა ვერ მხედნი, მეგობართ მაგიობელნი.
უნდოთა ყოვლთა ბრძენთასა ან ქვე რას გვშობენ მშობელნი?

6. ნახვა მრავლისა საქმისა კაცთა უცებთაც გამოსცდის,
ერთით შეორეს მომავალს სცნობს, თუ დრო არის შემცოდის;
გონება ბნელი ადვილსაც გზასა, ვით კაპანსა, შესცდის;
ადვილს კეთილსა, სარწყავსა, მინახავს, ყანაც სამ მოსცდის.

7. გარდასრულთა ყურს არ უგდებს, მის წინ მყოფთა ბრძენთა სიტყვებს ურადება, ვითა ბნელი, ნათელს ევლტრის, არ შეიტყვებს, ღმერთს არ ეშიშვს, უძღებობით მუტელს ჰპონებს, იპირუტყვებს, უდემითგან განვარდება, ჯოჯოხეთში თავს დაიტყვებს.

8. ბედს მონებ და ვარსკვლავთ რიცხავ, შობას იმათ მიაჩემებ, ისიბრქინები, რიცხვთ მეტყველებ, ქვეყნის ზომას შეიჩემებ, ხულ მოზლაპრობ, შემცვალებლობ, სხვისას შენდა დაიჩემებ, არ შესდგები მართალს გზასა, მრუდსა კარგა ვის უჩვენებ?

9. კიბედ მოიგე სიმართლე ყოვლისა კარკაცობისა, აღხედ მის მიერ მწვერვალსა, ქვე დაგრჩეს უტებობისა; იტოლი, ძალუც აპასა ცად აღსლვად, შემტკიცებისა. არავინ ქება მიიღოს უქმობა-გაბუტებისა.

10. ორია კაცთა საქმენი: ხედვა და განჩეულება, ხილვა კარგის და ავისა, სიცრუვის არ ჩებულება, არ ყოფა ავად კეთილთა, სულისა დასნეულება, დროდ გარდაუშვას ამაო გონების სულ ეულება.

11. უღარებს მართ სიმართლესა ერთპირობაცა ენისა, მტბიერობისა განგდებით, სიტყვათა სწორთა სჰენისა, ილიკ ბალიკებრთა ჩურჩინათა არ სმენა მის შესმენისა, ლიქნთა განჩევა, ურჩება, საქმისა არ-საქნელისა.

12. იპაილებიან ყოველნი მის-ვის დროს თვისის საქმითა, შირიღნენ სამე ვერ ცრუნი მათის ტყუილის აღთქმითა, იგოდებოდეს შესხპითა დედაწულითა მათითა; როს განეშორნენ გვამთაგან, დაივიწყებდინ დანთქმითა.

13. ორღანოდ ითქმის ტკბილ-ენა, თუ სიმართლესა ხმობდესა, ნარდად სურნელად. რა თქმულსა მირონად შეიმკობდესა, ახალს სჯულსა და ძველს სჯულსა პავლესებრ შეიხმობდესა, დღედ კეთილისად იღვწიღეს, სამისოდ მუსიკობდესა.

14. შვენის ყოვლს კაცსა ამ სოფლით განელა იწროსა კარისა, ერიღებოდეს, ცოდვაში სიკვდილსა არ შეესწროსა, იღვწიდეს მისთვის, უბრალოდ წამზდართა საუ დაესწროსა, ძლივას ცდილობდეს მტერთსა, შესმენად ვერ წიასწროსა.

15. ღვარ საშვებლისად ჯერ გვიღირს თქმისა და გაგონებისა, ვნებაა დიდი ბოროტი მონება ავ-გონებისა; ნება უშვერი არ გვიხამს, დრო არის შეგონებისა, ერთ-არსებითა მონება ჯერარს სამ-გვამოვნებისა.

16. ბოროტ არს მეტი განზრახვა, უგუნურთ შეუღებობისა; ისაა კაცი, გულისთქმა ვინ უფალს მიუღებობისა, სრულისა სიყვარულითა არც ერთჟამ გაუღებობისა, არ დაუშვრება მონებას, ჟამად წინ წაუღებობისა.

17. ფრთად ვიხმარებდეთ მცნებათა, ვინა ცად აგვიყვანებსა, არ სადათ მიგედრეკს უხამსად, სუფევას შეგვიყვანებსა, რისხვასა დაგვხსნის უფლისას და მისდა მიგვიყვანებსა, იწროსა ხილსა სოფლისას თამამად გაგვიყვანებსა.

18. სიბრძნის ტრფიალნი მტერსა და მოყვარეს სწორად ჰყვარობენ, ესეენ უფალსა, მის გამო განსაცდელშიგან ხარობენ; ვერ დააბრკოლებსთ ხორცთ ქენჯნა, არცა თუ დიდ რამ ზარობენ, ელიან სისხლთა დაღვრადცა, სატანჯველს არ უარობენ.

19. ლომთა ბრდღვინვასა შუათა შიშველნი არა რიღებდეს, იკბინებოდენ გველთაგან, მაგრა სხვას იჰედს იღებდეს, მადლობით მიითვ:ღვიდენ, რაზომ სახმილსა იღებდეს, და აღარ ახსოვდათ მოყვანნი, ძმანი და ან ვის იღებდეს.

20. ღვთის სიყვარულსა შეეპყრათ, სხვასა აღარას ხედვედეს, ლალად წარდგინ მუჟეთ წინ, სატანჯველს ვინ უბედვედეს, ორპირ ლახვრითა განგვმერას, ვინ მათსა მაღლად ყბედვედეს, იხვეტებოდეს ფრჩხილებით, ხორცითა სხვათაც ბედვედეს.

21. სპარსთა მეფეთა ზახებას და მათსა მლიქნელობასა პირს დაუყოფდეს სიმართლით კერპთა მათ შექმნილობასა, იტანჯებოდეს მრავალფრად მანქანათ არ რბილობასა, რუღ მისდიოდათ ნაკადი, შეჰგვანდა ვით ნილობასა.

22. იქენჯნებოდენ უწყალოდ, კვლავ შოლტით იცემებოდეს, არად შერაცხეს საღმობა, უფრორე იამებოდეს; რაო თუ ხორცსა მოგვწყვეტდეთ, ჩვენ სულსა რა ვენებოდეს? შემწე გვიყოსო ეს ღვაწლი, იესოს შეგვაწყენარებდეს.

23. ელოდეს პირად-პირადსა სატანჯველსა თუ გვემასა, ვედრებოდეს უფალსა, გაუძლონ მათსა ცემასა; ღამეს ლოცვითა ათევდენ, იღვწოდენ მტერთ დაცემასა, ეღირსნენ სასუფეველსა, რიღებდენ ჯარდაცემასა.

24. ბუნება კაცთა ვით შესძლებს, რაც მათზე მოიწეოდეს? ისრის განგვრემით ცეცხლზედა რამდენ-გზის დაიწეოდეს, ხასას უესებდეს ბრპენითა მდღურით, ქვე ჩაიწეოდეს; აღიღებდიან უფალსა, მაშა, არ შეეწეოდეს?

25. ყრმანიც ჩვილნი ჰასაკითა გაბედვედეს სატანჯველსა,
უარს არას ეტყოდინან სანატრილნი მათ მქენჯნელსა,
ჩიღებდიან სატანასა, საუკუნოს ცეცხლსა ბნელსა.
სამართლითა მე არ მიხამს: ვაგლახ, მეო, ავის მქნელსა!

26. არ დაურჩათ სატანჯველი მოგონილი ეშმაკისა,
არსად თქმული პირველითგან, ვითარ გოქი ეშვ-მაკისა,
რადი იყო მოგონალი სიბოროტის მუშაკისა,
ადამისა მომღერლისა, მის მტერობის გუშაკისა.

27. რაბამ მწარეა სახილი, ხორცსა რა სწვევდეს ძვლებსა,
აყრიდენ ნაძქს ფისზედა, მალლად უშვებდეს ალებსა?
იხილეთ ქალთა ბუნება, მუნ ხედავთ ვითა სალებსა!
ამის გამოის რა გვეყოს ჩვენ, მღედრებ ენა-მალეებსა?

28. მღედრი ბუნება განაგდეს, შემართეს ცეცხლსა და წყალსა,
ოდეს სახილსა შესთხვედეს, შერაცხდეს ვით ნაბერწყალსა,
სრულიად არ ახსენებდეს შვილთ ჩვილთა მათსა საწყალსა,
ალიარებდეს უფალსა, ვინ ღვთაებრ მათ შეიწყალსა.

29. მხნელა დგეს სატადიონსა ახოვანითა გულითა,
ბასრობდენ კერპთა მონებას ენითა დადაგულითა,
არად შერაცხდენ მეფეთა უფლისა სიერთაგულათა.
ვმადლობ, მიოხონ, მარგონ რა მწეობით წმიდის სულითა.

30. იარებოდეს მანქვლებზედ, ვითა მწვანესა მოლებსა;
რბოდესცა იძულებითა ადგილსა ჩასაქოლებსა,
არ აბრალებდეს ურთიერთს: „ხორცსა გვგვემნო მოლებსა“.
შაჰმადსა სწყევდეს კერპითურთ და მათსა ბილწსა მოლებსა.

31. ევენებოდეს ხორცთა მათთა, სულით დია ფუფუნებდეს,
ვაებით არ ლაღადებდეს, იგი სთნდათ და ისუნებდეს,
ნებსით სიკვდილს მრავალფრითა სატანჯველითა თავს იღებდეს,
ეროს ეძებდეს სასურველსა, ვცსცა მიწყვი აღიდებდეს.

32. ბნელი მეწიფა თქვენს კვალსა, სიჯაბნით ვერ შეუღდეგო,
ილოცეთ ჩემთვის ამისდა, ბოლომდი არ მოუღდეგო,
სადმე დავაგდე ნიქები, პატივით ვის წინ უღდეგო.
არჩილხ მარგეთ რა, წმიდანო, ვინ მცნებას გარ დაუღდეგო!*

* *

33. ბევრი ვსწვართენ ამოს სიტყვით, მაგრამ არეინ არ დამლოცა,
 ამოებად შემირაცხეს, გინდ დღე უქმად გარდმეელოცა;
 კარგადა ქჷნეს, ის მიჯობდა, სხვის საქმითა აღმეელო ცა.
 კიდევ ბევრი უნდა რამ ვაქება, ვიდრემდისი ასე ელოცა.**

* ეს აკროსტიხული იამბიკო შემდეგ სტროფს იძლევა:

ირეკე, კაცო, გულითა ირწმუნე, გაგეღებისა,
 კაია ოხა, დუმილი, მირონად შეიძღვნებისა;
 ფარისეველი მალლოის, პირი არ შეეღებისა.
 ყურსა არა რა იამოს, ამბაეი რამე ვნებისა.

** იამბიკური სტროფების ბოლო „და“ ნაწილაკები ყველგან ამოვიღეთ:-

საგოგნო უსრულო

.

~

.

1



სამიჯნურობნი

ლექსნი აქა-იქ ნათქვამი

1. სამიჯნურო ლექსებიც სამ აგერ ქვემო ჩამიგდია,
ზოგთ მიჯნურთა საქმე კარგი მამწონს, ზოგი ამიგდია;
ცოტა რამ ვთქვა, სრულ უთქმელი ვითამ არც ეს დამიგდია,
და ჰე, მიჯნურნო, სამიჯნურო ყური ამას მოუგდია!
2. სამიჯნუროსა ლექსებსა კარგად მოგვითხრობს „მაჯამა“,
ენახე მიჯნური ფარული, შემატყობინა მაჯამა;
მეც ამიყოლა ტირილმან, ეგზომმან მათმან გარჯამა,
და შეწყალება და გვერთ ხლება ვერ პოვა ჩემ[მ]ა აჯამა.
3. მკითხველ-მთარგმნელნო, „მაჯამას“ წილ მეც ეს მამირთმეგია,
ჩემი და ჩემავიერად არვისთვის წამირთმეგია;
მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურეგია.
და ვიცი შეიტყობთ უცლურად, თუ სიტყვა ამირეგია.
4. მას მიჯნურნი ნუ ედრება, ვინ სოფლისგან წმინდად გადგეს,
ველად რბოდეს მარტო საქე, ტახტიდამე მალე ადგეს,
ნივთ-შექცევით მოიცალოს, ხელ-მოკდობით მის წინ წადგეს,
და ვერ გააგდოს ევრამ კაცმან, ვის ეს საქმე ზედ მიადგეს.
5. მიჯნურობა საქებარი მუხიკთა და რიტორთაგან,
არ ჯარით და ძალის საქმით, საძებარი მარტოთაგან,
რბოდეს ველად გულმოწყლული მშვილდ-ტყორცილი ვითა საგან,
და ზოგნი ნადირს დაამოყვსა, მანდ რომე ზის, შეხე მაგან.
6. ველარ გასძლოს უიმისოთ, მიჯნურობა ვინ ისაგროს,
ცნობა მასთან გარდენხვეწოს, ველარა რით დაიზაგროს;
სატრუიალომ არ მიუშვას, ვირე სრულად არ დასჩაგროს.
და თუ არ მანეე, სხვამ წამალმან მაზხედ ვერამ ვერ ივარგოს.

7. ერთმან ვინმე თქვა; „რას ჰქვიან მიჯნურობა და სურვილი, გაქრა, ხელობა მინდორად, სხვათათვის გულისტკივილი? თუ არ მინდომებს, რად მინდა, მქონდეს სრულ მისი ჩივილი!“
და მაშ, რას იქს ტურფა წალკოტს ჯდეს, ბულბულსა ჰქონდეს ყივილი?!

8. სხვამან იქი გაილიმა: „ჯერ, ვაჟო, არ გსტუმრებია, თუ გეწვიოს, ვერ დაითხოვ, მალე აემარებია; გარბენინოს დღედაღამე გარეწემო არებია, და ვინც განახვედეს, არ გკითხვედეს: «რაზედ დაიარებია».

9. ვის უნდა მიჯნურობისა სურვილის ბადით შეპყრობა? მაგრამ ანაზღაოთ შეიპყრობს, ძნელია ხელისაპყრობა, აქებს ყოველი რიტორი, ავად არავინ ეპყრობა, და ნეტაი იმას, ვის ჰქონდეს ეს სიძე-სძლობა, მაყრობა!

10. მიჯნურსა თვისი აზიყი ეგონებოდეს წამ წამის, შავის მშვილდისგან ტყორცილი ისარი ესვას წამწამის; მისნი ტრფიალნი მან მზემან არ ერთხელ, ბევრჯელ აწამის.
და ამაღ მეწყალის თვის გამო, ჰორად მეც ვინმე შემწამის.

11. ეშხმან იპყრას გული ასე, ველარ სადით გარდებვეწოს, თვალთა ცრემლი მულამ სჩქეფდეს, მკერდი ცემით დაელეწოს; ვისგან სიტყვა ვერ იშოვნოს, უნდა კიდრე მას ეხვეწოს.
და იქნება, რომ მხნე, ძლიერი ერთს ნაზს ვისვე დაეხვეწოს.

12. ვნახე ედემს ალვა რგული, რომე მხეებრ შუქსა შუქდა, აძვირებდა სხივსა მისსა, არ იფუად არვის სჩუქდა; არ მიმიშვა ახლოს შეყრად, გული ამაღ ამიჩუქდა, და წამოველ და ყოვლი ღონე იქავ დამრჩა, ჩამიქუქდა.

13. დილის ნიავემა მახარა ამოსვლა მუნ მთიებისა, უთხარ მუხლთ-დაყრით: „მიჩვენე, სად ნათობს, სად ენთებისა?“
მან მითხრა: „ვაჟო, ძნელია ნახვა მის სათუთებისა, და სხვანი მნათობნი მონად ჰყავს, მას ჰყმობენ, მას ეთნები სა?“

14. თუ ნახავ, ვიცი უცილოდ გული მსწრაფუ დაგიდნებისა, შენსა საწაღსა ვერ შოებ, სიკვდილი მოგინდებისა; გასწყურების, გამოგაძებენ, არ ხელში დაგიდნებისა, და არ დამჯერებ, მეჯხუნებრ საქმე სამ გაგინდებისა.“

15. წარბ მონახევი წამწამი მიჯნურსა გულსა ესობა, სულა კეკლუტთა შეენება, მას დარჩა უკეთესობა, უხამს მთვარესა, უნდოდეს იმისი უყესთესობა, და მზე ღრუბლით ველარ გამოჩნდა, მას აქვსო ზესთა-ზესობა..

16. ზილფს ფანჩავა წამწმის ნბავი წამ-წამ[ა]დ წამონაქროლი, ლაწეს, იქით აქათ ბრწყინვალეს, ხან მინა სვეირობს, ხან ბროლი; კეკლუცნო, შეიბრალენით თქვენნი მკერეტელნი შემწრწოლი, და აღმართეთ, მზემან ვით მდელი, თოვლისგან წამონაწოლი.

17. მთვარე იჯდა ბაკსა შუა, პირი ბადრი მოევანა, ქვეყნიერსა სიტურფესა სულა მასთან დაევანა; წარბ შენასკვით გამწყრალიყო, წყუელმც არის ვინცა ავნა! და ჰპატიეობდეს შინ შესვლასა, მაგრამ ვერვის შეეყვანა.

18. მოახსენეს: „მზეო, შუქი მხიარულმან მოათინე, ვინ გაწყინა, წამწამთაგან სტყორცე, გულსა დააჩინე; ან სიცოცხლე, ან სიკედლი, ერთის განით გაგვიჩინე! და ერთხელ აქათ მოიხედე, სულ-ჰობრძავი მოგვარჩინე.

19. ლხინად ვიჯე, სეღდა რამე შემომვარდა გულსა მურად, ვნახე აღვა მოარული უცხოოდ რამ, არ შინაურად, თქვეს, თუ: „არის ზეციერი, ნუ გგონია მანდაურად.“ და ამიყოლა ველად გაქრად, ვით გიამბო, აბა თუ რად?

20. მოეკეკლუცა პირი და ტანი ლერწამი სარო ვით, მზეო, გჯობს, ვფიცავ შენს მზესა, მთვარეო, დაედაო ვით? დაჩაგვრით გაუგზავნიხარ, ეტლები დაიარო ვით? და ვინ სანდომია ყოვლათათინ უკვლავებისა წყარო ვით.

21. მე მარტო ამად არ ვაქებ, ყოვლნი ამბობენ: მზეო, თუ შენ არ გქვრეტდე, წამსაცა თვალნიმცა დამდგომიო, უშენოდ ჩემს სიცოცხლესა ნუ გჯობ, ნუ გკონიო, და რად არ გიწყალვი, კვირობენ, ვის ესე გაგონიო.

22. ლომი შამბნარსა სურვილით შენითა გამელდებისა, მე შენის ტრფიალებითა სახმილი მომედებისა; თვალთა ქვირობა მთიების შენებრ სად მოუნდებისა? და უმართლე არის მიჯნურნი, ხელობენ, ვინ გიბნდებისა.

23. თეთრის ცრემლისა ნამითა სასროლად წამწამ იწება, ესერის მიჯნურთა უცდურად, გულსა ჰკრავს, არ იმიწება; გულმან ვის უთხრას ბოროტმან იმასთან სიძვა-ლირწება? და ვერვინ ეწევა ნებასა, ცუდი დარჩება ბილწება.

24. კაცი თუ ეშხმან შეიპყრას, მიმოწმეთ, არის წამება, მას დააჯერებს გუნებას, არ ცრუობს, არ იწამება; სურის, რამ პოოს ნიშანი, მაგრამ მზე არ იწამება, და მისის ეშხისა თოკებსა შავს ვხედავ, არ ი წამ ება?
ა ბ ჩ ი ლ ი ა ნ ი I

25. ბაღს საშუალებას კვიპაროზი ღალად იღდა, ამჟამად,
წყაროლიყო სხვაგან წასვლად, ბაგე-ვარდი უბუტკობდა;
ზედ ბულბული დასძახოდეს, თვითან უკეთ მუსიკობდა,
და მოშორებით ბრძენნი იხდეს, ყველა ვინმე ზას ამკობდა.

26. დევანოსიმ თქვა ენოსით: დაწვეერი მისის ქებითა,
ვერ შესატყვისად შევამეო, მისთვინ გვლევს სხივ-შუქებითა;
ჩვენ კი დაგვალა ქებაჲ, სხვაც ბევრი დაუშვრებბთ,
და ვერ ვიტყვით სრულად, უკლებად, რა ცუდად არ ვეხსენებთა.

27. ვერ მიუელ სასაუბროდ, ზღუდეთ სხივი მოემგრა,
მას მთიები განთიადის დაენასა, დაეჩაგრა;
სრულ მნათობნი მურად შექნოდეს, ამად რომე არ ესაგრა.
და შეწყალება არ მაღირსა, მისივე ვარ მაშინც მაგრა.

28. დილის მთიებსა უღრუბლოდ პირსა ნათელი მოესო,
განცქვიფრდეს მისნი მჭვრეტელნი, თქვეს: „ვიცნათ ვინ ამო ესო?“
მის სწორს ვარსკვლავსა ეძებდეს ცად, მაგრა ვერ უპოესო,
და მთვარესა ლები აჩნია მისგან, მის შეუპოესო.

29. ვარსკვლავთა ჯართა შუაზედ სხვა ზევი ამოსულიყო,
მისებრი ნაკვთი ზრო ტანი ედემშიც არსად რგულიყო;
ხენეშა არას ნდომობდა, ტურფები მისად სულ იყო,
და მიჯნურმან შავი ლახვარი საკვდავად გულს[ა] სულ იყო.

30. მარგალიტთა მეპატრონეს კარად ლალი დაეყარა,
მიველ, მინდა მოეყიდა, მიწყინა, არ შემეყარა.
გამოვზრუნდი ნღვლიანი, თითქმის სული გაჰყარა,
და გულს დამაკლდა, მინატრია, ნეტამც ჯავრი ამამყარა!

31. გაღიმდა და გამოუჩნდა უსასყიდლო, უფასობდა,
კბილთ ჯავარი გასჭვირობდა, ელვარება უსაობდა;
კვლავ სტყორცნიდა სხივსა მისსა, ვისცა ჰკრედა—დაასობდა.
და მხემან შუქი მას მიართო, მთვარე ბაქსა მას მესძღნობდა.

32. რაზომ ნაზობს იასამან, ვარდს მაგით რა დააკლდება!
რასაც ყვავილს გვერდს მოურგავ, საყვედური დაედება;
რა აკოკბდეს, გაიშალოს, მასთან სხვა რა გამოსჩნდება?
და მართალს გეტყვი, მის აშეყსა სხვა არავინ მოუნდება.

33. ბაგემან ვარდსა აჯობა, თვალმან ნარგისსა მცინარსა,
წარბი ესროდა წამწამსა მიჯნურთა გულ-საგრგინალსა;
ხმა ისმა საფირონისა, წყაროს თავსა ჯდა მდინარსა,
და განკრთეს, განცქვიფრდეს მჭვრეტელნი, ამბობდენ: „ნეტარ, ვინ არსა?“

34. გაღიმდა, პირი გაიპო ძოწმა, გამოჩნდეს კბილები
მარგალიტსა და სადაფსა უმჯობეს, არ ნაკლულეები;
მაგას ნუ ექობ, ხმა ჰქონდეს ბულბულსა უფრო ტკბილები!
და საღ უსწავლია, არ ვიცი, ეგზომი მას უსულეები?

35. მობუტკო ბაგე ვარდისა ვით ნამით დაცვარულია,
ბროლ-მინა ერთად შეთხზული საჩინო, არ ფარულია.
თვალთ[ა] უშვენის ციმციმი, ხანდისხან სამე რულია,
და ნეტაი ვნახო ზე მდგომი, მიჩვენა სიარულია!

36. ზილფად ია ჩამოშლოდეს, კვლავ სუმბულსა ატანებდეს,
იკრძალოდეს იგი ლალად, ხელს არვისგან იტანებდეს;
ერხეოდეს სანდომად-რე, ნაკვთად საროს ატანებდეს,
და სიარულსა შეენიერსა ფერხნი უსულს აატანებდეს.

37. ვნახე წალკოტი ყვაველით საესე და ფშოდეს სულითა,
ხეზედ მსხპო, ანუ ბალახზედ, გარ მოცულიყო სულითა;
ერთი ჩნდა მათში შევენებით უმჯობეს სხვათ უსულითა,
და იგ შემიყვარდა თვალითა, ცნობითა გულწასულითა.

38. თავს უებროდ დახატულსა თმანი გრძელნი ჩამოშლოდეს,
გავს, რომ ამას შეეყაროს სხვათ სიტურფე, მათ მოშლოდეს,
არას მაკვირს, თუ მიჯნური გაეხელოს, ან შესლოდეს,
და მაშ, რა ექმნათ საბრალოთა, ვერ-შეყრისა მათ მოშლოდეს?

39. მკლავს, უცხოდ-რე ჩამოსხმულსა თითნი ბროლნი ზედ მოესხა,
მკლავს მე ნაკვთის კვიპაროზი, ზედ ყარყუმი წამოესხა,
სრულ მიჯნურნი გახელებით სრბით წინაშე მას მოესხა,
და მზე და მთვარე დაჩაგრული იქით-აქათ გვერდს მოესხა.

40. ბროლის ფიქალს მარგალიტნი ორნი ასხდეს ობლად ზედა,
თავზედ ძოწი ჩამოსცმოდა, მარგალიტებს დარჩეს ქვედა;
არ აჩენდა, დაემალა პერანგს, ზანგსა არა მზედა,
და ძალ-წასულნი ეყარნიან მოყჳე-გმირნი, ან ვინ მხნედ ა.

41. ყელსა მთიებსა ყურითურთ უტურფე რამცა-ლა იყოს,
ერთპირად პირის შევენება შეყრია, არ თუ გაიყოს;
აქ ამას ვერვინ ედრება, ნუ ცდილობს მხემანცა იყოს,
და თუმცა ბევრი ჰყავს მიჯნური, ხელი არვისი წაიყოს.

42. ეკალმუხის შავი მშვილდი ბროლის ველზედ მოეხარა,
კვლავ გოზები უკუშლოდა, ნახვა მისი გამეხარა;
მელნის ტბასა გარეშემო გიშრის სარეპს გაეხარა,
და ეტლი ამას დაუპყრია, შენ რითა სრბი, ვინ მზე ხარა?

43. ერთს სანახავად კარგია, ღვინო დგეს თეთრსა მინებსა, ბაგები უჩნდეს თეთრ-ყირმიზ, ნეტარ მას ვინ არ ინებსა? რა თასზედ გადმოესხმოდეს, კაშკაშით გაიციინებსა, და ვირემ ცნობა აქვსთ შემსმელთა, არავინ დაიძინებსა.

44. რა დანაკლულდეს, გამოჩნდეს ვარდისა მსგავსი ბაგები, შუქი დადგეს და დაშვენდეს ქვეშ მისი რამე საგები; სხვაგან ჯდეს ლალი განკრძალვით მიჯნურთა ლახვარ-საგები, და ვინ მიხვალ მისაყურებლად, უცილოდ დაიდაგები.

45. ისმინეთ ჩემი ლექსები ტკბილადრე, ნუ დამბაქეთა, ბრძენთ მომიწონეთ ნათქვამი, უგბილთა განმიქიქეთა; ჩემ წინ წასრულთა შენდობა იქით თქვით, ჩემო აქეთა, და ეს არ ვარგიყოს, მანდ სამე აბა რუსთველი აქეთა!

46. სასაქმო და სასამართლო სადღა მაქვს, თორ ვინ მიწყინა? ველარ ვბურთობ, ვერ ვნადირობ, ველარ ვლხინობ ვით უწყინა. ამის მეტი სხვა ზნეობა ჯერხან ყველა გამიყინა, და ამად მიჰყავ შეირს ხელი, აშთარხანმან მომაწყინა.

3066A0550

1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
43
44
45
46
47
48
49
50
51
52
53
54
55
56
57
58
59
60
61
62
63
64
65
66
67
68
69
70
71
72
73
74
75
76
77
78
79
80
81
82
83
84
85
86
87
88
89
90
91
92
93
94
95
96
97
98
99
100

მ ი ს რ ა მ ი ა ნ ი

1. კურთხევისაგან სხვას კიდე შესატყვის ქებას ვინ ვიტყვი?
თორ ვინ მიგწვდებით გონებით, არ თუ გამოგთქვით შენ სიტყვით!
ნივთთ-შემოქმედი ოთხ-ნივთმან სრულიად ვითარ შეგიტყვით?
და რაც შენს ქადაგთა არ გვამცნეს, მის მეტად ვერ გამოგიტყვით.

2. ყოვლი ქვეყანა ფერხთაგან დაუტერფავი არ დამრჩეს,
ზღვა წვეთეულად აღმოვსწყო, უფსკრულით ცვარიც არ დამრჩეს,
ცა თითთა შეუხებელი სივრცითა ვერსად გარდამრჩეს,
და ვერც მაშინ მიხვდედ დიდებას შენსა, უფროსიც არ შეგრჩეს.

3. ვინ გხადოთ კეთილისადა, იქნება ნება შენი სრულ,
ვინ გამოავლენ ბძანებას წამ-ერთ, ანაზღარ შენ ისრულ,
მოადენ სიტკბობასა, უხვად წყალობას შენი სრულ,
და ჩვენ უსრულნი ვართ ცთომითა, მხოლოდ უფალი შენი სრულ.

4. გვიხმს თუ, ვიცოდეთ ყოველჟამ რა გვიღირს ჩვენდა სახმარად,
ლხინშიდ ვიყოთ თუ სალხინო გაგვიხდეს კირ-მოსახმარად,
დიდებით სილარიბესა ვეწივნეთ მუნ გარდამხდარად,
და გვმართებს მაშინცა მადლობა, ქვე სამ ვსხდეთ საქმე წამხდარად.

5. თავი ეს არის პირველი, ღმერთს უნდა კაცი ესევდეს,
მას დაემონოს, რაზომცა კირს კირზე გამოუსევდეს,
მოუთმენდეს და მადლობდეს, უდრტვილად ნუთუ კნესევდეს,
და მისგან ითხოოს საწადი, სიმართლეს მიწყვი სთესევდეს.

6. ვინცა დაუთმოთ, გვიბრძანებს, სრულიად იგი ცხონდესო,
თორე შეუბრკმეს, დაეცეს თვით თავი ვის მოსწონდესო.
ნუ უმადლო ვართ კირისად, თუმც ლხინი დაგვიყონდესო,
და სასუფეველსა გვიქადებს, სხვა მას რა შეუწონდესო?

7. მაშ, გვმართებს, ვთხოოთ მართ ოდენ მოთმენა განსაცდელისა,
ყოველჟამ გვქონდეს იმედი ჩვენ ჩვენის გამომზრდელისა.
თორე რა კი გვინახავს უმისოდ საქმის მცდელისა?
და ვინ მის წყალობას მოელის, იგიცა ცად აელისა.

8. ღმერთო, რაც გინდეს, მზასა გაქვს შენ შენაა მოქენებისა, თუ ქვათაც ბრძანო, აბრამის მსწრაფლ შეილად შეიქნებისა, თუ ზღვას შერისხდე, გაშრება, მათთ ძრწოლა შეექნებისა, და რაც შენ არ გწადდეს, არვისგან ის კარგად არ იქნებისა.

9. ვინ რა იცის, შემოქმედო, საქმე შენი შეუძლები! ყოელსა სულსა საზრდო მიეც თაე-თავისი გასაძლები: ველს ნადირნი, წყალში თევზნი, ჰაერს ფრინველ ფრინველები, და შენ გმონებენ, შენ გაქებენ, შენ ვით მწყემსი გარ ევლები.

10. თუ შაირისა შექცევა მეც მომეც გასაძლებელად, მოწყინებისა სევდისა ჩემისა გასაძებელად, მაშ, მიხამს, ენა მიბოძო ლექსისა დამატებობელად, და უმეტრად არას წავადგე ბრძენთაგან დასაგმობელად.

11. უქმად თქვეს სიტყვა, საუქმო სიტყვის მიხდაცა გვიბძანეს, მაშ თუ ეს უქმად ჩაეგდოთ, ამათ თქმა რად მოიწადეს? ბრძენმან მეფემან თემურაზ, რუსთველმაც მწვე დაიქადეს, და სხვათა ქებითა საქებრად თავს ვხედავ მათ გაიხადეს.

12. უქმის სიტყვის სამუქაფოდ თუ პატიჯი მიმეხდების, ვით შევმართო ამის თხოვნა, რადგან ბოლოს გარდამხდების! თორ უშენოდ საქმე კარგი არავისგან არ მოხდების, და არ გივედრო მოცემასა, ვიცი, ცუდად წამიხდების.

13. უქმად ამად არ ჩავიგდებ, რომ ესენი არ უქმობდეს, ოდენ ყველას დრო დაადევს, დასულდეს ან ვინ უზნობდეს. მე არ შემხვდა დრო ამათი, მთქმელი თქმულსა არ ტყუოდეს. და მიმძიმს, არამც ცუდათ დავშვერ, მე მომწონდეს, სხვა სწუნობდეს.

14. ვით გოხოო ქება ცეცხლისა მოსავთა, შენს უცნობართა? მაგრამ წავბადე ბრძენთ კაცთა, ჩემს პირველ მიჯნურთ მკობართა. ამ წიგნის სიტყვას აქებდენ არ ამბად, გაუწყობართა? და თუ კაი იყო, რად დარჩათ სხვის ამბვის ლექსად ნობართა?!

15. ეს იქვი გულად მომიხდა, მათ ამად არ შეემართათ, სიხშო, სიძნელე ამბვისა ლექსითა ვერ დაემართათ, თორემ მიმდენტა მელექსეთ რად დარჩათ, რა დაემართათ? და შენის შეწევნით აწ მეთქვა ეს უკულმართი წაღმართათ.

16. მათ ბრძენთა ამად არ უთქვამთ, კაცი სულ ავას გასდევდეს, დაებას მიჯნურობითა, გარ ბადედ მოიბადევდეს, გაიჭრას ველად, გაეარდეს, ცუდი ხელობა სწადევდეს, და გარჯა-ტირილსა, სულთქმასა მოყვასთან დაიქადევდეს.

17. აჰალ თქვეს, მათმან ნათქვამმან, შენს მიჯნურობას მიგვზიდოს, შენ გეტრფიალნენ მონანი, შენს სურვილს თვისად მოზიდოს, ტვირთსა მსუბუქსა, ზღელსა ტკბილსა სიზღაბლით გაზიდოს. და სხვა ცუდათ წავა, ურგებად, ვით მოუჭიროს გაზი დოს?

18. თუ მოყვარენი მოყვრისად თავს სიკვდილს არ არიდებენ, მიწყივ ეძებენ ერთმანერთს, მიზეზს არა რას იღებენ, ღამეს უძილად ათევენ, დღეს ძრწოლით დააბინდებენ, და მერმე სიყვარულს დაღევენ, გასცვეთენ, გააფლიდებენ,

19. ან ჟამი დახსნის, ან სენტა სიბერე უმძიმს, ესია, ან მოსწყინდებათ ერთი ერთს, ვით ჩვენთ ბუნებათ წესია. ყოველი ნივთი გაცვდება, რაც სოფელს დანათესია. და ვინ შენ გტრფიალობს, არ დაშერგს, ვინათგან უკეთესია.

20. მაშ თუ ამ განქარვებადით სურვილით ასრე ვიწოდეთ, შენთვინ რა გვმართებს, უუვლო, ვინათგან შენს ძედ ვიწოდეთ! ვინ შენთვინ ვრიდეთ სიკვდილსა, ფუ, ხმალი რად მოვიწოდეთ? და ამის მოქმედსა გვიხამსცა, ღია რამ თუ ვიწიწოდეთ.

21. ღეთისმეტყველმან სიყვარული ჯეროვანა მას უწოდა, ღმერთი არსო სიყვარული, — ყოვლთა მიზდა მიგვიწოდა, — მოვედითო, შეიყვარეთ უმანკოთ და უბიწოდა. და ოთხსავე კიდეს გააგონა, არ თქმისათვინ იწიწოდა.

22. ვიცით, შენი სიყვარული არა სადა დაეარდება, არ მაღლოის, არცა ცრუობს, არც ვის ხელით გაეარდება. თან დაჰყვება გაუყრელად, ვინცა ველად გაეარდება, და სიჭაბუკით სიკვდილამდინ მიწყივ ყვავის და ვარდდება.

23. მაშ, გვიხამს, შენი სურვილი რადგან სამუდმოდ გვეზდება, ეს აღვირჩიოთ ჰაბუკთა, ბერთაც არ დამიხეზდება; უძლურთ ახარებს, სნეულთაც, მრავალფრად გაუზეზდება, და არც ღარიბს სწუნობს, არც მდიდარს, არც ერთს არ გაუნაზდება.

24. ლოცვა მუნ დატკვენს, რა კაცსა ჰქონდეს რამ კადნიერება, დღე და ღამ აღარ მოსწყინდეს, დააგდოს ნებიერება, ხორცს შეურაცხდეს, არჩიოს სულისა შევნიერება, — და სხვისა სიბრძნისა უმაღლე ეს არაა გონიერება.

25. ლოცვას აქვს ღიდი სიამე, ვინ უფალს ოდენ ესევდეს. მუნ მხიარულობს მუშაკი, რა თესლს ამინდით ათესევდეს. დროდ ნორჩი მიწად დარგული აყვავდეს, გაიფესევდეს. და ხმელს ქვეყანაზედ მარცვალსა ვინ აბნეის, უნდა კენესევდეს!

26. მონადირე სად მოიწყენს, სად ნადირი ხშირად ხვდება?
მეომარი გულოვანი მაშინ მტერს მხნელ მიუხდება,
კარკა ყოფის მეჯილდოვე ყვანდეს, ბრძოლა მოუხდება,
და კვლავ სიჯაბნის მოკიცხავი, თვარე გული წაუხდება.

27. ზღვის ღელვისგან ნავთმოდღვარი მაშინ არი უშიშარი,
ოდეს ჰპოოს ნავთსადგური, წყალი ტებილი, არ თუ მწარი;
ვაჭარიცა მის ოხრასა მით შებედავს ბერი წყნარი,
და გაღმა ჰქონდეს სარგებელი, ერთი ორად მოსახმარი.

28. მემურასე მაშინ გასთლის თვალსა სწორად, არ თუ მრუდად,
დასხამს წმიდას ოქროშიდა, ფირუზს მოელის გარე ბუდად,
შეახამებს ერთმანერთსა, ჰიქაც იყოს იაგუნდად, —
და პატრონი ჰყვეს მეჯილდოე, ხელოსანი არ შერეს ცუდად.

29. მხარეული სანოვაგეს ტებილად რაიმე შეუმზადებს,
რა უფალი მეჭაშნიკე უვის, სცნობდეს დანამზადებს,
კარგს მოუწონს, პატივს მისცემს, მებეგრესა გააზატებს,
და თორე მარილ მეტ-ნაკლებსა უზამს, დასდებს რასმე ზადებს.

30. ფარეში მაშინ ვერ დასდგამს სევანსა სწორად კარავსა,
თუ პატრონი ჰყავს ასეთი, სამსახურს არ აკრძალავსა,
კარგს კარგად არ ჩამოართმევს, არ ბრძანებს: „კაი, ჰკარ ავსა“.
და მეფესა მცოდინარესა სხვა კაცი ვერ უსწორავსა.

31. ბრმის ყმა საქციელს არ ჰკრძალავს, მაგრამ ხმამაღლა არ ყვირის,
ყრუსა მოფარვით ხშიანობს, სლოკინი ისმის-მართ ვირის.
უზავთო-უმწყალობლოსა არავინ არ გააკვირის.
და მონანი მხიარულობენ ბატონის უხვის, არ ძვირის.

32. გული მკმუნვარე კაცისა სიხარულს არას ინებსა,
პირს ფერს გაუკრთობს, დააჰკნობს ვარდსა ბროლსა და მინებსა,
ჯავრს დაამონებს, ნაღველსა სიძძიმისავე მინებსა.
და სიბრძნე სად წარემართება, ტებილს მწარეუ მოასმინებსა.

33. პირი კაცისა სიხარულს გულისას ვერას დაჰფარავს,
თუმც ბაგე დახშავს, თვალეში ციმციმებს, წამს არ იფარავს;
კმუნვასაც იგივე გაჩვენებს, ფერს სახე ავს მოიფარავს,
და რაგინდ ღიმობდეს, მაშინცა კაცსა გავს ჯაბანს და ფარ ავს.

34. მოწყენილის კაცის ენა, იციო, მალე დავარდება!
თუ ისარსა ფთა არ აკრავს, სწორად შორს არ გავარდება.
ნავი ქალაქს მიმავალი უაფროდ ვერ შევარდება.
და ცეცხლი ქართა უბერველი დაშრტების, ქვე ჩავარდება.

35. რა გული, ჩემი ხელმწიფე, სიხარულს არას ინებდეს,
უმისოდ რა ქნას ენამან, ვის მკობდეს, ან აგინებდეს!
მას დასტურს სთხოვს და არ აძლევს, სიტკბოს რით მოადინებდეს?
და ცუდსა ლაყაფსა, უნჯოსა კარგა ვის მოასმინებდეს?

36. რა სატურთალი რუსთველსა ბულბულებრ ეშხმან უვარდა,
მას მხერდა ენა სამკობლად, ამისთვის არ დაუარდა.
კახთ მეფემ ბძანა: „ეშაირობ, ქვეყანას შემოუვარ, და,
და სიბრძნე მაქვს, ხმალი, ნამუსი“, — ვაყებო, ვინმე უარ, და?

37. რუსთველი რასაც ჩემულობს, თვით მისვე თქმულსა აჩნია,
მაგრა მას წნათობს ერთი ყვა სამისოდ სად მიჩნია?
წამს დაწვის მისის სხივითა მან მზემან მისნი ურჩნია,
და ოდენ იადონს მწვერვალი წყალობის ნამით გასჩრჩნია.

38. თუმკ იგი ვარდი სიწმინდის წალკოტსა ამოსულიყო,
მას ბულბულს სად ხელეწიფა საბუდრად იქ მისულიყო?
მაგრამ ქიკვიკი სამისოდ საქებრად დასდასულ იყო,
და თავს აბრალებდა, თუ მისთვის რაგვარად სულწასულიყო.

39. ვარდი მაშინ უტურფეა, დილას იყოს დაცვარულად,
ლაღად ვინმე რა მოსწყვიტოს წყნარად, ნაზად, კარგ-უსულად,
სატრფილომ ტრფილას მისცეს ღიმილით და მხიარულად,
და სულიც მაშინ უამე აქვს, საყნოსელსაც ვცეს სულად.

40. იადონსა თუცა ჟამი ჰქონდეს მისის ზახილისა,
არ ნიადაგ სწორათ სტვინავს, ჟამი ხედება ხადილისა,
მაშინ ამოდ აკიკვიკედეს, რა დრო მიხედეს წადილისა.
და ჩიტსაც უნდა აღსრულება დროდ თავისა ქადილისა.

41. ძილპირობ ცამან მოცვაროს და ბნელსა სკვრეტდეს ღამებსა,
სახმილაგ ოდენ ქათმისას მოწმენდა დააქემებსა,
გაიკრტნას, ჩაჯდეს ვარდს შუა, მაშინ ჰკრავს რასტ-მულამებსა,
და მიჯნურთა, მოაშიყეთა სასმენელს დაუამებსა.

42. აგრევე მოშაირეთა თითო ამინდი მოხედება,
მისის ნებისა საქმისა გამართვა კარგა მოხედება,
ენამზეობა, სიტყვისა მკვერობა არ წაუხედება.
და ჩემს სარგი შოთა რუსთველსა, მგონია, მისთვის უხედება.

43. ეს უფრო ძველნი მიჯნურნი რად დარჩათ ამბვით ქებული?
რამინ სად ნახეს კაბუკთა ერთს სხვაზედ რითმე კლებული?
ან ვის[ს] რით სჯობდა დარეჯან, ზილიხან გაბოზებული?
და მაგრა ვერ შესძლეს გალექსვა, მით დარჩათ ქვე ჩაგდებული!

44. ვარდი რა წალკოტს არ ერგოს, შორს ჩანს, ფერ-დანაკლულდება, ვენახი უმუშაკობით პარტახტობს, გაეულდება.
გულსა მკმუნაგსა სიცილი არარად არ მოუნდება,
და ვის საყნოსელი დახშვია, მირონი არ ესუნება.

45. ნელექსესა სამს საქმეში ერთი მაშინც უნდა სჭირდეს,
ან ვინ ნიჭით ათქმევინოს, საუბარი არ მისჭირდეს,
ან მიჯნური ვისმი იყოს, სიყვარული გულსა სჭირდეს,
და ან მდიდარი, ნებიერი, საწუთროსა ხელსა ჰკრიდეს.

46. ევალს ვარდი რა გასციინდეს, გავს, ბულბული დანასულად,
მეფეს მოხვდა ეს ამბავი, გული ჰქონდა დანასულად,
ამოიღო ტკბილის სიტყვით უფუკრულითგან კარგ-უსულად,
და ვერინა თქვას მორევშიგან ჩავარდნილი ვერ გასულად.¹

47. მიჯნური სხვათა მიჯნურთა რა ამბავს თვისად სახევედეს,
თაგის მაგიერ უბნობდეს, სამუდმოდ ზედან ახევედეს,
ვითა ორპირსა ლახვარსა გულსა მიდამო ახევედეს,
და ფუ მას, თუ ავად ლაყბობდეს და ცუდად რასმე სჩმახევედეს!

48. ნამეტნავად მაშინ უფრო სამიჯნუროს რა მოედოს,
მისთვინ ხელსა სააშიყოთ თავი მისთვინ გარდაედოს,
მის ამბვისა გარდალექსვას თქვას მიზეზი რა დაედოს.
და იმას რალა ცოდნა ვთხოვო, თუ ეს კაცმან ვერ გაბედოს!

49. მიჯნური ლექსით ღიჯნურთა ვინათგან ერთად შეჰყრიდეს,
ან მოაშოროს საბრალოდ, რა ქნას, ამბავი გაყრიდეს!
თავის საქმეზედ მოსაზროს, მანვე თქვას, ხელს ვის აჰყრიდეს.
და ვით უხამს, გული გაავლოს, რეცა თუ შაირს აყრიდეს.

50. მე რა ვქნა უცხომ უცხოს კარს მდგომმან და შინ ვერ შესულმა,
მეფობისა წილ შორიელს ქვეყნად ღარიბად წასულმა,
ჩარხთა ბრუნვითა მრუდითა უდროოდ გულ დანასულმა?
და ვინ რა ისიბრძნოს ჩემსავით ავად საქმემა მოსულმა?

51. მასპინძლის წილ მყვირალთ მხეტთა სულ მოუტავ გარეშემო,
ჯოხთა ნაცვლად ხელთა ვიქნევე, ეს ტყუილად არ ვიჩემო;
ფერხთ მაგიერ გულსა მკბენენ, არ მეტყვიან თუ: „შინ შემო“.
და ეჰ, რა მიყავ უკულმართო სოფელო და ბედო ჩემო?!

52. ცუდად ყოფა მომეწყინა, სულა ფიქრმან დამალამა,
ლონეს ვიქებ ლხენისასა, არამც მოგვედე ამალამა.
ღია მიკვირს, რად გამხადა ასე დიდმა ამალამა?
და მაშინც მადლი მოვახსენე მე იმისმა სადალამა.

¹ ან სტროფს აშიაზე შენიშნული აქვს დედნისავე ხელით: „ეს ერთი ლექსი ბოქოვლთ-უბუტის ნათქოშია, ფარემ ჩხეიძის-შვილისა“

53. თბილი წყალიც მწყურვალთათვის გრილია და საამოა,
პური შავი მამობელი მშვიერმან ვინ გადაგდოა?
ჩვილმა ყმაბა გასაძლომლად მშრალი ძუძუ გამოსწოა,
და ლეკდა ჩქარად ქუჭკუნითა, რძისა გემო ვერა ჰპოა.

54. ვისგან იქნება შაქარს და საშალას ერთგან სცობნიდეს,
სიმწარეს გარე განსთხევდეს, სიტკბოებას კი ჩანთქმიდეს?
ან ენა სწორათ უბნობდეს, თუ გული მას არ უთქმიდეს?
და მან სიბრძნე ვითლა წარმართოს, ვინ მიწყევ ჯავრით სულთქმიდეს?.

55. არა ვშვრები ამად, რომე ესე ვისმცა მოვაწონო?
სრულთა მივეცე საზრდო სრული და ჩვილთა რძე მოვაწო[ნ]ო,
სხვათა ტკბილად მეღექსეთა ჩემი სიტყვა შეუწონო.
და ამად ვშვრები, შეიტკევით, ჯავრს არ მინდა დავემონო.

56. ამად ვშვრები, შეემან ნისლმან დამფარა და დამაბნელა,
მუგუზს ვაქნევ წნორისასა ღონედ რასმე ნელა, ნელა;
ეგებ ერთს გზას წამაყენოს კარგსა სადმე, სად ნათელა,
და კირნი ჩემნი არ წამიხდეს, ან სულ ჯავრმან არ წამთელა.

57. საგნად დადგმულვარ კირთადა, ისრად ნაღველსა მესვრიან,
მოზიდვენ ჩემად საკრავად მკლავ გაშლით, მიწყევ გვარიან,
არ დამაცდენენ არც ერთსა, გულისად სისხლითა სვრიან,
და წამს თუ მინდოდეს სიამე, მასკე წამს ხანგრძლივ წამგვრიან.

58. უაფროდ დიდის ნავითა ზღვას ნიჩბით ვინმე შემართოს,
ან გრძელი, ძნელი ამბავი უგულოდ ლექსად დამართოს,
მერმე მას ჟამსა საწუთრომ დიდება დიდი წაართოს.
და რაცა მე მიყო სოფელმან, მტერსამცა ნულარ დამართოს!

59. კაცო, მიზეზს რაღას იღებ, რაც შეგეძლოს ის აღმოსთქვი!
მაგას არეინ არ ჩავიგდებს, რაც რა კირი შენი მოეთქვი.
რა დაძველდეს, ვინ გამართლებს თუ სამ სიტყვა ცული წასთქვი?
და ეს ამბავი, სხვათ მეღექსეთ დანარჩომი, შენ გამოსთქვი.

60. მათ მიჯნურთ ცრემლთა ნაკადმან მართ დამაფიწყა ი სალა,
გული დამიდნო სურვილმან მათმან, რაზომცა ის ალა,
დავლონებულვარ ლექსად თქმას, ძნელი რამე აქვს თიმსალა.
და ვთქვა, თუ ნუ ვიტყვი, რას მირჩევთ, ჰეი, არიფნო, ჩისალა!

61. ჩემთა არილთა მირჩიეს: „ეგევ სჯობს ცუდს დახამებას,
უღებებითა ყოფასა, დღის უქმად სულ დაღამებას.
რა იცი, ჟამსა რა მოაქვს, ან თვალის დახამამებას?
და წაწყმედა ძალუც, იცოდე, ჯავრით თავისა წამებას“.

62. რადგან დამოწმდენ ესენი, მაშა მკ რაღა მართებსა?
მაგრა ეს კიდეე მაყენებს, ვაქებდე რად წარმართებსა?
სოფელი ესეე წინავ ძეს, ჩემს საქმეს სხვასც დაშართებსა.
და ბრძენთა ზოგი რამ გააგეს, ცრუ კაცი რას წარმართებსა?

63. სიტყვა-ულექსო ამბავი ბალსა გავს აყვავებულსა,
არ ხამს, ერთობით ვინ ჰკრეფდეს კარგსა და გაცუდებულსა;
ან საქურქლესა ნივითთა ყოვლითა გამდიდრებულსა,
და იღებდეს სწორად თვალსა და რას გინდა გაიქებულსა.

64. ეს კაცს როგორ მოუხდება, თუ სირეჭენ არ მორევდეს,
ვარდს, ნარგისსა, იასამანს შუა ლანძილს გაურევდეს,
იაგუნდს და მარგალიტსა აყიყს საშნოთ შეურევდეს?
და ან მწყურვალი წმინდას წყალსა ასამღერეკლად დაურევდეს?

65. მელქესეს მართებს, რა მოხვდეს გრძელს ამბავს გაცუწობარსა,
სწორად არ უნდა იტყოდეს ცუდსა და შესამკობარსა;
გრძლად ნათქვამს შე-მოკლებდეს, ანაზღად მოსასწრობარსა,
და უცებთა მიუხზობარსა, ბრძენთ ადვილ შესატყობარსა.

66. სადაფთაგან მარგალიტი მინდა სწორი გამოვკრიბო,
ორნატს ღვარძლი გაეარჩიო, წმინდა იფქლი შევიკრიბო,
წალკოტს ნარი არ ვეძებო, სხვა სურნელი სულ მოვკრიბო,
და ბადე მოვსდვა სანადირო, ეს დიდი ზღვა მოვირიბო.

67. გრძელი სიტყვის შემოკლება რუსთელისაგან მერგო წილად,
მეუ რამე ვთქვა ორღანოდა, თუ მას უთქვამს ვით წინწილად,
რამინ ვისით არ დავაგდო ლექსთა ჩემთა უნაწილად,
და ეჟნი მათნი საჭირონი გაუხადო საქორწილად.

68. კაცსა მართებს, რაც ვის ზწადდეს, პირველადვე გულისხმაყოს,
გაფიქროს და გაცასაზროს, ფიქრში დიდი ხანი დაყოს;
საქნელი და კვლავ უქნელი გაარჩიოს, კარგა გაყოს,
და თორ მას რაღა ზოზღნა უნდა, რა ვინ საქმეს ხელი მიჰყოს.

69. დროა შევიდე საუნჯეს ძველად ხელ-მიუყოფელსა,
განვახვნა ლართა ზარდახშა, გაუყო ყოვლსა სოფელსა;
ლახვრად ვლესევედე ლექსებსა მიჯნურთა გულ-საყოფელსა,
და სხვანიც გაიჭრან მამენელნი, მოშორდენ მათ საყოფელსა.

70. მომინდა წალკოტს მორება, მიდამო ვარდთ მოცულითა,
ხეთაგან სიპრძნე მოვისთალო, არ ქვემთრევთ მუნ დაცულითა;
არ გავრყვნა, არცა შევრიო, ნუთუ მოვჰკვეთო ცულითა,
და მოყვასთა ჩემთა მივართვა ამოსა ხვა-უსულითა.

ქარი პირველი

71. იყო სულთანი ტულუზურ ბეგ ქვეყანას ზეარანისასა,
სხვა რაც ხელთ ჰქონდა სამეფო, ვინ მოსთელის სახელს სხვისასა!
მორკმული, ლაშქარ ძლიერი, მრისხანე ჟამს რისხვისასა.
და ყოველი კაცი აქებდა ნაქნარსა მისაჲ ზნისასა.

72. სულა სპარსეთის მეფობას უკლდალა ისპანია,
დიდებულთ ჰკადრეს სულთანსა, ვინცა ჰყვენს ხანნი ყმანია:
„ვინათგან დიდათ განთქმულა ყოვლს ქვეყნად თქვენი ხმანია,
და ისიც დაიპყარ, გვიჩვენე თქვენს წინა მონაყვანია.

73. ვიკადრებთ, მეფევე, წინაშე ლაშქარი იხმო სრულობით,
ქვეყნით, ქალაქით, გარემოთ, სახანოთ, თემით სრულობით.
ვინ არ დაგმონდეს, იხილო თქვენზედა არ ერთგულობით,
და წამს იავარყავ ორგულნი რისხვისა შეუწდობლობით.

74. ხამა ყოელი მიწიერი თქვენს ბძანებას მორჩილობდეს,
მზესა თქვენსა იფიცვედენ, ჩვენებრ სრულად ერთგულობდეს;
შენი სჯიდეს სამართალი, ვინ ქვრიობდეს ან ობლობდეს,
და ფერხთა ქვეშე მოიქციო, თუ ვინ თქვენს წინ ქედმაღლობდეს“.

75. მეფეს სთნდა წარჩინებულთა რჩევისა მაგალითობა,
პირ-მტკიცეობა გულითა, თათბირთა არ ილათობა.
იხმო ლაშქარი ქურვილი ცხენით და კვლავ ქვეითობა,
და წამს შეიყარნენ, ვის ძალუც დაყოვნის დაბალითობა.

76. ხუთად გაგზავნა ლაშქარი საბერძნეთს, სომხითს, ქირმანსა,
ჰავაზს და მუსილს იპყრობდეს, გარ დაუხსემდენ სამანსა.
თვითან მიმართა ისპანს, იგინიკ მოვლენ ჰამანსა.
და ნახეთ, თუ თავის სახელი სად მიაწვდინა ამან, სა?

77. ყოვლგნით მოვიდნენ მძლეველნი ლაშქარნი გამარჯვებული,
დამხარაჯველნი ქვეყნისა, ბძანება გათავებული;
მიულოცვიდნენ მეფესა, თვითან ჯდა ლალი, შვებული,
და უხვად უბოძა საქურქლე მუნამდინ ცუდად დებული.

78. ასლანის ელჩი მოვიდა სიტყვითა არ ცუდებითა,
მასთანვე მოჰყვა ბერძენთა მეფისა მწვე დიდებითა,
მოართვეს ძღვენი მრავალი, აეესო კვლაცა ქებითა,
და ერთი ერია ყირმიზი თვალი თას-დაუდებითა.

79. ბერძენთ მეფესა რაც ეძღვნა, ვერ რიცხავს მოქმელი ლექსისა,
მაშიგან თვალი ერია წონა დრამ ოცდაექვსისა,
იგ იაგუნდი წითელი წმინდას წყალს სულ აევისა,
და შესამოსელი უცხო რამ, ვერ მივხვდი ვის დაექსვისა.

80. რა ყოვლგნით ელჩნი იახლნეს, სძნობდნენ თუ მოდარბაზენი,
მუნებურნი და უცხონი, ქებათა დიდთა შემთხზენნი,
თაყვანისცემდეს, ეტყოდეს: „შენ ხარ მეფეთა ყოვლთ ზენი.“
და ხელაწიფეც მხიარულად ჯდა, ლხინი აქეს მუტრიბთ საზენი.

81. შეიმოსა, ტახტზედ დაჯდა, თაყვანისცეს ყოვლთ მუსურჰანთ,
ხელმწიფეთა შორიელთა და დიდებულთ შამელ, ქირმანთ;
ქება ჰკადრეს უსაზომო, მაღლი მისცეს იმათ იმანთ.
და გააერთა რვა სამეფო, ამოჰყრიდნენ შუა სამანთ.

82. მეფეს ჰყვა მონა მრავალი ყოელს თემს გამორჩეული
მცირეთ ტომთაგან, თუ ძირად თავადი გადიდებული;
მათ შიგან ერთი უმჯობე, მათ უფრო სახელდებული,
და მას აბუნასარ ეწოდა, კვლავ იბდალ-მელიქ ქებული.

83. ესე ჩნდა მათში, ვითა მზე მნათობთა შუაობასა,
ღეთის-მოყვარე და კაცთ სათნო, ავთა შორ, კარგთა სწრობასა,
უხვი, მამაცი, მხნე, ბრძენი, უქებდნენ აქიმობასა.
და ეძებდა უცხოთ ამბავსა, შაირთა მუსიკობასა.

84. რა ისპანი დაიპყრა მეფემან ქეყენის მპყრობელმან,
მუნ აბუნასარ ვეზირად დასვა სახელის მძებელმან.
წესია, მონამ დიდება იშოვნოს მამებელმან,
და მოშიშმან, ზნეობიანმან, ერთგულმან, მისანდობელმან.

85. სულთანს გამოჰყვა, დაბრუნდა, გზად მოხვდნენ ჯორჯანელნია,
კაცი კარგნი და ქებულნი, სიტყვისა შემწყობელნია,
ჰკითხა: „ვინა ხართ ვისის და რამინის შემცნებელნია?“
და იპათგან ფახფურ გამოჩნდა მოამბე მწვე მცოდნელია.

86. ფახფურ გონებას გაებჰო, თქვა: „ჩემგან ეს საქნელია,
ფალავანთ ენა სპარსულად თუცა სათქმელად ძნელია,
ვეცდები ვთარგმნო, ვინათგან ესე ჰყავს მომძებნელია.
და ამას ვაამებ, სად ითქვას, დამრჩება მეც სახელია.“

87. ფახფურ პასუხი მიუგო: „მე ყველა კარგა მსმენია, ამო ამბავი, ბრძენთაგან ნათქვამი, თუ რამთენია, მათ სეფეს პირთა მიჯნურად ცრემლი მრავალჯერ მდენია,— და მიბძანებ, [გ]კადრო, გიამოს თქვენ ჩემგან მონახსენია.“

88. იბდალ-მელიქ დაიბაძლა, წყალობასა უქადებდა, ფახფურ ენას ფალაურსა მუნ სპარსულად ათარგმნებდა, ამო იწყო საუბარი, მასმინათად დაადებდა, და ბრძენი მათად საქებარად სიტყვას ტკბილსა დაეძებდა.

89. იბდალ-მელიქ-აბუნასარ დაუმაძლა ფახფურ ბრძენსა, თქვა: „ვით მწადლა, შევეყარე მე ამბავსა მოსასმენსა.“
 უთხრა: „დიდად გამახარებ, ვალს დამადებ შესაძენსა.“
 და ყმამან ჰკადრა: „რასა ღირსეარ თქვენს წყალობას მე მაგდენსა?“

ამბავი ვისისა და რამინისა

და

უხუცესისა ძმისა მისისა შაჰი მოაბადისა

90. ფახუურ თქვა: იყო ხელმწიფე მაღალი ადრბაგანისა, ყოველთ თემთა და ქვეყანათ მპყრობელი განის-განისა, დიდთა საჭურჭლეთ პატრონი, ლაშქართ აზღები სანისა, და ზღვათა და ხმელთა მპირველი, მხიდველი ბარგისტანისა.

91. ხორასანი, თურქისტანი, ჰერაყ, ხვარაზმ, ქოისტანი მას დაეპყრა სამამულედ, ვითამ ერთი საბოსტანი. მრავალთ მეფეთზე უფლებდა, მხნე, ძლიერი, საროს ტანი, და მან აწვივის ყოვლს წელიწადს, იყენეს მისნი მონაყვანი.

92. შაი მოაბად სახელად მას ხელმწიფესა ეწოდა, ვეზირად ჰყვანდა ძმა თვისი, არ შორიელად ეყო და, მას ზარდი ერქვა ლომ-გულსა, ხმალი მამაცად ეწოდა. და იყენეს მეფე და სულ ერნი, ცეცხლისმოსაენი ეწოდა.

93. ეს ზნედ სჭირდა, ყოვლს წელიწადს ნაეროზს დია შეაჰკობდა, მეფენი და დიდებულნი მოაწვივის, ვინცა ყმობდა. რა გათავდის ნადიმობა, ყველა იმას არაკობდა. და სულ არ ძალმიც მოხსენება, მცირედ ამად გაიამბობ და.

94. დრო მოვიდა ნაეროზისა, დღე და ღამე გასწორდების, ჰაერიცა გაიხარებს, მისგან სიტყო გამოხდების, ხე და მდელი ამწვანდების, აყვავდება, გაახლდების. და ხელმწიფეთ და დიდებულთა სმა და ლხინი მოუნდების.

95. თუცა ძნელია კაცთაგან ამ დღის დიდების ხსენება, სრულად გამოთქმა ენითა, მეჭვისა გამოჩვენება, ლხინებთა წართვა დღე და ღამ, შვებისა გამოსვენება, და ჩვენ ცოტა რაჲ ვთქვათ წინაშე, გვისძინე, თქვენ, მოხსენება.

96. მარავს შემოკრბენ მეფენი კარგ-ჰაერ, კარგ-საათითა, *
 კვლავ დიდებულნი ქვეყნისა დედაწულითა მათითა,
 შეენებინათა მნათობთათ, მზისაცა მოკამათითა,
 და მათთა მკერეტელთა უწყალოდ გულსა დაგვრემდენ სათითა.

97. გაიხენეს სარა-ფარდანი მათ-მათად დასადგომელად,
 შესატყვის-შესატყვისობით, შესაფერ წილ სახდომელად.
 ველნი ვარდითა ყვაოდეს თვალთაგან მიუწდომელად.
 და მონათ წალკოტი შეამკვეს სნეულთაც ლხინ-სანდომელად.

98. მუნ საჭურჭლეთა მზიდაენი პილო-აქლემნი დავარდენ.
 ყოვლის თემისა დედანი მოსაყურებლად ავარდენ.
 ოდეს გააწყვეს წესისებრ, მეფენიც იქით გავარდენ.
 და მივიდა, დაჯდა მოაბად. უთქმელად ვერვინ შევარდენ.

99. მეფე მინდორს სრად მივიდა, ლხინთა იყო მგონებელი;
 მოაწვიცენეს, დასხეს რიგზედ ყოვლი მისი მმონებელი,
 სხვა ზეზე დკეს ხელ-მოქდობათ, თვის-თვის ხელის მქონებელი,
 და ყველა ლხინთა წადიერნი, არვინ ქირთა მხსენებელი.

100. დედოფალი და ხათუნი პირველვე ისხდენ მკობილნი,
 კეკლუცი, მოციმციმენი, ჩაწყაბით მუხლ-დაწყობილნი,
 ვითა წმინდასა ოქროსა აღმასი შიგ ჩაწყობილნი.
 და მუტრიბნი კვრიდეს ტკბილს ხმასა სულ ერთად ხმა-შეწყობილნი.

101. ვარდის აშიყი ბულბული ვარდს ზედა დაქიკვიკობდა,
 მგოსანთა შეიბანებდა, ლექსითა გამოიბკობდა.
 მათ მნათობთ მარგალიტები ძოწს ქვეშეთ გამოიკვიკობდა,
 და დიდი ხელმწიფე მოჰაბად მათის ეშხითა ბიკობდა.

102. აკმივეს მუშკი, ამბარი, მური, გუნდრუკი, ლალია;
 ეგზომი კეამლი ავიდა, ცად საესე მთვარე გალია.
 მათ კეკლუცი მკერეტთა გულეზი დაედნო, თუცა სალია.
 და არა აკლდა რა მუნ მსხდომთა შევენების ნატამალია.

103. ჯდეს მთვარე ვითა ბაკს შუა შარო, მაჰბუხტ და ნასლაქით
 მანოშ, ზარინგეს, შირინით, შაქარლავ ვინმე მალ აქით;
 იასამან და საიბალ, აბანოს ვითა მალაქით,
 და შაინამ მონაზენითა მკერეტელნი ექმნეს ალაქით.

104. სეფ-დოვლათი მთის უმძიმე ჰქონდათ, სევედათ — არც ბზის წონა.
 მუნ მნათობთა ბროლის ველზედ უშვენოდათ ვარდის კონა.
 მათ მიჯნურთა სხივი მათი გულსა ლახვრად განეწონა,
 და ხელმწიფესა შარო მათგან ყველას უფრო მოეწონა.

105. დედათა ჰქონდა მსგავსება ორ-ოლი ფერად ლალისა:
ერთი ღვინისა შუქისა, სხვა ღაწვთა არ ნამქრქალისა.
მკვრეტელთა გული დაუდნის, რაზომცა გაესალისა.
და მათის შენების გამოთქმა ვის ძალუც ნასამალისა?

106. ზოგნი ასპარეზს აბურთის გადრით თუ რადაბრაგანით,
თავით თავაქდინ გაქონდათ ბურთი სულ სწორად, არ განით.
სხვა შუბსა მღერდენ და სხვანი ისროდენ ჯილდოთ საგანით.
და მუნ ცხენოსანსა აეს მხედარს არ უშვებდიან არგანით.

107. ერთს კვირასა ამ წესითა ლხინი იყო მათგან ქმნილი,
როკვიდეს და თამაშობდეს ერთმანერთის ატანილი.
ბევრი ვნახეთ იქ ნასვაჲი მთვრალი ხელით გატანილი.
და მეფემ გასცა სულ-ერთპირად საქურტლე იქ მიტანილი.

108. პირდაპირიდამ ხელმწიფე სქვრეტდა მნათობთა კრებულსა,
გაემიჯნურა შაროსა, მთვარესა პირ-გავსებულსა;
მუტრიბს ამღერებს, აშუშპრებს კეკლუც ქალ ხელ-მოდებულსა,
და გასცემს სალაროს საქურტლეს ყოველსა მუნ მიკრებულსა.

109. მოაბად გამიჯნურება ამცნო გარდმოვლით შაროსა,
მან თქვა: „ვინ აუკისათვინ საწუთროს მიაშუროსა,
მიენებების ყმასავით, არ ეტყვის არ აშოროსაა,
და მერმე გაჰკიცხავს, ესე მე, მეფევე, შორს მომეშოროსა!“

110. მოაბად უთხრა: „ჰე, მზეო, მოცინრად მოუბარეო,
მხიარულადმცა გიხილავ მიწყით-მიწყამდინ ბარეო!
შენ ვარდმან მთასა ნაყოფმან, მოდი, აქ დაიბარეო,
და ვენახის ვაზი სანორჩეთ აწ ჩემით დაიბარეო.“

111. რადგან სიბერეს ასეთი ხარ გულის წამლებელია,
სიჭაბუკის ეამს შენოდნათ რაჲც იყო სამებელია!
სული ვით შერჩა, ან ცნობა, ვინა გვევა მომძებნელია?“
და მან თქვა: „ხელმწიფევე, არა აქვს მაგ სიტყვას სარგებელია“.

112. შაანშამ მისგან ნიშანი ვერ ჰპოვა თავის ნებისა,
ვერც დადუმება, ვერც სიტყვა მორბილო, დამონებისა,
შეიკლიმცა მეფემან მისისა მოხსენებისა,
და მისმან სურვილმან გზა მისცა ამ საქმის მოგონებისა.

113. უთხრა: „მზეო, რადგან შენი შუქი აღარ მომაფენე,
მე კადრება უჩეკრული, სიტყვა ყბედი შემარჩინე,
მაშ, ასული შენი შემრთე, სულა შენთვის შემირჩინე.
და ბედი ჩემი ბედნიერი ამით უფრო გაიჩინე.“

114. შენი გვარი შენებრ ჩემსა სრასა მჯდომი ანაოზდეს,
რომ ნაყოფი თესლის მსგავსი, მასმია, რომ ამოღებდეს.
მზეს თუ ვპოვებ მიწიერსა, ცად რას ვეძებ საცა რბოდეს?
და ტახტსა დაჯდეს სადედოფლოს, მთვარე ველარ ამაყოზდეს“.

115. შარომ ჰყადრა: „ხელმწიფეო, მე მაგისტვის გული მტკივის,
ბევრჯელ ჩემს წინ მიტირია, ყარან მეფეც დია ჩივის,
მაგრამ, შენმან დღეთ სიგრძემან, ჩვენ ასული არა გვივის.
და გაღანამცა მოგახსენოთ, თუ აწ ბედი ასულს გვივის“.

116. მოაბად შაროს საფიცი წიგნი სთხოვა და მანც მოსცა:
„უფალმან მომცეს ასული, შენ მოგცე, შენ გაამოსცა“.
უქნელმან საქმემ მათზედა რა ქნა, ორმანვე ნახოსცა!
და შაი-მოაბად მის გამო უნდა, რომ ბევრჯელ ახო[ს]კა!

117. მოაბად ოცდათ წელს უკან ქალსა სთხოვს, შაროც ათხოვებს,
სულა სამისოთ არ აძლევს, ასე ჩანს, ვითამ ათხოვებს.
ჰქუთამყოფელი ხელმწიფე რას აქნევს ცოლსა ნათხოვებს?
და მოაბადს მისი ნარჩევი სიკვდალსა ბევრჯელ ათხოვებს.

118. შარო გვარად ნატამალი იყო დიდის ჯიმშედისა,
ადამს აქათ ჩამოსულთა მეხუთისა ხელმწიფისა,
ვიროს დედა და შეულლე მეფის ბერის ყარანისა.
და ეტლს არ უნდა დანებება მოაბადის იმედისა.

119. საწუთროს საქმის სიმუხთლეს ვერაგინ ვერ მისწვთებთან,
ნასკვს შეჭკრავს, აკად დახლათავს, არავის მოეთნებთან,
ათასის ცნობით, გონებით აღარვის გაეხსნებთან.
და ვერ ხელავს შაი-მოაბად, ვერც შარო თუ რას შერებთან.

120. მათგან დასკენილსა საქმეზედ საწუთრომ ხლათვა დაიწყო,
საკვირველს საკვირველები უმატა, სრულ წინ დაიწყო.
ენახოთ ვით გაჭყარის, ვინ მისკან სასიძო მქახლად შეიწყო.
და მოაბად მისი საწყავი ას-წილად უფრო მიიწყო.

121. რა მტკიცე ფიცი სასიძო მათ შუა დაიდებოდეს,
ლხინ-ნახელნი და შეებულნი თავ-თავად გაიყრებოდეს,
ერთმანერთისა სიყვარულს თვალნი ძლივ მოშორდებოდეს.
და საყვარელს სიძე-მძახლობას სხვა რალა შეედრებოდეს?

122. ჩარხთა ბრუნვამ ეს ამბავი სხვას საქმეზედ გარდაიღო,
დააეწყდა ყოველს კაცსა ეს ფიცები ვინ მოიღო;
მაშინ შარომ იგ ძვირფასი მარგალიტი მუცლად იღო.
და ერთმან ვინმე ეს ამბავი მოაბადს წინ წამოიღო.

123. ოცდათი წელი გარდახდა, აწ შარომ იორსულაო.
რა ქალი შობა მზის მსგავსი, ამქმელმან ეს ისულაო.
ამიანელთაც უმოწმეს: „ბნელი განათლდა სულაო,
და აღმოსავლეთი ყოფილა, მზე იქ თუ ამოსულაო“.

124. იგ მთვარე ძიძას შეჰვედრეს, ხუზისტანს გააბარესა.
რამინიც საზრდოდ მასვე ჟამს იგიც მუნითვე არესა,
ამად რომ ხუზისტანისას აქებდეს დია არესა.
და ორი ბრწყინვალე ვარსკვლავი ერთმანერთს მიაბარესა.

125. რამინ, ძმა მოაბადისა, მასვე ჟამს მარავს იშობა,
დედამამით ერთი შანშასი, არსით ეთქმოდა ბუშობა.
დია უყვარდა მეფესა, აჩნდა სურვილის ნიშობა,
და ნებიერად ჰყვა, გულს ჰქონდა ხვარასანს სიცხის შიშობა.

126. ხუზისტანსა ჰაერ-ნაქებს გამოგზავნა გასაზრდელად.
ვისიც მუნვე მიებარა ძიძას, ვინ ჰყვა მას გამდელად.
ნასრანი და აღრავუნი ვით ერთს ბაღში ყვავედეს ჰრელად,
და იზრდებოდეს ნებიერად ერთმანერთის შესაყრელად.

127. ვინ იცოდა, მათი საქმე თუ საზომსა მას მიაწევს?
ამ ამზვისა მომსმენელმან სცნას, სოფელი რას მოაწევს;
უხვადიშნო, ცრუ, მტყუვანი, ბოლომდისი არვის შესწევს,
და ლხინსა არვის გაუთავებს, რაგინდ თავის ნებით აწევს.

128. მომავლის საქმის ყვედრება არვისგან მართებულა,
მისთვის რომ ვერვინ მორჩება, რაც ზენით გაგებულა.
ამ სოფლის ლხინი და ჭირი სასწოროდ მოგებულა,
და ერთ-წამი არის ორივე, ეს ასე დადებულა.

129. სოფელი ესე სიცრუვით მცირეს ყრმას შეედრებისა,
გაცინდეს, მოგცემს; ატირდეს, მისავ გთხოვს, არ გეხსნებისა.
ვინ იცის კაცი ლხინსა და ან ჭირსა სად მოხვდებისა?
და დღეს მშვიდობასა, ხვალ შფოთსა ანასდათ შეესწრებისა.

130. რა მოიწიფა, რამინსა ქვეყნად ვინ შეედრებოდა?
სხვათა ჰაბუტთა იმიღი ყოვლთ ჯობნა ეყვედრებოდა,
ყოვლის ქვეყნისა ქალ-ყმანი მის მზერად შემოკრებებოდა,
და ვინ თვალი შეჰკრის, ღმერთს მისთვის მზეთ სიგჷძეს ეხვეწებოდა.

131. ბეჰ-პრტყელი, ხელმკლავ უბრო, წელ-წვრილი, ტანად ზომისა, —
მხატვარმან მისი დახატვა ფარგლით ვერ შემოზომისა.
ვეფხსა უსწრობდა სიფიცხით, ძალ-გული ჰქონდა ლომისა.
და ამეამად არსად გამოჩნდა შემბმელი მისის ომისა.

132. ქებათ გოდოლთა ძირსა ვარ, რად ვგონებ თავსა ასლვასა?
წყაროთ ნაკადსა დავსცურავ, ვით ვაზმნობ ნილოს[ს] გასლვასა?
მზის მწვერვალს ძლივ სამ შეესჭირენ, სად შევესწრები დასლვასა?
და მე შესხმის ზღუდე თუ ვნახე, ვინ ზორავ შიგნით შე'ლვასა?

133. ჩვენ ცოტა რამ ვთქვათ, ვინათგან სრულიად იგ არ იმბობა,
მისად საფერად იგი ყმა არვისგან არ შეიმკობა;
თუ ვთქვა „მე ვიტყვი უკლებდა, შემრჩება ცრუ მუსიკობა.
- და არც ვინ მის წინათ ყოფილა, მისთანა არც აწ იშობა.

134. სახე უმსგავსო, უებრო, ჰქონდა ჰასაკთა სრულობა,
პირად მზეს ჰგვანდა, თვალ-წარბი შავი თმით მოგრუბულობა,
წვერ ამბრის ფერით, ულვაშით ზომისებრ გაზიდულობა.
და ანაგებობით შეენოდა, თორ ისე არ უსულობა.

135. მონადირე, მონავარდე, მოჭადრაკე მზიარული;
ძალად ლომი, გულად ვეფხვი, ფიცხი, კარგად მოარული;
კვლავ უსახო მშვილდოსანი, მობურთალი, სრულ ზნე-სრული.
და ვინცა ავად შეხედვიდა, დასწყევდიან: „იყავ კრული“.

136. მისის ჟამისა მოყმენი სულ-წასვლით იახლებოდეს,
ნადირობდენ და ბურთობდენ, სურვილით თავს ევლებოდეს;
მაყურებელთა მისთაგან გზად აღარ გაივლებოდეს,
და რა ის ასპარეზს იმღერდა, სხვა ყველა მოიშლებოდეს.

137. მის მზე-გრძელობას ღვთისაგან ყოველი სული ითხოვდის.
- რაზომ მთხოვარი მოადგის, არავის არ დაითხოვდის,
რაგინდ რომ ბევრი მიეცა, ბოდაშსაც თან მოითხოვდის.
და მისი მებრძოლი თავის ძალს დაგმობდის და ეკიცხოდის.

138. ქება საქები რამინის ამბავი ესმა მოაბადს,
ღმერთს მადლი მისცა, გლახაკთაც მრავალთ ქონებას მოაბადს;
დიდებულთ გზავნის სახმობლად, მასთან ვის ვისი მოაბადს.
და ხუზისტნით მავრს წაიყვანეს, ვით მკედარი მოჰყავთ მოაბადს.

წიგნი შაროს, ვინის ღელასთან,
ძიძისა

139. ძიძა სწერს შაროს ფიცხს წიგნსა, არა აქვს სულ-გვიანობა:
„გავკვირებულვარ, სით მოგიტქს ეგეთი გულ-ქვიანობა?
რა გიშობია, ოდითგან, ცისკარი, პირ მზიანობა,
და დაგვიწყებია სიცოცხლე, ბედი და სვე-სვიანობა.

140. არც შვილს იკითხავ, ჩემად ხომ იცი, რაც გიბრძანებია,
შეარქეცევი სურვილსა, ვისცა მზე დამონებია.
გაზრდილა ნებიერობით, თუშც თქვენ არ მოგხსენებია,
და დაშვენებულა უებროდ, თავი მით მოსწონებია.

141. შავარდნის მართვეს უწყია ჰაერად ამალღებო,
ეშიშობ, ეს ბუღე დააგდოს, სხვაგნით რამ იწყოს რებო;
ბრძენთა თქმულია: «სწადიან მსგავსსა მსგავსისა ხლებოჯ,
და უებროს ადამის ტომსა მარტო ვით გაეძღებო?

142. თუცა ყოველსთან შეწვენითა ღვთისათა ჩვენ გვეშობის,
ამის გუნების საქმესა არკისი ხელი მისწვდების.
რაზომ ტურფასა საცმელსა შეუმკობ, არ მომეხსენების,
და სამოცს ფერს დასდებს აუგსა, ვერ ვჰპოვებ ამის გუნების.

143. ყვითელს მოვართმევ, მიბრძანებს: „ეს სნეულთ სამოსიაო“.
წითელს მოვიღებ, გარდაგდებს: „ეს სრულა ბოზთ მოსიაო“.
ლურჯს ხელს არ ახლებს: „მგლოვარეთ ეს უხმსთ და უფროსიაო“.
და თეთრს ბერთად იტყვის და ორს ფერთ — „მწიგნობართ საფასიაო“.

144. დილას ჰარილსა მოითხოვს, შუადღე ოქროქსოვილსა,
სალამოდ ოქსინოსასა ძვირფასად გამოზომილსა;
წამსა და წამსა სხვაფერსა, კაცთაგან ძვირად შოილსა,
და პურის ქამის დროს ჯამ-ტაბაქს ოქროსას წმიდად დნობილსა.

145. ნადიმზედ უნდა გვერდს ახლდეს ოთხმოცი ქალი სუფთები, გვარიანი და კეკლუცი, საშოვრად არ თუ მუფთები; ას-ასი მონა-მხევალი სრულ ოქრო-სარტყლოსანები. და მე ამას თავს ვერ გაუვალ, აგრე ვერ გავიფედები.

146. მე ვინა ვარ, ხელმწიფის შვილს ვზრდიდე, ვითარცა მას უნდეს? ან სით უშოვნო საბრალომ ანასდად რალაც მოუნდეს? თათბირი ჰქენი, მანდ ჩხმე, ღრუბლით მზე აღარ დაქმუნდეს და წარბმან მშვილდთ მსგავსმან, წამწამმან სათმან მარმარი მოინდეს“.

147. ბოლოს არაკსა თან ატანს, ვითამ რამ საგზალიაო: „ათს თითს თავისა ერთისა საქმე არ შეუძლიაო, არც მზესთან მრავალს ვარსკვლავსა სინათლე გაუძლიაო“. და წარვიდა მონა წიგნითა, მიართვა, მიაძლიაო.

148. შარო იკითხავს ამბავსა, გული სიხარულს გაჰკრთების, შვილისა სიკეთისათვის სარო ზე აემართების, ღმერთს მადლი მისცა: „წყალობა შენიმც მე წარმემართების“. და ამბვის მიმტანსა მრავალი უბოძა, ვით ემართლების.

149. მერმე გაგზავნა ყველა რამ, რაც ხელმწიფეთა ხედებოდა, მონა-მხეველნი, ხადუმნი; წინ მათ ვინ დაუხედებოდა? კუბო მურასა ოქროსი, მამ მზეს ვით მოუხდებოდა. და ძიძას ეკზო? უბოძა, ანგარაშა ვერ მიხეღებოდა.

ხუზისტანით მოქვანა ვისისა

ამიანის ქალაქსა

150. ხუზისტანით მოიყვანეს ეს მოთვარე ამიანსა, განანათლა იგი არე, ლამეც გვანდა სრულ მხიანსა, ბალ-წალკოტი ყოველს ჟამსა დაემსგავსა ვარდიანსა. და მუნ დარბაზსა შემკობილსა ტახტსა დასვეს ზარიანსა.

151. მშობელთ რა ნახეს ასული, შევებითა აივსებოდეს. მთვარე დღე ათხუთმეტისა მისებრ ვერ გაივსებოდეს; შუქთა მისთავან ციქრნი ვარსკვლავნი დაივსებოდეს, და ჩინელთ მხატვარნი ნაკეთსა და მის სახეს განცვიბრდებოდეს.

152. სპერეტდენ, მზესა და მას შუა იყენენ სრულ საცილობელად. ეს აჯობინეს იმასა, შეიქნეს მისად მგმობელად. ყოველნი კაცი ნატრიდენ, ვინ იყენენ მათად მშობელად, და განჰკრთენ, განცვიბრდენ ბრძენნიცა, ავარდენ მსახიობელად.

153. შეამკო, ვითა წესია შვილთ-მოყვარისა მშობლისა, სცხო მრავალფერი სურნელი ძვირფასის ნელსაცხებლისა. დაადგა თავსა გვირგვინი მარგალიტისა ობლისა, და დააჯობინა სახესა, მანი ჩინელის მკობილსა.

154. დედამ უთხრა მის ასულსა: ჯქვეყნად შენებრ არვინ არი, არვინ ვიცი ხელმწიფეთგან შენს საჯუფთრად მოსახმარი, ჩემის ძისგან, შენის ძმისგან, შენთვის იყო შესაწყნარი, და კვიროს გშვენის შეიერთო შესაფერი შენი ქმარი.

155. ნატამალი განგვიმრავლეთ, ამ მძახლობით გაგვახარეთ. და-ძმანი ხარო, ჩვენი შვილნი სასიძო-სძლოთ შეეყარეთ. დრო მოსულა ქორწილისა, ორნივე მის დროს მოიყარეთ, და ვარდ-სუმბული, მუშკ-ამბარი ერთმანერთსა გარდაყარეთ“.

156. რა ეს სიტყვა ვისსა ესმა, სირცხვილითა ფერი ეკრთო,
გაწითლდა და სიყვარული ძმისა გულსა ზედ დაერაო.
არც ნდომა თქვა, არც უარი, თურე ნება მისი ერთო.
და ან დედ-მამათ, ან და-ძმათა ვით გაბედეს, ახა, ლპერთო?!

157. დედათ უგრძნეს, დასულემა ქალთა ნდომის წესი არის,
შაროს უთხრეს: „საქორწილოდ მოემზადე, სიტყვა კმარის,
ქმენ ქორწილი მართებული, მიზეზი გაქვს არ სიწყნარის,
და ძისა შენას სასურველის ასულისა მზის სადარის“.

158. მოაწვიენეს მეფენი და დიდებულნი მათ ქვეშ მყოფნი,
შორეულნი თუ ახლონი, ან ვინ ჰქვანდათ განაყოფნი,
მუნაჯიბნი და მოლანი, ეშმაკურნი ფილოსოფნი.
და სამოთხე ვით დააშვენეს საქორწილო სრა-სამყოფნი.

ქორწილი ვისისა და ძმისა მისისა კვიროსი

159. ყარან მეფე მასპინძელი ამ დღის წესსა წარმართებდა.
ქორწილი ქნეს, სიძე-სძლისა სიკეთესა ვით მართებდა.
შეენებასა მათ ქალ-ყმათას კაცი თვალს ვერ შემართებდა,
და მათთა სხივთა შარავანდნი მზეს წყვედიაღსა დამართებდა.

160. დედ-მამისაღ ძე სიძედ და ქალი ზძალად იქმნას რათი?
ძმამ და ცოლად ვინ შეირთო, ან დამ ქმარად თავის ბრათი?!
მათ შეილთ ექმნა მამა-ბიძად და მამიდად დედა მათი.
და ვეპე, მართებდესთ სიყვარული, ერთმანერთის არ კამათა.

მოაბადის ძმის ზარდის მოციქულად მოსვლა

161. ხე რა მართლიად არ დარგო, სიმრუდე მუნვე ეტყობის, საქმე რა გაირყენებოდეს, თავს კარგად არ შეეწყობის, ისრის სისწორე მშვილდისას მოზიდვას თან შეეეტყობის, და აგერ ვისი ჩანს სვე-ბედი, მის ნებად არ მიეპყრობის.

162. ამად რა დახეს ტახტზედა, სიძე-რძალს მიულოცვედენ, ანასდად შავი ღრუბელი მზის შუქსა გარ შეიცევდენ; ვინცა იტყოდეს დღეაო, სხვა შელამებას ფიცვედენ, და ბრძენნი და ფილოსოფოსნი ავს ნიშნად დაამტკიცებდენ.

163. მასთანვე კაცი გაპოჩნდა შავ-ცხენა, შავ-აბჯრიანი, — სახელად ზარდი ეთქმოდა, — მართ სუბად, არ ჯარიანი, კუბო მოჰქონდა შემკული ისფრიან, კვლავ ზარიანი. და ძმა იყო მოაბძლისა და ელჩი ხმა-ზარიანი.

164. ცხენით წადგა მათ წინაშე თამამად და ამაყურად, კვლავ ბოდიში მოიხადა პირ-მქისად და უმადურად: „ასე მაქვსო ნაბრძანები, ნუ დამდებთო საყვედურად. და სხვა ამ წიგნმან მოგახსენოსთ, რაც საქმე მაქვს თქვენ დასტურად“.

165. რა შარომა ზარდი იცნა, ლხინსა ჭირმა გარდამატა. ცხენით წადგა მათ წინაშე, შაროს ხელთა მისცა ქარტა; გახსნა წიგნი, წაიკითხა, სიტყვა ტკბილი ცოტა მატა, და მუნ თავისი საფიცარი ნახა, მოდრკა ვითა კატა.

166. კვლავ ზეპირი სიტყვა ჰკადრა შაროს ლალმან მოციქულმან, თუმც ამონი სიტყვა იყვნეს, არ შეუშვა კარგა გულმან. რა გზად მიხვდეს ღრმა ტალახი, რა ქნას ვირმან მოკართულმან? და აგრევე შარომ სირცხვილითა ქვე ჩაიშთო მოკაზმულმან.

167. ვით გველი წელმოწყვეტილი, იქით-აქათ ყელს აგდებდა,
ამად რომე საფიცარი მას წიგნს ძე ღმერთს შეაგდებდა,
თავის ხელით დახაწერი ნიშანი ცეცხლს მოუღებდა.
და სტუმარნი მათ მასპინძელსა იმედს არვინ არ უღებდა.

168. მას წიგნში თავს ეს ეწერა: „ღმერთი სამართალს გვიბრძანებს,
იგი მოწყალე ერთმანერთს არას კაცს არ გვაძაბუნებს.
ვინ ფიცსა გასტებს ალთქასა, უფალსა მას გაამგუნებს,
და მცირეს ხანს თუცა ნიუშვას, ბოლოჟამს მწვე დააჭუნებს.

169. ვინ ექვსა დღესა ამდენსა არსსა აარსებს უარსო,
ცათა სივრცესას, ქვეყნისას სიმგრგვლესა გარე უარსო,
ის შეპრისხდება, ვინ ფიცავს და მერმე იტყვის უარსო.
და სიცრუე-ფიცისმტებლობით თავს ვერვინ შემოუარსო.

170. ვინც სამართლისა მატებას ეძებს, მას გაემარჯვება,
მიწყვიე წინამძღვარ ექმნების, საქმეც მწვე წარემართება;
მართლის-მოქმედსა ბოლოჟამ ავი არ დაემართება.
და მეც აპას ვეძებ შენგანა, შენგანც ეს არის მართება.

171. ჩვენ ორნივე სიყვარულისა პირითა დამზღვარებულვართ,
ღმერთი გვიფიცავს ცხოველი, ვინ მისგან დაბადებულვართ;
არ ზაკვით, ფიცის ტეხითა, სამართლით განვმდიდრებულვართ.
და მას ნუ უარვეყოფთ ნურავინ, სიკვდილსა მივახლებულვართ.

172. მაშინ არ მომეც, ოცდათს წელს უკან გეშობა ასული?
ჩემის ბედითა მოგეცა, თვარ დღე გაქვს შენ გარდასული.
ფიცს ნუ გარდახვალ, რომელი მალსა ცამდია ასული.
და არ წაგერთმინოს, მიბოძე, მეც გიძღვნა გინდეს ასული.“

173. შარომ წიგნი გაასრულა, თქვა: „ვაგლახე, რა მიქნია?
პირველ ღმერთი გამიწირავს, ხელმწიფე მტრად შემექნია.
ყოვლს ზენარის გამტახელსა ასევე ბოლო დაუქნია!
და ჩემებრ საქმე უმცირული ბრძენთა არვის არ უქნია.

174. სახლთა ჩემთა ჩემის ხელით შმაგსა ცეცხლი შემიდვია,
ღვთის გმობა და ხელმწიფისა შეცოდება შემიდვია,
ჩემი თავი საარაკოდ ყოვლს ქვეყანას დამიდვია.
და ამ დღეს იქით სიცოცხლისა მე იმედი გარდმიდვია.

175. კვიროს დედა დაღრეჯილი ნახა, თქვა, თუ: „რა მისქირდა?“
რა ცნა მანცა ეს ამბავი, საქნელად მწვე გაუკვირდა,
უთხრა: „დღედავ, ასე ქნილი საქმე ჭკუვად არა ღირდა,
და უშობელის გათხოვება შენგან კიდევ სხვას ვის სჭირდა?“

176. მერმე ზარდის შეუძახა: „გვითხარ შენი ვინაობა, ან სით მოხვალ, ან სახელად რა გძეს, გვარად ვინაობ ა? ქორწილის დროს ახალ ნორჩითა ცუდის სიტყვით ვინ აობ ა? და რად გწადიან დაგვამწარო დღე-კეთილი, სვიანობა?“

177. კვლავცა უთხრა ზარდის: „ვაჟო, სახელი თქვი, გვარად ვინ ხარ? ან ამბავზედ რაზედ მოხველ, რას გვიმალავ, მალლა გვითხარ! ამაყად და უკადრისად ჩვენს წინ ცხენზედ რაზედ ზიხარ? და არ მოხვალ და არ დასჯულები, ამ ლხინს შენცა არ გაიხარ!“

178. ელჩმან თქვა: „ნატამლი ვარ მოაბად ხმელთა მულობლისა, საპატოი ვარ წინაშე, ღირსი გვერთ მახლოზლობისა, ლაშქართა მისთა თავი ვარ, მკოდნიცა კარგ-სარდლობისა. და ზარდს მეძახიან ვეზირსა, რაღა ვთქვა სხვა ზრდილობისა?“

179. რა ვისს ესმა მისგან თქმული, გაწყრა რამე მოხდომილად, ძიძას უთხრა: „ვის ეკადროს ეს აქ იყოს მოხდომილად, ცხენს იჯდეს და ჩვენს წინ იდგეს, სიტყვა რამ თქვას დაქადილად? და ჰრქვან, გაბრუნდეს თავის გზასა, თორ მიეგდოს ქვე სამ ძილად.“

180. ვირე ნაძვი მაქვს საჩრდილოდ, მყრალს ანწლს ქვეშ არ ვიჩრდილები, წყაროს პარს ვზიკარ საგრილად, მწვირით რათ შევიწვიკვლები? ლომი წინ მიდგა კაბუკი, ბერს ხარს ვით დავეკბილები? და შარო დედად მყავს ამიანს, მავრს შანშეს არ ვეცილები.

181. კვიროს უთხრა: „მომცდარიმცა არის შენი გამომგზავნი, ვერა ხედავ ქორწილია, სნა და ლხინი მუდამ მზნანი? ან ჩამოხე, ლხინი ნახე, თორ წინ გიძე შენი გზანი, და წადი აგრე პირ-შეკრული, იგებ იყო რამაზანი.“

182. რა ეს სიტყვა გაიგონა, ზარდის გული დაუქჳუნდა. გაჯავრდა და არა თქვა რა, მასვე წამსვე გამობრუნდა. „ეს ვინ ჰკადრა მოაბადსა, ნეტა ასე დაძაბუნდა?“ და ვითა ქარი წამოვიდა, წარავს მისვლა აღრე უნდა.

183. მოაბადს თვალი გზის კერძო აქვს, უნდა მოსლვა ზარდისა, ასე ჰკონია, მოჰქონდეს სამისო კონა ვარდისა; ხან გაიხარის იმედით, ხან ჯავერი შემოვარდისა, და გაურჯელს კაცს არ გაუშვებს, ძებნა მის შეუფარდისა.

184. მოვიდა, სრასა გარდახდა მაწვრალი, აშფოთებული, კუშტად, პირშავად მქმუნვარე, ბრაზივით გახელებული; კარგსა და ავსა ვერ არჩევს, ვით გულსა ცეცხლ-მოდებული. და მოაბად უთხრა: „ლომი ხარ, თუ მელი გაწბილებული?“

185. თაყვანის-სცა მან მეფესა, პირი მიწას გააერთა,
მოახსენა; „ღმერთმან ბედი აღვიმალლოს ზე ჰაერთა,
მხიარულმც ხარ მიწყით-მიწყივ, ხელმწიფეო, არ წამ-ერთა,
და შენიმც ხრმალი დაასრულეპს შენსა ავად მომღერეთა!

186. მიწყიმცა მათსა ქვეყანას იქნება პურ-ძვირობანი,
წვიმამც სეტყვად აქვსთ, იხილონ ქვეყნისა უნაყრობანი,
ქარნი კირთანიმც უქრიან, საღმობამ უწყოს პყრობანი,
და მთვარე ბოროტ აქვსთ, მზე ბნელი, უქამოთ სიკვდილთ სწრობანი!

187. მიველ მათსა ქვეყანასა, ვით მიპრძანე, აგრე ვნახე;
წიგნა მივეც ცხენიდამა, მათ ქვე მსხდომსა არ ჩამოვხე,
კლავ ზეპირი, რაცა მქონდა, სიტყვა აღარ შევიწახე.
და აწ იგინი როგორ დამხედენ, მოგახსენო იგი სახე.

188. იყო ქორწილი ასეთი, ზტურფე აღარ ინახვის,
დიდებულნი სხდეს მრავალნი და ქალი სად დაისახვის?
ლომნი ჰაბუენი, მნათობნი მათს მზეს ფიცგედენ, არა სხვის.
და რაც იქ მინახავს, მეფეო, უთქმელად არ შეინახვის.

189. ვისი ჯდა მთვარე დიდოფლად, ვარსკვლავნი გარე უსხდესა.
დღივ და ღამ სვემდენ, ილხენდენ, თვალსაც არ მოიკუხდესა;
იშვებდენ მათის მზერითა, ერთიც არავინ წუხდესა.
და ისე ჰხაჰს ლხინი, ნადიმი, მისებრივ თუ ვის მიხედესა.

190. დარბაზი ვნახე, შვემკოთ ცისაგან არ უარეა,
ვით ვარსკვლავნი სხდეს ცა წმიდას და შუა იგი მთვარეა;
კეროზ მეფე ჯდა და ვისი უებრო რამე, არეა.
და მზისა ჯობნისა დასტურად იგინი მეუარეა.

191. ერთი კაცი მათს ქვეყანას აღარ იყო დაღრეჯილი,
ყველა ზმიდა მხიარულად, ღიმილითა უჩნდათ კბილი,
მუტრიბთა და მომღერალთა ხვა ისმოდა დია ტკბილი.
და მოწყენილსა რა მხედვიდეს, ჩემი ჰქონდათ თავ-სიცილი.

192. მე, კეთილმან შენმან მზემან, ცხენით პურად ქვე ვერ დამსმენ,
ქორწილი მჩნდა მათი ზრუნვად და სიძღერას მოთქმად ვისმენ.
თქვენ მათი'ა სიძობისას ამბავსაცა ველარ ისმენ.
და თუ შენ სთხარე, მწყურვალნი ხარ და მის წყალსა აწ სხვანი სმენ“.

193. შაი მუბად დასულდა, რა ზარდის თქმული ესმოდა,
მას თითო სიტყვა თითოთა ისრად გულზედა ესმოდა,
ვითა სამსალას სჰამდა და ზედ გველის შხამა ესხმოდა.
და მისი ამბავი დასტური ვითამ რომ არ შეესმოდა.

194. ჯავრითა თრთოლა დაიწყო, ვით ძეწნამ ავ ქარ-ცემულმან, გული ავესო მტერობით, მაშ, რა ქნას ცოლ-გაცემულმან? თვალთ ავად მზერა დაიწყო, ვით კაცმან მტერ-დაცემულმან, და თქვა, თუ: „აწ როგორ წავიროთო, მის უწინ მე მოცემულმან?“

195. კიდევ ჰკითხა ძქას; „ეს რომელ მიაბზე, შენ გინახავსო? თუ შორიდან გაიგონე, პირ-ყვითელო, გინა ხავსო? დასტურ გასცეს იგი მთვარე, ან კიდევ მე მინახავსო? და ან ვის მართებს სიხარული, ანუ ცუდათ ვინ ახავსო?“

196. ამბავი დასტურს არა ჰვავს, არც ნახვა საეჭვს სასძენსა; ნუ მითხრობ რაც არ გენახოს, ბრძენი ჰორს ყურს არ ასმენსა.“ მან ჰკადრა: „თუმცა კვლავ გეტყვი სიტყვასა ავ მოსასმენსა, და კაცი იმასვე მოიწყავს, რას ასხამს. ჰურსა მას მენსა.“

197. ხელმწიფეო ბედნიერო, ბრძენი გრეხილს მას დასცარსა, მაგრამ დიდიც ცოტათ უჩანს კაცს უჭკუო-უმეცარსა. ბრმა დღესაცა ღამედ ხედავს, არ იცის თუ სხვამეც არსა. და სიმართლევ სად ეპოვება დედაკაცსა ცრუ-მეცარსა?

198. ჰკვიროს ჰგონია სირეგვინით, წვრილნი მთა მას დაებადოს, ამპარტაუნებით—ჰაერი ცამდისი მას აებადოს; შაჰი უხმია სახელად, ჯერა, რომ კიდეც ეებადოს, და არვინ ჰგონია ქვეყანად სხვა კაცი მას დაეჰადოს.

199. რაც ვნახე, მითქვამს, ნასმენი. ბევრი რამ დამემალემა, ენა ჰორისა სათქმელად, იცით, რომ არ მემალემა. ის კაცად არ ჩავდებულა, ვინც ტყუილს არ ეკრძალება. და ელჩს თუ სიცრუევ შეაჩნდა, ბოლოყამს დაებრალება.

200. მიკვირს, საეჭვი რადა გაქვსთ ამ ამბვის მოხსენებისა? რა მაქვს მიზეზი ასეთის ტყუვილის მოგონებისა? ჭმანი ვართ მკვიდრნი, წინაშე მღომელი დამონებისა. და აწ თქვენ რაც ბრძანო, ხელმწიფევ, გაღანამც ის იქნებისა.

201. მას უძახიან ყოველნი, შარომ ხელმწიფეს ჰრქვიან-და. კვიროსა მზესა ლოცვიდენ, რა ღვინო მათ შესვიან-და, შენ ყველა დამპლად გიყვივის, მოაბად ვინ გასვიან-და. და გამოარჩიე, რაც გწადდეს, წახდება, თუ დავვიანდა.“

202. ვინც დიდებულნი მუნ იყვნეს, უზომოდ შეიჭირვებდეს, გული დაეწვათ ჯავრითა, ყველანი კბილთა იღრქენდეს, იტყოდენ: „შაი-მოაბადს სხვა ამას ვინ შებედევდეს?“ და ნიშანი რამე მოჰგონდათ, მოფარვით თითსა იკბენდეს.

203. «რა უქნია ბერს ყარანოს?» — ერთმანერთსა ჩურჩინდიან —
 «არ დაამხვეს სახლი მათი, ნეტარ სხვაგან სად წადიან?
 როგორ, ხმელთა ხელმწიფობა ამის წილათ მას სწადიან?»
 და ხვაშიადად ქვეშ-ქვეშ მხრახნი შევიდიან, გავიდიან.

204. ამას იქით მათ ქვეყანას აღარ დარჩეს ნაცარიცა,
 დაიგრიხოს ბედი მათი წალმართი და ნაცარიცა;
 შარომ შეილნი საყვარელნი მოიძულოს და ქმარიცა,
 და ბედნიერი აღარ იყოს, აღარც ეთქვას მას ცარიცა.»

205. რა ესმა მეფეს ეს სიტყვა, პირ-ძოწი გაყვითლდებოდა,
 მეტის წყენითა სახმილი უშრეტი მოედებოდა;
 ვით ქარით ძეწნი და წყლით მზე, იგ ეგრე ათრთოლდებოდა,
 და ხან გაყირმიზლის ზაფრანა, ხან ვარდსა ფერი ჰკრთებოდა.

206. რა მეორედ დასტურობით ეს ამბავი ესმა კიდე,
 მოემატა შექირვების ტვირთი ზურგსა მონაკიდე;
 ენთებოდა ჯავრისაგან, ვითა ცეკხლი მონაკიდე.
 და გაურჯელი არ მორჩება უხაჰისისა გამომკიდე.

207. უხანა მწიგნობართ, მისწერა მეფეთ და კვლავ დიდებულთა,
 შეშვილა: „სჯული დაადგეს ყარან და შარომ ქებულთა,
 ფიცი გატეხეს ცხოველი. და ზენაარი ჩვენთ სჯულთა,
 და მოდით, მილაშქრეთ მას ზედა თქვენ, ჩემგან იმედებულთა.“

208. წარვიდენ კაცნი საჩქაროდ ყოვლს თემს ამ ამბვის მცნობელნი,
 შემოკრბენ სრულნი ლაშქარნი, მხნენი, ლახვართა მსობელნი,
 მათთა მებრძოლთა, ვით ცვილთა, ცეცხლებრივ დამადნობელნი,
 და ამ საქმის გამკვირვებელნი, მქნელისა დაცამგმობელნი.

გამართვა მოაბადისა კვიროს ზედა

209. ურიცხვი შეკრბა ლაშქარი მარავს და მავრის გარებსა.
 ვინ იცის ეტლი ვის დასცემს, ანუ ვის გაახარებსა?
 ცა რისხვით ვისდა იღრუბლავს, ან ვისდა მოიდარებსა,
 და ლხინს ვისთვის მზადებს საწუთო და ჰქუნვას ვის უბარებსა?

210. შაი-მოაბად ლაშქრითა გამოემართა მარავით.
 სიმრავლით მიწა იძროდა მებრძოლთა მისთა არ ავით,
 ზახირა დიდის ნუზლითა, სევან, ოთალით, კარავით.
 და თქვეს: „ამის პატრონს ხელმწიფეს ყოფას ვინ დაამწარავით?“

211. მტვერი აღვიდა ასეთი, მთვარესა ეხვაშიადა,
 ღვარი წავიდა ხვარსნიო, თუ სთქვა, მზეც შეაშინა, და.
 თქვეს: „კაცი ყოვლის ქვეყანის აქ არის, ვინლა შინა და?
 და ჩვენს ისარს სისხლი სწყურთან და ხრმალსა ხორცი შიან, და“.

212. ლაშქარნი მტვერში ასე ჩნდეს, ვით თხელს ღრუბელზედ ვარსკვლავნი.
 შუბის ჩხნდესა და მუზარადს ხშირად ჰკრთებოდეს ელვანი.
 მთანი გავაკდენ მათ ფერხთ ქვეშ, დაყუდნეს ზღვისა ლელვანი.
 და ბოლოს გამმარჯვე ღმერთია, ვის მიხედეს, ვნახოთ, ძლევეანი.

213. ცნა კვიროს მოაბადისა, თუ ვითა მას ემტერების,
 ვინც მეფენი ჰყვეს წვეულად, ან ყმათა ვის ეტერების,
 უბრძანა ლაშქრის შემოყრა, ვით მტერზედ შეეფერების.
 და იგიც მზას დახვდა მოაბადს ამაყად, არ ეფერების.

214. მოვიდეს ყოვლგნით ლაშქარნი, მინდორი ველარ იტევდეს.
 თოთხმეტის წლისგან უფროსსა ვაჟსა შინ ვინ დაუტევდეს?
 გვანდა, ვერ შერიგდებოდენ, ცთომასა არ მიუტევდეს.
 და დაპირდაპირდენ. გაჩნდება, თუ უწინ ვინ შეუტევდეს.

215. ბერნი კაცი მოიყვანა კვიროზ რაზმთა დასაწყობლად,
 კონაპანთ და მეწინავეთ უმჯობესი შესატყობლად.
 გაეწყვენენ და გაეპართენ, ბევრი უნდა დარჩეს ობლად,
 და კლავ მრავალნი დაქვრივდება, ვის რამე ჰყვეს შეილთა მშობლად.

216. გაიყენეს მეწინავე დროშა მათი სახელდებით,
 რაზმთა შიგან გამოცდილნი დიდებულნი თავადებით
 დადგენ ადგილს საომარსა, თქვეს: „ჯერ ნურგინ ვიქადებით,
 და რა ტრაბახი უნდა ამას, ან მოვკლავთ და ან მოვკვდებით!“

217. ორნივე ლაშქარნი აღშფოთდეს, იძახდეს, არის სისხლთა ზღვა:
 „გამხნენით, ვაჟო, გამხნენით, არ არის თერძვა, არც ბაღვა,
 დღეს გვიხამს ერთმანერთისა ხმალთა კვრა ძლიერ, არ დაღვა!“
 და აღელდენ რაზმი ორივე, ქართ კვეთებითა ვითა ზღვა.

ომი მოაბადისა და კვიროსა

218. შეიქნა ქოსთა ცემა და ბუკთ ხმა ხდალთ გააშტერებდეს.
 ვითა ეშმათა ხმა ესმათ, ვგრე ერთმანერთს მტერებდეს.
 იყო ესეთი ზრიალი, ძველთ მკვდართაც ააზრხოლებდეს.
 და ჯერ თითოს კარგსა კაბუკსა ერთმანერთს გააყოლებდეს.

219. მათ დასაწყობლად ისარი დარბოდა, მოციქულებდეს,
 არსად ჩამოხდის სხვას ალაგს, თუ არ მათ შუა გულობდეს,
 ან თვალს დაესგის ღიასა, ანუ თუ დაეგულოდეს;
 და საჩუქრად სულსა ართმევდა, იგინი ქვე უსულობდეს.

220. შეტევება მათი ქარსა სასტიკს ჰგვანდა ქვენა ზესა,
შემოდგომას, რა ტყეს ეცეს, ფურცელს ჰყრიდეს სულა ქვესა.
მათგან კაცი შექურვილი, მუზარადი ვის ერქვესა,
და ორი ზომა ჩამოვარდა, ერთს მეორე გაექცესა.

221. ქოსი და ბუკი ყიოდა: „მოყმენო, ომსა უსწრაფეთ,
თორ რასთვის შეიჭურვენით, ან მუზარადი მოარფეთ?
ხელთ ხრმალი რაზედ გიციინისთ ელვა ვით, ხორც[ს] თუ არა ფეთ?“
და კვლავ ერთსა მოყმენს შესძახეს; „კაი, შენ მაგას იაფეთ“.

222. ამ ომზედა ბერნი კაცნი თითქმის გაახლებულიყვნეს.
გულოვანთა რაზმი ორთავ იქით-აქათ შუა გაყვნეს,
არც გაიქნენ, არც დაზადენ, არც ერთმანერთს ომნი აყვნეს,
და დილით ვიდრე სამხრობამდინ უფროსიცა ხანი დაყვნეს.

223. ჭაბუკნი იყვნეს ასეთი, ცეცხლსა და წყალს არ შიშობდეს,
არც ხრმალსა, შუბსა, ისარსა, არც ლახტს, ჯაბანს კი დაგმობდეს.
„გაქცევასა სჯობს სიკვდილი, ვაჟო, — ერთმანერთს უხმობდეს —
და ჩვენ აუტს თავს ნუ დავიდებთ, სხვა დედა სხვას შვილს უშობდეს“.

224. დროშა ტყეს გვანდა, ალამი ფურცელსა ხაზალოვანთა,
მტერთი ჭაბუკნიცა ბერს ჰგვანდენ, შავ-რახსი ბაბრამოვანთა;
ჯაბანსა დაღრეჯა ჰქონდა, სიცილი მხნეთ გულოვანთა.
და ხელთ ხრმალი ეპყრათ დასერილი სისხლითა მკლავ-ძალოვანთა.

225. გაგრძელდა ომი მწუხრამდის, აჯობა ვერა რომელმა;
ტურცვლა დაიწყეს ჯაბანთა, უკან და უკან მძრომელმა.
უმატეს მხნეთა ჭაბუკთა ისრის უცდურად მსროლელმა.
და ვისმინოთ, რა ქმნან დელამთა პირველად ვერ მიმსწრობელმა.

226. ვისის მამა, მეფე ყარან, მოკლეს და სხვა მასთან სწორად
ასოცდათი დიდებული, მის მიდამოს, არ თუ შორად,
სხვა ეგზომი დაიხოცა, მინდვრათ ჰყრია გორა-გორად.
და სისხლი მისდის მრავალს ადგილს დია ჩქარად, ვითა ღვარად.

227. რახან კვიროს მამა მკვდარი ნახა, არქვა: „დიდებულნო,
მონანო და აზნაურნო, ამ დლისათვის თქვენ ქებულნო,
ომს სიზანტე აუგია, სიმხნეზედა დადებულნო,
და არ გრცხვენიათ თქვენს წინ მკვდართა, თქვენ აგრე გაყუჩებულნო?“

228. არ შეიკდემთ ყარანისგან, რა ხელმწიფე სადა გდია
უპატოთ სხვათ მკვდართანა, თქვენ ომი არ გარდაგზდია!
მისი თეთრი წვერი სისხლსა რაგვარ წითლად გაუხდია,
და არვინ ვეძებთ სისხლსა მისსა, არც სირცხვილი მოგვიხდია.

229. არ კი ჩაივსო ჭაბუკთა მზე სახელისა ძებნისა,
რომ აღარავინ არ ვეძებთ, არც გვრცხვენის ავ-ხსენებისა,
რა თქვენ მსმენელთა ჩვენისა ასრე მტრის დამონებისა?
და კაცს უნდა დიდი განკრძალვა ბოლოყამს მოგონებისა.

230. შუბივე მე მაქვს ხელთ მრთელი, ყარან კი განქარვებულა,
ჯერ სისხლი არ მიძებნია, მზე ლამის შელამებულა;
ჩემს გვარს აუგსა არ დავსდებ, რადგან აქამდის ქებულა.
და ვინ მამის სისხლსა არ ეძებს, ის კაცად არ ჩავდებულა!

231. რა შელამდება, ლაშქარი ორგნითვე გაიყრებიან;
თქვენ დიდათ მოგიტირვით, ღღეს სისხლი არ შეგშრებიან,
აწ ზურგი მინდა მომაბათ, ხვალეს ვინ შეენსწრებიან?
და მოაბადს ჩემის ხელითა ღვითთ სული გაეყრებიან“.

232. გააფიცხა ლომის ლეკვი მამის მისის მუნ სიკვდილმან,
შეუტრია ჯავრიანად კვიროს ხელით ხრმალ-მოწვდილმან,
რაზმს მიმართა მოაბადის, ნახეთ, რა ქნა დაქადილმან!
და ჩამოყარა მეომარნი ჯერ ხრმალმან და კვლავ ყივილმან.

233. ვითა ველური თხა-ვაცი ფიცხს ვეფხსა დაერიდოდეს,
ეგრეთ გაექცნენ მას ყმასა, ველარ ამაყად ყიოდეს.
მრავალნი მისგან ნაკრავნი ქვე ცხენით ჩამოცვიოდეს;
და მკვდარნი ეყარნეს უსულოდ, ზოგთ ისევ სისხლი სდიოდეს.

234. დალამდა, თორე მოაბად კვიროს ვერ მოურჩებოდა,
ასე ეგონა შანშასა, ვეროდეს მობრუნდებოდა;
ჯერ ხრმალი ხელთავ ეჭირა, ქარქაშსა არ ჩავებოდა,
და ისე დელამთა ლაშქარი ურიცხენი გამოჩნდებოდა.

235. დელამ-ქიზანნი, გელანნი ღამე დაესხნეს კვიროსა,
ველარ შებედეს მისგანთა, თქვეს: „ვინლა გაიჭიროსა?“
ყველა უომრად გაექცნენ, ეს-ვინ არ გაიკვიროსა?
და მაგრამ ჰხამს ყმაზან პატრონთან ბოლომდინ მოიჭიროსა.

236. საწუთოს ნივთი ჯუფთია, ვით ნათელი და კვლავ ბნელი,
მას სიმძიმელი ლხინთავან უფრო აქვს ჩვენდა საქნელი,
ამ გამარჯვებულს ვაჟკაცსა საქმე წაჰკიდა რა ძნელი!
და წელან ის უყო, აწ ესე, კურთხეულმცა ჰყავს შემქმნელი!

237. ამცნეს მოაბადს, რაც იქნა, ნეტავი მის შესწრობასა!
არ მართლის გულით იკითხავს კვიროსას ხელთ შეპყრობასა.
ვინ შეატყობდა გაქცეულს დალაღვა ან დაშრობასა?
და იმ წამს მოვიდა, სად ვისი იყო მის სამყოფს, გორაბსა.

მოაბადისაგან გორაბს ციხის შემოღობვა და ვისის საუბარი

238. ვისმან ყოვლთ კეკლუთ პატრონმან ნახა მოაბად გარ ღემული, თავი უებრო მტრის ხელთა ბადეთა შინა დაბმული, მამა მკვდარი და ძა კვიროს გამოქცეული, შებმული, და საბრალოდ დაღონებული ქვე ზის მისებრი სულდგმული.

239. ფრჩხილითა ვარდსა იგლეჯდა, ხოვრიელს ცრემლსა აყრიდა, მისთა თვალთაგან ნალვარევს გილანის ზღვისაჲ შეჰყრიდა, მისი მოთქმა და ტირილი იქაურობას აჰყრიდა. და ესეგვარს ძიძას ეტყუდა და მერჲე ღმერთს ხელს შეჰყრიდა:

240. „ლურჯს ცას ქვეშ და შავს მიწაზედ ჩემებრ საწყალს ვერვის ვებედავ, არც ვიცი, თუ ჭირთა ჩემთა ვისთან ვჩივი, ვისთან ვებედავ. საწუთოსა სიმუხთლითა მე სიკვდილსა დანით ვებედავ. და ძიძავ, მითხარ, მარგებ რასმე, თუ შენც ამას გამიბედავ?“

241. ვინ მიხსნას მოაბადისა უსამართლოსა ხელთაგან? რას ეტლზედ მშობა დედამან, ვერ მოვრჩი სიბნელეთაგან! რად დავრჩი მამას ცოცხალი, მეშინის მისთა მკვლელთაგან! და არსით არა მაქვს ღონე და იმედი მე მეშეელთაგან.

242. რა მმართვებს მოყვრის გაყრილსა, რა უნებურად მტერს მივხვდე, ამის რჩევასა ბედკრული თვალ-ცრემლიანი რას მივხვდე? არა მაქვს ღონე მის მეტი, აქ მას ცოცხალი არ დავხვდე! და რალა მერგების მას უკან, რა ერთხელ ღომის ქანგს შევხვდე?“

მოაბადისაგან მოციქულის მოსვლა ვისისთან

243. მოციქელმან ჰკადრა შხესა: „ყოვლთ ცის მნათობთ უნათლესო, რაცა ეტლსა გაებედოს, ვინ დაეხსნას ანუ სვესო? ნუთუ გულსა ეს ჩაეჯდო, მოვერევი სიპართლესო? და ბელან ვას რა რამ უქდა, ყოვლან კაცვან ის შექავესო.“

244. ვინ ჩემდა დაბადებულხარ, თმობისაგან კიდევ რას იქ? ვან შენთვის ვხელობ სურვილით მოყვრისა გულსა რასა იქ? მე შენის გზითა მოვსულვარ, შენ მანდ ზი, ანუ რასა იქ? და ამ საწუთროსა ასე სწადს, სხვას სოფელს ახლა ვერ შეიქ.

245. თუ დამმორჩილდე, მრავალი მეც აღგისრულო შენ ნება, თვალ-მარგალიტით აღგავსო, არ მისწვდეს კაცთა გონება, შვეამკო სამკაულითა, მზეს შურდეს შენი შევენება; და ჩემის ქკუვის და მეფობის სადავე ხელთ გექონება.

246. სულსა და გულსა მოგიძღვნი, ვით გწადდეს, ინებიერი, ქვეყნის დედოფლად დაბძანდე ტახტზედა შენ შეენიერი; მაშინ, რა ეს ჰქნა, იქნება შენს უფრო რაც ნივთიერი? და ვინ არ იქს, მზეო, ამასა შენთანა სხვა გონიერი?"

247. რა ვისმან გულის-წამლებმან ეს გაიგონა, ეოცა, ყველა გინებად შეესმა, არ ერთად-ორად, ეოცა, თავს მიწა გარდაიყარა: „მეხი რად დამეც, ეო, ცა?“ და ორნივე ხელნი პირს იკრა: „ჩემთვის დაბნელდა მზეოცა!“

248. მან მტირალჰან სირცხვილითა მალლა აღარ აიხედა, თავ-ჩაგდებით მწეს ეძებდა, ქვე-ქვე დაბლა გაიხედა, ვერვინ ჰპოვა სხვა მეშველი, აწ ძიძისკენ მიიხედა. და დაჰქნა ვარდი, მოიხარა ალვა ნაკეთი, ვინ ზრო ხე და.

249. ღონე არ ჰქონდა მის მეტი, მოციქულს სიტყვას უგებდა, მოაბადს სიყვარულის წილ გულსა ლახვარსა უგებდა: „წა, ასე უთხარ შანშასა «ცუდ საქმეს ნუ არიგებ და, და თვარ ხელმწიფობას მალალსა და სახელს გაიუგებ და.

250. ფათერაკისა მოედანს, მიკვირს, ბურთს რასთვის გაიგდებ? ჩემისა იმედისაგან დიდს ჭირში თავს რად ჩაიგდებ? საქურჭლეს ცუდად ნუ ჰფანტავ, ნურც აგრე შენს თავს აიგდებ! და მითქვამს, უთუოდ ბოლოყამს სახელის ავს ხმას დაიგდებ.

251. შენთ საქმეთაგან მე შენი კაცობა შემიგნიაო, გრძნებით და ნივთიანობით აქ ცუდად მომიგნიაო, ავ-მცნობლობით და სიხელით გზა ველარ გამიგნიაო, და ძველი ახალსა ეძებდეს, მსწავლელი რა წიგნიაო?

252. ნუთუ ეგების გეგონოს, ვის[ს] ცოცხალს მოვიხელებო? თუმც ყოველთ გრძნეულთ მწვრთნელი ხარ, ციხით ვერ გამიხელებო. უკუნისამდე მანდ იღვგ, ციეს გულს ვერ გამიცხელებო, და ნაძვი მაქვს სწორი, ტირიფსა მრუდსა არ ვეძებ, ხელებო.

253. არვის შევრთოდი, მაშინცა აბა რით შევიყრებოდით?
 მამა მომიკალ, არ იცი, რომ ასე დაემტერდებოდით?!
 თუ შენს სახლსაცა გჯდომოდი, იქიდგანც გავიყრებოდით,
 და ეს არ ქნილიყო, ან მაშინ თქვენ მე სად შემესწრებოდით?

254. ვისცა მიმცეს საყვარელსა, მანც ნება ვერ შეითავსა,
 მას, სიბერით მოდრეკილსა, როგორ მივსცემ ჩემსა თავსა,
 უხამს[ს]ა და შეუფერსა, საქმეს მრუდსა ვინ მართავსა?
 და საით ვშვენი მოაბადსა, დამპალი ვით შემირთავსა?

255. მე, ჭაბუკს, საუკუნოსა მეშინის, მოვერიდები,
 შენ, ბერი, უქნელს საქმესა რასთვის არ დაერიდები?
 სამკაულიცა ბევრი მაქვს, თვალ-პარგალიტი, რიდები,
 და ქვეყანა, ციხე-ქალაქიც, მაგით ვის მივესყიდები?!

256. მაგრამ ოხრად მჩანს, რა მამის სიკვდილი მომაგონდების.
 მას დედოფლობა სად შვენის, ვინ სიტყვით მალ მოლორდების,
 უფრო მას კიდევ, ვინც თქვენსა ქონებას დაუშონდების.
 და დასტურ ჩემს გვართა მე არ ვარ, თუ თქვენი რამ მომწონდების.

257. აწ ნუ გაქვს გეგ იმედი, შენს ნაყოფს არ გამოიღებს,
 ნუ სწრაფობ ჩემსა ნახვასა, თორე ავს საქმეს მოიღებს.
 ვირი მაშვრალი მძიმეს ტვირთს, არ იცი, შორს ვერ წაიღებს?
 და ბოლოს დაინანს, რა კაცი საქმეს თავს ავად აულღებს.

258. თუ საწუთრომაც მიმუხთლოს, უნებლიე ხელთ ჩაგვივარდე,
 ვერ გაიხარო ჩემს გვერდით, წამსაცა არ გაგიკარდე.
 ვინ სახლი ამომიწყეიტე, სჯობს გულით გარდაგივარდე.
 და მე, მტერი შენი მესისხლე, შენს დარბაზს არ შეგივარდე.

259. მწარეს ხეს რაზომ შაქრის წყლით ჰრწყავ, ნაყოფს მასვე მოიბამს.
 ჩვენი მტერობა მოყვრობის ძირს არაოდეს დაიბამს.
 ჭიქა ხმელს რკინას ცნობილი, არ იცი, არ შემოიბამს?
 და წალკოტში ვარდი გამხმარი ფესვსა რალათი გაიბამს?

260. მე მაშინ დაგმორჩილდები, რა ქორს კაკაბი დაზავდეს,
 ცითგან ვარსკვლავნი ერთპირად ქვე ჩამოცვივდეს, დაზავდეს,
 ან ნამეტნავსა ნალველსა ცოტა რამ სიტკბო შეზავდეს.
 და ასეთის მოყვრის შეყრასა, ბრძანე, თუ, ვინ არ დაზარდეს?

261. მოციქულმან მას ნიშანი ვერ უპოვა სურვილისა,
 მივიდა და მოახსენა შანშასა პირად მზისა,
 მასზედ მისი გულციობა, ვით ენახა, სიგრილისა,
 და ვითა მისთვინ ყინვად უჩნდა ვარდსა ჟამი მაისისა.

262. მოაბადს კიდევ დამეტდა ხელობა სიყვარულითა,
უკვდავებად სჩანს პასუხი და შეთვლილობა გულითა
უფრო ამითა, რა ესმა მის ალვით ედემს რგულითა,
და მანცა ვერ ჰპოვა ნებაო, ვის უფი სიქალწულითა.

263. უსაზომოდ გაეხარა, სცნო საცოლო ქალწული ჰყვა.
ვის[ს] ეს ამად დაემართა, რა სიძესა რძალი მიჰყვა,
თან იახლა დედაც ასულს; უფრო კიდევ ამით გაჰყვა,
და ქალს დიაცთა წესი მაშინ წაეკიდა, აღარ ჩაჰყვა.

264. მოაბად ძმები მოიხმო, სიცილით ეუბნებოდა,
ვისის ამბავი ვის მიწყევ სასურველად ეგონებოდა:
„რას მეტყვიოთ, ძმანო, რას მირჩევთ, ნეტა თუ მეშოვნებოდა?“
და მისად მიჯნურად მას რამინ ჯერ მას არ ერჩენებოდა.

265. რამინ სიყრმითგან ვისისა მიჯნური იყო, ხელი და,
ოდეს ხუზი'ტანს ყმაწვილნი ებარნეს გასაზრდელი და,
მუნითგან შეჰყვარებოდა, აქამდი ვერ ნამხელი და.
და გულს ჰქონდა მისი სურვილი, ვითა სახმილი ცხელი და.

266. გვალვისაგან გამხმარს ყანას ჰკვანდა რამინ უნაყოფოს;
რა მეორედ გორაბს ვისის სახლს მოვიდა და სამყოფოს,
მოირწყო და აცამწვანდა, ემხსავ ხელი მიიყოფოს.
და მას სურვილის აღყვავებამ, ვისმინოთ, რა უნაყოფოს!

267. გული გაუყმდა დამკენარი, სიშორით დაბერებული,
მან სიყვარული ვისისა აწ შექნა გაასლებული;
ენა ველარათ დაიბა, სიხელით გაკრეღებული,
და ფიცხელი სიტყვა მოაბადს ჰკადრა რამ პირს-შესწრებული.

268. კაცს ვისცა გულსა საყვარლის ცეცხლი ედება სურვილთა,
ის ენას ველარ დაიჭერს, წასძლევს სამ სიტყვა ქუევილთა?
რა გული დათერეს ემხითა, სად ჰრიდებს სპათა ქურვილთა?
და რას ის უბრძანებს, ეს იტყვის ჯერ ნამეტნავსაც ურვილთა.

269. ღმერთმან ნურვინ ნუ გაჰხადოს პატრონისა უნებელი!
ამად დიდი აუგია უმეცრება მავნებელი.
სიტყვას უნდა კარგად გაცდა, რაა მისგან საძებნელი.
და რამინ ახსნა ხეაშიადი დია მაგრა დასაბმელი.

270. მოახსენა: „ხელმწიფეო, რას იჭირვი ეგზომ მისდა?
ცულ საქმეზედ საქურჭლესა რად წააგებ ნაცვლად ქვის-და?
დიდს ჰირს ნახავ უსარგებლოდ, ვერ იშოვნი მაგით ვის და?
და რით წაართომ საყვარელსა, რა შეერთოს ძპასა ვის და?“

271. ეგე ამას ჰგავს, რა თესლსა მლაშეს სთესევდე აღგილსა, თესლსაც დაჰკარგავ ცუდად და ვერ სჰამ ნაყოფის საღილსა. რად ბრძანებ ცუდსა სიტყვასა, უამებელსა ქადილსა? და შენ მაგით ვის არ შეჰყვარდე, ვერც მიხვდე შენსა წადილსა.

272. თვალს ეძებ პატიოსანსა რაზომცა ძვირად სასყიდლად, თუ აღგილს მისსა არ მიხვალ, ვერ ჰპოებ მას მოსასყიდლად, დაშვრები, დაცავარდები თქვენ უსარგებლოდ სულ დიდად; და ბერი ხარ, იქ ვერ მიაწევ, ჰაბუკობა აქვს მას ხიდად.

273. აწ ვით ეძებ სიყვარულსა, თქვენ, მისისა შეილისაგან, რომე მამა შენ მოუკალ მტკივნეულის გულისაგან? იმას შენგან არ ეშინის, არცა მრავლის ლაშქრისაგან, და ვერც საჭურჭლით მოალორებ, ვერცა თვალთა სიხასისგან.

274. თუმც კპოო დიდის ჭირითა, ან მაშინ რა გაიხარო, რა მტერი გიჯდეს შინათა, მიბრძანე, ძმაო, მითხარო?! იმას ჰგავს, გველი საყელოს შეგიძვრეს, მწვე მოიხარო. და წყალი რა სახლში აღმოხდეს, სხვაგან რუ რადლა უთხარო?

275. უფროსი საქმე ეს არის, თუცა თქმა გეკადრებოდეს, შენ ბერი ხარ და იგი ყრმა, არ თქმულა შეხამდებოდეს. თუ ცოლი გინდა, შეირთე, ვითა თქვენ გეფერებოდეს, და თორემ ძნელია გაზაფხულს სთველი სამ შეესწრებოდეს.

276. ბერს ბერი უხამს, პატრონო, ეგებ არ მოგხსენებიან? ყრმა ყრმასა ჰყვარობს, უძლური ამაღ არ მოუნდებიან. უსუსურს დღეთგან ჩამოსლვით ფიცხნი ვით დამონდებიან? და გასძვრება სითმე ხელითა, გან თუცა არ ეხსენებიან.

277. რას ხელსა ჰყრი მას მთვარესა, რა უნებლიე გვერდს გახლვიდეს, შენ გიყვარდეს, მას არ უნდე, სიმძულვარით გულს გხალვიდეს, თეთრს წვერს გჰკრეტდეს ნარგისითა, დღეთა შენთა ჩამოსთვლიდეს, და ველარც სძლებდე სიშორესა და სიახლევ მიწყვი გკლევდეს?

278. სიყვარულისა ჰასაკი კაცთათვის ზღვისა მსგავსია, მისი ძირი და ნაპირი არა ჩანს, წყლათა გავსია; ვის სწადდეს შევა, მაგრამე ყოველთა არ სათავსია, და მოგინდეს, ძნელად გამოხვალ, ნავი მრავალთა დავსია.

279. აწ შენთვის ეგეთს სიყვარულს ეძებ, ფათერაკს შეჰხდები, ვერა რას ირგებ, შენმა მზემ, მტერის გულისათ გაჰხდები; თუ იცი შენდა სარგებლად, ვამბობ, რასათვის წაჰხდები? და უსმინე ჩემსა რჩევასა, ხელმწიფე, ნუ გარდაჰხდები!“

280. რამინისგან რა მოაბად მოიხსენა მოხსენება,
გულს ეწყინა, ითაკილა დია ამის გაკონება;
მწარედ უჩნდა, ვით სამსალა, ტკბილი მისი შეგონება,
და ზე პასუხი აღარ უთხრა, მას იგივე ეგონება.

281. მიჯნურობით სავსეს გულსა შეგონება არ ესმისა,
ლხინად უჩანს ფათერაკი, რა შვრებოდეს, არ ესმისა;
დაგმობა და საძრახავი მწარის გემოდ არ ესმისა;
და რაზომ ვინ ჰკრას მას ისარი ყვედრებისა, არ ესმისა.

282. მიჯნურს რაცა შეუყვარდეს, კიცხვით აღარ შესძულდების,
შორ დაიჭერს გინებასა, კიდევ უფრო მოუნდების;
ვითა გველი, რა დაბერდეს, გაფრინდება, გაახლდების,
და რა სურვილი კაცს შეიპყრობს, თმობა დია გაძნელდების.

283. კაცთა ყვედრება მიჯნურთა თუცა ხრმლად მოექნეოდეს,
ლგიძლსა მიუშვერს, მას ძრახავს ასე არ მოეთნეოდეს;
შავი ღრუბელი თავს წვიმდეს, არცა მას გაექცეოდეს,
და სრულ კიცხვა იყოს, გინება, მაშინც მას შეექცეოდეს.

284. ყოვლს საქმეშიგან მრავალთა ზიანი დაუმძიმდების,
მაგრამ მიჯნურსა სურვილი მარცხით არ გაუგრილდების,
ამად არ უნდა ყვედრება, თვალთ ცრემლი გამომილდების.
და ვინ ის არ იცის, ის კაცი სიხარულს ვერას მიხვდების.

285. მოაბადის გული ასე ავსილიყო სიყვარულით,
მას რამინის შეგონება ყველა ესმა სიტყვა ცრულით,
მალვით ზარდი მოიყვანა, რჩევა ჰკითხა მართლის გულით;
და მან გზა კარგად გაურკვია ილათით და ჰქუვა სრულით.

286. მოახსენა: „ხელმწიფეო, წყნარად იყავ რჩევის მქნელი,
ჰქუევით თავი გამოებმის, რაზომ იყოს საქმე ძნელი.
გაფიაროთ ილათითა, ესე გზაა თუცა ბნელი.
და ფრთხილთაც აღრე მოალორებს ტკბილს სიტყვასთან საქონელი.“

287. შაროს ეუბენ ამოთა სიტყვითა შეწყობილითა,
ნუ ჯერ ზავით და წყრომითა, პირველად სულ სირბილითა,
მარგალიტითა უფასოდ, თვალითა სრულ გათლილითა.
და ამითი, ვეჭობ, მოგართოს, ვინც გინდა შენ სირბილითა.

288. მერმე ღმერთიც მოაგონე, ფიცს რაზედ სტებს უზენარო?
შენი რისხვაც დაანახვე, სხვის არათი შეიწყნარო,
თუ არ მოგცეს იგ მნათობი, ნაზი, ტურფა, ხმა-ნარნარო.
და ამით, მგონი, შეაგონო, ფიცხი აღრე დააწყნარო.“

289. დია იამა მოაბადს რჩევა ვეზირის ზარდისა.
 უხმო მწიგნობარს, რომელი წერას არ შეუზარდისა;
 ერთგულსა, სიტყვა-მიმხვდარსა, თვით მისგან განაზარდისა.
 და წიგნს წერა დააწყებინა, რაც გულსა შემოვარდისა.

წიგნი მოაბადისა ზაროსთან

290. „ამ უხანოს საწუთროსად ნუ დაიქერ ავსა ხელთა,
 შენს თავს აუგს ნუ დაადებ, საძრახისსა ავ სახელთა,
 უფალს ზურგსა ნუ შეაქცევ და დევთ პირსა ავს ახელთა,
 და ნუ შეერთვი საუკუნოს ზენაარის გამტეხელთა.

291. ჩვენ ვიფიცენით ღვთითა და ყოველთ ანგელოზთ მისითა,
 რა მან გიბოძოს ასული, მე გამაზაროს ვისითა.
 ფიცსა და პირსა რად მოშლი, ნეტა რჩევითა ვისითა?
 და სასახელო ვარ სასიძოდ, რად მქვრეტ თვალთა მქისითა?

292. არ ჰხამს ჩემგან აბეზარი იქმნა მტერსა ჩემს მიერთო,
 ბედით ჩემით მოცემული მე შენითა რად წამერთო?
 ეს სჯობს, შემერთო შენი ქალი, გული მართლა გამიერთო.
 და რადგან ჩემთვის დაწერილა, თქვენ წართმევას ცუდათ სწერთო.

293. დახსენ მტერობა, ქვეყანა შენი დაიხსენ მოსრვითა,
 ლაშქარი აღელვებულნი დააცხრევ ხრმალთა ქნევითა;
 გაეიზარებდეთ ნიადაგ ერთმანერთისა შეყრითა,
 და ნუ გინდა ჩემი შერცხვენა სააუგოსა დასვრითა.

294. თორ რაც სისხლი დაღვრილა და ანუ ძუ დღეს დაიქცევინს,
 ან ქვეყანა ამოსწყდება, აოხრდება, მოიქცევინს;
 საუკუნოს მოწყალისა რა პასუხი შეგექცევინს,
 და არ დარჩები იქ პირშავი, აქ მოაბად არ გექცევინს.

295. დაიხსენ ერთის დიაციტთ თავი და შენი სამეფო,
 თვარა უმისოდ, იცოდი, ველარას ვერ იამეფო.
 მთვარე მზეს შემერთო, მაშინლა მეც გამწყარალს დამამეფო,
 და თუ ეს არა ჰქნა, ვერა რათ შენ კვიროს ვერ გაამეფო.

296. ჩემს მესისხლობას მსუბუქად ნუ ხედავ, უ ას აბია,
 ნურც ცოტას ხნისა გგონია, მწვედ ძნელი ბოლო აბია;
 მე ლაშქარი მყავს მრავალი, არ მინდა მოაკაბია.
 და გამწყარალის მეფის შერისხვა მამაცთაც დასანაბია.

297. აწ მოიქეც უმეტრულის შურისაგან სიყვარულად,
შენს შეილს, კვიროს[ს], სახელმწიფოს დიდსა მივსცემ მკვიდრად სრულად,
ქოისტინისა სადედოფლოდ შენ იქნები დანერგულად,
და ხეარანისა ვისი იყოს ტახტზედ მჯდომი ჩემად სულად.

298. რაზომნიცა დღენი გვესხნეს, საწუთროსა ხელი ვყაროთ,
მოყვრულად და საყვარელად ერთმანერთსა შევეყაროთ,
ლხინსა ვზჳიდეთ სამუდამოდ, ე'ა ლაშქარი გავიყაროთ,
და შფოთისაგან მოვიცალოთ, სრულ ქვეყანა დავაწყნაროთ.“

299. რა წიგნისგან მოიცალა, აწ შევიდა საქურჭლესა,
დაარჩია სასალუქო, არ ურევდა ცუდმად ქრელსა;
კვლავ ცხენებთა ბედაურთა გარდასთვლიდა, არ თუ მკლესა.
და ანგარიში არ შეეძლო მის საქურჭლის აღმრიცხველსა.

300. ასი აქლემი კუბოთ და სამასი ლარ-კიდებული,
ასი ტაიკი, სამასი ულაყი ლაგამ-დებული,
ხუთასი ჯორი მისრული, არ ცუდად გამოგდებული,
და თვალ-მარგალიტით ტვირთული, სიმძიმით გახუებული.

301. ამასთან თავ-საბურავით ზანდუკი სავსე ორასი,
ვინცა ნახევდა, გაჰკვირდის, იტყოდეს: „აო ო რასი?“
სხვა ერთი სამკაულითა სავსე ფას-შეუსწორასი,
და ქვეშაგებელნი ტურფანი, ხალასა პირი ღორასი.

302. სხვა მრავალი სახელმწიფო, უცხოობით არ ითქმოდა,
კაცს ენახა რაგინდ ბრძენსა, თითქმის რეტად შეიქმოდა.
აჰკიდეს და გაუგზავნა. ეს ხმა ყოვლგან განითქმოდა.
და რა მიართვეს მას დიაცსა, ასე ამით დაინთქმოდა.

303. რა შარომ ნახა ევზომი, დაითრო საქონელითა,
ძეც დაავიწყდა, ასულიც, ჰქუევითა ავის მქნელითა;
მზე მოაშორა სამყოფსა, აავსო სრულ სიბნელითა,
და ვისი ხელთ მისცა მოაბადს, ვა ყოფა დია ძნელითა!

304. შარომ ქალი ვეშაპს მისცა, ცა შეიქმნა ლილის-ფერად,
სრულ ვარსკვლავნი გაუჩინდენ, აღარ ისხდენ თვალთ სამხერად,
მთვარემ ფარდა აპოიკრა, გამხდარიყო, თუ სთქვა, შტერად,
და ეტლნი მსრბოლნი, ჩარხთა ბრუნვა შექნილიყვენენ სულა მტერად.

305. ასე მწარეა საყვარელთ გაყრისა მჰჰუნვარებანი,
ცას შეაწუხებს, მნათობთა, იმათი მოშორებანი;
ზრუნვიდენ ყოვლნი ციერნი, გლოვისა ჰქონდათ კრებნი,
და მოსთქმიდენ ვისის საქმესა, იყო ტირილი, ტყებანი.

306. მზექ დასავლად გაილაშქრა სრულ ვარსკლავით, მთვარეც ახლად, დაიყოვნეს მუნ დიდხანი, აღმოსავლად აღარ ახლად; ეტლნი ჰგვანდეს რკინის კლდეთა, უძრაობდენ ნუთუ ახლად. და ვისი მათ რომ ეწესაობდა, ძლივ მოკუშტვით მათი ახლად.

307. ვერძ-მოზვერნი დაღრეჯილნი, დამალულნი სადმე თრთოდა, ლოჰს ადგილი დაცაეგდო, შიშით ვითამ უსულობდა, მოტყუბარი ორს ტყვეთებრი დაჭედილი უძრაობდა, და გამწყრალიყო მუნ კირჩხიბიც, კულ-აბზეკით თავს იგდებდა.

308. ქალწული დიაცის მსგავსად დგა, ხელთ ტევანნი ეპირნეს, სასწორნი დაკრებილიყვნეს, მასცა ეს კირნი ეპირნეს, ღრიანკალს ერთგან მოკეცით, ვით გველს, ზურგს თოკი ეპირნეს. და ნეტა. რა გავდა შაროსა, თუ ასე არ გაეპირნეს!

309. მშვილდოსანსა, ვითა კერპსა, მშვილდით ოძი აღარ ეძლო, თხას ისრისგან უშიშარსა, ქვე-მწოლარსა, ხორციც ეძლო, წყლის-საქანლის ჩასაგდებლად ქასა შიგან თავს დაეძლო, და მისი ჯურღმულს უქმად გდება მის მზიდავსა ვით გაეძლო?

310. თევზი ლალი წყალსა შიგან შეცაეპყრა მაგრა ბადეს, ვითა ხმელზედ გამოჰკრილი, ასე ვითმე დაებადეს, დარჩომისგან უიმედო ეტლსა ამაღ დაებადეს. და შაროსაგან დაემართა, პასუხს გასცემ რასა ბადეს?

311. რა ციხეს შიგან შევიდა მოაბად კარგის ეტლითა, აღარა ჩნდა რა სიბნელით, თვალნი ეტკივნეს ბლეტითა; იპოვა ვისი სინათლით-პირისა მეტის-მეტითა, და ხელი მოჰკიდა, მისთრევედა, არ წაჰყვა თავის ნებითა.

312. შანშამ ავისა ეტლითა ნახა საცოლე თავისი, სხვა ამ ბედითა ნულარ შვას, რით დაებადა მათ ვისი. კვიროს დაჰკარგა მნათობი; ცოლი ძმამ, არ თუ შორს თვისი. და ნახეთ ნაქნარი-სოფლისა, ვინ მიეხელთა ვინ ვისი.

313. განმხიარულდა ვით ლომი კანჯრისა ზე შემსწრობელი, ან კაცმან გლაზამ საჭურჭლე ჰპოოს, ვით იყოს მნდობელი, შესვა კუბოსა, ვითა მზე კირჩხიბზედ იყო მჯდომელი, და მომართა თავის სამყოფსა ქარივით, არ დამშრომელი.

314. ხამდა მისთვის ქირთა ნახვა, რადგან მისებრ არვინ არი, მან შეენების ზარდახჩა და პოვა ლალი მოციინარი; მუნით ჩქარად წაიყვანა ნებიერი, მშვიდი, წყნარი, და მაგრამ ბედი საბოლოოდ ავად უჩნდა მორკინარი.

ცნობა კვიროსაგან
ცოლის წაგვირისა და ტირილი

315. კვიროზ სცნა, მზე ეტლს სხვას ვისმე ზურგსა უნებად დაესვა, გული დარია ლახვარმან, არ თუ მიდამოს დაესვა, უნდოდა თუმცა საკვდავად ეჭამა რამე და ესვა.
და საყელო გარდაიხია, ტირილი იწყო და ეს ვა.

316. ფერამითა შეჟიქცა, მთვარე დახვდა მის სრას არა, შაროს ფიცი გაეტება, მართლა აღარ შეაწყნარა, წაგყენათ მისთა მტერთა, გულსა დანა გაეყარა,
და მის უფასოს იაგუნდის ნაკვლად სხვა ზამ დაეყარა.

317. უშრეტო ცეცხლი მოედვა, თუმც დედას ვერას ჰკადრებდა, უთხრა, თუ: „რასთვის წამართვი, ვინ მხეს არ შეიდარებდა?“ ხელს თავს იცემდა, ტიროდა, სიცოცხლეს გაიმწარებდა,
და თუმცა მიეცათ საკვდავად, მახვილსაც მოიხმარებდა.

318. დასწყევლა ყოვლი საწუთო დაუდგომელი წამსაცა, ის არას ნაღვლობს, ამისთვის ყვედრება მუდამ თავს აცა. გაჰყარა კვიროს საყვარელს, მიჯნურსა, ცოლსა, დასაცა.
და რადგან მოაბაღს მიჰგვარე აბა, სოფელო, მას აცა.

319. მას დაამძიმა საწუთრომ, მოაბად მწვედ გაახარა. ერთს საყვარელი გაჰყარა, სხვას საძულველსა შეჰყარა, შანშა იშვებს და კვიროზ ტირილზედ ღონე დაჰყარა.
და ჰაი.ჰაე, მრუდო სოფელო, ასე ცრუ სულა რად ხარა?

320. ხორასანს მიჰყავს მზე ეტლსა, მოაბად მხიარულობდა, რაც ჰირი პირველ ენახა, ოცნებადც აღარ რულობდა. იგ მთვარე კუბოს შესმული აქლემით მოარულობდა,
და რა ქარი ეცის, სულითა მინდორნი სულთ სურნელობდა.

321. მზესა რაზომ მოეღრუბლა, არე მაშინც არ დაბნელდის. თუმც ქვეყანას ახარებდა, იგი ვერათ ვერ ილხენდის, მას ასეთი ცეცხლი სწვიდა, წყლის ჰკურებით არ დანელდის.
და კუბოთ მისთა მონაქროლით ტყე და ველი გასურნელდის.

322. აწ მოიწია რამინის ღზინთ კლება, ჰირთა მატება, სული მოჰბერა ნიაგმან, ეშხი ეშხს მოემატება. მთვარე შეეჰყარა ვეშაპსა, ვაი როს გააზატდება!
და მას მისი სახე, სურვილი მუნ გულსა დაეხატება.

323. რამინს გული დაუტყვევა, ვით გრძნეულმან, თოკით მაგრა,
 ცნობა მისკენ გარდებვეწა, ველარათი დაიმაგრა;
 სიბრძნის წილათ ეშხი მისი ერთის ნახვით მოისაგრა,
 და ცრემლით იყო დალტოლოვილი, მაგრამ სულა დაიდაგრა.

324. მიჯნურობის ცეცხლმან გული დაუწო და დაუალა,
 წამს თვალისას გონებანი მას შესწირა, დაუალა.
 მზისა შუქი თუმც დახდების, ვისისაა დაუალა.
 და ასეთს გზასა დაემართა, ძნელია და შეუალა.

325. მისის მიჯნურობის ხემან ნაყოფად ეს გამოილო,
 გახელება, ველად გაქრა რამინის წინ წამს მოილო.
 იღვა უქკო ქვე მტრიალი, სული ვერათ ვერ დაილო.
 და ვისი მივა კუბოთ ლალი, კაი სული თან წაილო.

326. პირი მისი ვარდის მსგავსი ზაფრის ფერად გარდაექცა,
 ტანი სრული, სარო ნაკვით მოეკვეთა, ქვე წაექცა,
 სიცოცხლისგან უიმედო გახდა, სული რა გაექცა,
 და ეცდებოდა ღონეს რასმე, მაგრამ ცნობად ვერ მოექცა.

327. რამინ მტრიალი ეგონათ, ეხვეოდინ გარემოს,
 შეშინებულნი ამისგან, ვაითუ ე შმაგ გარე მოს!
 არცა ყივილი ესმოდა, სურნელთაც კმევა არ ემოს.
 და „მზე დაგვიბნელდა“ — იტყოდეს — „ვითლა ნათელი არ ემოს“.

328. ყოველი კაცი ტიროდა მის ეგრე ზასლვა-ყოფასა,
 მაგრა რა ერგოს უჩინოს გულსა ლახვართა ყოფასა?
 ზოგნი იტყოდეს სიცოცხლეს და სხვანი სულთ გაყოფასა,
 და ასუნებდიან ამბარსა, ცუდს ყვავილს არ ონტყოფასა.

329. მერმე ღმერთსა შეეწყალა და მოვიდა ცოტად ცნობას,
 სიტყვის თქმალა არ ძალებდა, აბრალებდა უენობას;
 კაცთ სირცხვილით აიოხრა, თქვა: „ჩავარდი მოსვენებას“.
 და ცხენსა შესვეს, წამოვიდენ, აკვრევიენს მალლა ნობას.

330. მეტისა გონებისაგან ნათელი ებნელებოდა,
 ოხრიდა ქვე-ქვე იღუმალ, სიცოცხლე ეძნელებოდა;
 ვითა სანთელი სახმილზედ, დლითი-დღე ეგრე დნებოდა,
 და ხან ხელი ვითა გაიჭრის და მერმე გულით ბნდებოდა.

331. თვალნი მისნი ვისის კუბოს შეეკვეთა სულა ასეთ,
 ვით მპარავი უკეთესსა ლარს უმზერდეს, თუ საფასეთ;
 მისი ეშხი მას სურვილად გულს მოედვა, ვით მაასეთ.
 და სამიჯნუროვ, მიჯნურები, უწყალონო, რას დანასეთ?

332. იტყოდა: „ჩემთვის ნეტარძი, თუმც ერთხელ კიდევ ვნახევდე, ანუშკა ღონე იყოს რამ, ასმინა ვითა ვახევდე, მეკუბორობა მაღირსა, მის ხეთა მეცა ვახევდე, და ან თმობა მომცა, ნდომასა გულისას შევინახევდე!

333. აჰა, იქნებამც მწე ვინმე მძებნელი იყოს მადლისა, მას ჰკადროს ჩემი სალამი, ნდობა მაქვს რა საწადლისა; ნუთუ შეებრალდე ღას მზესა, თუ მადლი მოიპადლისა, და იგიცა ამყვეს მიჯნურად, ნახევრად დასაქადლისა!

334. ან სიზმრად სადმე ვეჩვენე სისხლის ცრემლითა შესვრილი, ეგებ შეებრალდე უწყალოს სიბრძნის-ჟამ ცნობა-წაგვრილი, მორელბღს გული მაგარი, ღონე ქნას ჩემზედ დაყრილი, და გულსა ლახვარი გამილოს, რომელ მაქვს მისგან გაყრილი.

335. ეგებიმცა იგიც ჩემებრ გამიჯნურდე, იქმნას ასე, ვითა მისის სიყვარულით მე დავები დავიმასე; მასცა ჩემგან ნახევარი მიეც, მივა ეგრე, მასე, და მასც რამ ჩემი დაარჩინე, მარტო სულ მე ნუ დაჰნასე!“

336. ზოგჯერ რამინ ესეთს-გვარსა იგონებდა სულდაღებით, დაეღრიჯა თავ-ჩადღებით გულ-დამწვარსა სულ დაღებით; გაეხადა სისხლის ცრემლით უბე-კალთა სულ დაღებით. და კარნი დახშა სიხარულის, არა ჰქონდა სულ დაღებით.

337. გულს ეტყვის: „გულო, ურგებსა საქმეს ნუ დაემონები, უსარგებლონი ნატრანი საქმეა შეუწონები; მის მთვარისათვის რას ვკვდები, ვის რომ არ მოეწონები? და რაზომ ჰირს ჰირზედ იმატებ, მას მზეს სად მოეგონები?“

338. რად მოელი ვისის შეყრას, ვის რომ გზა აქვს შეუვალი, ნუ იმედობ უმეტრულად თავსა ჰირი შეუვალი. მზეს ვინ მიხვდა ხორციელი, რომე გზად აქვს ცა სავალი? და კმუნვისაგან კიდევ საქმე გვეშოება არ სავალი?

339. შენ გწყურიან, წყლის მძებნელო, ხმელს მინდოროში რა გერგებ მისგან კიდევ, დამბადებელს შეებრალო თუ ეგების? სხვის ღონისა გამოორევა ძებნა არსით არ ეგების. და უიმისოთ ვინ რა აგოს, ცუდათ შერება, არ ეგების“.

340. რა რამინ მაგრა დაება მიჯნურობისა ბადესა, თმობა არ ჰქონდა, არც ნება, სხვა რაღა დაექადესა? გულმან მგზავრობა მგზავრთანა უნებლად მოიწადესა. და ვისი ხელმწიფედ შეექნა მის ფერხ-მტერად, მგონ, მიწად ესა.

341. ზუნ ყოფითა ამის მეტი საწადელი არა მიხედეს, რომ ხანდახან ვისის კუბოთ სურნელების სული მოხვდეს. მას სასჯელსა ნურვინ ზარობს, საბოლოოდ თუ არ წახდეს. და ამას იქით გავიგონოთ, რაც ორთაგან საქმე მოჰხდეს.

342. თუ კაცი ერთხელ გააცხროს, მნახენი სოკედალს შიშობენ, მიჯნურს სრულ ცეცხლი ედების, მშობელნიც, ვეჭვ, მასში შობენ; იწვიან ქვისებრ ქურასა, ბოლოჟამს თუცა შიშობენ. და ესენი არვის ეწყალების, რაზომცა სულთქმით უშობენ.

343. რა არის უუსამართლე, რაც მიჯნურს წაეკიდება? ანაზღათ უცხოს-უცხოსა გულს ცეცხლი მოეკიდება, ტვირთი უთმინო სურვილის ყელზედა დაეკიდება. და სჯობს, რომ კაცს ებრალეზოდეს, ნურავინ წაეკიდება.

344. მიჯნურს კირად ეს ეყოფის, კირსა შიგან არის მიწყით; მოკერის ნატურა ხვაშიადსა გულსა წამსა ვერ მავიწყით, გულს მიანდობს ვერავისა, სხვამან სხვისა მით არ უწყით. და რამინ იყო მმატებელი სურვილისა ეშზთა მიწყვით.

345. ჰგენდა ქორის ქანგთა შიგან კაკაბს მყოფსა ზურგ-კოდილსა, არც ცოცხალი, არცა მეკდარი, სახე ოდენ ჰგენდა ჩრდილსა; მის ტანისა ნაძვ-ნაკეთობას მშვილდებრ სკვრეტენ მოდრეკილსა, და გზა საკნად სჩნდა შეჭირვებით, ინატროდა, გლახ, სიკვდილსა.

ქორწილი მოაბადისა და ვისისა

346. მოაბად მარავს შევიდა მთვარისა-გაახლებითა, სრულად შეემკოთ ქალაქი სტავრით, მუნ ნახლებითა; მნათობთა მსგავსნი მკვრეტენი უმზერდეს ბან-სახლებითა, და ცითგან ვარსკვლავნი იძახდენ: „ვისს მხელად ვიახლებითა“.

347. დიდებულთაგან თვალ-გვარი, მარგალიტი ეყრებოდეს, მიწის ნაცვლად ოქროზედა მას წინ დაიარებოდეს. საწუთროსა ლხინი სრულჰყვეს; მავრი ედემს ედრებოდეს, და მავრამ ვისსა შეჭირვებით თითქმის სული ეყრებოდეს.

348. სამოთხეს ჰგენდა ქალაქი, თვალს წვიმს მარგალიტს ხშირად, მკვრეტელთა პირი ელვიდა ვარსკვლავებრ გასამჰვირად; მუტრიბნი ჰკერიდენ, იმღერდენ ტურფა-ხმად, არ საყვირად. და სნეულნიც მხიარულობდენ, ერთი დღე უჩნდათ კვირად.

349. რა ესე ყოფა ლაშქართა ქალაქსა შიგან იქნების,
მეფის დარბაზის შევენება, თვით იცი, ვით შეიქნების!
სიდიდით ჰკვანდა მინდორსა და კოშკი ცამდინ მისწეთების.
და ჰკრეტად კოშკისა ბანზედა ვარსკვლავნი ისხდეს იქ ნების.

350. მეფე ტახტსა ზის გულუხვი, სვამს, გასცემს, ღია იხარებს,
ცას ხელს მოავლებს სიმაღლით, ქვეყნად აღარვის იღარკებს;
ესრეთ ანათობს დარბაზსა, მხე უფრო ველარ იღარებს,
და მისთა მჰკრეტელთა აამებს, არცერთს არ დააბინდარებს.

351. გაიხარე ამ სოფელსა, თორე კმუნვით ვერას ირგებ,
სვი, ჰამე და ლხინი ნახე, ცუდად სუფრას ნუ არიგებ,
უხვად გავც გასაცემი, დაკლებასა რას შეიგებ!
და თუ ესე ჰქნა, ქვეყანაზედ კარგ სახელის-ხმას დაიგდებ.

352. სად ვისი იჯდა დედოფლად, დარბაზი წალკოტ-ქმნილობდა,
მისთა პირთაგან ყვაოდა, ვით ჟამი მზისა დილობდა.
თუმცა შაანშა იშვებდა, მთვარე დაღრეჯას ცდილობდა,
და დღევ და ღამ ტირდა ღრუბლისებრ, აროდეს მოილხინებდა.

353. ვინცა ეგეთსა ნახევდა, მისებრივ ატირდებოდა.
დედის სიშორე, ძმის გაყრა ცეცხლივით მოედებოდა;
ზოგჯერ სულლებით თვალთაგან სისხლ-რევით იცრემლებოდა,
და ამ წამს ხელურად აიჭრის, ზახილი მოუნდებოდა.

354. ვინც რამ სიტყვა მოახსენის, მასთან ასე გავიდოდა,
გულსა მისსა შეჭირვების ქარავანი შევიდოდა.
ასე გახდა, ნემსის კურწსა—თუ სიტყვა—სიწლოდ გავიდოდა,
და ფერი მისი თუც ლალოდა, ზაფრის ფერად წავიდოდა.

355. ხელმწიფეთ და დიდებულთა ცოლნი ნახვად მოვიდოდეს,
გვერდს უსხდიან მოზრუნაენი, ნუთუ ლხინად მოვიდოდეს;
ზენაარით ხვეწნა მათი მასთან სრულ არ გავიდოდეს,
და თქვეს, თუ: „სულსა დაიღებდა, თუ სიკვდილი არ უნდოდეს“.

356. რა მოაბად დაინახის, პირი სულა დაიხვის,
ვით ლომისგან შეპყრობილმან შეეღმა ვითა დაიხვის.
შაანშამა ვერცერთი დღე მასთან ლხინი ვერ იყვის.
და ვისის პირი ვენახია, მაგრამ კარი აძეს ტყვივის.

ქიქისაგან ვისის წაყვანის მოთქმა

357. ძიძამა რა სცნა ვისისა წაყვანა უნებლიეთი, ქვეყანა მისთვის შეიქმნა ქვესკნელი და საბნელეთი, კვალად შეექმნა სული და სიცოცხლე მკვდართ უძნელეთი; და ტირილით შექმნა მინდორი მუნ მყოფთა დასანთქმელეთი.

358. ძიძა მოსთქვამს: „ჰაი, მზეო, ჩემთვის ნათლად ამოსულო, თვალთა ჩენავ, სიცოცხლისგან უაპესო, ამო სულო, ზმირინო [და] ღალიაო, საყნოსელო ამო სულო, და ჯერ ქაბუკო ქცევა-ლალო, კარგ-ანდამო, კარგ-უსულო.

359. უსინჯოვ, სულა კეკლუტთა ხელმწიფედ განჩინებულო, ცისა მნათობთა უნათლევ, არ თუ მზისაგან ენებულო, ჰაეროვანო მისო, ვარდ-გაშლით განშვენებულო, და პირ-ბაღარ-ბაკობით მჯდომარო, მთვარევ პირ-მოვანებულო.

360. მთვარევ ელვარევ, კეკლუტთა ხელმწიფეთ სანატრელო და, რად დაგემტერა საწუთო, თუმც ყოვლთა ზედა ტრელო და? ვით საარაკოდ გაგზადა, მრავლ-ფერად ვითა კრელო და? და ჯერ ბროწეული კოკობი, უმწიფო, გაუქრელო და.

361. რად დამწიფდა სრულ ქვეყანას უქმოვ შენი სიყვარული? ჯერ სძის სული პირს ამოგდის, მარტვილი ხარ, არ თუ სრული. ყოვლთ კაცთ პირმან ვით გახსენოს, ან სიტყვა თქვან შენთვის ცრული? და შენ ცოტაო, სახელ-დიდო, ბედმცა მაქვს მიწყი კრული!

362. შენ; თხას ველურსა, უენებლად მიჯნურადა გყავს ავაზა, მის გაჯაო გოჯი, მან მისი, ვიცი, არ იცის თავაზა. გავ გაჯაუჯალსა, რა თრთვილმან ახალი პოოს ავაზა. და ხატავ სიცოცხლე გამიყა, მანდ მოსლვად გამაგავაზა!

363. ღმერთმან რადიან შენი ნახვა ჩემად სულად გვამსა მიყო, სამ უსულო, გლახ, საბრალო, მითხრას ვინჟე, აქ რით ვიყო? უშენოსა მე სიცოცხლე თუ მინდოდეს, მომკდარვიყო, და ნიშანიმცა ნუ დამრჩება ქვეყნად, ჯავრი თუ ეს ვიყო“.

364. შეყვანა ფრცხად მავალი ლარ ტურფად ჯამა ოცდათი, აპკიდა ტურფა მრავალი სახელმწიფო და სამათი; დღისით და ღამით იარა, ვინ სრულ თქვას მისთა მოთქმათი? და ეს ვაჩქა ჰყავს მისად მეშველად, ნესტან-დარეჯანს ასმათი.

365. მავრს რა მივიდა, ვითამცა უსულოს სული ეპოვნა,
ჯოჯოხეთიდან ხსნილიყო, სამოთხის შვება ეშოვნა;
ვისი თუმც ნახა გულ-წყლული, მაშინც მას ღზინად ეპოვნა.
და თოიჯმა ძიძამ მცხრალს მთვარეს ვარდის ბაგენი მოსწოვნა.

366. ვისი ნაწნა ნაცარს მჯდომი, ნაწოჭი და თმა-მგლეჯელი,
მტირალი და აეს ყაფაში, თავის სისხლის თვითან მსმელი;
ტანი თმა ვით დასწლობოდა, ჩიტის ადვილ ჩასანაქმელი,
და პირი-სარკე დაეალა, დაეკორდა ღვანთს სანთელი.

367. რა ნახა ასე გასული, ძიძა მწვე შეიჭირებდა,
გული ცეცხლითა აიგხო, ზე მარწუხს მოუჭირებდა;
მისთვის თმობასა ეძებდა და მისთვის მოიჭირებდა,
და უთხრა: „ნუ ქწილწარ უთმინოდ, გულს ნურათ შეიურებ და.“

368. რად დაიცილები სულთავან, რად ღერი, რითაც მას ევნების?
შენ ხარ სულისღვმა ჩემი, თორ უშენოდ გაიდევენების.
მიწყვი ვინ ქირსა დაებას, მისგან რით მოისვენების?
და დამკლდები, გაცაყვითლდები, ეს შენ რად შეგეშვენების?

369. დედამ მიგცა მოაბადსა სრულად მისად საკუთარად,
აწ შენ უვი სასურველად, სულთა უფრო მოსახზარად.
ხელმწიფესა ბრძენი არვინ შესცოდებენ არას არად,
და კვიროს თუმცა მორკპულია, ვერ უსწორებს ვინ გყავს ქმარად.

370. დრამა დაჰკარგე, სანაცლოდ თვალს მიხვდი პატიგცემულსა,
კვიროს[ს] მოშორდი ხელმწიფეს, დიდს ახლავ სახელდებულსა,
ძიძამ ვერ გარგოს, მიმართე დედამთილსა და, ჰე, მულსა;
და თუ არც მით იქნას, ღმერთი გყავს მეშვლად შენ ნათელცემულსა.

371. თუ საწუთრომ ვეცხლის ვაშლი გამოგართვა ხელთ ნაჭერი,
ნაცვლად ოქროს თურინჯითა მოგიჰედა სახლთა ქერი;
კარი ცოტა თუ დაგიხშა, ეს გაგილო, შევლენ ერი.
და ბაზმის წილად შენ სანთელი მალალი გითქს, არ ნაჭერი.

372. საწუთრომ შენზედ არა ქმნა საქმენი სავაგლახია,
ღმრთისგან უშადლო არც ის არს, მონაა ვინ ვაგლახია;
ვინ მას ეძღურვის, დაინანს, ბოდანია თუ ვლახია.
და თუ არ მომისმენ, მე შენი არელა არ დავლახია.

373. ადგე მიწისგან, არა გაქვს ჯამი ტირილთა გლოვისა,
ტანს შეიმოსე ტურფანი, ფერი ძოწ სიახლოვისა;
თავს შესაფერი გვირგვინი დაიდგ ყოვლისა თვალისა,
და პირი შეიმკვე, მოჰფინე ნათელი მზის სიცხოვლისა.

374. შაქრის უტკბოთ ენით შენით საუბარი ამოიწყე,
 ბაგე-ვარდით, გიჰრის თვალთ შენს მკვრეტთ მთვარე დააფიქვე;
 ნადიმობდი დედოფლურად, ლხინი ჭირად ნუ მიიწყე,
 და მოაბაღსა ახარებდი, ამო კოცნით მიწყით მიწყე.

375. ღამე დღედ შეჰქენ პირისა შენისა მოგანებითა,
 მზე მოშურნე ჰყავ ერთითა შენითა გაცინებითა,
 შექარი გააბედითე ტკბილისა ალერსებითა,
 და აშბარს პატივი წაუღე შენთ თმათა ელვარებითა.

376. მამათ გული დედათათვის გააკრილე, გაუციე,
 შენს მიჯნურთა ლომთა პირი ყვითლის ფერად გარდუქციე;
 მიღმაც ბრძანე, თუ ვინ მოღმა გკადროს, სიტყვა შეუქციე,
 და ერთის შენის უკუყრითა ყოვლი სული შეაქციე.

377. თუ ტანს შეიმოს, იქნება, რაცა ვთქვი, უკეთესადა,
 კეკლუცნი გაუბილდებიან, იტყვიან: «ჩვენ სად, ეს სადა?»
 გვარი გაქვს, სიყრმე, სიტურფე, შენებრ ვინ დაეთესა და?
 და ღმერთს რაც წყალობა უქნია, დასჯერდი, სხვას ნუ ესავ და.

378. ნუ ემკლავები განგებას, მოწვევანდს ვერათ შეაქციე,
 არ დაბრუნდება, ბედითიუ ზახილით როგორ გააქციე?
 თვალთაგან შეუშრობელად ცრემლთა, ვაგლახ მე, რად აქციე?
 და ან შენის სიბედითითა შანშასა სახლსა დააქციე“.

379. ესე გვარად ძიძამ რაცა შეგონება გააგონა,
 ვისს ყველა რამ ასე ესმა, ვით ქარის ხმა გაეგონა,
 უთხრა: „ხესა უნაყოფოს სიტყვა შენი მიეგონა,
 და სიკოცხლითა გამაძღარეარ, არამც შენ ეს არ გეგონა“.

380. ტანსაცმელად ფლასი მსურის, ტახტად მიჩანს შავი მიწა,
 ნადიმია მოთქმა ჩემთა ჭირთა, მიწყე წიწა-წიწა.
 მოაბად ვით გაიხაროს, ვინ საწუთრო შეაბილწა?
 და არცა მე რას კარგს მოველი, არც მით თავსა შევიბიწა.

381. ვარდი მე ვიყავ უეკლო, კვიროს ვეახელ ოდესა,
 აწ ეკალი ვარ უვარდო, იდგეს რა ზღვისა კობდესა;
 ნება უნებან ყოველთა, მე უნებლობა მკობდესა.
 და რადგან ვერ ჰპოვა მან ნება, სხვა ნუვინ მაზე რბოდესა“.

382. ენად კარგმან ძიძამ ვისსა კვლავ დაუწყო შეგონება:
 „შენ ავი რამ გულს გაივლო, ეგ ვისგან მოიგონება?
 ვინ საღმე თქვას ეგ უხამსად, ძმა და ქმარი გეგონება.
 და თუ მე შენი გამზრდელი ვარ, გიხამს რამე გაგონება“.

383. ჯერ ძმა იყო საწადელი და ქმრადა გყვა სასურველი,
გარნა ნება ვერ სრულჰყავით, გაგეყარა საყვარელი;
იქნება რა ბევრხან იყვნენ მოყვარენი გაუყრელი,
და საწადელი ვერ იამონ, ნუ გვონია საკვირველი.

384. წასულს მოყვარეს ნუ ეძებ, დღესა ჰგავ[ს] წინ გარდასულსა,
ნუ იბრძვ, ნუ კუშტობ თუ ფრთხილხარ, ვინ მირჩევენხარ ჩემს სულსა;
აბანოს შედი, ნუ ზიხარ მიწასა შავსა, ავსულსა,
და ტანს შეიმოსე, ტახტს დაჯე, გიქებდენ ყოვლნი უსულსა.

385. შენ და კვიროს საქმე შეჰგავს, მოწმენდილს დღეს რა ცა ქუხსა
ან გლახაკსა ლართ-ჰპოვარსა, მის დამგდებს, სხვის მოჩანჩრუხსა.
შენგან მეტი ხორციელი ბედს სხვა თვალს არ მოუქუხსა,
და გარდავიდა იგი ჟამი, კელა დასცემდეს ორს შარუხსა.

386. აქ არიან გვირიანი დედოფალნი და ასულნი,
დიდებულთა კაცთა ცოლნი, მთვარებრ მნათნი დას-დასულნი,
მოვლენ შენთან, დასხდებიან შენებრ ნაცარს, აქ მოსულნი.
და ეგ არ მინდა, მზებრ მნათობნი ქვე სამ ისხდეთ დანასულნი.

387. სახელის ძებნა კაცთაგან დიდი სალარო არისო,
უცხოთ ენისა დაქირვა საძრახად ქებად კმარისო.
ვინ აგრე განახავს, იტყვიან: «ღირსია სულ სიმწარისო».
და ზოგთ თქვან: «არ მიგვიჩინია», სხვათა თქვან: «ის ვინ არისო?»

388. ვინ კაცთა უპატიო ჰყოფს, იგინიც დამტერდებიან.
ვინ დიდ-გემოა კეკლუენი, მკვრეტნი ვერ გახარდებიან.
დააგდე ეგ ზნე, აჭიდგან ნუმცალა მოგინდებიან,
და ნუ მოაბადის თნებითა, სხვათდა ვინ შენთვის კედებიან”.

389. ვისმა მერმე შეგონება მოიწონა, მოისმინა,
ადგა ნაცრით, აბანოსა შევიდა და იცხო ინა.
შიმავალი თუეა თიხა იყო, იქმნა მო ის მინა.
და ძიძა ჰკაზმავს უსაზომოდ, არ თუ ვისმე შეასმინა.

390. შეამკო ძვალთ ბრწყინვალთ, უფასოს მარგალიტებით,
უკმია სული სულნელი ამბრით და სულ ღალიტებით,
შეულოცა და შეჰბერა: „აე თვალნო, დაიკლიტებით“.
და რაზომ ჰკაზმიდენ, არად სჩნდა, ტიროდა მწარის სიტყვებით.

391. ამოტირდა ნებიერად, შეუძახა: „აჰა, ბედო,
მბრუნავო და ავად მქცევო, ჩალის წონავ, ვით აბედო,
ჩაღმართო და უკუღმართო, ჩემზედ ესე ვით გაბედო?
და რად გამხადე საარაკოდ, მოზღაპრეო, ავად ყბედო!“

392. რა ტირილი დაიდუმა, მორემშვიდდა, მორეწყნარდა.
ვერა ბრძენი ნასალსა მის ქებასა შეუწყნარდა.
ოქსიოზედ ჩინელთ სახეს წარემატა ხმა ნარნარ და,
და ყოვლი სული შენატრიდა ხმა-მალლად და ებან-ქნარ და.
393. იყო კეკლუცი ესოდენ, მლაშის წყლით რა პირს იბანდის,
შაქრის ლერწამი მოვიდის, სიხშირით მართ დაიბანდი;
ამარტა ლაწვთა მოესვა, ყირმიზს იაგუნდს მიგვანდის.
და თუ მკედარს დაჰკივილის, პასუხი გაძოსცის, არ შეულონდის.
394. ამ ამბვის სმენით მოაბად შეგება-შეგებას გარდამატა,
რაც მიართვა, თითო-თითოს ვერ დაიტევს წერით ქარტა,
თვალნი თლილნი, მარგალიტნი სრულ ობოლი, არ პატ-პატა.
და იგი მაშინც დაღრეჯრით ჯდა, სულთქმით ვერამ გააზატა.
395. სტავრა ურიცხვი, კელაე ტანის შესამოსელი მრავალი,
ბროლის ტაბაკნი და ჯამნი მუნ ნზა, არ შორით სავალი,
მურასას მუჯამრებთა სულთ სულნელთ აღმოსავალი.
და ვისი კმუნვასევე შეეპყრა, არ ჰქონდა გზა გასავალი.
396. მხეველნი ტურფა, მართ მსგავსნი შეგნებით ფარშამანგისა,
მონა-ბერძენნი, ჩინელნი კეკლუც, არ ფერად ზანგისა,
ქსუნნი, ვით თხანი ველურნი, სამსახურს განაკრძალისა,
და გარე მოადგენ ვისს მტირალს, პირი ვის გაემანგისა.
397. მას არად ჰკვირდა საჭურჭლე, ცხროდ უჩნდა რა მოსვენება,
კაცთა ლოცვა და ქენება ვით წყევა მოეხსენება,
ქება დიდება გინებად ესმის, ვით ავად ხსენება.
და მისით იხარებს სოფელი, თუცა თუ მას არ ენება.
398. თუმც ვისის მხერით ქვეყანა იშვებს, იგ ეგრეთ კუშტობდა,
ბაგე არ დაძრის სათქმელად, ვარდი ნიადაგ ბუტკობდა,
შაანშას თავის ნებითა აროდეს არ დაუტკობდა.
და მთვარესა ეტლი დაბმოდა, არ მოძრაობდა, კუშტობდა.
399. ბატონმა წართო ღლე-ღამე ლხინითა, სიაჰოვნიტა,
გასცა ეგზომი საჭურჭლე, აღაესო ყველა შოენითა —
დიდებულნი და ლარიბნი, მსახურნი მცირეს მონითა,
და უხვად უბოძა ყოველთა, ჩინჩურად არ მიწონითა.
400. მერმე ველად განვიდოდა, ნადირობდა მხეცთა მსრველი,
ისარს არას დააცდენდა, მის-მის ალაგს იყო მკრველი;
შემოიქცის ასპარეზსა, უხდებოდა ჩოგნის კრელი,
და ბურთს ყვანჯი ჰკრის, ცას აწვდენდა საწუთროსა ხელის მყრელი.

401. რასა გინდა სიხარულის უნდოდალა იმას მწე სით,
ყოველ დღეთა ასრე იყო, რაც წინა ვთქვი, ამა წესით.
მაგრამ მზესა ცეცხლი სწვიდა, ვით აბედსა ტალხედ კვესით.
და შანშა გემო ვერ იხილა ნაყოფისა მის ნათესით.

402. ცამ შანშას ნების ღრუბლითა შემოსა აწ დაიწყო და,
მოაბად წვიჰდა ოქროსა, ქვეყანა მისგან ირწყოდა;
სრულ ქვეყნის შემოსავალსა ერთს დოსტაქნის სმად იტყოდა.
და ბერმა ღიაცმა ძლიერი, ნახეთ თუ, ვით დაიტყო და.

ძიძისაგან მოაბადის მამაცობის უმკრვა

403. ვისმა საწუთროს მოწყენით ძიძას დაუწყო ქენება:
„ნუ გეწყენება, გამზრდელო, ამისი შენ მოხსენება,
გავძელ სიცოცხლით, არ მინდა ამ სოფლის მე განსვენება,
და ვგებ გარდურჩე სიკვდილით, თუცა ძნელია ხსენება.“

404. დაუბანია მოაბადს გული ჯერ თმობის წყლითაო,
მე თავს არ მივსცემ, ეს მითქვამს, უმცირეს ერთის წლითაო;
მეშინის, ვა თუ ვერ გასძლოს სულ ცუდა ქვე წოლითაო.
და ნება ვერ ჰპოოს, შემიკარ, დამიხსენ სისაწყლითაო.

405. რა წელიწადი გასრულდეს, ნუთუ გონება მომექცეს,
გული დარევდვა უკანის, თუმც უნდა მეხი დამეცეს;
მას უკან გახსენ, მოაბად შენ დაგრჩეს, არსით გაგექცეს;
და რა გაგვა მიხსნა სიკვდილით, სიცოცხლე შენით მოჰეცეს“.

406. გაჰკვირდა სიტყვას, დაჰმუნდა, რა ესმა ძიძას გრძნეულსა,
გულს ეცა ვითა ისარი, ემსგავსა მიწყვი სნიულსა,
გამოაჰყირნა თვალები, ვით აქვს ეშაკის ძლეულსა,
და დაუწყო ქვრეტა კუშტ-გვარად, გავდა მტრის გამოსეულსა.

407. უთხრა: „თვალო დედისაო, შენში ცნობა აღარ არის,
სამართლის გზა დაგკარგვია, გიპოვნია სულ სიმწარის,
ეშმა ბილწსა შესდგომიხარ, მგონ საქმედცა მისად ემარის,
და სიყვარულის გზა შეუკრავს, ძებნა მიჯობს მე სამარის.“

408. შეპირვებით გულ-შავ ქმნილხარ, სათს სიშავე არ წაეღოს,
ცნობა ერთად შეგკეცია, ბრმას დახშული ვით გაეღოს?
უბადოსა საქმისათვის ქრთამი ბრძენსა ვის გაეღოს?
და ვინ ხელმწიფის შეტოდება მაქმნეინოს, მასვე ეზღოს“.

409. ძიძა იყო საარაკო გრძნეულობის მაგალითი,
როსკიპი და დია ბოჭი, სიტყვა-ურცხვი, დაბალითი.
ჩხიბი შექმნა, ზე შექედა მალალი თუ დაბალითი,
და დილას ადგა, აიკიდა, ვით მსუბუქი თაბალითი,

410. ძიძამ საქმე დაიურვა, თუმც საქნელად მწვედ გონჯობდა,
დილას გაძვრა სახლიდამე, ჩქარად რასმე მიბიჯობდა;
მიიტანა, წყლის პირს დაჭფლა, ნოტიო თურ მას უჯობდა.
და გამობრუნდა, ზალ მოვიდა, იგ როსკიპი სულ ქუჯობდა.

411. ძიძას გრძნება მწვე სცოდნია, სიტყვითაცა აგრე უთქვამს.
ჩვენ ლექსითა მოკლედ რამე მისი თქმული გამოგვითქვამს.
წამსავ სრულჭყოფს ვისის თქმულსა, ეშმაკს სულსა ვიქვ ალუთქვამს.
და სადაც დაჭფლა თილისმები, ვის სახელებსა დაუთქვამს.

412. გამობრუნდა, მოახსენა: „მე ეს არ მომგონებია,
ეს ჩვენი ქმნილნი საქმენი სრულ არას მომწონებია,
მაგრამ მოაბად შევიკრავს, აქადგან დაგმონებია;
და რა თვე გავიდეს, ნუმც შენგან უარი მოხანებია.“

413. ამ თვეს უკან ისევ გავხსნი, შეიყარეთ საყვარელად,
ერთმანერთი გაახარეთ, ნულარა ხართ აგრე ქრელად,
თქვენ გამოსჩნდით ქვეყნის მპყრობლად, საწუთოსა ხელისმყრელად“.
და აწ უყუროთ, თუ რა მოაქვს სოფელს მათდა გასაყრელად.

414. ვისმან დია დაუხადლა, მერმე იგიც დაჰყვა ნებას,
გული ამოდ დააწყნარა და ჩავარდა მოსვენებას.
ვინ რა იცის, თუ რა მოაქვს შელამება-განთენებას?!
და მოვიცადოთ, ყური უგდოთ მომავალსა მას განგებას.

415. მცირედ დღენი გარდავიდა, ზღვით ღრუბელი აღმოვიდა,
მზეს სინათლე დაუფარა, მავრისაკენ წამოვიდა,
გაუყვირდათ მუნა მყოფთა, ყველა მზერად გარდმოვიდა.
და წვიმა წვიმა საშინელი, თქვეს: „პირველივ რღვნა მოვიდა“.

416. აღტყდა ღვარი საშინელი, ქალაქს ეცა, თან წაიღო,
ბალ-წალკოტი სრულ დაგლიჯა, ძირიანად ზე აიღო,
თილისმებიც წარიტაცა, ძიძამ ველარ გამოიღო.
და შეკრა ასრე იგ ძლიერი, ტახტიდაღმე გარდმოიღო.

417. მოაბადს ყოფა დამწარდა, ტახტი სჩნდა ვითა საკანს,
მას ვისი თვალს წინ დაურჩა, ვით გლახაკს პდიდროს დრაჰკანი;
დაბმულსა ლომსა უხტოდა უშიშრად კანჯრის ბატკანი.
და დასწყევა თაგის სიცოცხლე დაბადების დღით აკვანი.

418. ხნარცვად სჩნდა ღია საჭიროდ მისი საეჭვი საწოლი, დღე გვერდს იახლის და ღამე, შორვიდენ ერთათა მწოლი; მტერნი ხარობდენ, მოყვარე იყენიან მისებრ რამ მძრწოლი, და ვისი ყვაოდა ვარდისებრ, შვენოდა ზილფი კონწოლი.

419. ერთად წვენ,-მაგრამ შორვიდენ სავალსა ვითა თვისასა; ვისს ორი ქმარი შეირთავს, ნებას იქმს არც ერთისასა. უყურე, ეტლსა რა ძალუც, ბრუნვასა ფალაქისასა! და დიდი ხელმწიფე მოაბად დღეს ნატრობს სიკედილისასა!

420. ვისსა მთვარე მონდა ჰყვა ბაკოვანი გავსებული, მისი მსგავსი არვის ახსოვს, რაც სულდგმული სხვა ქებული. მიზეზები, ვა, საჭირო შეზვდა ბევრგზის შეკრებული, და ამად ჰქონდა გული წყლული, ცეცხლი მიწყი მოდებული.

421. მოაბადს, რაზინს, ვის[ს], ძიძას უყუროთ, რა წაეციდოს-არვის ასმია მათ მსგავსად სურვილის ტვირთი ეციდოს, ვინ სხვამ მიჯნურმან ისმინოს, სახმილი ზე მოეციდოს; და მათ უკან მიჰყვეს, ვინ მათსა საქმესა გამოეციდოს.

ამბავი რამინის მიჯნურობისა

422. ვისი აუგს ეკრძალოდა ნებიერად განაზარდი, ნაკეთად ნაძვი მოიწიფა, აღუყვავდა პირზედ ვარდი, მის ამბვისა მომსმენელო, ჰე მიჯნურო, ველს გაფარდი! და მთვარემ რამინ შეიყვარა, ტანად სარო განაზარდი.

423. გულწყლულს რამინსა სურვილის სენი ნწვევ გასძნელებოდა, ულონო იქმნა, უკაცურა ადგილთა გარ ევლებოდა; მას ღამით ძილი დაეიწყდა, სულ აღარ მუჰკონდებოდა, და მიჯნურობისა აღვირი პირს ეღვა, თან დაჰყვებოდა.

424. ვარსკვლავთ უმზერდა, ფალაქთა მოქცევას ეხვეწებოდა, ფალსა ჰკითხევდა, სამისოს ბედსა თუ შეესწრებოდა. ვით კანჯარი და ქურციკო, კაცთა ნაზვასა ჰკრთებოდა. და ნაძვი სად ნახის, ამსგავსის ვის ტანსა ესწორებოდა.

425. ვარდს ჰკოცნიდა, იას ჰკრეფდა, ვისის თმასა ამსგავსებდა. ორძალს ჰკრევედა ჰამოს ხმითა, მსმენელთ ლხინით აავსებდა. მისი სულთქმა ზამარის ქრისებრ შორ სანთელსა დაავსებდა. და მთხრობელს ვერსად შეეყარა, სამთხრობლოთა ვის ეძებდა.

426. რამინ მოყვრისთვის სიკვდილსა სიცოცხლედ მოინახევდა,
გული საკუთრად შესწირა, მისთვის არ შეინახევდა,
მდღღრის ცრემლითა ტიროდა, ვაებით მიწყვი ახევდა,
და მიმოდარბოდა, ეგებ თუ შორით სამ დანახევდა.

427. პირი მისი ვარდის-ფერი ოქროს გვანდა მ.ჯნურობით,
სული ბაგეს მოსდგომოდა სიცოცხლისა მოურჩობით,
სულ ქვეყანა მტკავლის სიგრძედ უჩნდა, იყო თუცა პყრობით.
და სამიჯნურო ასრე ტყვედ ჰყვა გაუხსნელად სულ შეპყრობით.

428. ზოგჯერ დაბნდის, ქვე დაეცის, კვლავ ხელივით ზე ავარდის,
მისის კენესით იადონი რტოზედ მჯდომი ჩამოვარდის,
კიკიკები დაავიწყდის და სურვილი მისის ვარდის.
და ვერც მუნ გასძლის გრძლად შექცევა, ბალიდამეც გამოვარდის.

429. ღვინო ველარ მიიწურის, თორ სულ თმობას მიუღებდა.
სისხლსა სწვიშდა ღვარისებრი, ღრმად რუს სითმე გაიღებდა.
ცრემლთა ლამში დაცაეფლის, ფერხს ზე ველარ აიღებდა.
და ხან სადგომს ჯდის თავის წინა, კარს არვისგან გაიღებდა.

430. თვალსა მისსა დღე ნათელი ბნელად უჩნდა ყოვლი არე,
სულ საბრალოდ გამხდარიყო, მართ აღარას მოსახმარე.
— ვერვინ ჰკითხა, რას კირითა სოფლით აგრე გაიპარე?
და შენ ახალი სიკაბუყე, ყრმაო, რაზედ გაიმწარე?

431. მოაბადის ბალს შევიდის, ხენი მოწმად დაიყენის;
ეგზომ ტირდა, სისაწყულითა უსულონიც მოიყენის,
უთხრა: „არქუთ ვისს აქ მოსულს, ნუმც ექნება დღე მოწყენის,
და ნუკუ გული განიწმინდოს უსამართლოს ჩემას წყენის“.

432. იადონს საყვედურითა მრაველითა ეუბნებოდა:
„რა წაგეკიდა აგეთი, სიცოცხლე მოგწყინებოდა?
შენ საყვარელსა სამუდმოდ მზერ, სულიც გესუნებოდა,
და არა ჩემებრი ამორავ, სიტყვა არ მოგხსენებოდა.“

433. შენ ათასფერით წალკოტით იხარებ, ვარდსაც ახლავხარ,
უმზერ თვალ-მოუცილებლად, არ შორავ, მასთან ახლავხარ.
მოყვრის მიდამო მყოფელი, ფუ, აგრე რას მოუქლავხარ?
და თუ ამორვიდე ჩემებრი, მაშინ სულთქმასა მართალ ხარ.

434. ნახვის მოლოდნაც არა მაქვს, არ თუ სამისოდ მიჩემოს,
არ ყნოსა სულთა სურნელთა სულსა მიღვმიდეს საჩემოს.
მას მართებს სულთქმა, მიჯნურმან გაწირვად რა აიჩემოს,
და თორე გვერთ მსხდომნი ჩემებრმა შორს ყოფა ვით დაგაჩემოს“.

435. ერთს დღეს ძიძა შთამოვიდა, სად ბალს რამინ მოარებდა, დანახა ძიძა შორით, რა ეთქვა, ვით გაიხარებდა!
სინარულით სისხლი ღვიძლსა აუღულდა, გულს დარებდა,
და ლაწვი მისი ყაყაჩოს-ფერს პერანგს ზე გარდიფარებდა.

436. ვით გვამსა სული გაყრილი კვალად სამისოდ ეშოვნა,
ეგრეთ იამა მძებნელსა საძებნი რა მუნ ეპოვნა.
თქვა: „დღეს კმა ჩემად საღბინოდ, იუდადც მგონი მგპოვნა“.
და სირცხვილას ოფლი სდიოდა, მისი მას ჰქონდა შეპოვნა.

437. ყურის ძირნი ვეცხლს უგვანდა, ჯერ სუმბული არ ემოსა,
მაშავზანი მუშკის ყვანჯად ჰქონდა, სხვა არ შეემოსა,
ნიკაპს ოდენ ქაფურისა ფერი მოეგემოსა.
და გაზაფხულის წალკოტს სჯობდა და სულ მისა გარემოსა.

438. ბაგენი-ვარდნი კბილებსა-მარგალიტს გარე ბუღებდა,
ნაკეთი და სიგრძე მოარულს ნაძეს ადვილ გააცუდებდა,
მზეს სულიერსა სჯობდაცა, თუ ქებას თავს გაიდებდა.
და მეტობდა ყოვლთა ქაბუკთა, ფარსა თხემს რა დაიდებდა.

439. გული შესწირის წამსავე, ვინ იგი გაიცადისა.
სიკეკლუტითა მასთანა ქაჯმანც ვერ მოიცადისა.
ვერ გამოხატის მხატვარმან, რაზომცა შეეცადისა.
და ვერავინ ბრძენმან იმისი სიბრძნე ვერ დაიქადისა.

440. რამინ ასეთის შეენებით ვისისგან უსულგულობდა,
ფილანთფოსთა უბრძნესი, თუ სთქვა, ხელურად შულლობდა,
თავის გზა ველარ. გაელო, წალკოტში მოარულობდა.
და რა ნახა მისი საწადი, უსახოდ მოხარულობდა.

441. რამინ ძიძას თავვანისცა, იგიც შერება რასმე ქუქებს.
ყრმა დიაცა მოდღევენებულს შეაყენებს მზეებრ შუქებს.
ხელი უპყრა, მოიკითხა, საქციელებს დია უქებს.
და აწ უყუროთ მასცა გლისპსა, ვით შეაძლევეს ხუის შუქებს.

442. გარდახდენ რასმე მუნითგან ადგილსა უჩინარებსა,
რაც რამინ უთხრა ძიძასა, წყლულს გულზედ იმალამებსა,
თუმც იკდემს, მაშინც არ რიდებს სირცხვილის ეკალ-ნარებსა;
და ფარდა დახია სირცხვილის, სხვას რაღას გარდიფარებსა?

443. უთხრა: „გიპოე დღეს ჩემთვის სულთაგან უსახმარგო,
მონა ვარ შენი დღეითგან, ვით გინდა მომიხმარეო,
სულს ნუ ამომხდი უდღეოდ, სასა მაქვს ამომხმარეო,
და მორწყე წყალობის წყალითა ჩემებრი ხე გამხმარეო.

444. შენ მიშოვნინხარ ღონელა, საფიცი ჩემი ვისია,
მე მიწყი მისთვის ხელქმნილვარ, იგი არ ვიცი ვისია;
მას ყვავილს ვეძებ მტირალი, ვარდი ვერ სწორავს, ვის ია.
და ვინ გავს გავსილსა მთვარესა, მშვილდი მოურთხამს ვისია.

445. ვექვ, ამაღ დაბადებულა, ყოველთა ცეცხლად მოედოს,
მეტად, გლახ, ჩემსა საბრალოს გულსა სახმილებერ ზოდოს.
მხესა მწუნარობს საჯუფთრად, მთვარეს ვითარლა მოედოს?
და ასე ჩემს სიკვდილს-რას ეძებს, მას საყვედური დაედოს.

446. არც ვინ შობილა მისთანა, არც ახლა დაიბადება.
ვინ მნახავთა სწავეს უცეცხლოდ, ჩემს გულსა უფრო ეჯება.
უბედურს ბედი უმეფრი ჩემებრ გარ მოვბადება.
და მაქვს რამე სიტყვა შენთანა, თუ ჩემგან გაგებულება.

447. თუმც ვიწვი მისთვის, მას ღმერთმან სიკეთე-ნუ მოაშოროს.
რაზომ დიდს ჰირსა ვაბივარ, რა მათქმევიწებს დაშოროსა.
ჩემს ავს ბედს მისი კეთილი დღე მინდა შორ გააშოროს.
და შენი საწყენი მე რამ ვთქვა, ეგ, მისმან ნზემან, მაშოროს“.

448. ძისას იამა რამინის, სიტყვები მისი გულს იცა.
ვით რამინ კრძალვით უბნობდა, ეგრეთ იწიწვის ისიცა:
„მთლადმცა გვივიო, დღესითგან დღე ნუ გაქვს ერთი მქისიცა,
და შენის ბედითა კარგად მეც და მერმე ჩემი ვისიცა“.

449. მისის პირისებრმც მიშეენის იმისი ბედნიერობა;
მის თმისებრმც დაიგრიხება, ვინ მისი იწყოს მტერობა.
არ ვეჭობ, სადმე გენახოს შენ მისი ნებნიერობა,
და მაგრამ მესმიან: „რა არის ეგზომი ჩემი ფერობა?“

450. მიჯნურობისა ღბინები ჯუფთია რა სიმწარისა,
ვით მთრვალს არ ძალუც გაზომა ახლოსა ან სიშორისა.
თუ ვინ მოყვრად სჩანს დუხჭირი, კეკლუცსა შეუსწორისა.
და მღვიძარე შექვაეს მძინარსა, რა თვალსი მოაშორისა.

451. მიჯნურობისასურვილი საძუდმოდ გულზედ ცეცხლს ინთებს,
სიყვარული სძლევს ცნობასა, ზოგს ვისმე მწვე გააფინთებს;
ხელს სჭირიდეს მისის გონებით, მის წილ დაიჭრის სულ თითებს.
და კაცს სიხარული იმისი კინოსებრ გააბედითებს.

452. მე მიჯნურობით დიდების საფარველს, მხედავ, ამხდია.
სულსიგან ცნობა და გულის თმობა სრულიად მიმხდია.
რას ვამბობ შენთან, არ ვიცი, ბოდში ვერ მომიხდია.
და მიცნობ რა ვიყავ, აწ მხედავ საქმე საძრახად გამხდია.

453. ერთ დღე რა ქარი აქროლდა, ვნახე ქაჯს უკეკლუცესი,
სამოთხისებრი სანდომი, მისგანცა უუტურფესი.
სიხელის ზღვასა შემადლო, აჰა, მე, ბრძენთ-უხუცესი.
და არც ცოცხალი ვარ, არც მკვდარი, ვარ ხელთა უუბუცესი.

454. იგი არ იყო სხვა ქარი, ზეცით მგონია განგება.
ჩამადლო სიყმაწვილისა ფათერაკს უცებ, განგება.
ოდიდგან მიჯნურობამა გულსა დამიწყო გან გება,
და შემიპყრო ცნობა, გონება, უგრძნობლად აწყა განგება.

455. ლომისა მსგავსი ძალგული ჩემი მართ გამეღებულა,
შეკირვებისგან ჩემისა მთა დიდი გავაკებულა,
ტანი თმად მქნია და ვარდი წითელი გაყვითლებულა.
და გული მოკვდა თუ ცოცხალა, არ იცის, გახლებულა.

456. წამწამი თვალთა ლურსმადა შემქნია დახამხამებად.
რა ერთს დღეს ჩემთა არიფთან სმად ვიჯდე გასაამებად,
ვითამ მტერს ვისმე შეეყრივარ საკვდავად დასალამებად.
და ასე გამხდარსა მარგე რა, თუ ღმერთი იცი სამებად.

457. რა კაცსა ჩემსა მოყვარეს ვეახლო ლხინად მჯდომელსა,
ბურთსა ვვაგ ცხენოსანისას ფიცხის ყვანჯს ვერ-გამძრომელსა,
ფერხთ დაუხსნელი ემუდა მიყრია გაყრის მდომელსა.
და მსგავსი ვარ წყლულის კანჯრისა, ებრიყვებინოს რა მელსა.

458. თუ წალკოტს სადმე მოგვ[ვ]ლიდე თამაშად ყვავილ-დარგულსა,
რა ვარდსა ვნახავ ტევრშიგან, კაცს ვგევიარ გზა-დაკარგულსა,
სიხარულის ჟამს მოყვანნი მჭკრეტენ სულ გულ-დადაგულსა.
და ესრე გამხდარის ჭირითა მოწყალე კარს ვინ დაგულსა?

459. ღამე საკებელს რა ვიწვე, სახე ვარ ზღვა-შესწრობილის,
მარტო ფიცარზე ჯდომილსა, ნავზედა ვერ-ასწრობილის.
მსგავსი ვარ ყრმისა უდედოს, ძიძისა არ-შეწყობილის.
და აწ შენგან ვითხოვ ზენარსა, რაძია შენთ მონდობილის.

460. ესრეთ ვტირ ყოვლთვინ ცისკრის-ჟამ, ვით ვარღზედ რა იადონა;
ან დილას მთაზედ ღრუბელი წვიმდეს, ცრემლი მდის ამდონა.
მე დამელია, სხვათ მიჯნურთ უთხარ, მასესხონ მან-დონა.
და უნდა უბრძანონ რგება რამ; ვინ ძმათა დანი ადონა.

461. მარგე რა ცეცხლით უთმინოთ დამწვარსა მე, დადნობილსა;
ეწიე ყრმასა უგულოს, ლომისა კანგს შეპყრობილსა.
ჯომარდობა და ნამუსი მიჩვენე შენს მონდობილსა.
და სისხლის ცრემლითა მტირალი მუხლს მოგხვევივარ დობილსა.

462. უცხოთ და შმაგთა მოწყალე ხარ, მეც მყავ შებრალებული,
მეც დამიკირე მათგანად ერთათ აწ შენი ხლებული,
ყოვლის ღონითა უშენოდ სიცოცხლის გლახ დაკლებული,
და წითლის ვეშვისა ჩანთქმული, განლევად მიახლებული.

463. ჩემ [მ]აგიერ მოახსენე ნაძეს უსულით მოარულსა,
სულიერსა მთვარეს, ბუთსა მოუბარსა ბარბარულსა,
მიწის მზესა, უკლებ ტურფას, სიტყვა-ტკბილსა, მზიარულსა,
და თმა-მუშკ, ბაგე-იაგუნდსა, ალყავებულს წალკოტს სრულსა.

464. ჰე, კეკლუტთა დასაბამო, ვის მნათობნი გემალვიან,
ორის კვირის მთვარე სრული შენს მეშურნედ ცუდად თქვიან,
გრძნეულთ რაზმი უებრობას შენსა სულა გაჰქევიან,
და ჩინელთ სახლის მოკეკლუცი შენგან მიწყი იშფოთვიან.

465. ბარბაროზთ ბუთი შვენებით შენითა გაწბილებულა,
გამთლელი შისი აბეზარ-ქმნილა, მით გახელებულა;
შენთა ბაგეთგან მეფენი მონურად მოხელებულა,
და პირის შენისა მიხედვით მკვდარნიცა გაცოცხლებულა.

466. დადნა გულიცა ტანთანვე ჩემი შენისა გონებით,
ვით მთისა თოვლი მზისაგან გადნება სიცხის ბუნებით.
ჩაგქრილვარ ბადეს ნადირებ უნებლივ, არ თუ მონებით.
და ცნობა წამსვლია, სულს გვამი იავარ ჰქმნია ქონებით.

467. მღვიძარს და მძინარს ორივე, ლხინი და ქირი, მჩანს სწორად,
არც ხელმწიფობა ჩემი რად მიხარის, მგონის რამ ქორად;
საქურტლე, ლარი, დიდება ცუდად ძე სადმე, ვით ყორად.
და ოხრად მიჩს ყოვლი უშენო, სასიხარულო — სულ შორად.

468. არცლა ვიშლერი ასპარეზს მე ჩემთა დიდებულთანა,
არცა ვნადირობ ავაზით მინდორთა მათ ფიცხელთანა;
არც თეთრს ქორსა და კაკაბსა მივეყები თან ნაბულთანა,
და არ ნადიმს შინა ღვინითა ვიხარებ მოხარულთანა.

469. არა მოყვარე გულისა პასუხის შეგწე სად მივის,
ჩემს სახლსა მყოფი ტყვეს ვგეგვარ, ამის მზრუნველ არ მივის,
მწუხრითგან განთენებაჰდი ვკენესი, არ ვიცი რა მტკივის.
და ნარგისი ჩემი თრთვილია დაზრულა, მოსწონს აღარვის.

470. წამალი სხვა არ იქნების, მზევ, კიდევ ჩემის ტანისა,
თუ შენი სიტყვა არ ესმას საშენოდ ასატანისა.
გულმან სიცოცხლე ვერ გასძლოს, არ გნახოს ხანის-ხანისა.
და შეწყალება ჰხამს საბრალოს მიჯნურის ამისთანისა.

471. თუცა არის წელიწადი შენგან ჰირსა დიდს ვაბივარ,
 ცრემლი სისხლად გარდმქცევია, პირყვითელი ასე ვზივარ,
 ვგრეც შენი მიჯნურობა სულად მაქვს და ვერ გავეყრივარ.
 და არსად ვეძებ სიცოცხლესა, უშენოსა საცა ვდგვივარ.

472. ოდეს შენით სიყვარულით გული წყლული გაძღეს, აბა,
 თავსამც თმანი ხრამლად შემქმნია, მოქნეული ნუ დააბა;
 დღის სინათლემც დამევესება, სუდრად მქნია ესე კაბა,
 და ანაზღათამც გამივლია საწუთრო და ჩემი დაბა.

473. ჩემი მზე შენთა პირთაგან ნათობს, თორ მუდამ ბნელია.
 მე მუშვი თმის შენისაგან მსურნელობს, თორ რას მქნელია?
 უშენთანასოდ ბროლი თუ უჭალოდ მქონდეს, ძნელია.
 და ჩემად სამოთხედ შენ გიცი, რაზომცა იგ ნათელია.

474. მე ბედისაგან მას ვითხოვ, ერთხელ შენ ნახვა მალირსო,
 მაგ მაგარს გულსა შევეწყალებ და ღმობიერსა სამ-პირსო:
 დავლა წალმართად მეყოფა, უთჟოდ კიდევცა ღირსო.
 და თუ წამზიდრობა დაიწყოს, უბრალოდ სისხლსა დაღვრისო.

475. რა დამემტერო, სიშორე ეძებო, სულიც წამგვარო,
 უცილოდ ამპარტავნობით საბრალო სისხლი დავღვარო.
 მაგრამ არა ჰხამს, შენმა მხემ, თუ საქმე არ გასაზღვარო,
 და მოჰკლა ყმა შენი ერთგული, მოყვარე არ შეიყვარო.

476. რად მოჰკლავ კაცსა ესეთსა, ვის ცრემლი შენთვის მიწყვი სდის,
 სიცოცხლეს შენ ურჩევენიხარ, შენს ჰირთ სანაცლოდ გაჰყიდის,
 სულსაც გასწირავს შენთვისა, შენს ფერხთ მტვერს თვალად იყიდის?
 და ასეთი მკვიდრი მიჯნური არავინ არ გააფლიდის?.

477. საუბრითა რა დასულდა, ქალს ყრმა დია შეუყვარდა,
 შეცაბრალდა მიჯნურობით, მაგრა არას დაუარდა;
 მკისედ უწყო საუბარი, ვით საშულრად გაუვარდა,
 და დაუწუნა ვაჟს სიტყვები და საცთომლად შეუვარდა.

478. „ეგ შენი სიტყვა მე ყურსა მესმინ, რაზინ, ა ქარი,
 ჰგავს, ყალბს ვეცხლზედა ოსტატმან დაახხას რა მინაქარი.
 ვინ ჰკადრებს მხესა მაგასა, თქვას ვინმე: „რაზინ აქ არი“.
 და ვით ითქმის შენი ბიჭური, მონაქარ რა მინაქარი?.

479. შენი ამაო სახელი მასთან არ დაამდგმისა,
 მის მზასა სხივი საშენოდ აროდეს მოგადგმისა.
 გიჯობს, გულიდაჲ გარდიგდო, ნუმცალა მოგინდებისა!
 და დია რამ სახედ ქსუ არის, კაცს ის სად დამონდებისა?.

480. ქვეა მით აქვს კაცსა, გონება, არჩევდეს კარგს ავისაგან.
 რად ვარგა, ვინმე ეძებდეს შვენიებას ღუხჭირისაგან?
 მთას სად უპოო სიმჩატე მეტისა სიმძიმისაგან?
 და შენ იმას მაშინ შეჰკუვარდე, სძე გამოსწოო ქვისაგან.

481. თუ სიჭაბუკით ცის სივრცეს მოზიო, ერთათ შეჰკეცო,
 ზღვა ამოაშრო გრძნებითა, ქვით ამოჰყორო, ჩაჰკეცო,
 ერთს ბეწვე[ხ]ე დასდგა ქვეყანა, ზუ გინდა შესამეჰკეცო, —
 და შორიდამც ვერ დაინახო, თორ მასთან სად მოიკეცო?

482. ვინ შემართებს მას ამაყსა ეგე-გვარსა კადრებასა?
 ძლივ ათასის ფერობითა მე რას ვიტყვი ვედრებასა.
 თუ ამას მას მოვახსენებ, დიდსა შემიქს-ყვედრებასა,
 და პირის წყალი მიმელება, ვაი ჩემს დაბერებასა!

483. დიდ-გემობითა, მისმა მზემ, თუ სთქვა, ცას თავსა მოუსვამს;
 ამპარტავენობით სულდგმული ჯერ გვერდს არაგინ მოუსვამს;
 ამ სოფლისაგან დამკრთალა, სხვაგნით სჯითმე გაუსვამს;
 და მშობელთა მოწყვეტისათვის ნავლის საწდევნი შეუსვამს.

484. მუდამ ცრემლი სდის, ღაწვთ სისხლი კალთას უღებავს, უბებსა.
 ეტლსა და ბედსა უჩივა, სიკეთით მაზე უღებსა.
 ვით ალვა იწვის ცეცხლზედა, სხვას კიდევ ვინ წე[ე]უღებსა?
 და არ გეთქმის, ვერცა მე ვიტყვი, ნუ ამბობ სიტყვას ცუდებსა.

485. ათასიცა ენა მედგას, ერთს მაგის თქმად ვერ გავსწირავ;
 ლომსა ვჯობდე გულოვნობით, მაშინც ახლო ვერ მივსწურავ.
 მას, უმანკოს სულღერსა, მე ბილწი რად შევამწვირავ?
 და საცოდავსა ვერას ვიტყვი, ეშმაკს სულსა არ შევსწირავ“.

486. რამინს რა ესმა, გარდუწყდა იმედი სიხარულისა,
 დაალტო მიწა ცრემლითა ნარგისთა მონაცრულისა,
 ტერფით თხემამდი აღედვა მას ცეცხლი სიყვარულისა;
 და გაშტერდა, ფერხზედ არ ჰქონდა ღონელა სიარულისა.

487. თავ-მოკვეთილის მფრინვლისებრ ათროლდა, ქვე სამ დაეცა,
 ძოწისა მსგავსსა ღაწვზედა ზაფრანის ფერი გარდეცა,
 ენას ვერ სძრვიდა საუბრად, პასუხი რამე გაეცა.
 და კვლავცა მობრუნდა უსულო, ცოტა რამ ცნობა მოეცა.

488. რა კვლავ დაუწყო ქენება, იგ ეგრეც უწყალო იყვის.
 რაზომცა თავს აბრალედა, მან უფრო უიმედო ყვის.
 რა უთხრის „შენ წინ მოვკვდები“, მან ღაწვზედ ხელი მიიყვის.
 და ვერას ხვეწნით და მუდარათ პირი ვერათი დაუყვის.

489. „სულს ნუ გამყრი, ყმაწვილი ვარ საწუთროსა უნახავი, არვინ მივის შენგან კიდღ ხოშიადის შემნახავი; სხვა სად ვძებნო. შენს ჩამოღმა, ჩემის ღონის მომნახავი? და ან სად არის სხვა შენებრი საქმის კარგად დანახავი?

490. ხელოვნებით ხელოვანნი წისქვილს ქარზედ აღაგებენ; ცით მფრინველსა შეიპყრობენ, ქვე ვინც ბადეს მოუგებენ; ასპიტყა მომშვიდდება, რა ტკბილს სიტყვას მიუგებენ. და შენისთანა ბრძენი ჩეპბრს ხელსა როგორ ვერ არგებენ?

491. ღონის ამგები შენთანა, ვიცი, რომ არსად არისა, ენა ვისა აქვს უტკბოსი, რა დროა საუბარისა? ორივე ერთად მოკეციე, საქნელადაცა კმარისა, და ვისი მიჩვენე, წამალი ეს მიყავ მე სიმწარისა“.

492. შეყოლასა საუბრისას ადგილი ხედათ უკაცური. ყმაძან ქალსა შეა[მ]ჩნია მისი ნდომა დიაცური, მანც მინება, თუმც არ უნდა საქმე მღედრსა მამაცური, და აღუსრულა ნება მისი, რაზომ იყო ცრუ-კაცური.

493. მუწითგან გული მას დიაცს რამინისაკენ მოექცა, რა ფარდა მან სირცხვილისა დაიპო, აღარ გაექცა; მას საუბარი მუწითგან კუშტი აწ ტკბილად გარდექცა. და უაუგოსა როსკიპსა, მითქვამს, თავს სახლი დაექცა.

494. უთხრა: „ჰე, მალორებელო, ვინმცა სძლოს მაგ ქენებასა? რა გაეწყობა ეგზომსა შენებრ ტკბილს ენოვნებასა?! აქადგან გაწყდა მიზეზი, ვათავებ შენს ბრძანებასა; და რადგან შენ ჩემი ნება ჰქენ, მეც აღვისრულებ ნებასა“.

495. მიუგო რამინ პასუხი: „ჰოჲ, თვალთა ჩემთა სარჩეო, თვით ნახავ როგორ გმსახურო, ძნელს სიკვდილს თუ გარდავრჩეო; ან საბოლოოდ საყუთრად გიჩვენო, როგორ შეგრჩეო. და ჩემს საყელოსა ხელთ მოგცემ, მას ვ-ქ, რას გამომიჩეო.“

496. თვით იცი, შელაპებითგან არ ველი დილის შესწრობას; წყალ-წალღებულს ვგავ, ნავზედა ვერ აპირებდეს ასწრობას. შენ გპოვე ჩეპად მლხენელად, ნერარძი ჩემს აქ მოსწრობას! და თქვა და არა-ქმნა არ ვარგა, საქმე სჯობს სიტყვის დასწრობას.

497. აწ ეს მიბრძანე, კვლა ოდეს მიჩვენებს პარსა სვიანსა? აქიდგან წამსაც დავითელი, ვერ გავსძლებ საქმეს გვიანსა; თვალი მექირვის შენს გზაზე, სიკვდილზედ ვით სენიანსა. და ვირე გნახედე მეორედ, ცეცხლს ვიწვი ქურას ქვიანსა“.

498. ბებლს ჭაბუკი უსაზომოდ მოეწონა განცვიბრებით,
 თქვა: „სამისო ამისებრი ვერა ვჰპოვო ვერას კრებით;
 დღეს დავიღვეთ მწუხარებით, რად ორნივე ცუდად ვშვრებით?
 და თუკა მოვახდენ საქქესა, დია დიდს ლხინს შევეყრებით.

499. მაშ, რა ვქნა, შაი-მოაბად შეკრული აღარ იხსნების?
 კვიროს მოშორდა, აბა სხვა მიხედება საქმრო ვინ ნების?
 რა ქალი დიდს სახლს შევიდეს, სხვაგანც სამ შესვლა იქნების,
 და მაგრამ უმცროსში შეყვანა ჭკვათ-მყოფთა არ ემისნების“.

500. გრძნეულმა ჰრქვა სიცილითა: „მტერსაც შენდა გარდიყენებ,
 გული ჩემი დამიწყულლე, შენს ბორკილთ ფერხთ მე მიყენებ;
 ნულარასმცა შეიჭირვებ, ვისის კვალსა ჩაგიყენებ,
 და ვარდსა დაძრულს გასაშლელად მზისა შუქსა მოგაყენებ.“

501. მოვიდა ჯამი ეგზომის შენთა ჭირისა ლხენისა,
 სიხარულმან სძლო კჰუნვასა, დასწყდა რუ ცრემლთა დენისა;
 მადლობითა ჰხამს მიღება ჭირისა დიდად ძნელისა,
 და ბოლოსაც არის ლხინს ჰპოებს, ვის აქეს იმედი მხსნელისა.

502. ყოვლდღე აქა მომელოდე და შენც აქა მომნახედე,
 სიხარული ნუმცა დაგრეეს, შორით რა დამინახედე;
 ვეჰე, საქმე ასე მოგიროთ, გულს ლახვარს აღარ ახედე.
 და რაცა გკადრო, კარგ-კაცურებრ ხვაშიადს შემინახედე“.

503. გასაყრელად აემართნენ, ერთმანერთსა ხელი მისცეს,
 შეაჯერეს გული ამოდ, ფიციით რითმე შეიფიცეს.
 ნავლის სმამა რამინისამ შაქრის გეჟო აწ მოიცეს.
 და გაიყარნეს თავ-თავისად, რა ეს საქმე დაამტკიცეს.

ძიძისაგან რამინის ბაშრა და ვისის წინაშე მისლვა

504. მოვიდა ძიძა გრძნეული, ვისი ქვე ნახა მწოლარი,
 შეჭირვებული, მკმუნვარი, დედა-ძმის გაყრით მძრწოლარი,
 ცრემლთა მფრქვეველი დაღრეჯით, სულთქა-ობრითა მთრთოლარი,
 და სამკაულ-შემოგლეჯილი, თავსა ხელითა მქოლარი.

505. ძიძამ გრძნეულმან რა ნახა საესემა ორგულობითა,
ტკბილად ჰრქევა: „მუღამ ქვე რას წევ, გკირს არა სნეულობითა?
ტანი ისრებრი მშვილდივით მოგხრია უძილობითა,
და რასთვის არ იშვებ, სულისდგმავ, ყოველთა დედოფლობითა?“

506. მავრი რად მიგაჩნს საკანად, ქვეყნად უმჯობეს სხვებისა?
სამოთხის მსგავსნი წალკოტნი ოხრად, ვით სრა-სახლებისა?
ლხინს ჰირზედ ვით სცვლი, მიბრძანე მიზეზი რისმე კლებისა?
და შანშასებრივი ხელმწიფე გძულს მიუწლომი ქებისა.

507. კაცს ტვირთი კაეშანისა დღეს აკლებს, სიკვდილს მისწურავს.
ვინ შენებრ თავით იქადის, უბრალოდ ვინ შეიურავს?
ვინა სჩქეფს მუღამ ცრემლთა ღვარს და ერთ-წამ არ მოიწურავს?
და რას საფრხეს უგებს უმანკოს, უყურეთ მაცთურს, ბიწურ-ავს“.

508. რა ესმა ვცნსა ძიძისა ესეთი შეგონებანი,
მორამესწყენარადა ტირილით, ქნა რამცა მისი ნებანი;
თავი აილო მუხლთაგან, გამოჩნდა მხის შევენებანი.
და ვის ვისი უნდა საქებრად, მიუწვდეს ვერვის ქებანი.

509. თვალნი აახვნა, უკვანდა ნარგისსა ნადიმიანსა.
გაზაფხულისა ღრუბლისებრ ცროდის ნამს ჰირზედ მზიანსა.
მას გოგო-ბიჭთა სურვილის ქება სად უზამს ზიანსა?
და სიტყვა ამონი, გავს სამე, მოალბობს გულსა ქვიანსა.

510. უთხრა ტირილით: „რამდენი წამი და ჟამი მოვავ,
ეტლს მოაქვს ჩემზედც სხვადასხვა ჰირი, მე ასე მშოვავო?
საკნად მიჩნს დარბაზოვანი, სვემან რა ასე მშოვავო.
და სიცოცხლის უიმედო ვარ, დედამ ამ ბედის მშოვავო.“

511. ვარდშიდ გორვიდეს, რა ერკოს, ვის გულს ლახვარი დარევედეს?
რა მზე წყვილიადა შეეპყრას, საწუთროს ვინდა დარევედეს?
ვინ უსუსურობს გონებით, ლომსა რაღათმე დარევედეს?
და მას საფუფუნოდ სად იტყვი, სიხარულს კმუნვა დარევედეს?

512. სიზმარს კვიროს ნადირობით ცხენსა მჯდომი სამ მოვიდა,
ღია რამე ენადირა, მხიარული შემოვიდა,
მითხრა: «დაო, რა გაგყრივარ, ხანი დიდი გამოვიდა».
და დამკოცნა და გამეყარა, ვაი, სული ამოვიდა!

513. ვით ძიღში მეუბნებოდა, ვითამ რამ აწცა მესმისა.
მისი სურნელბ სული ფშკის და გულზედ ხელი წესმისა.
სულსა ცოცხალსა და ტანსა მკედარს რად ლახვარი მესმისა?
და მისებრ სულდგმული, აბა, თუ გენახოს, თუ შეგესმისა?“

პასუხი ძიძისა

514. გამოულო ხელი გაზრდილს, თვალს დაიდვა, ეუბნება:
 „შენს წინამცა მოვკვდებო, გავიგონე მე ბრძანება,
 ვით რკინა და რვალი ერთად შემძიმება, არ მესხნება.
 და თქვენ ბრძანე და აწლა მეცა გამიგონე მოხსენება“.
515. საწუთრო ჩვენდა ფუნდუქს ჰგავს, სხვად ჩვენთვის არ იყოფება,
 ჩვენ ქარავანსა მას შიგან; მგზავრი გრძლად არ იყოფება.
 მის სიმძიმელსა კვლავ შვება აქვს, ასე არ იყოფება.
 და პირ-მიუტეხი სიტყვები მართლის თქმით დაიყოფება.
516. ნუ გასწირავ სიცოცხლეს და სულა ერთად სიხარულსა,
 ნუ აკმუნებ გონებასა, ვერვინ გჰკრეტდეს მხიარულსა.
 ხელმწიფე ხარ, რად იკარგავ ყოფაქცევას დიდ-გვარულსა?
 და ქვეყნის მხესა ვით გიმზერდენ სრულა ღრუბლით მოარულსა?
517. ყოველნი ვინჟე თავისა მძებნელი არის ნებისა,
 ამ სოფლის სიამოვნისა, შვებისა, განსვენებისა.
 ფარდათა შიგან მყოფთაცა სხვა რამე ეგონებისა,
 და ეშყით ვისითმე მათც უნდა კვლავ ქება დაშვენებისა.
518. შენ ოდენ ყოველდღე იჭირვი, სხვა არა გეგონება რა,
 კვიროსგან კიდე სულდგმული არავინ მოგინდება რა.
 სულ ერთს სურვილსა შენს მეტი, მიბრძანე, ვინ მიებარა?
 და ნუვინ გგონია, შენმა მზემ, მაგ საქმით შენი მქებარა.
519. თუმც შენი ძმა ხელმწიფისა შეილია და თვითც ხელმწიფობს,
 არა ანგელოზი არის, არ სხვასავით ისიც მიწობს?
 არც ედემში გაზრდილია, ვერც ნაყოფად მისად მწიფობს.
 და გარდასრულთა დღეთ მოქცევას ვერავინ ვერ ხელიწიფობს.
520. წელან მიბრძანე, კვიროს თუ აქ ვინმე ედარებისო,
 მაქვს რამ პასუხი თქვენს წინა; თქმა თუ რამ იკალრებისო:
 მე აქ მინახავს მოყმენი, ზე მზესაც ედარებისო,
 და ასპარეზით და სხვას ზნითა იგ ვერვის გაედრებისო.
521. მათ შიგან ერთსა კბუქსა კაცი საქებრად განჰკრთების,
 ვით მართებს მისსა ქებასა, ნურავინ შეეშართების!
 ჰგავს ვარსკვლავთ შორის მთვარე ჩნდეს, გუნბადს რა აემართების,
 და სხვა ლიტონს კენქს ჰგავს, იგი—ლალს, რისხვა ნუ დამემართების!
522. ადამისითგან ხელმწიფედ გვარ-მოდგმით განჩინებულა,
 ანგელოზია ქვეყანად, ბრძოლაში დევებრ ქებულა;
 სახედ კვიროს ჰგავს ასე რამ, ერთცახედ არ დაკლებულა.
 და შვენებით თმასა გააპოზს, მზე მისგან განქიქებულა.

523. ვერას ზნით ვერვინ ეღრების, ვით მოდგმით დიდგვარიშვილობს, უხვი, ნარნარი, ხმა-ტკბილი, ძოწთ მარგალიტი უკბილობს, ბრძენი, ყრმა ვეფხებრ ფიცხელი, წვერ-ულვაშ ახლა აშლილობს. და ოდენ ეს დალი აჩნია, შენებრ იგიც რამ გულჩვილობს.

524. ერთს ვაშლს ჰკავხართ შეჭირვებით, სწორად შუა განკვეთილსა. თმას ჰკავს ოქროთ შეღებულსა, ოდენ ჯერ არ მოკვეთილსა. პირი მისი, მთვარის მსგავსი, ბზეებრ უყვიტს მას კეთილსა. და მის საქმესა რათ გიმალავ გაზრდილს ჩემსა შეკვეთილსა?

525. მას შენის აშვიობისა სასმელი დიდად შეუსვამს, მისებრ ხელქმნული მიჯნური ეტლს სხვა არავინ შეუსვამს. ვინცალა ჰკურნებს მის წყლულსა, გულს ასეთს წამალს შეუსვამს. და დიდს მადლს მიხედება, შენმა მზემ, მთვარესა გვერდს ვინ მოუსვამს.

526. მისთა ნარგისთა თვალთაგან წვიმა წვიმს გარდუღებელი, სისხლი ღვარული მარა[დ] დღე უბეთა მისთა მღებელი. სურვილი მტკიცედ უპყრია, სხვისაგან მიუღებელი. და რად ვარგა კარი მას ზედა წყალობის განუღებელი?

527. შენ მებრალეები და იგი მეწყალვის, რახან მინახავთ, პირად კეკლუსნი ჰკუხნავთ და, შენ აქ და ის იქ მინახავთ. ნებისგან მოშორებულნი მე სულდგმულს რადლა მინახავთ? და დღეს სიმწუხარით დაიღვეთ, თუ ღონეს არ მოინახავთ.

528. ქალს რა ესმა საუბარი ბედითი და სააუგო, განჰკრთა თქმასა, გულსა უთხრა: „რას მიაშობს უაუგო?“ ატირდა და პასუხის თქმა ენამ ძლივ სამ გამოუგო, და ჰრქვა: „კაცისა სათაენონი სირცხვილია;“—ეს მიუგო:

529. „კარგად ჰრქვა ხოსრომ მოლაშქრეს: «ვაჟო რაც გინდა იტყოდო რადგან არა გაქვს სირცხვილი, რა გ[ვ]აუვა, რას შეიტყოდო». აგრევ შენს გულსა რაც გიძე, ზეპირცა ამოიტყოდო. და როს უკრძალავი შექმნილხარ, ნამუსით სად დაიტყოდო?

530. მიაშობ ასეთს ამბავსა, ვითა შენ გეკადრებიან. იგინი სწვართე, მე ნუ მწვრთნი, ვინანი შეგედრებიან; მე და კვიროს კი დაგვიწყდით და რამინ შეგყვარებიან. და საძაგელთ ძუძუთ შენთ ლეჰა მაგით ნუ მეყვედრებიან.

531. ჩემს ფრჩხილზედა თმის ამოსლვას ვგონებდი და ამას არა. სად ეტყოდა მის ასულსა იგ პირველი ამ ას არა? გული წყლული კიდევ უფრო ამ სიტყვითა ამასარა, და სიბოროტით ავტებულხარ, ცეცხლის წამლით ვით მასარა.

532. ლამაზობით უწრფელობას ამის მეტად ნუ მასწავლი;
ქალს ბოზობა მოაყიენებს, ესე კარგად დაისწავლი.
ცუდს ამბობ და ცუდად წავა, განქარდება ვიო აწ ავლი.
და მაგ ხიდს შენგან გადებულსა, დაიჯერე, მე არ წავლი.

533. მოაბადმან ოშანს უთხრა, ვით არს დედათ ვითარება:
„უსრულს პირველ შესაქმითო ცთომა რათლა გებრალემა?“
მაგრა ზოგთა ბანოვანთა ეგ არვისგან ეკადრება.
და შენც ავად ჰქენ ურცხვინობით ჩემი მაგის შეკადრება.

534. ჩემიმც ლხენა და იმედი მიწყითმც მოწყალით იქნება.
შენ რაზომ სიტყვას ამრავლებ, ჩემი არ არის იქ ნება.
ცივის წყლით ცუდათ ბერვითა, თქვი აბა, რა შეიქნება?
და რა ვაზხედ ებას ტევანი, უწნებლად სად დაიქნება?

535. თუ ყმაწვილობით მიბრიყვე, შაროსგან გმართებს გრცხვენოდეს.
სასირცხოდ თავი დავიდვა, სადათ ვიქ მაგას მე ოდეს,
შენებრ დიაცინი მაქებდენ და წრფელი მეკცხეოდეს?
და მე არ მექება ეგ პური, ეგება შენ მოგ[მ]ყოოდეს.

536. სასირცხოს საქმეს რა მოაქვს, ეგებ არ გაგიგონია?
სხვა ვინმე ვის რას ამბობდეს, მას მისი ძრახი ჰგონია.
მე საკიცხავი სხვისაგან ნუმც ოდეს მომიგონია!
და შიში ღვთისა და კაცთ კრძალვა მიჯობს და შემიგონია.

537. მაგას მე სად გამიმხელდი, თუ ნამუსი სამ შეგწევდა.
შენ მას ავად არ ენახე, მაგაზე სად მოგიწ[ვ]ივდა?
არ თუ ეთქვა ზეზე მდგომსა, ქვე ჯდომადც ვერ დაგიწ[ვ]ივდა.
და თურე შენებრ ბიწოვანი სიტყვით სხვათაც შებიწვე, და“.

538. მოციქულმან ვერ იპოვა სიტყვა მის რა ამინისა,
ვერას ნიშნით დაინახა ნდომა მისგან რამინისა;
ალმასისა უმაგრესად ღგომა ნახა რა მინისა,
და პირსა ფერი შეიცვალა ყვითლად, მსგავსად რამ ინისა.

539. რა ხელი მისი შემოკლდა მის საქმის მოსაწთომელად,
ეგზომი არაკონება შერჩა ქვე ცუდად მშრომელად,
ვერსად რა პოვა ნაწილი მისგან მის ყლისა მდომელად,
და სხვას კარს სითმ უწყო გალება მან მისდა კვლა საცთომელად:

540. „კაცს ღვთისა დაბადებულსა მისივე მონა პრქვიანო,
მის განჯობასა ვერავინ მისწვთება, გულად ქვიანო.
ნეიც იქ წაგვიიდება იეიტლეთ რაცა თქვიანო,
და ბედმან ვის რამე საფქვავე მისცა, იმასვე ფქვიანო.

541. ეგებ გეგონოს ძალითა ლომს ვინ ბუნება უცვალოს,
ქორმან საჯაო სიტყვანი კაკაბსა სამ შეუთვალოს,
თეთრის და შავის გარჩევა ან ვინმე ჰკითხოს უთვალოს?
და ვინ განერება განგებას დღე გრძელი რაზომ ითვალოს?

542. ნუ წარვსწყმდები, ვერას ცდითა ბედს ვერ სადით გაექცეო.
არა გკირს რა სასამძიმრო, ცუდად ცრემლთა რად იქცეო?
აგრე ყოფას დია გიჯობს, ღზინით სოფელს შეექცეო,
და უმეტრებას ჩამოეხსნა, ჩემს მცნებაზედ მოიქცეო.

543. შენს საქმესა ყოელი კაცი ვინ არაკობს, ვინ სწერს ნუსხსა,
ზოგთ უკვირს და ზოგნი გზრახვენ, ზოგნი დია გულით წუხსა,
მას გგობენ, დედოფლობა რად არად სჩანს, სრულ იქუხსა?
და დაიჯერე, წვიმა ზოვა, სამხრით ელავს, ცა მოქუხსა“.

პ ა ს უ ხ ი ვ ი ს ი ს ა

544. თუმც საქმე ყოელი ყოვლს კაცსა ბედისგან წაეკიდება,
მაგრამ კარგს ვინ იქს, კარგი და—ავს ავი გარდეკიდება.
ვინ თავს შეირცხვენა სიძვითა, ტვირთათ ზე აეკიდება.
და ცოდვის მოქმედსა უშტრეტი სახპილი მოეკიდება.

545. ბედითი ვიყო ბედისგან და არვის საქმის მიმდგომი,
ასემც გავიელი სოფელსა, კვლავ მოვალ მკედრეთით აღმდგომი,
უბიწოდ შეუმწიკლავად ჩემს ჭიუფეს წინ წამდგომი.
და შენ ბოროტ იყავ, მცდავი, მრუშების უკან წამდგომი.

546. რა ექნა, ვერ ვიტყვი, პირველად შარომ ქმნა საქმე ავია,
მოაბადს ცოლი წაჰკვარა, ვისი არ ეძლო დავია,
ჩვენ უბრალო ვართ ორნივე, მაგრამ შეგვირცხვა თავია.
და თუ ნამუსი გაქვს, დამეხსენ, სიტყვის თქვა გაათავია.

პ ა ს უ ხ ი ძ ი ძ ი ს ა

547. დაეინებასა რა ზნე სკირს, აწ გეტყვი, მო, გაიცადე.
ეგზომის შეკირვებითა თავი ვერ გამოიცადე.
რა ირგე მაგის გამოის, რაზომ რა კმუნვას ეცადე?
და ჩემო სიკოცხლევ, კირს მოგკამ, ეს სიტყვა შემომიცადე.

548. ეს დაიჯერე, ამ სახლით ელარსად გახვალ სხვაგანა,
კვიროს უმჯობე საშენქმრო არ იშოება სხვა განა?
თვალთა სარჩეო, არ იცი, სხვა სიგრძე არის, სხვა განა?
და ასრე სჯობს რამინ კვიროსა, ვით კუმელასა ბაგანა.

549. ნათელო ჩემო, მიბრძანე, მე რამინ ვინ გამიგერა?
საქმე-წამხდარსა მარგო რა, თუ ბუზი სამ მომიგერა?
მე შენთვის ვიწვი, ვიჭირვი, შენ სიტყვა ეგ მომიგე რა?
და რალა მე გკადრო, აქადგან რადგან წვრთნა ვერ შეიგე რა.

550. თუ რამინს ეტლი ჰყვარობდეს, მაგით სად დაბრკოლდებისა?
მე ვხედავ, მას ყმას სვე-ბელი ჟამ-ჟამად ემატებისა.
ღიღებულნი და მხედარნი ყოვლ-ღღე მუნ შეკოლდებისა,
და მისნი მნახენი სურვილით მრავალნი გახელდებისა.

551. მრავალნი ველნი უშენნი ქალაქად აშენდებიან,
პალატნი დარბაზოვანნი ოხრობით უშვერდებიან,
მდიდარნი დაგლახაკნების, გლახაკნი გამდიდრდებიან,
და კეკლუტნი გაუშვერდებინ, გონჯნი საღმ დაშენდებიან.

552. ყოველსა რასმე კეთილსა განგება ღეთისა განაგებს,
კაცთ-შეუძლებლეს საქმესა იგ წამისყოფით ააგებს;
კეთილის მყოფელს კეთილსა, ბოროტს ბოროტსა მიაგებს.
და ჭირს ლხინად შესცვლის იჩქითად, ადვალად მტერს მტერს დააგებს.

553. კრძალვით და პატიოსნებით თუცა ცათამღე აღბდები,
მაგისთვის ზენა განგებას, უწყოდინ, ვერ გარდაჰბდები;
არც კუშტობით რა გერგება, როსცაა მასეე მიხვდები.
და რაზომ ფიცხს ხე ზი ჰუნესა, დრო მოვა, ქვე ჩამოჰბდები.

554. სიყვარულისა ჰასაკი უნებლი რა მოჰბდებისა,
კაცს აუვს აღარ აკრძალვებს, ვერცავინ მიუხვდებისა.
მაშინ სცნობ ჩემსა ანდერძსა, როს ესე გარდაგვდებისა,
და ამ დაფარულსა წინწყალსა, საღ აღი აღმოჰბდებისა.

ძიძისაგან მეორედ რამინის ნახვა

555. მუნ შეიყარენ, საღ იმათ ვერავენ მიუხვდებისა;
ჰრქვე ყრმამან ქალსა: „სარჯელი ღღეთ ჩემო ნუმც წავიხვდებისა,
ნიშატიანი სიზმარი ნუთუ მეც ამიხვდებისა,
და რა ღღე სჯობს გასახარელი, საწადი ვის მიხვდებისა!

556. შენ მით მართლად მხიარულობ, მისი პირი დავინახავს.
აწ ეს მითხარ, ხვაშადი ჩემი როგორ შევინახავს?
სულ მობრძავეის სნეულისა წამალი რა მოვინახავს?
და მორამწყნარდა სულთქჩისაგან, ან თუ მთვარე ისეე ახავს?

557. რამინის დღენი სურვილით მას წინათმც დაიღვევო,
იგ ბადრი მუდამ ბადრობდეს, ნუმც ოდეს გაიღვევო,
მისის სიტკბოსა ნაყოფი ჩემდამც ნუ მოიღვევო.
და სამსალა შაქრად გარდმექცა, თუ კიდე დამეღვევო.“

558. ქალმა უთხრა: „მას მშვენებარეს შეთვლილობა მოვახსენე,
ქებითა და დიდებითა მის წინ დია რამ გახსენე,
სხვათ მიჯნურთა საქმე შენდა სასარგებლოდ გავახსენე,—
და იგ დაბმული მისის ზნითა ვერას ღონით ვერ აჭხსენე.“

559. ვით გამხადა, არ ეგება კაცისაგან მისი თხრობა,
რას გინებით, რას სიავით, ვის ასმია ის მოპყრობა?
იგ სიტყვით არ მოლორდება, ვით ქარი არ შეიპყრობა.
და უწყალოთგან მოაჯეთა ხელი როდის აცპყრობა?

560. მითხრა: «ზე აღეგ, მაგაზედ ცუდად ნუ ივედრებია,
დღესითგან სიტყვა მაგ[გ]ვარი ნუმცალა გიკადრებია,
ცოცხალი აღარ მოგისმენ, ვით შენ არ შეგედრებიაა.
და სულ გაწირვაცა მიბრძანა, სხვაც ბევრი საყვედრებია.“

561. თქვა: «რა ქალს კაცი ხელთ იგდებს, სახეებს დაუთვლისაო,
მას უკან მიღმაც ეხეწოს, პასუხსაც არ შესთვლისაო,
უნამუსობას უზრახავს, აუგებს მოუთვლისაო,
და ღინცილს დაიწყებს ბიჭურად, გარემოს უთვლისაო.“

562. ესმოდა რამინს სიტყვები და გული უძაგძაგებდა,
—ძიდაც უმატებს სურვილსა და ვისს[ა] არ უძაგებდა,—
ძრწოდა კაენებრ, სათქმელსა სიტყვას ვერ გამოაგებდა,
და მასვე თავს შეაბრალებდა, მის ფერხ-ქვე გადააგებდა.“

563. ექენებოდა: „კვლავ ჰკადრე, თუმც ენა მეყბედებოდეს;
მაგას რად ბრძანებ, მას შენგან სიტყვა არ გაეებდოდეს?
ეცადე ამის ცოდნასა, რაც მესგან შეიტყობოდეს;
და მომკლევოდეს, ან დამარჩენდეს, ნუაუ მართალსა გეტყოდეს.“

564. არ არის კაცი ყოველი ერთი და ერთის ნებისა,
არც დაჰნახავი საქმისა, არც სიტყვის გაგონებისა.
კარგს კარგი უნდა საქნელად, ავს ავიმც ეჯონებისა.
და ხელმწიფე არის სულდგამიდი ჩემისა დამონებისა.“

565. რითაც უნდა შევიჯერებ, მის წინ ფიცი რა დავიწყო,
სიკვდილადი არას საქმით მე ის არათ დავივიწყო,
სიცოცხლე და სიყვარული მისი სწორად ამოვიწყო,
და იფა ვიყო ტეოფთა მისთა, ფერხნი ტყეპნად ზე დავიწყო.“

566. ვერ ლხინმან და ვერამ ჭირმან დამაეიწყოს იგი ვერამ, ვერ გლოვამ და მწუხარებამ, ვერ შეებამ და მუდამ მღერამ, თვალნი ასე მას შეემსკვალნე, მიმაცილოს ვერას მზერამ. და ამ სიტყვასა შეჰჯერდები, თუ სხვაც რამ ვთქვა ფიცი მე რამ?"

567. „ქმარის სიტყვის თქმად ეგეცა, თუ მას რამ ჰქონდეს შესმენა. დამშვიდდებიან ურანიც, ჭინჭრის სმით რა კაცს შესმენა. მე მასთან არ გამივიდა რგება ვის, ან ვის შესმენა. და იგ ჩემსა სისხლსა ასე სვამს, ვით მტერნი მტრისას შესმენა.

568. ნუ სტირ, მიჯნურსა ტირილი ავად სამ მოუხდებისა ამად, რომ გაგიცხადდების და სახმოდ გაგიხდებისა. ცხადს მიჯნურს ფათერაკი სდევს, სარჯელი წაგიხდებისა, და თმობის კურტაკი ჩაიცვი, ის ღია მოგიხდებისა.

569. მე ნამუსისა მანდილსა გარდვიხევე, კვლავ შევებჰვდა, რა თავსა შენთვის გაესწირავ, მაშ ცუდად არ დავებშია; ან ჩემს მახეში შევიბამ, ან თავით მე შევებშია, და ვირ ნებას არ აღვისრულე, მანამ სად მოვეშვებია?"

570. გაბრუნდა და მას წინაშე წყნარა, ნელად, უხმოდ წავლა; ათასფერი შეტმანნილი სიტყუა ზეპირ დაესწავლა. მის მოყმისა არა თქვა რა და სხვა ვინმე შეასწავლა. და მწუხარებით მოცალედა ღია სჯობსო, კვლავ ასწავლა.

571. ბედისგანმც მიწყვი დაღრეჯით იგიმც ზის, ვინც დაგღრეჯო, უკურნებელიმც სენი სჭირს, რად უბრალოსა გრჯიდაო? ვინ მოგაშორვა მშობელთა, ან თქვას, თუ აქ რა გრჯიდაო, და მუდმის ცრემლთ ზღვაში გაცურვებს და იგი გარ გაგიჯდაო.

572. მაგრამ ამ უცხოთ მნახავთთან სრულა შმაგურად რასა ზი? რასამე ირგებ მაკითა, თუმც მოიჭირო კვლავც გაზი! ცნობა გაქვს, მორჩი მაგ საფრხეს, სიხარულის კერძ სამ გაზი, და რად გინდა სახლი გლოვისა, მწუხარებისა დარბაზი?

573. მე, გლახ, შენისა დაღრეჯით სამუდმოს ცეცხლით ვიწვები, თან დამდევს შტკირვებისა ტვირთი, ვდგავარ თუ მივსწვები. შენ შენს წამალსა არ ეძებ, სწავლებით არ ისწავები, და ვინ შენთვის კვდება, არ გინდა, სხვის ვისგან შეისწავები?

574. ვირს ჰგეგხარ ყურით მალალსა; რა ზურგსა ხრმალი ეციდოს, ვერ მოიხზაროს მაშინდა, როს ლომი გამოეკიდოს. რას გარგებს დიდი შეენება, თუ ცნობა არ მოგეკიდოს, და არ დაუშრიტო სახმილი, ვის შენს გამოის ეციდოს.

575. ნუ იქ, სიყვე შეიბრალე, კირსა მიწყი ნუ იმატებ,
 ნუ სწყევე შენსა შობის დღესა, მაგით ვერას შეიმატებ;
 ხელმწიფე ხარ ერაცისა, ვისცა გინდა გააზატებ,
 და დედოფალი ხორასნისა თავს რად აგრე იპატატებ?

576. ან რად ემდურვი დედასა მიწიერს მზისა მშობელსა,
 ან რას მიწყრები მე შენსა ერთგულსა, მართლის მშობელსა?
 შენს ანგელოზსა მუ ასმენ სიტყვასა სულ-საგნობელსა,
 და ნებიერად ხარ გაზრდილი, რით ჰბაძავ სხვას უღმობელს.?

577. დღე-გარდასული არვისგან გარ აღარ შემოიქცევის,
 რად იგდებ ზღვაში სიყმესა, ვინ ხველად არ გარდიქცევის?
 შენებრსა კირსა სამუდმოს გმირნიცა გამოექცევის,
 და რა სიტყვა ესმას სარწმუნო, ურწმუნოც მალ მოიქცევის.

578. შენ რადა გძულს იგი ვინმე, შენს სიყვარულს ვინ მიწყი ზდის,
 ტან-სარო და ჭულად ლომი, ვის ბაგეთგან თაფლი მიზდის?
 სხვა ვინმეა იპისთანა, თუ აწ ვინმე სხვას გამოზდის?
 და უკვდავების წყლით ვინმეც ზრდილეს, მისებრ ნაყოფს ვერ აღმოზდის.

579. სხვათა გაზრდილთა გამზრდელთა სიტყვა თავს შეუღებია,
 შენებრი ქალსა ყმაწვილსა თავი ვის დაუღებია?
 ნუ ჰკარგავ ტებილსა საწუთოს, ცნობა ნუ გააცუღებია,
 და მაგრამ რასა იქს კეთილა შენს მსგავსად ვინ უღებია!

580. მე ასეთს სიტყვას სად ვ-ტყვი, შენ რაცა წაგიხდებოდეს,
 სათაკილოდ და საზრახად საქმე სადმე გაგიხდებოდეს.
 ქენ, ქალო, ნება ჩემი და შენც კარგად მოგიხდებოდეს,
 და მიჩვენე შენი კეთილი, ვირ სული აღმოხდებოდეს.

581. ნუ იყოფები ამ სოფელს სულ აგრე გულ ტკივნოვანი,
 არვისგან გამოიქამო ვენახი ტევანოვანი.
 ვინ დასთმობს თავსა ქალი და, თუ გინდა, ან ბანოვანი?
 და არ იპოვება საშენო მისებრი სხვა გულოვანი“.

582. აღშფოთდა ქალი კუშტ-გვარად, ჰრქვა: „რად არ დასწყნარდებითა?
 ნუმც შენ, ნუ რამინ, ნურც ვისი კეთილ[ს] სამ შევესწრობითა!
 მომავალს საქმეს ბოროტსა ნურსადათმც გავესწრობითა!
 და რისხვასა ზეცით გაგებულს ჟამად მზა დაუხვდებითა!

583. აღკიხოცება ქვეყანა, სად შენებრ იშვას არჯალი,
 რად არ შეგწყინდა მაგდენი ეგეთს საქმეზედ ჯანჯალი?
 ცოცხალი ვერ მოგირჩები, ნეტამც გამიწყდეს აჯალი!
 და ბოზო, დამეხანენ, ან მომკალ, თუ გქონდეს, დამეც ხანჯალი!

584. შენის რძით გაზრდას მიჯობდა, თუმც ძალის ძუძუ მეწოვა,
გულსა შენ მიერ ლახვარი, ვინ თქვას, რამდენგზის მეწოვა!
მაგ საქმეს ჩემდა საქნელად არ შეტყვის თუში მე წოვა.
და შენ ნამუსისა ჩიქილა რად თავზედ შემოგეწოვა?

585. დედის გინება ვის ეთქმის, თორე მართ შეეკადრება,
შენებრ ბოზის-ბოზს მაქაკალს ქალი ვის ეანაბრება?
სად იხამსება მაგისი სრულ შენგან ჩემი კადრება,
და შენ მოდგმით მრუშის ზნეობა ჩემს გვარსა სად ეკადრება?

586. გრძნეულობის მაგალითსა, აბა, რად მე ხელთა მიმცა?
წმინდა გვარი მომიჰყენე ნათესაონ მუდამიცა;
ლამის გაეხდე საარაკოდ ყოველთაგან მიდამიცა.
და აღეგ, წადი, გამეცალე, ჩამთან ხელი აღარ გიცა.

587. ბოზ-კუროთა საარაკოდ სულა პირი დაგილია,
რაა, მათის სურვილითა სული ველარ დაგილია?
არც მკვდარი ვარ, არც ცოცხალი, რა ეგ სიტყვა მოგილია.
და შენ სადა გაქვს პირის-წყალი და, ვეპე, ჩემიც წაგილია.

588. თუ მზის შვილმან შენი ძოდუ გამოწოოს, იგიც წახდეს,
სინათლისგან უნაწილო დარჩეს, ბნელად ქვე სამ ჩახდეს.
სუ, დასულდი აუგითა, სავსე ვირე ხმა სამ გახდეს.
და მუნამდისცა გიკენისა, რდემდისცა ეგ არ მოჰხდეს.

589. შენის სიტყვისა სიბილწე, ვინ იცის, თუა რათაო,
ავი რად გინდა, აუკი სხვისათვის თუ არ ათაო.
ასე თქვი: აღრემც მოჰკედები, კარგი არ იყო თუ არა თაო.
და კრულმცა ხარ უკუნისამდე, რას ამბობ, თუ არათ აო?

590. ჩენი სიცოცხლე აჩრდილს ჰგავს მყოვარემ წამსავე წასულსა,
ან მზესა აღმომავალსა, დილას და მწუხრი დასულსა,
ანუ ყვავილსა სურნელსა, ანაზდა ფერ-გარდასულსა,
და ამ სოფელს სამოთხის წილად, სად გიღირს, მირჩევე ასულსა.

591. ბრძენთ საწუთრო და ლაღობა სწორად სჩანს,—ეტყვის ძიძასა,—
არად შეირაცხს ამ სოფელს, ვინ სიბრძნეს მათსა მიჰბაძასა;
ვერგინ შეუღრის მას ამას, ვით სეხნას კარგსა ბიძასა.
და იქ ვფუფუნებდე დია სჯობს შენსა ნაქადებს სიძვასა.

592. მე სულსა ჩემსა მარადის მცველად მიდგს ჩემი გონება,
ერთხელ დამფრთხალვარ სოფელსა, რადლამე მოჰგონება?
შენ მოდღევენებულს სად გიღირს, წამის წამ ეგ გეგო ნება?
და ამიერითგან ნუჰც ოდეს ცოცხალსამც გამეგონება.“

593. რადგან გული დააჯერა მისგან ამის უქნელობას, გულსა უთხრა: „რითა ვკურნო ამ ქალისა სნეულობას? სიტყვით ვერათ მოვალორე, აწ ვცდი ჩემსა გრძნეულობას.“ და სხვა კბილ უწყო საუბარი, მიჰყო ხელი ჩვეულობას.

594. უთხრა: „მიწყი სიწმინდის და სიმართლისა მთქმელი ხარო, მე რა მიჭირს მაგისტანა, ჩემთვის თავი მოითხარო? გვხვეწები შენდოვასა, თუ რამ ავად მოგიტხარო, და უკადრისად არ გამხადო, რისხვით მიწა არ მითხარო.“

595. ეს მიბრძანე, შენდა მტრად და მის მოყვარედ რად შემქმნენო? მწყევრადა და მაგინებლად გაზრდილი ვით შემექმნენო? რაც შენ გინდა, მეც ის მინდა, მოგკვდე, ასე მომითქმენო. და თუ მოაბად შემიტყობდეს, ლუკმა-ლუკმა ამიქმენო.

596. აწ ბუკითა შენს წინაშე განვაცხადებ ხვაშიადსა: რაზომ სიდიდეს გემობდე, თავს ნუ ახვალ სულ დიადსა, მაშინც ადამის შვილი ხარ, ტყუის, ვინცა სხვას გიქადსა. და ანგელობთა ბუნებასა კაცი ნუვინ დაიქადსა.

497. ასეთს ქმარს მოსწყდი, ვით კვიროს, ვისითმე მაგალითობით, აწ ეს ხელმწიფე შეგირთავს ძალით თუ მისის თითლობით, — არკურთს არ გასთავებია შენთან ცოლ-ქმრობა მართლობით: და ვაზთა ნაყოფთა სიტკბონი რით იქოს, თუ არ მოსთლობით?

598. რას გარგებს მზესა შარვანდი, თუ სხივი არვის მიჰფინო, მარგალიტს ცუდად აფრქვევდე, ან ლორთა ქვეშ დაუფინო! გიჯობს, მიჯნურსა უებროს ვარდი ვარდს გარდაუფინო. და გააჯ და შენც დაიჯერე, შენს ფერხთ-ქვეშ ვეგდო, ვით ფინო.

599. ძოლანც გითხარ, შენ ამ სახლით გასვლა აღარ გეფერება, კვიროს[ს] ველარ შეეყრები, ტყუის, ვინცა გეფერება, მისგან კიდე შენდა საქმროდ არავინ შეგეფერება; და რა მიჯნურნი შეიყრებიო, ლხინი ჰირს გარდეფარება.

600. შეიფიცე მტკიცეს ფიცით, სხვა შენგ მეტი არ იცოლოს, არას საქმით იმან შენხედ გული არ გამოიცვალოს, იქორწინეო დაფარულად, გლოვა შეკებად შეიცვალოს; და მაშინ საქმე გააცხადეთ, რა ხელმწიფე გარდიცვალოს.

601. აწ თუ ეს იცი, მართალი მითქვამს მე შენდა სარებლად, არ საიციხავად, საძრახად, ყოელთაგან შენთვის საქებლად. მაშ, რას გენელკვი გამზრდილი სათრეველად, ან საგინებლად? და მე მაშინც შენთვის არა ნშურს გული ლახვართა საგებლად.

602. სინანული რაღას არგებს, კაცი ქუეყას რა დასცდება?
 ისარს ვინლა მოაბრუნებს, ეცემა თუ ან დასცდება?
 იმ წელიწადს სადლა მოვა, ერთხელ ყანა სადმ ზოსცდება?
 და ვერას ცდითა, რაცა ვიზედ დაწერილა, არ ასცდება.

603. თევზთ და მფრინველთაც იციან მის მის დროს დედალ-მამლობა,
 ქალთაც ბუნება იგივე გვაქვს, თუმც გემართებს დიდ-მოკრძალობა.
 საუკეთესო ამ სოფელს არს სიძე-პატარალობა.
 და ქალი ქპრისათვის იშვების, ცუდია უქპრო ქალობა.

604. ეს დაიჯერე, რაც ბედსა, მზევე, კაცისადა გაეგოს,
 ვერვინ მორჩება, რაზომცა მიწუი სოფელი დაეგმოს,
 ბოლოდ იმასვე მიჰყვება, თუმც თავი სითმე გარდევოს.
 და ვირე აღგიხდეს ჩემი წვრთნა, მუნამდი ცუდა სამ ეგდოს.

605. შენ მზე ხარ, იგი მოყვა სახელოვანი, უსწორო.
 მას რა უყვარხარ, გმართებსცა სურვილი შენც შეუსწორო,
 ერამანერთს განზედ არ უჯდეთ, მუხლი-მუხლს გამოუსწორო,
 და რა ერთათ განახო, მე შაროს ვახარო, წიგნი მივსწერო.

606. სულ ბედს უჩივი, რით გიხამს, არა ხარ რითმე სნეულად!
 ნიეთთავან ქმნილხარ აბეზარ, ვით ხელი ჭკუა-ბნეულად.
 სიყვის სიხარულს მოსწყდები, ვის აძლევ მას შენეულად?
 და სიბერე წაჰოკადგება, ყმაწვილო, ანაზღეულად.“

607. ეგზომის ოსტატობითა დაება ფრთხილი მახესა,
 გრძნეული ქაჯთ ულოცევედა, ჰე, ალვის მსგავსსა მა ხესა;
 ქალს გული გამოეცვალა, თქვა: „ნეტარ, რა შევახესა?
 და მგონია, ეშმამ და ძიძამ გრძნება რამ მომინახესა.“

608. მორეულბა ფიცხი გული, აუდულდა სიყვარული,
 ყოვლი ასო აღემღერა, ეშხზედ იწყეს სიარული,
 ენა ოდენ ხვაშიადსა უნახვიდა მხიარული.
 და შეცაიპყრა გველმან მთვარე მალე-ნსაბოლი მოარული.

609. ამოს სიტყვით ეგრე უახრა: „უმართლე ხარ, რაცა გითქვამს,
 მამაკაცი დიაცს უნდა, ოდით სახელი დაუთქვამს,
 მაგრა რა ვქნა უბედურმან, ნდომის აღთქმა რამ აღმითქვამს;
 და აუგს თუ არ განვეკრძალო, მელექსე ლექს[ს] გამომითქვამს.

610. მეც ამადა ვთქვი, რაცა ვთქვი, დედათ მალ წყრომა ზნელა სდევს.
 მე შენი სიტყვა მეწყინა, ავის თქმას ავი თან მოსდევს.
 სიყვარულშიგან ჯდომასა სჯობს ჭვე ვინა ზის, არ გასდევს;
 და რაზომ კისკასობს იგ ვინმე, ვერ მომეწევა, ნუ დამდევს.

611. ენა გამრყენია ავის თქმად, მით მითქვამს შემინანია,
 არ მიხზდა შენი გინება, ძიძა ხარ, ჩემიანია;
 სჯობდა დამეთმო, დია სჯობს სულ-მსწრაფლსა სულ-გვიანია.
 და შენ ჭედა¹ გჩანს იგი ყმა და ჩემთან რამინ ანია.

612. თუ სიტყვას არ მოვისმენდე და პასუხს არვის გავსცემდე,
 ჭირად ეყოფა უბრობა, გინ გინდ ჯოხითა მივსცემდე.
 მანამდემც ნუვინ წაპართომს ნამუხ[ს], ვირ მე არ გავსცემდე,
 და ნუმც ოდენ ვისგან ძლეულვარ, მიწყითამც მტერსა დავსცემდე.“

ძიძისაგან მესამედ რამინთან მისლვა

613. „ჰო, ცეცხლში წყალსა რას ეძებ, მისგან რომ არ გამოჰხდება?
 ჯარს ნუ სდევ შესაპრობელად, ძვარ დევნა ცუდად წახდება.
 ზღვა კოვზით არ აღმოიწყვის, ვით საზღვარს არ გარდაჰხდება.
 და მისი და შენი მოყვრობა არვისგან არათ მოჰხდება.

614. ტინის კლდითგან ჩემის გრძნებით ტკბილსა რძესა გამოვხდიდი,
 მზე ბრწყინვალე დავაბნელი, სხივსა მისსა გარდავხდიდი,
 ბრძენთა ერთის შელოცვითა ხელისაებრ მკის გავხდიდი, —
 და მასთან ვერა გავყვიდე რა, თორ ბოდისს არ მოვიხდიდი.

615. კაცმან თუ კლდესა შეჰყივლოს, იგიც პასუხსა გამოსცემს,
 ეს ავ-ცნობითა გამზრდელსა პასუხის-პასუხს არ მომცემს,
 მაგინებს, მწყეველის, მიძრახავს, თუცა დედასა ვერა მცემს;
 და თულა რას ვეტყვი, მგონია, გამაძებს, ან ვის სხვას მიმცემს.“

616. დაემსგავსა რამინ კაცაბს, შავარდნის ქანკს ქვეშე მყოფსა,
 მრავალ-რიცხვი ისრის პირი გულსა შიგან წვერს უყოფსა,
 ცნობა მიჰხდა; შორ გაექცა, მას ქალს ველარ წამს უყოფსა;
 და უგულობა პასუხის თქმად უძლებლობით პირს უყოფსა.

617. მერმე შეჰფიცა; „ან დიდს წყალს, ან დიდს კლდეს გარდევარდებო,
 მე თავს მოვიკლავ და შენ ძნელს ცოდვაში ჩავარდებო;
 ან შევიშლები ხელთაებრ, ველად სამ გავ[ე]ვარდებო,
 და ან ბერად სადნე შევდგები, ამ სოფელს განვშორდებო.“

618. თვალს ნაჰი ჰქონდა, გულს ელვა, სული სულ უმცირდებოდა,
 სურვილის ცეცხლი უთმინო უშრეტლად მოედებოდა,
 ყიოდა მაღლა, ვერ სცნობდა რას მიედ-მოედებოდა.
 და მისი სისაწყლე მას ქალსა სნება ვით გარდედებოდა.

¹ გამოითქმის: ჰოედა.

619. ველარ გასძლო მისი ჭერეტა, ასე ერთობ შეებრალა, ადვა, ფიცხლავ წამოვიდა, გულ-იწრობა დააბრალა. ყრმამან კალთას ხელი სჯაცა, დიდად თავი შეაბრალა. და რა მივიდა იგი ვისთან, იქ ყოფა სხვად გარდიბრალა.

620. შეუძახა: „შე დიაცო ხრინწიანო, რას მოხველო? საქმე სხვა, ვეჭვ, არა გაქვს რა, საგრძნეულოდ თუ მოხველო. წადი იქავ, გამეტალე, საიღამეც წამოხველო, და წყეულმცაა ის ადგილი, რასაც ქვეყნით გამოხველო.“

ძიქისაგან კვლა მისის საუბარი

621. „ეჰა, კეკლუცთა ხელმწიფევე, ვით მთვარეს გიახლებიან, რად გალეულხარ, ბადრობის დრო ახლა ღოაგზლებიან? ვინ გახლვენ, ან ვინ გაშორვან, ბნდებიან, შელარ ხლდებიან, და ხელურად გარე გირბიან, რას იქმან ვერ მიხვდებიან.“

622. ხვაშიადი მაქვს, წინაშე ვერ მითქვამს სირცხვილითაო, ღამბმია ენა სათქმელად, მაგრა თქმად სწორად ვრბითაო; მოაბადისაც მეშინის, ეშენის ყოვლთ ავითაო, და მაშინც არ მგამა, იმისთვის მოვკვდემც სულთ ამოსლვითაო.

623. რა მის სისაწყლე მომგონდეს, შიშს ველარ დავემალები, ნამუსიც დამეკარგება, ველარც სრულ გავეკრძალე; ნუ შემრისხდები, ანასდათ თუ რამ ვთქვა დასაბრალები; და შემინდევ შენსა მონასა, რაზომცა არ გებრალები.

624. თუ იმას ენახავ, ჩემისა ცნობისა თვალი შეიკრვის, სახმილი მომეკიდება, თვალნი მზერისდა მიიკვრის. იმისი მსგავსი მიჯნური სხვა არ ნახულა, ეს მიკვირს, და ყოვლთ მუსიკელთა ციმბალი მის საარაკოდ დაიკვირს.

625. ათას მიჯნურსა მისისა სულთქმისა ალი დასწევასო, სიტყვა მკვეთია, ბაგენი ტკბილ ასხენ, ვინც გამოსწოვსო; თმობის ჩემისა მოკვეთას მისის ხრმლით ცნობა მაწვევსო. და იმისი ისრე გახდომა გულს მძიმედ ლოდად მაწვევსო.

626. მოიქეც, ყური მომიგდე, მისმინე მოქენებანი, ნუ მოჰკლავ კაცსა უბრალოს, დაითმე მრისხანებანი; უმოწყალობა არ ვარგა, ძალუც სულისა ვნებანი. და თავისუფალსა მართებსცა, ხან ქნას სხვისაცა ნებანი.

627. უბრალოს სისხლით კალთასა რასთვის შეისვრი, მზევე, რადა?
 ეგზომის ჭირით სიმთრვალე რად ერთხელ ვერ გამოგქარდა?
 ბილწის ეშმაკის საფრხენი ლოცვითა ვით არ განქარდა?
 და აროდეს ბრძანებ ტკბილს ციტყვას, სრულ ისევ მუქარ-მუქარ და.

628. რა გ[გ]ავა, თუ უმოწყალოდ მისი დღენი არ დალივენ?
 რა გ[გ]ავა, თუ არ ევლტოდე, სხვანი მისდა ზღლომით მივლენ!
 მაშინ სცადე ჩემი სიტყვა, ერთხელ თვალი გარდაავლენ,
 და რა იხილავ, შენთ მზეთ სიგრძემ, უძეობით არ გარდავლენ.

629. შენ მისმან ბედმან აქამდი ქალწულებითა დაგიცო,
 ერთხელ არ ბრძანებ მის ნდომას, ნეტაი პირს ვინ დაგიცო?
 ახალ-მოწიფულს მარტვილსა-თავი რად ცუდად დაგიცო?
 და შენ კერძ გამბობ, თუ სხვის კერძო, მიხვდება ამას შმაგიცო.

630. შენი ბეჭედი კრძალული მას მიეც, იმან აღილოს,
 ცოლ-ქმრობის ალერსობისა კარი დახშული გაგილოს,
 შენის სურვილის გუბები ნაკადეულად გაილოს;
 და აწ სიხარულსა ეწიე, ტირილმან სული დაილოს.“

631. რაც მოქენისა ესმოდა, იგი გულს იდასტურებდა,
 დაიდუმებდა პასუხსა, მთქმელს ქვე-ქვე შეუყურებდა,
 ხან ფერი განჰკრთის, ხან ოფლი სდის, მალ-მალ მოიწურევედა,
 და ყელს იქით-აქათ იგდებდა, თვალებზედ ხელს იბურევედა.

632. დატკბა სიმწარის საწდევე, რადგან შეერთო მელა;
 მომშვიდდა მწყრალი ასპრტი, რა გესლი გამოელია;
 სიყვარულმან სძლო სიძულილს, ღიმობს მოსაქმე მელია.
 და ხან ლხინი მოვა, ხან ქირი, ელოდი, ვინ მოელია.!

633. ოდეს ორკეცი სურვილი ორთ ერთად შეიყაროსა,
 ვით მალნიტი და ფოლადი ერთმანერთს მიემყაროსა.
 ცალკეცი ვირმან ვით ცალი არ ზიღოს, გარდიყაროსა,
 და მაშინც დაშორდენ ერთმანერთს, ხუნდიც ვინ შეუყაროსა.

634. სცნა მშვილდოსანმან, ბნელს ღამეს სწორად შესტყორცა ისარი,
 მოწყლა მან ფრთხილი კანჯარი, იმისი ვისი ის არი;
 მის ადგილსა ჰკრავს, ვინ არის უცდური მშვილდ-მოისარი.
 და შელოცვით დაბორკილდება სახტიკი ქარი ი სარი.

**ვისისაგან მოაბადის ღარბაჟს რამინის ნახვა
და მისთვის გამიჯნულება**

635. აწვიეს რამინ დარბაჟსა და სხვანიც დიდებულები;
არ შეატანეს სხვა კაცი, მათ-მათი მოკიდულები.
მათ ლომ-ჭაბუკთა საჭერეტლად მოდგენ ქალნი და დულები.
და მის ყმისა შვენებისაგან იყვნენ გულ-დადაგულები.

636. განმხიარულდა ხლჳიფე, მის-მისდა უალერსებდა,
ტკბილის სიტყვითა ლალობდა, იმათგან თვითც იღირსებდა,
ხუმრობას პირშედებულსა პასუხად არ შერისხევდა.
და მათში შვენებით იგი ყმა შუაზედ ჳწესა გახევდა.

637. განზრახვითა ტანთ-ცმულობა კვლავც შვენებას უშვენებდა,
თვალთ გრემანთა ჰინდოთ ტვერსა გარე შემოუშენებდა,
სიყვარულსა დაფარულსა გულსა მიწყვი იშენებდა.
და ვინ ურჩ იყო აქანამდი, მწვე გინდა და ამენებდა.

638. ღვინით ფერი ყაყაჩოსა ლაწვთა გარდაჰფარებოდა,
სურვილითა მთვრალ-ქმნილიყო, სული ვევიწროებოდა,
იქი-აქა იხედვიდა, ნუთუ მოეყურებოდა;
და მასპინძელსა უფარვიდა, ღია რამც ეფერებოდა.

639. ძიძას ძალით საყურებლად მალეით ვისი მოეყვანა,
უიმისოს გლოვის სახლით სხვასა ვისმცა გაეყვანა?
კიბე-კიბე აიარეს, დარბაჟის თავს აიყვანა,
და მუნვე უნდა შეემეცნა, მანამდი არ წაეყვანა.

640. „შეხედე, თუ არის ვინმე იმისებრი, შენსა მზესა?
მზეს არა ჰგავს მიწიერსა, ვინცა გაცდიოთ შეუმზერსა.
ემართლება ჩემი სიტყვა გულსა შენსა ლმობიერსა,
და ვინ იშოვნის ხორციელსა კაცსა მისსა მაგიერსა?“

641. სიკეთემა შეაყვარა, ნახეთ, ვინა ვისი ვისა!
სულ გაწირვით დაავიწყდა მისი კვირო მისსა ვისსა,
გული ამოდ დაიწყნარა, აღარ ზრახავს სიტყვა-მქისსა.
და ბედი თურე აღირსებდა ქალს ყმას მისსა შესატყვისსა.

642. ბუნებითი სიყვარული მოერია ქალსა ღია,
აღარ სადათ მოაგონდა დედა და მამიდაია.
სურვილისა მიდევნება, ჰოი, რაბამ ღიაღია!
და უთხრა მისსა თანამყოლსა: წარვიდეთ, ადე, ადეი“.

643. ცნობა გონებას გააბჟო, თქვეს: „რა გვერგება ამითა, ცუდად გარდაველეთ ჩვენი დღე ქირითა, არ სიამითა, ყოვლი ბუნება ჩვენებრი იხარებს არსი ა მითა“.
და დამტკიცებულა სურვილი მოყვრისა დასაბამითა.

644. დღეთ ცუდად წარსლვას ინანდა, მაგრამ არ გამოუცხადა, ოდითგან აღარ ახსოვდნ, რაც ქირი გარდაეხადა; იმადლდა მისაა რჩევასა, თუმც მადლი ვერ გარდღუხადა; და სიმწარისაგან აწ სიტკბო ანაზღა გამოიხადა.

645. უთხრა, თუ: „მართალს იტყოდი, რა ვნახე რამინ ვით არსა, ესრეთ წყლიანი, კეკლუცი შემქმნელმან მისმან ვით არსა? ჩემს ძმას კვიროსაც ასრე ჰგავს, ზედ გამოჭრილი ვით თარსა, და მაგრამ საჩემოდ არ მინდა, გაბრი, ნასრანი ვით თარსა?“

646. აღგა, წარვიდა, იწვართა კვლავ კრძალვა სიყვარულისა, თქვა, თუ: „არ მმართებს აყოლა ამ სოფლის, ერთის ჰრულისა, დიდ ვნებულება მასშია სურვილზედ მოარულისა, და სიყვარული და ძებნაცა მიხმს ჩემის დაკარგულისა“.

647. ცნობამ უთხრა, ვინც უყვარდა, გული მასვე გარდაუდოს, საძრახისსა სასაუშმალზედ თავი აროს არ დაიდოს, მგონ, პაენნად ეს დაიდვა, ვირ ტკბილი რძე გარდაიდოს. და მაშინ რჩევა გარდიცვლება, რა ყელი ყელს გარდაიდოს.

648. ძიძამ ვერ აგრძნა, კვალადღა თუ მიჯნურს გული ქცეოდა, რამინის უნდომლობასა ვით გულში შეექცეოდა, ან მისის სიყვარულისა ხე ძირით გარდაქცეოდა. და სამახარობლად გრძნეული მალ ამად გაიქცეოდა.

ძიძისაგან რამინს წინაუბი მახარობლად მისლვა

649. მოახსენა: „აწ მგონია შენთა ქირთა ბოლო მოჰხდა, იგი ფრთხილი მოცრამწყენარდა, კუშტობასაც გარდამოხდა; ველის ყრდელსა სიმწარის წილ სიტკბოება გარემოხდა; და შენზე უხვი მოწყალება ზეგარდამო გარდამოხდა“.

650. რა ესმა ყმასა ამბავი, სად იტქმის ვით გაეხარა? კალთას აკოცა, თაყვანსცა, მიწამდე თავი იხარა, ჰრქვა: „ცხადივ მესშის თუ სიზმარ ვარ, გეხვეწები, მითხარა, და მკედარს გაცოცხლება მალირსა, თუ კიდევ მიწა მითხარა?“

651. გრძნეულთ თავო, თვალთმაქცობის, მისნობის და ბებლთ-წოდღვარო, მლიქნელო და ენოვანო, მზაკვარების სეტყვ და ღვარო, ტურავ, ჯადოთ ხელოსანო, რაა შენ არ გასაზღვარო? და ქაჯთ და ჭიმქათ დედოფალო, ვინ წამს მოვლო ჩრდილო, ზღვარო“.

652. ჰკადრა: „ყოელთა ბანოვანთა გამბრდელი და დედოფალო, შეენების და ნატიუობის უხუცესო ხელთ-უკალო, ეტლთა მრულთა მოწალმართევ, რაზომ იყოს უუფალო, და სულიც გიძღვნა, სადა კმარა, პასუხად ვით გაგითვისალო?“

653. ათიათასი დრაჰკანი მისცა და თვალნი თლილნი, რათ არ ა ლალი, მონა-მხეველნი, ჯუჯა მასხარა მოთარალალი-რათარალალი. ოდენ აილო ერთი ბეჭედი, სხვა არ ინდომა, ვით არა ლალი. და ეს საჩუქარი იმისთვის ვინმე რად არ ჩაავდო, ვითარ ალალი?

654. უთხრა: „მე ამით მადლარეარ, ჰე, ჩემო სიხარულოო, მე შენ მინდი და მიყვარხარ, უსწოროდ გამოსულოო; ჩემის თვალისა სანათლე ხარ და იყავმქა სულოო, და მუნამდომ მივი ცოცხალი, ვირე არ გიორგულოო“.

ძიძისაგან რამინის გაჰრა და ვისთან მისლვა

655. მირავიდა, კარი დახვდა შიგნიდამე მოგდებული; დაურეკა, გაცაულეს; ნახა ქალი ქვე გდებული, ტიროდა და ყური ჰქონდა სხვის კერძ სითმე მიგდებული. და ჩაიშთო და მიჯდა კუთხეს, სიტყვა იწყო აგდებული.

656. გაიზმორა, დამოქნარა, ამოიწყო მორულობა, მერმე ზევე აღიხედა, იწყო მისივ მელურობა, ხან კენესოდა, ხან სულთქვიდა, მოახსენის ხან ხუმრობა, და ჰრქვა: „ავია მართოდ ყოფა, სამუდამო უსტუმრობა“.

657. გარდმობრუნდა ნამტირალი, ამოიწყო საუბარი, უთხრა: „მგონი, ბევრჯერ მითქვამს, ნუ ხარ ცუდის მოუბარი. სულა მე რას მეუბნები, ხომ არა ხარ სხვათ უბარი? და რა ვაზს ძირი გახმობოდეს, იმას რალად ძირს უბარი?“

658. რად ვიქ ასეთსა საქმესა, რა იგი მომაყენებდეს, მტერს უხაროდეს, მზრახვედეს, მოყვარეს გულს ატკინებდეს, ნატამალთ ვესირცხებოდე, საუკუნისა მავნებდეს. და აქ რაკა მრჯიდეს, რა მგავა, თუ მუნ სამ განისვენებდეს.“

პასუხი ძიძისა

659. „ავ. ცნობობისგან სხეას კიდე ვერ ვხედავ შენს სალაროსა, ავს საქმეს თუ ვინ შვრებოდეს, სხეასა რად დააბრალოსა? ვინ დაარღვია აგრე მალ, რა ვინმე რა ალაროსა? და რაც გინდა, ქალო, იგი ქენ, რას მერჩი მე საბრალოსა?
660. ერთს სიტყვაზედა არ სდგები, ვითა წისქვილი იქცევი, კამათელს ჰგევხარ, შაშს დაგსვა, იაქედ გარდაიქცივი. მართლმადიდებლად ურწმუნო ვიდრემდის არ მოიქცივი? და მითქვამს და კვლად-კვლა გეტყვი, კარგს ბელსა ნუ გაიქცივი!
661. საწუთრო ვითა მბრუნავხარ, ერთს ნირზედ არ დასდგებია; რად ჰგევხარ ქვასა ფირუხსა, ფერისა მალ დამგდებია? რკინის ბუნება არა გაქვს, რას აგრე სრულ. ჯანგდებია? და ტახტსა მჯდომარე, ვით გლახა ნაცარშიდ, ნუ ეგდებია.
662. ხედავ, აჰ ჰთისა იმ მთაზედ შგდება მას შეუძლია, რაზომ გეხვეწა, არ იქნა, რითც თავი შემოგაძლია. შენსა ეშმაკსა ბოროტსა ვერას ცდით ვერას დასძლია. და მაგდენი მტრისა მტერობა მის მეტსა ვის გაუძლია?
663. ქალო, აგრე დაჟინება, მითხარ, რას გეხმარებო? სულისათვის მარგე არის მოაჯეთ მოხმარებო. მარტოდ გდებას ვით არ გიჯობს მოყვრითა გახარებო? და რა ჰკვას დასცდე, რაღას გარგებს შერმე თავის ბარებო.
664. დევიც ვერ გასძლებს შენს გვერდით, მე ვით გაგძლო ბებერმა? მუნიანობის ხსენებით ლამის შემეპამოს მე მღერმა. ვერ შეგაგონე ვეროდეს, წასამევეგები ბარემა. და აცა და ნაბავ, ყმაწვილო, რა გიყოს შენ სირეგვენმა!
665. მე ამის მეტსა შენთანა ვერ გავძლებ, მეყო აქ ხლება, მავრი შენ გქონდეს, შაანშას ცოლება, არ მოახლება; მეყოფა ყოვლ. დღე ქირს ქირზედ დართვა ზე ახალ-ახლება, და აწ წარვალ შაროს წინაშე, ვეჰე, ვეჰამო იქაც მე ხლება.“
666. ქალს რა ესმა წარსლვა მისი, ყოვლი ქირი მოეგონა, ობლობა და დედის გაყრა, სხვა სარჯელიც წაიგონა. სიმარტოეს შეუშინდა, მისთვის რამე შეიგონა; და უფრო ამით მორამწყნარდა, რადგან სხვათაც გაეგონა.
667. უთხრა: „რა ვქნა უშენომა ობოლმა და საბრალომა, ქირთა ჩემთა მეხვანიშნის ოხერ-ქმნილ და სულ უყოლმა, უბადრუკმა, უბედურმან, ყოვლის კაცის დასაქოლმა? და ჩემს კაეშანს ამას იქით ვერ გაზიდავს ხარი ლომა.“

668. რად შეგიყვარდა იგ უცხო, თქვი, იმის ამოწყვეტასა,
ვინ მის ძალითა აპირებ გულთაგან ჩემს მოწყვეტასა?
შენ შეგგევეთე, რა მოვსწყდი ზამა, დედა, ძმა, ქვე დასა.
და ვის ზენა დაგვიწყებია, ჩამზერ სრულ საქმე ქვედასა.

669. უშენოდ სრულ ოხერი ვარ მე, გლახ, გაყრილი დედისა,
ნუმცა მაქვს გული მოქენე უშენოს სხვას იმედისა!
ვინ გაიკვიროს, რა ესმას ავი რამ ავ-მოქმედისა?
და ბრძანებს მდაბალსა სიტყვასა, თორ სხვაც რამ ეიმედისა.

670. ნუ გამწირავ, სახელს წყალშიდ ნუ ჩაიგდებ წასაღებლად,
კოდვის ტვირთსა ნუ აზიდავ, მძიმე არის ასაღებლად.
ავი ვის გვკირს, ნუვის გვინდა ჩვენებრ სხვისდა მისაღებლად.
და ჯოჯოხეთის კარს რად ეძებ შენდა შესელად გასაღებლად?"

პასუხი ძიძისა

671. „მზე ხარ კეკლუცთა, ეგება მაგით ვინმ მოგაცდინაო,
შენს მაგდენს ილიკ ბალიკსა მე სად ვინ მიმაწოდინაო,
- ეგზომი საღვთო-საკაცო ნეტა რამ გაცოდინაო?
და ჩემი მართალი ლაყბად გიჩნს, სრულ ამან შემაცდინაო.“

672. კვლავცა მოტება, ხელს აკოცა, ქვეა და სიტყვა დია უქნა-
„კმაო წყრომა იმ საბრალოს, აწ წყალობა გიხამს უქნა,
მზემ შარვანდი ვარდს დაზრულსა მიაფინო, დაუშუქნა.
და მალღის სიტყვის მეტყველებას დროა ბოლო შემოუქნა.

673. დააგდე ეგე ჭრელობა, სხვას ნუვის მოანახვინებ,
შენ-მაგიერსა საცოლოს იმას ნუ დაანახვინებ,
უებროს თავსა მის მეტსა, აბა, ვის შეანახვინებ?
და აწ ეს მიბრძანე, შენს მზესა, მზე ლომსა როს ინახვინებ?"

674. გამოაჩინე გვარი და უებრო ჰაეროვნება,
აგემე მას ყმას ეგზომი სიტურფის ნაყოფოვნება;
გოგო-ბიჭობის ალერისი შეიტყევე სიამოვნება,
და გასახარელი გულისა მისებრი არ იპოვნება.

675. შენის სიყმის სიამოვნე, მე ვიცი, რომ მძინარეა,
გააღვიძე, გაიხარე და ტკბილად შეიწყნარეა;
შეიფრთე იგი მოყმე, შვენებისა ვინ არეა,
და მაშინ ნახავ ჩემს ნარჩევსა, მოტფოა თუ მყინვარეა.“

პასუხი ვისისა

676. მაგას დია სჯობს, წყეულო, სამოთხის გამოსვენება,
სად ოხრა, სულთქმა არ არის, სამუდმო არის შევენება;
მისდა სანაცვლო სამყოფად შენებრსა ეგ ეჩვენება,
და ეგ არის შენი ზნეობა და შენი გამომჩვენება.

677. თუ შენ დაგხსნობდი ადვილად, მე იმას მალ ვეწეოდი,
ჯადოთ-მოქმედსა, გრძნეულსა საწყალი სამ დაგძლეოდი;
რაზომცა მოსწყურებოდა, არსად არ დავეფოდი,
და რა არ მეგონა, ის იქნა და არსით არ მოველოდი.

678. ყოვლის კაცის შეუტყობრად აწ მონახე ჟამი პოვნად,
წყრომის ჟამსა იცნობ შანშეს, თუ გახდება რა ახოვნად,
იმის ამის შეტყობამდის სული გედგას მართ ნათხოვნად.
და ვა, რა დიდი ბრალი არის, ქალი განდეს თუ საშოვნად!“

პასუხი ძიძისა

679. ვახ, ათასჯერმე გენაცვლება ძიძა და შენი გაღია!
მზე ხარ ქვეყნისა მნათობი, ნუ ქვე ზი, ცაში გაღია.
სულდგმული ვერეინ შეიტყობს, თამამად დამიქადია,
და ოღონ შენ ნულარ მიტყუვებ, რაც ბრძანე, რაც მიქადია.

680. ვერ ხედავ, ბედმან თუ მტერი რას დროსა სად გააცალათ?
დღესითგან შექირვებისა ტვირთები გარდაგაცალათ,
ეგზომთა ქირთა სანაცლოდ ჟამი აწ ლხინთა გაცალათ,
და საერთმანერთოს ალერსზედ მიჯნურნი, ჰე, მოგაცალათ.

რამინისა და ვისის შეყრა

681. წელიწადის შეხავება გაზაფხულსავე დაეტყობის;
საქმე კარგად რა ჰხდებოდეს, წინადლითვე შეიტყობის.
იპოვნიან ერთმანერთსა, გული გულს რა გაეწყობის,
და ენად მქვერის მოციქულით მტერი მტერსა დაეწყობის.

682. შაჰი მოაბად ასაყრელს აცემინებდა ნობათსა,
დაასკვნეს წარსლვა მავრიდამ გურგენით კერძო შაბათსა;
ის იქ წაბრძანდა სალხანოდ, შინათც უნახვენ სოპბათსა.
და ღრო მოვა, ისრიმს დაატკობს, დროვ შეიქს მწარედ ნაბათსა.

683. არ წაჰყვა რამინ ამისთვის, სურვილით ჰგვანდა სნეულსა.
რად ვერ მიუხედა, უჩრახავ კჳუასა მას ნისს ეულსა.
არას უმადლის მიჯნური რამინ ძმას მას მისეულსა.
და ვინ ვერ ათაოს ბრძანება, ვა კაცსა მას მისეულსა.

684. საწუთრომ, ვითა ზენკალმან, გულს შურის ჯანგი აჰხოცა;
სვიანმან ეტლმან ხელითა თვალთაგან ცრემლი მოხოცა,
გამარჯვებისა კალდიმმან მტერნი გარ შემოუხოცა.
და აჰა, სოფელო ძუნწო და ანაზდა დია უხოცა.

685. მიჯნურობის ასპარეზი ხელთა იგდეს ცარიელი, ბედს აღარას ემდუროდეს, იყენენ მისგან მადრიელი; სხვა მიჯნური ვინ ყოფილა მათი მსგავსი, სად, რომელი? და მო, უყურეთ, გარდინხადონ რა არიელ-მარიელი.

686. იმავე დღესა აწვივნეს მუნანი სრულ ბანოვანი, სრა და დარბაზი შეამკვეს წალკოტი აბანოვანი; მთვარე ელვარე ტახტს დასვეს, მუნამდი ნაენმოვანი. და ვარდნი გაიფრჩინენ უეკლოდ, კოკობნი არ ეკლოვანი.

687. ჰგვანდა, თუ ცათა მნათობნი მას დარბაზს შემოსულიყო, ერთი მათ შორის ასე ჩნდა, ვითა შზე ამოსულიყო; ვარდს პირი გამოებუტკა და ია თავ-დახრილიყო. და ჰქვრეტნი ბნდებოდენ სურვილით, ზოგი გულ შემოყრილიყო.

688. იყო ქალთაგან შეენება საყურთა იალქანისა. უმჯობეს იყო დარბაზი ყოვლთ სატურფალთა ქანისა. მათთა მქვრეტელთა გულეზი, ვინ თქვას, სად გაექანისა? და მზემან ვარსკვლავთა უბრძანა თითოს სმა მათ ალქანისა.

689. შემწუხრდა და მოემანთა ასაყარად აიწივეს, ერთმანერთსა წამს-უყოფდეს და ქვე აღარ დაიწივეს. რა იგინი გააყარენ, სხვა სტუპარი მოიწივეს; და მოსლვამდივე ეტყობოდათ, ერთმანერთზედ წაიწივეს.

690. ვით მოჰყვანდათ იგი მოყმე, ირემს ჰგვანდა ახლა წამხლტარს, იქით-აქით იხედვიდა, მზეს ამსგავსეს ეტლსა ამხტარს. მის ქვევისა გამოხატვა არ ძალ-ედვა ვერას მხატვარს. და სვე-სვიანი ბევრჯერ უზამს ასეთს საქმეს კაცსა წამხლტარს.

691. რა ყმამან ქალსა შეხედა, ცხვირთაგან სისხლმან წახეთქა, თვალთა სისხამი სციოდა, პირს ოფლმან მწვე წამოხეთქა. ძიძა ღიმილით უმზერდა, ეტყოდა მოყვასთ: „ნახეთ, ქა!“ და თქვა, თუ: „აქამდის საწადი, ნეტარძ მე, რა არ დამენთქა!“

692. ძიძამ რამინ მოიყვანა, ქალს ტახტზედ მჯდომს გვერდს მოუსო, მიულოცა ერთმანერთი: „ამან გიქმროს, შენ უუსო, ნუმც ქწინილხართო ერთი ერთზედ ორგული და უნამუსო.“ და ყმამ გული ვერ დააჯერა, ვირე ხელი არ მოუსო.

693. გულს სახპილი გამონელდა, პირი ვარდებრ აღუყვავდა; ჰგვანდა, მთვარე მადრიბიდამ მაშრიყისკე მზეს მიჰყავდა, მათთა ხმათგან იადონსა კიკიკიები გაუყვავდა, და ვა, სოფელო წამი-ერთო, იგ ქალ-ყმანი რა უყავ და?

694. ყვამ ქალსა ჰკადრა: „ყოვლითურთ შეენიერებით უკლებო,
სიხარულისა წყაროო, ვინ სიტკბოს არ მოიკლებო;
მზეო, ქვეყნისა მნათობო, სხივსამცა ნუ მომიკლებო.
და თუ შესატყვისად ვერ გაქო, ვიციცა, მწვე ამიკლებო.

695. თმა-ამბარი ხარ, მუშკა და ყოვლთ სურნელთ შენ მორეული,
ნარგისი თვალ-მოცინარი, ვარდი ქაფურით რეული,
კვიპაროზ-ნაკეთი, სარო-ზრო, ხელთაგან არ შერხეული.
და დღესამდე მქონდა მე შენგან გული ლახვართა ხეული.

696. შენს შობასა შეენიერი შარო ბევრჯელ დაქადილა.
ნეტარძი მას ქვეყანასა, სად შენებრი აღმოზრდილა!
სხვა, შენგ მეთი ვინ ნახულა, ქალი იყოს დილის დილა?
და უშენომან სულდგმულობა, ვა მას, ვინცა იწადილა;

697. შენსა შუქსა აუვსია ქვე ჰაერი, ზე თხელი ცა,
ნეტარია ვინ გახლოვან, ან ასმია სახელიცა.
ვაშა, ვინცა მიჯნურად გყავს, რაზომ იყოს სულ ხელიცა!
და ნეტარძი ჩენს შენს შეყრასა, დიდი დამრჩა სახელიცა.“

698. ნაზად პასუხი მიუგო: „ჰე, ბედ-სვიანო ჯომარდო,
სახელოვანო კობუკო, აროდეს არსად ნამარდო,
ლადო, კისკასო, ფიცხელო, ჰაერთა ზე მონავარდო!
და დასტურა ჰპოვე შევენების ბალი-წალკოტი, სავარდო.

699. მე საწუთროსგან დიდ-დიდნი სარჯელი გარდამხდომია,
თურე არ ჰირი მინახავს, სასირცხო საქმე მდომია.
აწ ეს რით მოჰხდა, არ ვიცი, გონება ვერ მიმხდომია,
და ვეჰე, უბედოსა ბედითა და ძიძითა წინ დამხდომია.

700. ათასის წლისა გულთ ნება ერთად აუგად არა ღირს.
ავია ვნება სავნები, ვინ იქს და ვინ მას სულ შეღირს,
მის ჯანგსა ვერვინ აღმოხოცს, ხელსა ნურავინ დააღირს.
და ასე სჯობს ნებას ნამუსი, ვით ღირსი კაცი არა ღირს[ს].

701. უგუნური ყოვლს საქმეშიდ ნამეტნავსა განიზრახავს,
ავ საქმესა რა შვრებოდეს, თავს იქებს და არ იზრახავს;
თვისს დიდს აუგს ვერ მიხვდება, სხვისას ცოტას დაინახავს,
და კაცი არის, ხვაშიადსა-ვერას ცდით ვერ შეინახავს.

702. აწ ეს გკითხო, ჟამად მინა ხარ თუ მტკიცე ანდამატი?
სიყვარულსა ზომიერსა მოიკლებ, თუ ან დამატი?
ნამუსია დიდი რაჟე კაცობისა შესამატი,
და ვინ მოყვარეს ეცრუვება, ცუდი რამ ა მოსამატი.

703. თუ ვარდისებრ გაახარებ ჩემთა მტერთა ხან-მცრობით,
 ან იხანგძლებ იაგუნდებრ კარკაცობის ხელთა ჰყრობით?
 არ ინანი ამ საქმესა დროთ რითამე შემოსწრობით?
 და აწ პასუხი შენ მიბრძანე, შემიჯერებ რას პირობით?”

704. მიჰყო პირი რამინ ფიცსა მათს რჯულხელდა საშინელსა,
 მხეს და მთვარეს, ვარსკვლავებსა, ცეცხლსა ცხელსა, არ ყინელსა:
 „ვიდრე მთაზედ ქარი ქროდეს და წყვდიადი ჰქონდეს ბნელსა,
 და არას საქმით არ ეცრუოს მას, მის თვალის სინათლესა“.

705. ჰრქვა: „მოგგონდეს ეგე ფიცი, დაინახო რახან ია,
 ვით გარდაჰბდე ისე ლურჯად, თავ-დახრილს თავსმც გიფხანია.
 მე წალკოტსა ვარდს! რა ვნახავ, ვიტყვი ესე ის ხანია,
 და თუ გიტყუეო, დღენი ჩემნი მის მეტამც ნუ მიხანია“.

706. ვარდი ხელთა გამოართო, მას შიართო რა მან ია,
 რამინ ჰკადრა: „აჰა, მზეო, მიბრძანე, ეს რამანია?
 უთხრა: „ადვილ შეიტყობის, ძიძა გეტყვის რა მანია“.
 და კვლავცა მოწმად ხელთა მისცა სავსე ჭიქა რამანია.

707. ძიძამ მიუგო ქალებსა: „დრო აღარა გეჰქვს დგომისა,
 აქადგან წარსლვა გვიხამსცა, მონახვა ჩვენ სადგომისა,
 აქამდის შორ-ქმნილთ მიჯნურთა დრო არის აწ მიდგომისა:
 და კაცს ასე უნდა ეღირსოს ხელთ-გდება მისის ნდომისა“.

ძიძის სალალოგელი სიტყვა

708. „კაცს უნდა ქალი უნდოდეს გვარიანი და ლამაზი,
 უაღერსებდეს სურვილით, არ გაათაოს მალაზი.
 ნეტაი შენ, რომ მაგასთან მოგიკეცია მა ლაზი.
 და სჯობს, გაათავოთ ყიბარჩი, ისომ ქვე, გინდა მალა ზი.“

709. ნახეთ, ამ კაცსა სვიანსა თუ რა დრო შემოუვარდა,
 კოკობი ვარდი სურნელი, ვითარ დრომ გამოუვარდა,
 მზის მსგავსი ქალი შევენებით რაბამ რამ ხელთ შეუვარდა,
 და მანც ნება დართო, ნებასა სხვიმისებრ არ გაუვარდა.

710. მკერდი მკერდსა შეამტკიცეს, შუა წყალი ვერ გავლიდა; ვარდი ვარდსა ზე შეწებეს, ბეწვი ქვე სად გამოვლიდა. ერთათ მწოლნი ორნი ჰგვანდენ ერთსა, გვერდს ვინც წაუვლიდა, და მათ სურვილი მოუტლელი სამუდამო გულს უვლიდა.

711. თვითოს კოცნითა ათასთა გულთა ლახვართა იზრობდეს, აწ გაიშალა შროშანნი, ვარდიც მუნამდის იზრობდეს; ედგვის ნორჩი განიფრჩხნა, ტანათ ვით სარო იზრობდეს, და მათთა გულთაგან სიბნელის პერანგსა შემოიზრობდეს.

712. გარდასრულთა ქირთა მათთა ერთმანერთსა ეტყოდიან, სიმწარისა მათ სანაცვლოდ აწ სიტკბონი გამოსდიან. მათებრ მიჯნურს იმათ აქათ ველარავინ გამოსდიან. და ვერ შეატყვეს ერთმანერთსა, რომელს უფრო მოსწადიან.

ძიძისაგან დილას ვისის საწოლში შესვლა

713. ვისს პირი გამოებადრა, გარშემ გიშერი მოვლიდა. რამინ გარ გამოსულიყო, წალკოტის კერძო წარვლიდა. შავიდა ძიძა მუნ მაშინ, რაც უხმდა მას ასწავლიდა. და ქალს ღიმი ეპარებოდა და წვრილად დაისწავლიდა.

714. მრქვამც ვინმე, ორნი მიჯნურნი სიტკბოს სამსალად რადა სმენ? არ ეწყალვიან ერთი-ერთს, თორ, მაშა, ლახვარს რად ასმენ? მოქენეს უმოწყალოსა, ქალო, სიტყვასა რად ასმენ? და მუნ შეიტყობა მართალი, ერთმანერთთანა რადა გსმენ.

715. სრულ ყველას თქმა უხანომა ჟამმან ამაღ არ მაცალა, სიკვდილმან და მწუხარებამ, რაც წინ მედვა, ამაცალა, ჩემთ საყოლთ და სახელმწიფოთ დია შორს სამ გამაცალა, და დილას ლხინსა მომაშორა, მწუხრ ტირილზედ მომაცალა.

716. ამას ქვეითაც ვიტყოდი ასევე, თუ უუკეთესა. აქამდის ვერვის მოეპკო, თუმც ძველად ვისმე ეთესა. მე ქირნი ჩემნი ვამსგავსე მახვილსა უუმკეთესა. და ჟამმან და სოფლის ბრუნვამან ოდენ ეს გამიკეთესა.

717. სადღა არს ჟამი ამისდა, რადგან ქვეყანას უარა. სხვადასხვა ქირმან, სიკვდილმან ლხინთა ზმა გამიუარა; დაბრუნდა ეტლი უკულმა, დღითი-დღე უარ-უარა. და ვის ეთქმის კაცსა მართალი, სოფელი იყოს ცრუ არა?

718. ჰოი, რა ავ დროს შევესწარ ურგებსა, მოუხმარებსა,
ხორცისა უსარგებლოსა, სულისა არ ემარებსა!
უემოს სიკვდილის მანგალი მჭრის ძვალთ და ნაწევარებსა.
და ცოდვათა ჩემთა ჰუნენი სადაურს სად მე მარებსა?

719. ჩემსავ ტახტზედა მჯდარვიყავ, ბრძანებთ თუ, არსად მეარა,
ძალი ხომ მჭირდა არვისგან, მით დამეძახა მე არა.
მაგრამ, მიბრძანეთ, ღმრთად-კაცად მის მეტი ვინ აღმეარა?
და რუსთველს არ ვიტყვი, ნანუჩას რასთვის აქებთ და მე არა?

720. რაც დარჩა ამის გალექსვას, აღარვის დაგეცილები.
თუ ვინვე ბრძანებთ ავად თქმას, შეგრჩება ცული ცილები;
ვინც მოიწონებთ, იქნება სიტყვა არ შესაკილები.
და გვარიანს ლექსთანც ივარგებს შაირი სასაცილები.

721. სიბრძნეს ნურავინ უძრახავთ, ვინც აქებთ სულელობასა.
ხან დუმილია კეთილი, ხან თქმა სჯობს უთქველობასა.
კიტხვავე უკეთესია ცუდ ხოტბის მეღულობასა.
და რა მადლი მიენიჭება მწვალებელთ მგალობლობასა?

722. ესევ ვარჩივე დუმილსა, ჯავრსა და ავ-პირობასა.
უწყოდით, სიგლახაკევე სჯობს უსჯულოდ სოფლის ჰყრობასა,
ავრევე კარგთ კაცთა მტერობა, ავთასა ავს მოყვერობასა.
და უყურეთ, ცრუსა სოფელსა და მისგან ჩემს მოპყრობასა!

723. ვაი სრულ ცუდად ყოფასა, ვაი სრულ შაირობასა!
ვა სოფლის ადრე გავლასა, ვაი დღეთ ავთ შესწრობ[ბ]ასა!

724. ვაი სიმდიდრეს უჯეროს, ვაი გრძლად ღარიბობასა!
ვა ავის მოყვრის ყოლასა, ვა სულა უმოყვრობასა!

725. ვაი ავს ბატონის ყოლას, ვაი სრულ უყოლობასა!
ვა კაცსა უმეგობროსა, ვა ცრუსა თანა ყოლასა!

726. ვაი დღე უზმად ყოფასა, ვაი ავს მასპინძლობასა!
ვა გულ-ფიცხელს და უწყალოს და მისსა უღმობლობასა!

727. კარგსავ დროსა სჯობს სიკვდილი ავთ დროთა შემოსწრებასა,
ომის დღისავ სჯობს შესწრება ცრუთ კაცთა ღბინთ შესწრებასა.

728. სჯობს მეგობართა ამათ კარგთ კაცთა შორით დანახვა,
სჯობს მავნებელის ხელისა მოკვეთა, არათ შენახვა.

729. ვინ ერთს ჩოხაშიდ ხვევია, სჯობს გასცეს ავად შენახვას; მაშ, რამე ეყოს მოჩხვეკთა, უბრალოთ უნჯთა მონახვას!

730. ცხელს მხეშიდ ვიჯდე რა მგამა, თუ კაცსა ვახლდე კეთილსა? ჩრდილში გვერდს უჯდე, რა უყო სიკეთის ფესვ-მოკვეთილსა?

731. დათმობავე სჯობს მარბიელთ უმსჯავროდ წინ წადგომასა, კლდეზედ წოლა სჯობს სამუდამოდ უსჯულოთ კვალთ წადგომასა.

732. თუ ცა ნეფხვიდეს ძლით რითმე, გაუძღებ მისსა ყინელსა. ძვილ დაეთმობა საქმესა საძრახის-მოსაყინელსა.

733. ლომთ საყოფელსა დაადგერ და ნუ სახლს მოლალისასა, თორ ვით განუძლო, გასმენდეს სიტყვას სრულ ვალალისასა?

734. კაცს შეაწუხებს გულისა სიტყვათა უთქმელობანი, მაგრა სჯობს ცრუს კაცს არ უთხრა, მიგჭირდეს ვით ობლობანი.

735. ვით კივი ოფლი დიდს სიტყვს დააცხრობს, გაანელებსა, აგრევე კირთა თქმა ბრძენთანა დაუხსნის მის სიძნელესა.

736. უადვილეა დაკვლევა ყინულზედ ბერის მელისა, ვიდრე მართლისა შეჩნევა მზაკერისა ენა-გრძელისა.

737. თუ ცოდვა მოძღვარს არ უთხრა, სხვით არათ მოინელება; სიტყვა სულთ საკურნებელი სათქველად ნუ გეძნელება.

738. შეუნანებლად ცოდვასა ვერავინ მოინელებსა; სანთლისა აუნთებლად განსდევნის ვინ-სიბნელებსა?

739. ბერო, თუ სოფელს ვერა სთმობ, კუნკულით რად იბერები? თუ რამ იცოდე, გვიბრძანე, თორ ცუდად ნუ იბერები.

740. ზღვაც დაწყნარდება ლელვისგან, ქარი რა აიძულებდეს, იქნება კა კი ასეთი ჩხუბს ვერათ მოიძულებდეს.

741. ჩარბთ ავად ბრუნვა სოფლისა კეთილად კვლა მოიქცევის, ენა-მპარტლავი მზაკვარი სულთ დგამადი მას შეექცევის.

742. ვაი წარმდებსა სიცრუევს, ვაი სიმართლის თობასა! ვაი ავს ცხენზედ ჯდომასა, ვაი სრულ ქვეითობასა?

743. ვეჭვ, მელექსენო, ლექსისას ვერ ბრძანებთ უგვარობასა, მის-მის ადგილთა სიტყვათა მუნასიბთ მოძვირობასა.

თუ არ დამლოცოთ, ნურც დამწყევთ, ჰრიდეთცა ავებრობასა, და ამიერიითგან ვდუმენი ლექსთა-თქმა-შაირობასა.

სულხეიძე ივანე ალექსანდრეს ძე

მეფეთა

1. ჩახრუხაძე ბრძენთ ვაბაძნეთ, მაგრამ სახელს გვიმალაესა,
იარება, შებრკოლება არ ეტყობა დრკუდ რამ სლვასა;
მაგრამ გვარი მოსაგვარი სახელს ვის გვდებს დასავალსა!
ღია ამკობს, ვით იაკობს, თამარს მაშრიყს-დასავალსა.

2. ვისმე ხევითა, საროს ხე ვითა,
უთქვამს ლექსები რტო-გარდაფენით.
ყვავილთ მრავალფერთ, ფერად შესაფერთ,
ვარდი უყრია ბაგეთ მოფენით.
ვინ ვაფრქვევთ ლალთა, ცუდებრ მოლალთა,
მისთა თქმულთანა გავიაფენით.
ქალნი თუ ყრმანი, არსად უხმარნი,
მჭევრად უქია ერნიც მეფენით.

3. ჩახრუხაული, ვით რეხეული,
ძეგლად უწესა თავისა ლექსსა.
სიტყვის სიმტკიცით, ვინცა ვინ ვიცით,
იგი მთიული უცხოდ რამ ლესსა.
ქვეყნის მპყრობელთა, სვეთ შემსწრობელთა,
ნარნარად აქებს მის დროს მოსულსა.
შაირთ მოჯრობით, ლექსთ დარაჯობით,
სწორად შეამკობს ფინიქს და ლელსა.

4. მო, ნახე, ვსურის, მონა ხევსურის
სიყვარულითა მის ხმით ვთქვი მეცა.
ვითა აჩრდილად, არ თუ სადილად,
გარნა იქნების დღესთან ლამეცა.
მე ქვე მეთრევესა, იგ ესრეთ მრევესა,
დაბალს იატაკს, თუ სთქვა, აღმეცა.
მოშაირენი, ბრძენ გონიერნი,
თურ გამოსულან ხევიდამ-ყე-ცა!

5. მოხიველისამ, ჩაბრუხელისამ,
 ლექსთა სიტყბომა ამიყოლია,
 მისებრ მთიული, სიბრძნით ღვთიული
 თამარის კიდე ვისმცა ჰყოლია?
 ან სხვას მდივანი, გულ-შემტკივანი,
 გინა შინაყმა კამყოლია?
 მაგრა რიტორთა, ვით რამ მარტოთა,
 დასჯის ლექსობა, ვინ მიჰყოლია.

6. ცუდად ვიარე, ვერ მოვიარე
 ჩემდა გუნებად ქვეყნის არენი.
 მე ნებიერმან, გონებიერმან,
 დია რამ ყოფა გავიმწარენი.
 უგულბელს ვყავ, რაც ხანი დავჰყავ,
 ყოველნი ჩემი მოსახმარენი.
 ვიმწირე ასე, ვითა მანასე,
 სხვათა დიდება მივაბარენი.

7. ხელვპყო, მცნობელო, დაუცთომელო,
 ქვეყნიერთ მეფეთ სახელდებულთა,
 ჩვენ წინ მოსულთა, აწ გარდასულთა,
 ახლად მზრახველთად დადუმებულთა,
 მხნედ და ძლიერთა, საძებნიერთა,
 ახოვნად, ქველად გმირებ გებულთა.
 ღრმად აღმოვიწყო, გარ შემოვიწყო
 ქება ღვთის მიერ დაბადებულთა.

8. ბრძენი ენა-გრძლად შესმენა უხამს მეფეთ მაქებართა,
 ვინ პატრონობს ვრცელს ქვეყანას, მის შორისთა მთა და ბართა,
 ვითარ იპყრობს ერთ სიმრავლეს მოურავი ვით მღებართა.
 მივაჩემოთ შემოქმედსა ჩვენი საქმე მის მიერთა.

9. პირველად იწყეს, ვინ დაივიწყეს,
 მეფობის პყრობა ჰერპთა მგებელთა;
 ღმერთს არ იცნობდეს, რით და იცოდეს,
 ვერ გულისხმავეს ღვთის აგებულთა.
 არ იცნეს ერთი, ყოველთა ღმერთი,
 ვინ მართებს მისვე გარიგებულთა.
 არ აღიხილეს, ვერცლა იხილეს
 ეშმაკის მიერ დარიგებულთა,

10. იყენეს მრავალნი, ძვირად სავალნი,
წარმართ მეფენი საქმით კეთილნი.
არა ხელია, კარგ სახელია,
კაც სრულებისა მხნედ შეკვეთილნი,
სიტყვა-უქმისა, პირ-შეუთქმისა
ჰქონდა ძირითურთ აღმოკვეთილნი.
ავი ეს სჭირდათ, არას შესჭირდათ,
რა ღვთისა იყენენ გარდაკეთილნი.

11. მათ უსახურთა, კერპთა მსახურთა,
საქმენი ქმნიან მართლმორწმუნეთა.
არც აფუცებდეს, ნუთუ ფუცევდეს
ვით მართებს ყოვლთა ღვთის მოსურნეთა?
განიკრძალოდეს, არვის მძღაერობდეს,
შეიკრებდიან ყოვლთ კეთილთ ზნეთა.
შდაბლის გულითა, საქმით სრულითა
ხმარობდეს მათსა გმირებრ სიმხნეთა.

12. მაკიდონელმა, არ ამ დონელმა,
ქვეყნისა იპყრა ვრცელნი კიდენი.
რაც მან დაიპყრა, ან ვინც შეიპყრა,
ძნელია ლექსად თქმაღა იმდენი,
ვინ დასცა ღია, ვითა მადია,
კვლავ ინდოთ მეფე, სხვანი რამდენი!
მხნედ ახოვანად, თვით სახოვანად
ყვნა გოლიათნი სისხლთ რულ მიმდენი.

13. ა მანდ არია, ამან დარია
დასცა, დაჰკვეთა, მძლედ რამ დარია.
მო ის არია, მოისარია,
უცთური რამე, ქამანდარია.
არ თუ საპყრობით, ქვეყნისა პყრობით,
სხვაღა მისთანა არსად არია.
მან ჰკუა ჰცევა, ქვეყნის შექცევა,
ვირ ცოცხალ იყო, არსად არია.

14. რაბამ იარა, ვერ მოიარა
სიმრგვლე ქვეყნისა ვერც ნათალი.
მე უდიადე, შენ მოდი, ადე,
თუ არ გესმოდეს ჩემი ქართული.
წარხდა საზღვარსა, მრავალთ სისხლთ ღვარსა,
უგულეებელსყო ღვთის სამართალი.
სჯობს ზომიერი, მორჩილი ერი,
საქმე თუ გინდა, ეს ა მართალი.

15. ვთქვალა რა ვანით, ნუ შირავანით,
მეფეთა შესხმა მუნ დატკებისა.
მის სიმართლისა, ქმნა სამართლისა,
მოწყალების და სიმდაბლებისა,
კვლა სიუხვისა მის ურიცხვისა,
ვისგანც მასმია მოამბებისა.
მის საქებარად, მთად და ქვე ბარად,
მგონი ქვის გულიც მყის მოლბებისა.

16. იმათ არ ესა, იმათ არესა
საძრახის საქმე არ ემყოფოდა.
ამად იქმოდეს, არ დაინოქმოდეს,
მოშურნეთ პირი დაეყოფოდა.
მათი ქონება ვით აქონება,
ყოვლთ სახელისად დაეყოფოდა.
რას მიიწყევდეს, სხვათ მიუწყევდეს,
ვით მცხველი წვიმა მათც ეყოფოდა.

17. აჰა, იწყება, აღმოიწყება
ღვთისმსახურთ მეფეთ ქებულებანი,
მადიდებელთა, სჯულისმდებელთა,
მათ, ვინ ყვეს ღვთისა მიახლებანი.
არ აბო მონის, არა ბომონის,
ვინ ტაძართ უწყეს განახლებანი,—
მალლად მეტყველთა, გამომეტყველთა,
მათთა შემსხმელთა მივახლე ბანი.

18. რა დავით ა ვთქვა, რა და ვითა ვთქვა,
თუ ღირს ქებისად ენა შემწევდეს.
არ ვეძებ სხვასა, შევმართ რისხვასა,
გონების სივრცე თუ მიმაწევდეს.
მისდა საქებრად რიტორთაებრად
გვერდს მოუჯდები, ვინ დამიწევდეს.
სადათ ვიარე, ეს აღვიარე,
ფიცი ქებისა არ ვეჭვ მიწევდეს.

19. ემღერდა ლომსა, ვითა თიკანსა,
ბრანგთა მძვინვარეთ, ვითა ბატკანსა:
კბილთ აღმოფხვრიდა, სულად მოსრვიდა,
შოლტად იხევდა იმათსა კანსა.
მან გოლიათი, ვით გოლი ათი,
დასცა სიყრმესა, შოებს დრაკანსა.
თავს განაშორებს, ერს მოაშორებს
ყვედრებას მისსა, არ სვამს საკანსა.

20. არსად ავითა, არსა დავითა
 არვისგან ითქმის მისი ხსენება.
 მისი სიმშვიდე; ბევრთ დასამშვიდე,
 ყოველთა კარგა მოგეხსენება.
 რე მისი ქება, არ განქიქება,
 სათქმელად სხვათდა არ მომეხსენება,
 მაგრამ ვით უძლოს, ან სად გაუძლოს
 ენამ, სადათ სად გაიხსენება.

21. სოლომონს ხოტბა, არ ეყოს ხო ტბა,
 თუ არ უფსკრული აღმოიწყოდეს.
 მისთა ქმნულებთა, გამოთქმულებთა
 ახლად სხვა ბრძენი ველარ იტყოდეს.
 მისის ენითა, ბრძენთ სასმენითა,
 ყოვლი ქვეყანა მცხვედად ირწყოდეს.
 მეცნიერება, ბედნიერება
 მას მიენიჭოს, ვინ შეიტყობდეს.

22. მოი გონება, მოიგო ნება
 მისმა სიბრძნემა დიდებულება.
 არ გარდაურჩა, არ გარ დაურჩა
 მეუწებელნი მტრიოურ[თ] სულება.
 მოიგონების, შეიგონების
 მისთა იგავთა არ დასულება.
 ვით დღესაც იყოს, პირი დაიყოს,
 ვინცა თქვას მისი გარდასრულება.

23. სიბრძნე, სიმდიდრე შენ დაიმკვიდრე,
 კვლაცა მშვიდობა უფროს ყოვლისა.
 ცათა სიფრც.ნი გამოიციენი,
 კინკლოსსა მისსა მზე ვით მოვლისა.
 იგ აენი შენნი, იგაენი შენნი
 მათათა და ბართა მოითოვლისა,
 მოხარკეთ შენთა, ქვეყანათ შენთა,
 რიცხვი ვინმცა თქო შემოსავლისა?

24. განა ოსია? დიდ ოსია
 მეფეთა შორის უმეტესადა,
 პირველისა და შემდგომისა და
 სიმართლითა და სიმშვიდისადა.
 მისებრი სხვადა ვერ შეიბადა,
 ვერც ვინ აღყვანა, ვინ მეთქვა სადა.
 დარჩა სახელი, სხვათა სამხელი,
 უკუნისაძღე დიდებისადა.

25. ღვთისა მცნობელნი მისივ მგმობელნი
 ვით შეიქმნიან, ჰო, საკვირველი!
 ცათა მპყრობელი, შეუფლობელი,
 ვითარ უარყვეს ღმერთი ცხოველი?
 თვით დაუარსი, არსთა მაარსი,
 უგულვებელსყვეს, ვინ არს რომელი.
 მათივე ქმნილი, ხელით შექმნილი
 ღვთად აღიარეს ნივთი ყოველი.

26. არა, შენ ვირსა, რად არ გიკვირსა
 ღვთის მცნობელთ კაცთა კერპთ უზორესა?
 იწყეს ოცნება, უარყვეს მცნება,
 სჯული მოსესი განიშორესა;
 ბებლთა ქურუმთა, ვითა ურუმთა,
 საძაგელებით მოაღორესა;
 ავად არებით, ავადა რებით
 სურნელთა წილად ჩასხდენ მწვირესა.

27. იერობამის, ბილწთ შეპყრობა მის,
 სახედ დაედვა ყოვლს ავის მქნელსა,
 მან ის რა ელნი, მან ისრაელნი
 ნათლისა წილად შთაყარნა ბნელსა.
 ვინმცა იტყოდეს, გამოიტყოდეს,
 მისსა ნაქნარსა სათქმელად ძნელსა?
 ვინ ისი შობა, ეთქმის ბუშობა,
 ცეცხლი მოედვა მისსა შემქნელსა!

28. რა ქნა მან ასე, გმო რა მანასე,
 ყოვლისმპყრობლის წილ კერპსა არ უგო.
 ყოვლის ბიწითა, სულთ სიბილწითა,
 თავი იწოდა სულ-სააუგო.
 კვლავ სინანული, ბრძენთაგან ქმნული
 მხურვლის გულითა სულსა მოუგო,
 მით შეინანა, ვითა მანანა,
 ცოდვილთ სანუკვრად წინა დაუგო.

29. აგ არაკი, აგარაკი ვერ მოიგო სარას სწორად,
 იგ ავია, იგავია, ვერვინა თქვას ლუთქვამსო რადა.
 ისაკ იძო, ის გაიძო, ნათესავი იქმნა ორად.
 აიძულოს, მოიძულოს ბრძემან ავი მისგან შორად.

30. დიდს კოსტანტინეს ნუ დავივიწყებთ,
მეფედ მთიებად დამტკიცებულსა.
ელინობასაც, კერპთ მონებასაც,
ყოელის სიკეთით დიდად ქებულსა;
სულის მობერვით განახლებულსა,
ცათა მწვერვალთა დადგინებულსა.
ამას პატივსცემ და თაყვანისცემ,
თავთ მოციქულებრ განათლებულსა.

31. რომი არო სა, რომი აროსა
მართლმადიდებლად არ იყოფოდა.
ღვთაება მათი, არად სამათი,
მრავალ სახებად განიყოფოდა.
ბილწნი ბილწებას, სულთა ლირწებას,
იმათ გამოის შეეყოფოდა.
მართლმორწმუნეთა ეს ირწმუნეთა,
ეს იყო იქი და იყოფოდა.

32. მოღალა დია, მოღალადია,
დიდმა სავლემა სიბრძნე დიდითა,
ყოელი კიდენი, გამომკიდენი
ღმერთ უცნაურთა, თარშეთ-მიდითა,
სიტყვის გებითა, გამოგებითა,
ცნობა სამების სულამინდითა.
თუ არ მიჯერებთ, იქ დაიჯერებთ,
კათოლიკენი სად ძე, მიდითა.

33. შენდა ინებე, შენ დაინებე
ქრისტეს სჯულისა მტკიცედ პურობითა,
საჩინო დია, ვინ გამოსჩნდია
მძლეველი მტერთა ჯვართ-აპურობითა.
მნათობად დიდად, არ ახლდი ბინდად,
მეფეთ ქცევასა ერთპირობითა;
არა იტრელე, ისანატრელე
მოციქულთ სწორად მადლთ-შესწრობითა.

34. ისავლებდი, ვინ ავლებდი ზღუდეს მტკიცეს ქრისტეს სჯულსაც,
საოცართა უმეცართა აცნობებდი მართლმსაჯულსაც;
შეუმღვრევედი, დაურღვევედი ურწმუნოთა ლიქნთ ბურჯულსაც,
ურიცხვთ ერთა, მრავალთ ბევრთა იმონებდი ვეჭვ კლარჯულსაც.

35. გულად ტალია, სულ იტალია
 შენ დაიმწესენი და განანათლე.
 მოჰკვეთე ცულით, ნათელს ეც სულით,
 შურწმუნოთ ძირი სულა მონათლე.
 წყვილიადად ქპნილთა, ეშმაკ შექმნილთა,
 მეფეთ შარვანდი ლამპარ-ესანთლე.
 მრავალი კიდე, ტვირთ მონაკიდე,
 უმეტრებითა მყის განამართლე.

36. ივბიმიანე მხედრად იამნე
 ივლიანესა თანამზრახველად,
 სცან მისი სიბრძნე, შენცა ისიბრძნე,
 რა საქმის იქმნა თვით დამსახველად.
 განდგა მის თანა სხვა არ მისთანა,
 სპარსთა საზღვარსა ახარა ველად.
 ვერავეინ იცანთ, ვერც გამოიცანთ
 მისის ცხოვრების მოუნახველად.

37. შენ, ივლიანე, გარდივლიანე,
 მორწმუნე ხარ და კერპს თაყვანისცემ,
 მართლმადიდებელთ, გასადიდებელთ,
 სტანჯავ უწყალოდ და მხეტთა მისცემ,
 კერპთა საგებლად, ბომონთ საგებლად,
 იქადაგებ და საყვირსა დასცემ.
 ქვეყანათ შენთა, მეგობართ შენთა
 მოსვრა-მოწყვეტად ბრძანებას გასცემ.

38. არე, უარე, ვერ დაუარე
 ამის სიბრძნესა კარის კარისად.
 ვითარ ინება, ან დაინება
 მძვინვარე მხეცი ცოცხლივ მკედარისად.
 ბნელი და მქნელი სულ ბოროტისა
 იმან მაზნედა იცისკარისად.
 ვსცნათ საქმით მათით, ჩალმართ-აღმართით,
 სადა ესაა, სად ის არისა?

39. როს ივლიანე, ვითა იანე,
 ბრძანებდა ტანჯვას მორწმუნეთასა,
 მიე ნებისა, და ენებისა,
 გარნა სინჯევედა ძალსა მხნეთასა:
 ვინ შეუძლებდა, ან ვერ უძლებდა,
 ის განარჩევედა ქრისტეს მნეთასა;
 იგ შემწე ეყვის, ვისცა არ ეყვის,
 ვითა მკურნალი ძნელთა სენთასა.

40. ვირ მდებრი იყვის და ვერ დაიყვის
 სატანჯველთ ნიში უსუსურებით,—
 გარნა სუროდათ, თუ სთქვა, სწყუროდათ
 თავთა წარკვეთა ბევრის-ბევრებით,—
 მათდა ურჩევდა, გამოურჩევდა
 უტანჯველს სიკვდილს სულ მათის კრებით.
 ჩვენ უმეცარნი, ვითა მეცარნი,
 ამაოდ მქცევნი ვერ მისებრ ვშვრებით.

41. სხვანი მოზარე სიკვდილისაცა
 ვინცა იცოდა, ამას ეტყოდა:
 მო, დააცადე, მით გამოსცადე,
 საქმენი მათი ვირ შეიტყო, და;
 ნუ სტანჯავ მწარედ, სხვათა უარედ,
 ასე სჯობს, მეფევე, რომ დაიტყო, და!
 იგიც უსშენდა, ვის სქვრეტდა მხნედა,
 ივბიმიანეს რასაც ეტყოდა.

42. რომელთ ხედვიდა, გამოსახვიდა,
 ხორცი მიაჩნდათ ვითა თიხადა;
 ვინა იდგიან, არ განუღვიან
 მტკიცედ ფესვ-გართხმით სარო-მუხადა.
 ეტყოდა: ტანჯვას ნუ რიდებ, გარჯას,
 ნუ დააცადებ, ნუცა უხან და,
 პირად პირადთა სატანჯველებთა
 თავს იღებდიან არად მწუხარ, და.

43. იგი ბორბოტი, სატანას როტი,
 მუნვე სპარსეთსა მოისრა ისრით.
 ის განდგომილი, თვალ-დადგომილი,
 ყველას გასმია, თუ მოკვდა ის რით.
 უხილავითა, იხილა ვითა
 ტყორცნით ძლიერით დიდ მერკურისით,
 შთავარდა ბნელსა, ქვე გარესკენლსა,
 მისებრი სისხლით ნულარვინ ვისვრით.

44. განატრე დია, განა ტრედია,
 ყორანი შენთა მძორთა ჭამებდად,
 შენთა საქმეთა, არ შესაქმეთა,
 საწყაულისა მყისცა მოგებდად,
 უჩინოს რისხვით, ღვთისა შერისხვით
 შენებრ უგბილთა ვერ შესაგებდად.
 თუცა ინანდე, ვერ შეინანდე,
 ვერცა შეუძლო კულად დაგებდად.

45. ივბიმიანე, ივარდ იანე,
მეფობის სკიპტრა იპყარ ხელადა,
სასწაულითა მოწეულითა
დაიდგ გვირგვინი, არა ხელადა.
ჯვარისა მიერ გარდმოცემითა
შენებრ მორწმუნეთ, სხვათ სამხელადა,
სუფევედი კეთილ, წმინდათ შეკეთილ,
დაგრჩა სიკვდილიც კარგ სახელადა.

46. მო სადა ვითა, მე სადავითა
მეფენი ვთქვადა ჩვენ გვარეულნი:
სახელოვანნი, კვლავ გულოვანნი,
ავ საქმეშიდა არ გარეულნი,
მკვიდრნი მრავალხნის, ვინმეა ვინ ნახის
ქვეყანა მათი მათგან ეულნი?
პირი შევითქვა, ორი-სამი ვთქვა,
თუცა ზეობდენ სხვაც ბევრეულნი.

47. აღმშენებელო, დამშენებელო
სულ საქართველოს ობრის შენადა.
გმირებ რებითა, შენს საზღვრებითა
ხელი განგეპყრა მტერთა შენადა.
დავით, დავითის ძედ წოდებულო,
სოლომონ გიძმოს თვის ტომ შენა და.
მეფედ ხმობილო, ბრძენთ შეხმობილო,
დიდის ქებისა მოსაშენადა.

48. შენი სადარი შენი სად არი?
ქვეყანაზედა არ იპოოსა!
მტერი რა ვის ჰყვეს, იმას თუ მიჰყვეს,
შენებრ ხამს კაცმა შეიპოოსა.
ობერი შენად, სულ ასაშენად
მცირე ჟამ აგრე მოაშენოსა.
ღვთის მიდევნებით, თავს იღვე ნებით
შრომა მრავალი კლარჯეთ-ტაოსა.

49. შენა მარტოსა, შენ ამარტოსა,
გამსგავსებ დავითს თვით დავით მშვიდსა.
სულის წმინდისა, ვით მოგინდისა,
აღასრულებდი საქმესა შვიდსა.
ა რეულისა, არ ეულისა,
მამულთა შენთა ყვინ დასამშვიდსა.
[მტერთ] განაძებდი, მკვიდრთ მოიძებდი,
თურქთა, წარმართთა, სპარსთა და მიდსა.

50. ეჰა, გიორგი, სიკეთე მორგი
 შენს ქვეყანასა მკვიდრ, არ ეულსა:
 შენ შენს მებრძოლთა, მყვირვალე ლომთა,
 მარადის სძლევდი ბევრ ასეულსა;
 წინ უდგებოდი, აღუდგებოდი
 უმძლავრეს შენდა გამოსეულსა.
 სჯულისმდებლობით, შემამკობლობით
 საქმესა ჰყოფდი მას მოსეულსა.

51. შენი სამ არი, შენი სამარი
 სანატრელია, რა მიგაბარა,
 ხორციით უმანკო, სულით სპეტაკო,
 შენ მწიკლოვნება ვინ დაგაბარა?
 ქცევა-ზნე სრული, ზემთ კეისრული,
 უმეტესი ვთქვა ქება აბა რა?!
 შენებრი არეინ, ითქვა არაეინ,
 ქვეყანა კაცით რა დაიბარა.

52. იცის კარების, იცისკარების
 ცათა ანაქესთა მომგრგველობანი.
 ისამოთხისა, ვთქვა სამ-ოთხისა,
 უწყის ედემის ნერგთ მრგველობანი.
 ატატიკებრთა, ღრამატიკებთა,
 ადვილი ადრე მთარგმნელობანი,
 მაცთურებანი, ავ ხმაებანი
 სატანასი, თუ რა გველობანი.

53. მე თამარისა, ღმერთ ამარისა,
 სხვადა ვთქვენ ქება ვერ კმასაყოფი;
 იგი კმავიყოთ, ვიდრემდის ვიყოთ,
 ვიქმნეთ უფროსის პირთა დამყოფი.
 არვის ჰყოლია, გინ სა ყოლია,
 ადამის ტომსა მისებრ ნაყოფი?
 სხვათ თანა მკვიდრად, თვით დასამკვიდრად
 იძიაჲფრიად მართალთ-სამყოფი.

54. მეფეთა შორის მთიებო, დიდო დიდებავ დედათა,
 სულით ხორცამდე ბრწყინვალევე, წარჩინებულო შვებათა,
 სიწმინდით, ქვეყნის მფლობლობით ვინა შესხმა თქვას ქებათა,
 ფუფუნეულო სამოთხეს, განშორებულო ვენებათა.

55. აქა წინწილად, ვირგო წინ წილად,
 ვინანი, ვნახე მე ჩემსა დროსა.
 ტახტოსნობითა მათებრობითა
 ამათთან სხვამ ვინ დაისაყდროსა?
 ერთი შფოთშია, მეორე[ს] შია
 მშვიდობის დროსა, ქამსა მყუდროსა.
 პირველი სიყრმეს, მეორე სიღრმეს,
 მხცოვანებისას ვეჰვე შემსუდროსა.

56. ვნახე შაჰ-აბას, მას ვინ შეაბას
 მოყვასი მისი ზნე სრულობითა?
 ღერად რამ უცხო, მას რა შეუცხო
 ხოტბის შესხმანი სურნელობითა!
 ვინცა მას ეპყრა, ვისმცა მიეპყრა
 უპატიოდა თვითმპყრობლობითა?
 დია უხამსო, არ თუ უხამსო,
 ქება რამ დიდი ხმა-მკობლობითა.

57. გარეობითა, გარეობითა
 სპარსეთი ეპყრა დამშვიდებულად.
 მას სამართალი, ვითა ფართალი,
 ჰწორებით ჰქონდის ყოველთ დიდებულად.
 მისი მოყმენი არ ყვეს მომყმენი,
 ტკბილთა აღერსთა გარ მიგდებულად.
 მე მისი მსგავსი ვერსად ვიმსგავსი,
 ეგეთი იყო ზრო-აგებულად.

58. ამ სოფლის შვება, ვის ეშოება
 სწორი იმისი ყოვლისა ზნითა?
 მიკვირს რამ დია, მე აქამდია
 სხვა ვერვინ ვნახე მისებრ სიმზნითა,
 გინა თუ მჯდომი, ანუ თუ მდგომი,
 სიტყვით საქმემდი ბრძენებრ დამზნითა;
 მხედრობა სრული, თვით კეისრული
 სახელმწიფოსა საქმეთა ქმნითა.

59. მე ვინცა ვნახე კაცი ჩემ დროსი,
 არვინ მინახავ მისებრ აროსა.
 ნუვინ იჩემებს ზესთაობასა,
 მისი სწორება სჯობს იკმაროსა!
 სამსოფლიო [და] სამეფო წესი
 სხვამ ისე ველარ მოიხმაროსა,
 ვინცა იცნობდეს მას ჩემებურად,
 ხოტბა ვერავინ გამიკმაროსა.

60. ვაი მას დღესა, მე რომ მედღესა,
 მასთან გაგზავნა ჩემდა გზა ძნელსა!
 ნათლისა წილად უფროს ას წილად
 უმეცრებითა ჩავიჭერ ბნელსა.
 რა მიხამს, რა ვთქვა, ანუ რა ავთქვა,
 მე მშობელთაგან არ-შესაქნელსა!
 ვეძიებ ლხენას, ვით წყალსა ხე ნას,
 ვერა ვაწევივარ ჩემს საძებნელსა.

61. ჩემებრ ვინანი, სადა ვინანი
 ჩემთა მაშინდელთ სჯულთ გარდასვლასა?
 რად მოვილორე, ვერ დავიღვარე
 სისხლი ქრისტესთვის, ვა ჩემს სწავლასა!
 ოდიდგან ვიქმენ, ვისგან შევიქმენ,
 მოშიშ აჰ სღულის ურცხვად მოსვლასა.
 მოველი სულა, ვინ დამასულა,
 ქვე უფსკრულამდი მიწყი შთასვლასა.

62. თვით პეტრე ცარი, ვნახე რაც არი,
 დიდის რუსეთის მტკიცედ მპყრობელი.
 სიყრმესა შინა ვიახელ შინა
 მაღალი მდაბალთ ხელთ-ამპყრობელი,
 თვისთა სალდათთა როქიკთა მათთა
 ყოვლის ჟამისად მთლად მიმპყრობელი.
 მცემს რასმ იმედსა, სიტკბოთ ი მედსა,
 იქნებამც მრავალთ კარგ შემსწრობელი.

63. აზისი ტანი, სხვათ ნამეტანი,
 რა გაიცადო, გმირებ გებულად,
 აგრევე ქცევა, თუ გარდაქცევა,
 ვინ ნახოთ, თქვათ სამ ხელთა ხლებულად.
 მე არიარედ, მე არიარედ
 ვთქვა რამ ნაწილი მისი ქებულად.
 ქება-დიდება არ მერიდება,
 ყოვლთა გიჩვენო წარჩინებულად.

64. საროს გაეს ტანად, შემოსატანად
 უნდა სხვათ მზღვარი თვისის არისად.
 სძლია და წარუხენა, კარი განუხენა
 ზღვათა და ხმელთა კმა საკმარისად.
 ა ზავი ამან, აზავი ამან
 მისტაცა ხონთქარს გზად სახმარისად.
 მუნითგან თრთიან, ვერ შემართიან
 ამის სიმზნისა და სისამზრისად.

65. ვისცა იტყვიან, მართ დაუტყვიან,
მეფის წილ კორლად სახელდებულად,
ვინა სვეთია, სიტყვით მკვეთია,
კნინლა და მიაჩნს განქიქებულად.
მოწყლა ვით ისრით, განაძო ი სრით,
სხვათა არესა მართ აგდებულად.
ციხენი მისნი ზღვათ აქათისნი,
ყველა ხელთ იღვა სულ აგებულად.

66. ფარად სახმარად, აქე მოსახმარად
მას თავი თვისი სამარადისოდ.
ვთქვა მხნეობითა, თუ ზნეობითა
მგონია კმარა^ა ნავესძედ ისოდ.
საზარლად მტერთა, მსგავსია შტერთა,
ექმებინ დასაბაქისოდ,
მეგობართ თვისთა, არა სხვათ ვისთა
მოალერსეა, არ პირ-მომქისოდ.

67. ჩემსა რგებასა, გარიგებასა
ბრძანებს, მე საღლა შევესწრებია?
სხვაცა მასმია, ვით ამას მია,
უგბილთა სიტყვა გარეწრებია.
სთველი გაზაფხულს, ზამთარი ზაფხულს,
მიბძანოს ვინმე, როს შესწრებია?
ასეთს დროს შევხვდი, ველარვის გავხვდი,
ყოფა ამისთვის დამწარებია.

68. მიამის ხლება, მე ამის ხლება,
ოდეს ვისერი წინამდებარე.
რასაც მეტყოდა, ვით შემეტყოდა,
მტერთა ცეცხლებრი მყის მომდებარე.
გვიანობს საქმე, ვითა შესაქმე,
წინ გვიძე გარე მოსადებარე.
რალას შევესწრა, ან თუ დავესწრა
სიქაბუკისა, ქვე დამდებარე?

69. არსადა გებდა, საღაც აგებდა
ლიტონად ციხეთ მომზლუდებარე,
ადვილად რეა, ვინ მოსაყდრეა,
მეფეთა ტახტსა ზედა მგებარე.
განუწესებდა, დაუწესებდა
სახელსა თვისსა განმლაღებარე.
ართუ წარმართის, მყის წარიმართის
ყოველი საქმე წინამდებარე.

70. გონიერი, მეცნიერი, ბედნიერი, კადნიერი,
 შვენიერი, ნივთიერი, არ-მცბიერი, სახნიერი,
 მქონიერი, ცნობიერი, მძნობიერი, მგრძნობიერი.
 ამლონი ერი, ამ-ქვეყნიერი,
 მონებრი არბ გამგონიერი.

71. მე საამისო, მე საამისო
 ვერ ვპოვე ქება შესწორებულად,
 თუ დასხდენ ბრძენნი, სიბრძნეთა მნენი,
 შესხმად ამისდა ერთად კრებულად,
 მათც გაუძნელდეს, გზა დაუბნელდეს
 ღირსად ქებისად ვერ შოებულად;
 თუ რასმე გასწვდენ, მხეტთაებრ მისწვდენ,
 ნასამალს რასა იქმენ შვებულად?

72. აქ ეს ვიკმაროთ, სხვაგან ვიხმაროთ
 სამხილებელი კარგ-აგებისა,
 სიბრძნით სრულისა, მის მისრულისა
 ერთმანერთისა მოდავებისა;
 რომელი სადა, რომელისადა
 ხმარება მათის სადავებისა.
 შორი-შორ არი, ყოვლთა სახმარი,
 ხმა განცხრომისა და გოდებისა.

73. ცუდთა ქებასა, კარგთ ბაქებასა
 ყოვლთა არა აქვ ადგილ თქმისადა.
 რასაც იქმოდეს, თუცა ითქმოდეს,
 სულა შერებოდეს თავთ დანთქმისადა;
 ენა მოერთოთ, მისთვის წაერთოთ
 სალაპარაკოდ სულ უქმისადა,
 სიცრუისადა, ტყუილისადა,
 პირი აელოთ მათ ღიქნისადა.

74. ვიეთთა ხელყვეს, ცუდს საქმეს მიჰყვეს,
 რჩეულთ მეფეთა არად საქნარსა:
 იმღერდეს ცოფად, ცოდვილთ საყოფად,
 საგოიბელად ებანსა, ქნარსა;
 ვერ ანათობდეს, ავად შფოთობდეს,
 მიბაძეს დათანს მიწად დამთქნარსა,
 ცოფად ისრბოლეს, ცეცხლი იბოლეს,
 არსად შეგვიდეს მდინარე მთქნარსა.

75. ვითა იწადა, იქმნა მიწადა
 ბრწყინვალე სარო ქვეყნის საჩრდილი.
 იბინდიადრა, რათა იკადრა,
 შეიქმნა სადათ მწუხრი სადილი.
 კაი უარყო, მიძინს რად რა ყო,
 რით აღირჩია ცუდი წადილი?
 დამტკიცებულა, არ ბიცებულა,
 მყის განქარდება ზვაფი ქადილი.

76. რათა ურია, ვითა ურია,
 ქრისტიანეთა ქცევა და ყოფა?
 ვითამც ესია, უამესია
 მართლმორწმუნეთა სულა განყოფა?
 რად მოინდომა, ვითა ინდომა,
 ნათლადმეტყველთა პირთა დაყოფა?
 ვისგან ირჩია, ან აღირჩია,
 წმინდათ საწოლთ წილ ბილწთა შეყოფა?

77. ვერ მოსეს ხემა, ვით მოსესხემა
 ნიში ზიჩვენოს სასწაულისა.
 აგრევ უშეერთა, რას მიუშეერთა,
 გემო ვერ ნახონ ბროწეულისა!
 მართ სხეაცა ვინმე, რა ვნახე ვინ მე,
 სამეფოზედა აღწეულისა?
 ვინც სულ თავს აქნევს, ბძანოს: რას აქნევს? —
 მოზერის ყოფაა სამწლეულისა!

78. ვინცა შემოსა, მასცა ემოსა
 ყოველთა კაცთა კეთილი ქცევა.
 უშეერი დია გასარიდია
 ბრძენთა თვალთა წინ ცუდი შექცევა.
 სადაურია, უგემურია
 მცივანთა კაცთა ცივთ წყალთ შექცევა.
 ვინ შერები ასე, ნუ გაიასე,
 შენ კარგა მყავხარ, გიჯობს მოქცევა!

79. რა არია, გარდარია ძის სწორება, მამის არო,
 მისი მცნება, შემეცნება კარგა ვერვინ მოიხმარო.
 ვლიდეს გზასა არა მზასა, ვერ ნათელსა მიეკარო.
 კაცი თუ სკოტეს ბოროტისდა, უმჯობეა ის იქმარო.

80. ვით დიდარია, ეგზომ არია
 ბრწყინვალე წესი, ბინდი ადე რა.
 რა იყოს ცოდვა, გინა თუ მკოდვა,
 სხვა კიდე ამის უღიადე რა?
 წერალთ წერაში, სადამე რაში
 მგონია თავი ვერ იადრეა?
 ვთქუ და გამოვთქუ, რაცალა ავთქუ,
 არა ცუდადრე დავიქადე რა!

81. სულ იქ არისა, სული ქარისა
 პირუტყვისაა, არად ამისა:
 იყო და იყოს ეს განწესება
 ჩვენს წინანდელთა სულ აქამდისა.
 მშვიდნიერისა, ვინ აღწერისა,
 სადათ შემოხდა, რად აამისა?
 ავი რამ თვისი, არ შესათვისი,
 თავისი სხვასა ვის დაამისა?

82. ბრძენთ აღუჩნდება, გამოუჩნდება
 შიშელის გულითა ვითა ხელია.
 ცუდ რამე შერება, არ დაუშერება
 მასთან ყოველი სულ სახელია.
 უშვერი ყოფა, უშ ვერ იყოფა,
 სულად აღალო სულსა ხელია.
 არვისგან ითქმის, თორე დაინთქმის,
 ვინ ერდგული ჰყავ, მართ სახელია.

83. იმათ აუგებს მალალს აუკებს
 კიცხვის გოდოლსა, ბრძენი ვინ იყოს;
 უარ და უარ, ვერ შემოუარ,
 ასე ქვეყანა ვინმ(ა) იბრიყოს?
 თუცა შემეძლოს, გულიც შემეძლოს,
 მეცა ვიტყოდე რაცა კმა იყოს.
 ავთ მაქებარმა, კარგთა მგმობარმა
 უკუნისამდე პირი დაიყოს.

84. ავს ავი აროს, ავსავ იაროს,
 თუ არ მოიქცეს, განეშოროსა.
 იწვრთიდეს ცილსა, ბრძენთ სასაცილსა,
 ზედ დაურთევდეს სულ «აშოროსა».
 ვინ ამხილებდეს, ვერ იხილებდეს,
 მან მისი სული სულ აშოროსა;
 პირს არ შეიღვას, თავსაც გაიდვას,
 ვინ გინდა სიტყვა დაუშოროსა.

85. კაცთა ყოველთა, ვითა ცხოველთა,
სხვადასხვა უნდა ქცევა და ყოფა.
აგრევე შეფეთა მოიაფეთა
პატივისა და რისხვის განყოფა.
შემასმენელთა, არ სასმენელთა,
განხმა უფროსლა, პირთა დაყოფა.
ცულად რებისად, ანგარებისად
ხელი იმათი არ მიეყოფა.

86. ტირილსა ბრგენილსა, მძლავრთაგან კმნილსა,
ობოლთას არვინ დაუდუმებთა.
ქვრივთა სახლებთა ხელთ შეახლებთა,
უპოხთაც შესჯამთ ვითა ღუმებთა.
გლებთა მიმძლავრებთ, ვერ გაიმრავლებთ
მონახოქს მათსა, ვის აამებთა?
გლახაკთ არ უსშენთ, მსგავსად მათ უსშენთ
სიტყვისა თქმადცა დაადუმებთა.

87. ლექსით მწირითა, სიტყვა-მცირითა
შეფენი ითქვენს არა-მცირენიც,
ბრძენნი და ხელნი, პირად სამხელნი,
უბედურნი და სვე-ბედნიერნიც.
ვისცა აქებდენ, ან აძაგებდენ
შეცნიერებით პირველ დამწერნიც,
მიითვალეთცა, განიცადეთცა
მათზე ნათქვამნი ჩემაგეირნიც.

88. ჰოი ჩემს სვესა, სად გარდამსვესა,
შე სადაური სადათ არესა!
ზნელსა ჩამსვესა, სისხლი მომსვესა,
მგონია, ესეც არ მაკმარესა.
მათი ნაქნარი, ავად საქნარი,
სულა მე ღია დამაბარესა,
სიცოცხლე ჩემი, არ ასაჩემი,
რომ მხედავთ, ასე დამამწარესა.

89. მე ტიტა-პიტნა და პური სიტნა
უფროს ვირჩივე ცრუთა საზრდელსა.
სიტკობო დამწარდა, მექმნა ბაწრადა
სადეჰლად, სულა არ-გასაზრდელსა.
სულთა განყოფას, ჩემს ასე ყოფას
ადვირჩევ გემოდ ველისა ყრდელსა;
ვიყავ მხედარი, კარგ სახედარი,
აწ, ვეჰობ, შევგავ კაცს არადელსა.

90. ღმერთო ძლიერო, გულთ მეცნიერო,
 მომხედ წყალობით შენ-მიერთა!
 ვიდრე მიტევებ, არ მომიტევებ,
 სრულიად განმლევ ეშმაკთ მღერითა;
 არ მოიხილავე, ვის შენ მიხილავე
 მცირეს ცრემლითა, ვერ სიმღერითა.
 საარებული, უცებ რებული,
 თავს განვიკურნებ, მაშა, მე რითა?

91. ვაი ჩემს დროსა, სადღა მედრო სა,
 სულ მოღრუბლული დღედ ნათლისადა?
 მწუხარ-შესწრობილსა, ბნელთ შეპყრობილსა,
 სადათ ვეწიო ეამს დილისადა?
 სად შევისწაო, ანღა ვისწაო,
 მე სადაური სადმე ვლი სადა!
 არა ვიდუმნე, ლაზოდ ვიდუმნე,
 მადლობა არსთა შემქნელისადა.

92. მეფედ ვიწოდე, ვერ გავიწოდე
 ფეხი ჩემისა გუნებისადა;
 დავიდევ თავი, არ ივად ავი,
 საარაკოდა ქვეყნებისადა.
 ბუკთა საყვირად, ვინ თქვას, თუ ვყვი რად
 სამუსიკელად მე ებნისადა?
 ჩემს გარდა სხვათა ჩემთა მნახეთა
 მამხილონ, ავი ვიზე ვყვი სადა.

93. ერთი კვერცი სჯობს ახალი მრავალს ლაყს, სულ-დაღებულსა
 უქმი სიტყვისად ვაყენებ, ვის გინდა, პირ-დაღებულსა.
 სიბრძნის მოყვარემ აჯობოს კაცს უგბილს, სულ-დაღებულსა.
 ვინ სულსა იღვწის, დაიდებს ალაპსა კარ-განღებულსა.

94. ფრანგნი განგვეყნეს, ავად რასმეც ყვნეს
 სჯულის განყოფა მერვეს კრებითა;
 სულ გარდირიენეს, მით შეირიენეს
 ლოტრან-კალბინით დრკუთ სამ რებითა.
 ემხილებიან, ხე ხილებიან,
 დვთისმეტყველთაგან მართლ-ყვედრებითა.
 თუ ვინ აღვირჩევთ, ან გამოვირჩევთ
 მათსა ქცეჲასა, ავად ვშვრებითა.

95. რა განაქარვა, რა გან აქარვა
 ღმერთმა ზრახვანი აქიტობლისა,
 აქ ნახე ძალი, ნუთუ ორძალი
 ხმა-მოუშლელი ყოვლისმპყრობლისა!
 მან შიშთვილიბა, სული შთაიბა
 საუკუნის და საპყრობილისა.
 რააბ მეძავემა, კკვათ მობაძავემა,
 წსტოვართა გზა სცა განმსტოვრობისა.

96. იყო არ აქა მათი ბარაქა,
 თუ არ ასეცა მიმსგავსებოდით.
 უწესურებსა ვინ ისურებსა,
 ჩვენ სადათ გვიხმდა დაემონებოდით?
 მართლმორწმუნენი, უფლისა მნენი,
 მაცხოვარს ასე განვხსენებოდით,
 წვერ-ულვაშ პარსვით, თურქთა და სპარს ვით,
 საკიცხველებად გავესჩვენებოდით!

97. რაცა აქამდი, სიტკბოდ ბაქამდი,
 არ იყო, ახლა ვითლა იქნება?
 კარგი და ავი, არვის სადავი,
 სხვალა ახალი არ შეიქნება.
 კარგი მოვიგოთ, ავი გავიგოთ,
 ორი საზღვარი მოიქონება.
 ვინ გარდავხდებით, მებრკი წავხდებით,
 სულა არაა, ღვთისა იქნება.

98. ადამისითგან მოაქამომდე
 იქმნა დიდ-დიდი საკვირველება:
 საზღვრის სწორისა, შეუსწორისა,
 უღებებითა თავს გარდავლება;
 გოდლის შენება, არ იყო ნება,
 ზღუდე ვრცელისა გარე მოვლება.
 თვინიერ უფლის ვერვინ შეუძლო
 თავის თვისისა მტკიცედ მცველება.

99. უფლისა ნება. იქ არ იქნება,
 მართალი მრუდსა გზასა ვლიდესა,
 ტაძარს სძულობდეს, ტახტს ეულობდეს,
 სახლითი სახლად გარ მოვლიდესა,
 კაის საქმისად, მართლისა თქმისად
 საკიცხველებსა მოიცვლიდესა,
 დადვას არაკად, ართუ ბარაკად,
 ვერ იეფეთეს, ხიდს განვლიდესა.

100. რაღა მარტოსა, სულა მარტო სა
ვინ მოიზიდავ უნაყოფოსა?
რასაც იხრიდე, მცნებით იხრიდე,
სიმართლის ნორჩმა ინაყოფოსა.
რაც იყოს, იყოს, ბოროტი კაცმა
მყის მოქცევეითა ხამს იყოფოსა.
სულა უვალსა გარ ნუ უვალსა,
არა დაადგრეს, არ იმყოფოსა.

101. სულა ბაქება, რაა ბაქება,
კაცსა არავის შეეტყვებისა.
სრბა იქე-აქად, მარტოდ, იაქად
გარე სირბილი ველ-ტყეებისა,
კეთილგონებას, კარგთ ზოგონებას
ლტოლვილიც ადრე დაეტყვებისა.
შემასმენელთა, საქმითა ბნელთა,
მლიქნელთა სიტყვათ ნუ მიჰყვებისა.

102. საღ ვიარე, მოვიარე, აღვირჩიე მე სამარე,
ვინ ვიკადრე, ესეე ვკადრე, ყოველივე მისეე ვარე;
ვერ უარე მისეე არე, იგ ჩემდავე მოვიხმარე,
ყოვლისავე აღსასრულად ესე ვპოვე მოსაკმარე.

103. არიანია, არ იანია,
ეკალ-კუროთებრ ყოვლთა მგვრემელი,
აღმშფოთებელი, ცუდთა მქებელი,
თვისის ქვეყნისა რყევით შემძვრელი;
სიცუდის ლართა, არვის სალართა,
სამუდამისოდ მოსწრაფედ მკვრელი,
წყალობის მცვრელის ცისა მწლთორვალის
საბიციოდ ქვეყნის დია შემკვრელი.

104. რა გაზია, საღ გაზია მოტყინვარე მიიზევდეს?
ვერ შეიტყოს, მაში იტყოს და მას ზედვე წაიზევდეს,
ქვე აწ[ვ]ივდენ, დაიწვედენ, ის სულ ზევე აიწვედეს.
და წყვილიადი, ბნელიადი ვერ ნათობდეს, ვერ იზევდეს.

105. მე შავი მოსე, რა შევიმოსე
მცნება იმისი არა-წყვილიადრე,
არსად იხილვის, თუ განიხილვის,
მზის შარვანდისაც უბინლიადრე;
სჯულის მღებლობით, მეგვიპტულთ ფლობით
არის ყოველთამებრ უდიადრე.
კადნიერ იყვის, ვინ მართლა იტყვის
ფარაოს მეფის სიტყვის შემკადრე.

106. რაზომ განეცვიფრდი, არათ მოვიფრდი
 მეფეთ წესისა გარდაქცევასა.
 ვინ ზნე-სრულია, კეისრულია,
 შეენატრი მათსა ყოფაქცევასა!
 მოგონებასა, მო გონებასა,
 ჰოი ნუ სდევნი ცულ შექცევასა!
 უმჯობესია, უამესია
 მსჯავრი კეთილი ცულ სისხლთ-ქცევასა.

107. აღიხილეთა, მოიხილეთა,
 ლექსი ვისია, ან ვის მქებარე!
 ვისი ვის ვისდა, რასა საქმისდა
 ვიყავ და აწე სად მივიბარე!
 რალას ველოდე, ან ვეძლოდე,
 გარდუშვებ იმედს სულა მე ბარე.
 ვხედავ ნიშნებსა, საქმეს მჭიშნებსა,
 მგონც მომეახლა აქა მებარე.

108. ზოგთა იღვაწეს და მოიღვაწეს
 სამლონი საქმე სუფევისადრე,
 ლაზოდ იხმარეს, ქვეც მოიხმარეს
 ცვილთა სილბონი ქვისაც უადრე;
 აღიწეოდეს, მიიწეოდეს
 მართალთ სავანეს მტერ შეუკადრე.
 ესე ვითართა, ართუ თათართა,
 შესხმა ფრიადი ვინმე შეეკადრე.

109. განგლე მე ჩემი ცხოვრება მოწყენით, არა შვებითა;
 ვყავ არ ცოდვისა შეკრული, მარადის არ აშვებითა;
 საქმე შემოხდა ასეთი, აქათ არ გავიშვებითა,
 მივანდოთ თავი უფალსა, ამოდ ნულარ ვშვრებრთა.

110. სიფასალარსა, სპარსთა სალარსა
 მოგენიქნეს რამ ჩემ შორს მყოფისა;
 ძმასა ზიარსა, ნეტარძი არ სა?
 საქმე არ იყო განაყოფისა.
 რამე ხელეყარო, ან მოვიყარო
 მე აქა მყოფმან, შენ მანდ მყოფისა;
 ნუთუ ქმნას ღმერთმან, სამებით ერთმან
 ჯავრთა ამოყრა ბილწთ სამყოფისა.

111. ვისცა მიკითხავ, არ მოგიკითხავ,
ვიდრე დრო არ მცეს, რაცა მე ზინდა;
გინდა მო ბადეს, ვინ მოგიბადეს,
წყარა საფერხთა აწლა მოგინდა.
ქირმან ქირმანით, სადათ საძოვრით,
ძლით დინახე, აწყ ლა გაგგინდა;
შენთა მრჩეველთა, ცრულ მაკვლეველთა,
წყვევა გინება ღია მომინდა.

112. მითვე რიცხვითა, არ ურიცხვითა,
მოგიძღვენ რამე აგრევ ჭრელ-ჭრული,
თითო-ოროლი, არა ოროლი,
გრძელი და ვრცელი, არ თუ ნაჭრული,
არ ერთი ორად, საფასე შორად, —
ნივთი არ იყოს ქცევა ვაჭრული.
ღმერთმან შეგვეყარნეს, ერთად მიგვეყარნეს,
საქმე არა ქმნას მისებრ რაჭული.

113. ოდეს ვსკვრეტდით ურთიერთსა მამაჩვენსა მხიარულსა⁴
სად წარგვიხდეს იგი ჟამნი, ვინა ვხედავთ აწ რამ რულსა,
ვითა ორბსა ცასა ქვეშე, ჩვენც აგრევ ქვე მოარულსა?
ნუცა მტირი, ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვარულსა!

114. გიქინას არუთენასგან მოკითხვა სიცოცხლისანი,
მოკლე რამ იყო მოყვსობა, განზრახვა მის შამხლისანი;
ჟამი ითხოვე მალლისგან ჩვენის სიბერის ხნისანი,
დროცავე მასლა წინ უყოთ ორთავე გამოხსნისანი.

* *
*

თანა წარჰხედ წარმავალსა, წარუვალი მოიგონენ,
უტრფიალე უხილავსა იელუსაღემის, მომძაგებელი სოდომისა,
შეინანე ვითარცა პეტრე, პოი, გიორგ!
ეც ნაწილი აწ ზენასა უფროს უქვენენისისა,
ნივთი ესენი ავლ და აჩრდილთა უფროს მიმრლომ,
აღირჩიე გულვებადი რჩეულისა გონებისაო,
რამეთუ წარხდენ პირველნი და ეგრეთვე გარდახდენ
მძაფრიალ ცანიც,
არამედ იყავ მონანულ ქეშმარიტ და სცხონდე შემდგომად.
ვიელტოდი მეცა არა უმეცრებით, არამედ მაგისდამი,
იხილე, ისწავების სხვათა მიმართ არა თვით გამოუცდელილ¹.

1) ეს აკრისტოხული იამბიკო (რომელიც არჩილის ძმის, გიორგისადმი უნდა იყოს მიმართული), შემდეგ წაკითხვას იძლევა: „თუ შენ არა, ვინა გამოცდილ?“

ანგანთქეზა.

ა ს უ ლ ა ს უ ლ ა

2000
2001
2002
2003
2004
2005
2006
2007
2008
2009
2010
2011
2012
2013
2014
2015
2016
2017
2018
2019
2020
2021
2022
2023
2024
2025
2026
2027
2028
2029
2030

ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ა

ა ს უ ლ ა ს უ ლ ა

ა სულ ასულა, მკვრეტნი დასულა,
ესე ვინაა ჩემი ასულა?
ბროლ-მინა რევით, მზისა მორევით,
თვალნი მორევით მელნისა სულა.
გიმკობ ქებასა, შენ სამებასა,
ხელთა შეგვედრებ ხვეწნითა სულა.
ღებორა ქველსა შენ სდგამ სარქველსა,
თავს ხნარცვში მჯდომსა კი დანასულა.

ეცილებია, ე ცილებია,
მთვარეს აჩნია ეცი ლებია,
ვითა ებანი, ვითა ე ბანი
საფირონს ხმითა სთქვი რაებია.
ზმირინოსა ფშვი, ზმირინო, სა ფშვი,
ქება არ გიხამს საალებია,
ცეთ ექმენ შვიდთა მნათობთა, მშვიდთა.
მიჯნურთა მწველობ საალებია.

თუ სულ ვერა გთქვა, არც ქება ავთქვა-
ნუ გეწყინება გონება ბრძენოს,
იელვა რები, იელვარები,
თვალთა მინათებ, ვით შიგცე შენ ოს?
კმასაყოფელთა, სულ-საყოფელთა,
გიხამს გიმკობდეს შენ ქებას ენოს!
ლალს გარეშემო, ლალს გარ ეჩემო,
ენა დამიბი, არ დამეყენოს.

მინარეგია, მინა რეგია
 ბროლისა პირსა ბაკობა ყბითა,
 ნარნარობს ზჳითა, ბრძენი იხმითა,
 მისად საქებრად ვით ენა-ხმითა.
 ო ი მნათია, ოი მნათია,
 მარად ლოცვიდეს, იხსენ ამითა!
 პირ-ბროლ-ბადახშობს, ბაგეთა დახშობს
 მუნ მარგალიტებს გარ-მოდგომითა.

ჟამი ქებისა მზის შუქებისა,
 აჰა, მოვიდა, ისმინეთ ახლა;
 რაეზი უქო, მას სასალუქო
 ლერწამ ტანს უხამს ჩაცმად არ ახლა?
 სულ ედემისა ეს დაემისა,
 ზარიფი ნაკეთი მას მოენახლა.
 ტირიან სალებრ და ცორვენ სალებრ,
 თუმცა გიხილონ, თვარ ვინ მემძახლა?

ჟრიდად გფერობს ყური და ფერობს
 მის განაყარსა ქვე ყელი-ბროლი,
 ფიცად მაქვს შენი წამწამ ნაშენი
 ჯარი ინდისა ამბრებრ ნაყროლი.
 ქამანდ გაზევით გაქვს, მონაზე ვით,
 მუდამ სურნელთა სულ-მონაქროლი.
 ღრმად ვიწყო ქება, არ დაღუმება,
 სიტყვა არა ვთქვა ერთზედ ორ-ოლი.


ყმად გფერობს მნათნი, ვერ მოკამათნი,
 ვარსკვლავთა ჯარი მოწმედით მსხდომი,
 შიში მაქვს გულსა, შენსა დაგულსა,
 თუ ვერა ვთქვა რა შენ წილ სახდომი.
 ჩინით მხატვარნი მოსვლად მსტოვარნი
 ვერ გამოგსახვენ ვერას მიმხდომნი.
 ცრემლსა მოაფრქვევს და სხვას მოაწვევს,
 აწ შენ ეცადე მე ცუდად მცდომი.

ძრწის ვინცა გნახავს, ესრეთ მოგნახავს,
 მაგრამ ვერ გპოვებს, ცუდად რას ახავს?
 წამალ-ძვირობით, წამ ალ წილობით,
 წა მალ, თუ შენს სხივს ნეტარ ვინ ნახავს!
 კმუნვენ უნახნი, თუ მოუნახნი,
 ღონევ შენ, თორე თვით ვერ დასახავს.
 ხარ საძებარი, შენი მქებარი
 ვერ გიტყვის სწორად, მაშა, რად სჩმახავს?

კელოსნობითა, მის ოდნობითა,
 თუმც გქონდეს სიბრძნე, რაც არს გრძნობითა,
 ჯარად დგენ ცნობით, ან მონაცელობით
 ერთმანერთს ექმნან მაშეგალთ ნობითა.
 ჰე ხმობენ ტკბილად, შენად საძილად,
 ებან-ქნართა, წინწილ-ნობითა.
 ზი, საწყალთა არ აფრქვევ წყალთა,
 უწყალოდ ექმენ მიჯნურთ დნობითა.

ანგანთქეზა

არ აღვილია აღკრძალვა



ანბანთქება

ახალი უემოღებული

არ აღვილია აღრქალვა ამოებისა, ამოსა,
არ ასაგდებად აღმოვთქვა, ამოვიმოწმებ ამოსა;
აღრიდგან არსად არაკად ასმოდეს, აჰ[ა], ამოსა,
არის ასეთი ამბავი, არავის არ ა[ა]მოსა.

ბაგე ბძანებდეს ბატონის ბასრობას ბოროტებისა;
ბორგდეს, ბუნებით ბრღვენივდეს ბარნაბე ბართლომებისა;
ბედი ბედითი ბორბალი ბრუნევედეს ბილწ ბებლებისა;
ბიცი ბჰობანი ბაღვა ბელიერ ბრანგე ბერებისა.

გულეებადი გულისხმაყვით, განვიხილოთ გულდებულად,
გვეგულეება გაგონება გენია გახელებულად,
გონიერად გაეცადოთ, გან გონებით გულკლებულად;
გარ განგდებას განვეშორნეთ გონჯს გარჯას გაიქებულად.

დიდება დიდებულთანი დაშთება დასაგმობელად,
დამპლად, დახსნილთა დრაჰკანნი დაუნჯებ დასადებელად,
დლითი დღე დასაკარგავად, დაფანტვად, დასაძებნელად.
დარიც დარობდეს დროიან დილადრე, დღეინდელ დელად.

ერთ ეტყოდეს ებრაელთას ეზეკია, ესაია:
ერიდენით ეგეთს ეკალს, ენოვანო, ესაია.
ერთი ერთსა ემოწმება: ესე ესრეთ ესაია.
ეცვა ერთსა ეღიშასა ელოვანად ესაია.

ვიარე ვრცელნი ვაკენი, ვეცადე, ვერსად ვინანი,
ვითარებითა ვნებულნი ვიხილენ ვინმე ვინანი,
ვნებად ვიციოდე ვნებულმა, ვა, ვაებითა ვინანი,
ვალი ვალზედა ვივალე, ვალალობითა ვინანი.

ზარა ზრდის ზორაბაბელსა ზოჰისებრ ზნეობიანსა.
 ზატიკობასა ზენასა ზრუნვიან ზინობიანსა.
 ზამბერ ზმნობს ზენაართა ზამთარსა ზამბახიანსა.
 ზოროსტრე ზაულს ზედა ზის, ზრახავს ზეციერს ზიანსა.

ამათ სიმრავლე სიტყვათა არ აქენ ჰე, ცაე, ჭესა,
 მცირედ ითქმნიან ამათით, პირველ მთქმელთ ასე ჰპოესა;
 ამისთვის დარჩა, სხვათაებრ ქართული ვერ მიშოესა.
 გვეჰა ხამს პატრონისაგან ყუისა მის შეუპოესა.

თრიალეთსა თვეებს თელიან თებერვლითა თოვლიანსა
 თხის თიკანსა თოხლიანად, თამაშობა თელოვანსა.
 თაჯსა თაჯზე თვალნი თლილნი თომარს თანა თელოვანსა.
 თათარს თმობა თამბაქოსა თრთოლითა თრიაქიანსა,

ის იცანით იქიდამე, იხილვების, ისერის ისარს,
 იხილეთა, იმისებრი იტყორცება ისე ისარს;
 იმისმიერ იმხილება, იხელმწიფებს, იკეისარს;
 იგავითა იოსებცა, ითქმის, იგი იობისარს.

კრიტელთა, კოლასეელთა კარგია კაი კრებანი,
 კავკასთა, კახთა, კლარჯელთა კორტული კისკასობანი,
 კუმუხელთ, კამბეზოვანთა კალობას კორკოტობანი.
 კოჯრის კლდეებმც კარგაა, კმარიან კატუნკობანი.

ლაღია ლეონ ლახვრითა, ლამის ლახვედეს ლომებსა.
 ლერქყთაცა ლაფოვანებთა ლორნი ლოკვედენ ლამებსა.
 ლაზნი ლამაზნი ლოდებით ლეწევდენ ლურჯსა ლელებსა.
 ლოცვა ლამპრითა ლმობიერ ლაზარეთ ლუბიელებსა.

მე მახსოვს მრავლად მართალი მონათა მ[ო]ხსენებული,
 მზაკვართა, მყოცლით მოზლაპრეთ მამონას მოგონებული;
 მალლად მეტყველთა, მგმობართა მართალიც მართ მავნებელი,
 მალლიად მსრბოლთა მოლაღეთ მეფეა მომმონებელი.

ნელსაცხებლისებრ ნარდისა ნეტარ-არს ნეტარებანი.
 ნესტეი ნარნარი ნემიას, ნოდარსა ნეტარ-ებანი.
 ნებროთ, ნარიმა[ნ], ნუგზარსა ნაცვამთა ნაემნობანი,
 ნაზარალიას ნადიმი, ნულლითა ნავროზობანი.

ოღრანოთ ოქსინოსათა ოსანას ოხრის ოსია.
 ორბანოს ოქროვანები ოროლი ოც ორასია.
 ოხერსა ონსა ოდესმე ომობდენ ოდენ ოსია.
 ორაგულები, ოთარო, ორბელის ოსაროსია.

პატიოსნისა პატრონის პატივსესცემ პურადობასა,
 პართთა, პენძელთა, პონტოსა პაპურებრივი პყრობასა,
 პეტრე, პავლესა, პორფირთა პირადად პირადობასა,
 პანკრატისა პანკრატის პირობას პატარობასა.

ჟანსა ჟინად სპირიტებია, ბევრი სიტყვა არ ეთქმისა,
 ჟანგად ჭლსა დამ.ჩნია უთქმელობა მე თითქმისა.
 ჟამი მოვა შეცოდების, იქნებაცა კვლა აღთქმისა.
 ჟეშთა ხორცთა უმორჩილო არა სადა დაინთქმისა.

რასალასაცა როტვიან რიტორნი რომელობასა,
 რაბამ რიდობენ რეცალა რაოდენ რომელობასა.
 რაძი რომლისა რკინისას რითამე რად რეწლობასა.
 რბიან რეგვენულად, რათამცა რისხვიდენ რაინდობასა.

სარას საეანეს სრულყოფენ სახესა სამებისასა.
 სამნიე საესენი სიბრძნითა სოდომელთ საღმობისასა
 სწეიმს საოცრებას სოფლისას, საწვავად სულებისასა.
 სულღებულს სცნობენ სიცილსა, საცილსა სრულებისასა.

ტაბახმელას ტაგნაგელი ტერტერაი ტერტერაობს.
 ტარიელთან ტლაშაძეცა ტორიანად ტურტურაობს.
 ტოლტოლებით ტარიგისა ტომარაკი ტომარაობს.
 ტევრსა ტყესა ტილისმითა ტუხტით ტიტა ტყიურაობს.

უსაცილოდ უსულეები უხდებოდა უმიროსა.
 ურიათა უმგბარები უქამია უმი-როსა?
 უცხომ უცხოს უდაბნოსა ულაგოდ უმზიროსა.
 უღირსმანცა უგუნურმან ულახვე]როდაც უგმიროსა.

ფირან, ფარემუზ ფუცვიდეს, ფონთხელა ფონოვანია,
 ფერად ფერადსა ფართლობას ფრინველთას ფრთით ფრთოვანია:
 ფიცხელი ფთხილი ფოცხვერი ფარსადან ფაროვანია.
 ფისი ფოფინებს ფრიადცა, ფინთადრე, ფოფნოვანია.

ქურდობაა ქება-რამე, ქართველთაგან ქალაქობას,
 ქრთამთ ქადება ქართულითა ქალებიან ქულბაქობას,
 ქარქაშობა ქოჩობასა, ქოსებისა ქულაობას,
 ქიშპებთაგან ქიშპებისა ქართა ქროლით ქოთ ქოთაბას.

ღალანიძე ღონენაი ღარიბი ღონიერებდეს,
 ღოლაბერიძე ღიჰილით ღორებით ღომა ღალაობდეს;
 ღაზნელი ღალატისანი ღამითაც ღობესა ღობდეს,
 ღოიმბარია ღინცილით ღაზოდრე ღაზლებსა ღებდეს.

ყენურად ყოლა ყმათა, ყოვლიადრე, ყოვლთვი ყმურად,
ყვირილის-და ყაყანისა ყორული ყოლ ყაფიჩურად,
ყოვლთვინ ყიყინს, ყჳაწვილებო, ყიდულლობთა ყელ-საყურად.
ყირმიზია ყარამფილი ყვაოდეს-რა ყაყაჩურად.

შარვაშიძე შვეიფიციე, შირვარისა შარიარი:
შემცდაროო, შფოთიანო, შემცოდგო, შო-იარი.
შინოვანი შინდისიან შავშეთილამ შორი-არი.
შეინახვის შროშნებიან შავი შაში შვენიარი.

ჩამომავალთა ჩვენთაგან ჩანს ჩენი ჩვეულობანი:
ჩაბალახისა ჩამოცმა, ჩოგნობა, ჩალიჩობანი,
ჩემობა, ჩხუბი, ჩივილი, ჩინჩობა, ჩურჩულობანი,
ჩქარად ჩიტობა ჩექქითა, ჩოხითა ჩაუქობანი.

ცუნდრუყო, ცრუო, ცოდვილო, ცოდვაა ცოლის ცილება.
ცოფთაგან ცხენოსანისა ცემაა ცდით რამ ცილება.
ცარიელთა, ცუდთა ცეცხლითა ცხელთა ცივება:
ცილია ცათა ციეთანი, ციცისა ცმელთა ცვილება.

ძმობილი ძმობილს ძრახევდა, ძელი ძელს [ძირ]სა ძერასო.
ძალსა ძალზედა ძლიერებს ძამიას ძილსა ძერასო.
ძონძი ძაძისა ძალს-უზამს ძიძისა ძუძუს [ძვე]ერასო.
ძულია ძაღლი ძილშიაც ძახილობს „ძერა-ძვეერასო.“

წარხდენ წინათ წარწერილნი წელიწადად წოდებულნი,
წმინდა წინასწარმეტყველნი წოდებით წარჩინებულნი,
წყლტუნნი, წვრილნი, წოვნი წესით, წილშიდა წამებულნი,
წუწკნი, წოლის წადიერნი, წვალებისა წილდებულნი.

ჭირი ჭირზედა ჭამადთა ჭორადაც ჭეშმარიტია;
ჭიპთა, ჭაჭათა ჭირვება ჭმუნვა, ჭრტინვანი, ჭინტია.
ჭარი, ჭილურტი, ჭიტები ჭართალიანად ჭვრიტია.
ჭარმაგოსანი ჭილაძე ჭაბუკად ჭვრეტად ჭყირტია.

ხუროები ხმელსა ხესა ხერხენ ხერხისა ხმარებით.
ხაღილობით ხონთქარიცა ხომალდს ხადის ხან ხარებით,
ხვაგს ხორბალსა ხანდაკელნი ხრიდობენა ხომ ხარებით.
ხუმრობაზე ხმიანობენ ხელებიცა ხარხარებით.

კმელეთზედა კელთაპყრობით კელმწიფეთ კმალი კმალობენ.
კიდ კვირებსა კორციელნი კელოვანნი კელოვანობენ.
კისიკელნი კეოვანთა კენენ, კორკითა კმიანობენ.
კოკობი კმობს კევილობას, კარი კარობს, კბო კბობობენ.

ჯაჯანა ჯოროსანია ჯაყელი ჯალაბიანი,
 ჯარში ჯდოდაში ჯოჯონი, ჯუბიან ჯორაბიანი.
 ჯოჯაძიანი ჯამასპი ჯერ-მიჩანს ჯაქვებიანი.
 ჯერნის ჯერგობას ჯაგრობდა ჯიმშიტა ჯაგლაგიანი.

ანბანთქებასა ახალსა ნუ შეურაცხყოფთ სიტყვითა,
 უშვერსა, უამებელსა, ნუ ვინმე აღმოიტყვითა!
 ოღონ უწინ ვთქვი, თორე-და აწყა თქვენ უკეთ იტყვითა.
 რალამე სანახავია რა ყანა წახდეს სიტყვითა!

ამ ანბანთქებას აჯობებს, ვინ თავსაც ბოლოდ მოიყვანს,
 ეს ეზოს გარეთ დარჩება, იმას დარბაზსა შეიყვანს;
 ღრამატიკასა ამსგავსებს, რიტორობასა აიყვანს.
 ვინ ვერ მიხვდება, სად იტყვის, თხლადაა, ღია რამც იყვანს.

მრავალთ მეფეთ დაუგდია უმიზნოდ მეფობანი,
 სვე-დოვლათი, დიდი თემი, ქალაქი, ან დიდებანი.
 ჩემი რად გკვირსთ იძულებით სამყოფთა გარიდებანა?
 მაგრამე მაქვს შეუკდემათ ერთის წად-ერებანი.

,

,

,

.

.

,

ანგანთქეზა

საქმეღელი დო სავეღოღელი
ღვთისმუოღებლისანი

!

,

,

,

ანბანთქება

საქაზელნი და სავაღრიზელნი ღვთისმშობლისანი

აღვადო ბაგე და გული წმიდის ღვთისმშობლის საქებლად,
არ ძალმიც, ვიშიშვ, ვიწიწვი, რას ვიტყვი მე მის სამებლად;
არს ყოვლთა არსთა უწმინდე ღვთისმშობლად მწვე საწამებლად.
აჰა, დედავ და ქალწულო, შენ მექმენ ცოდვის გამძებლად.

ბუნებათა უაღრესად გექმნა შობა ქალწულება,
ბერი დღეთა შენგან ჩვილად ყრმა ახალი იხილვება,
ბილწი ვნებას ხორციელებს, შენს სიახლეს არ ევლება,
ბრძანე ჩემი შემწეობა, რომელ ძალგიძს შეწყალება.

გიგალობს დავით მთაწმინდა ღვთისა პოხილად ჩრდილოდა,
გიმზერდა თვალით წინასწარ, როკავს მწუხრი და დილოდა,
გამოეკვეთა უფალი უხელოდ თავ-საკიდლოდა,
განმიღე კარი წყალობის, უხრწნელო, მე შენ გილოდა.

დედოფლად დაბადებულთა შენ ხარ წინასწარ მკობილი,
დედად გქადაგეს ღვთისადა, ხოროდ დგენ სულ განწყობილი.
დაგახარ მარჯვენით უფლისა, ვინ არის შენი შობილი.
დამიხსენ წარწყმედისაგან სატანას ლახვარ-სობილი.

ეზეკიელის თქმულისებრ ბჰე ხარ დახშული, კრძალული,
ერთისგან კიდე სიტყვისა არვისგან შიგან შესული,
ეგრეთ შესვლით და გამოსვლით კრძალული მისგან ხილული.
ემბაზის შემგინებელი წმინდა მყავ მტრისგან ძლეული.

ვნებაჲან გულისთქმათაჲან ჩამავდო ცოდვის უფსკრულსა,
ვარ მცონარებით ლოცვაზედ, ბოროტზე მხედავ უძილსა,
ვერ ვშოებ ნამსა ცრემლისას, არ თუ ვადენდე სამილსა.
ვესავ ღვთისმშობელს, დამიხსნის, არ შერაცხს ჩემსა დუმილსა.

ზრდა მაქვს ცოდვისა სამუდამოთ, ვით მევენახეს ვაზისა,
 ზარი მტეხს თვისთა საქმეთა, მყოფს უშმაგესად ბრაზისა;
 ზედა მოგიწოდს მარიამს შენ ნათლის საბაზმაკისა.
 ზე ძოწვეულის შემოსა ძალგძის, ჰე, მოუკაზმისა.

ცაერად მიმართ თვალთ ახმად არა მაქვს კადნიერება:
 ცარ დაშვრა ჩემი მებრძოლი, უჩინრად ვინ შემტერება,
 ცკრევა ჩემსა ნალვაწსა, წყეული არ მეფერება,
 ცე, ღვთისმშობელო, გვედრივარ, მეწიოს შენ მიერება.

თიატრონს შინა ცოდვისას ვმორბედობ, ვინ დამავალა,
 თრთის მიწა ჩემი ნალახი, ანუ დღეს დამნთქამს, ან ხვალა,
 თითსა მალირებს ბელიერ, მიძახის: „ველარ წახვალა“.
 თვალნი სულისა, მარიამ, შენ გიმზერს, მწედ თუ მოხვალა.

იერემიას ნათქვამი აღთქმა ახალი შენ გიწეს,
 იენეს შენ მიერ უფალი, ვინ კერპს ესევდეს, დამიწეს.
 იონასებრი ჩანთქმული მოგელის ზველად, მსწრაფლ შემწეს,
 იხილე, გესაგ, მეოხად, თვით უწყი, რასაც გამიწეს.

კიდობანო სჯულისაო და ტაკუკო მანანასა,
 კარაო საწამებელო, შენებრ სხვალა არ იქმნასა,
 კიბეო ცად აღწევნილო, იოკიმის შენ ანასა,
 კარს განმიღებ წყალობისას, თუ ვიქ ცოდვის შენანასა.

ლეკვისგან ლომის იუდას ძირთაგან აღყვავებულსა,
 ლევის თესლთ გამორჩეულსა, დავითის ტომთა ქებულსა,
 ლოცვას შევსწირავ მარიამს, თუმც მხედავ დადუმებულსა,
 ლმობიერ მექმნას მოწყალედ, ცოდვაზედ მიწყი დებულსა.

მოსეს ხილულო, წინასწარ მოსწავებულო ამ სახედ,
 მაყვალსა ცეცხლი ედების და შესაწვავად ვერ შემხედ,
 მტერთველობ ცეცხლსა ღვთისასა და გვივი მისა მეოხედ.
 მარიამ ღვთისა დედაო, დრო არის, შემწე თუ მომხედ.

ნარდო სურნელო, შროშანთა შორის უფრჩქენელად მყოფარო,
 ნერგო, ედემის ყვავილთა ქრისტესა მომნაყოფარო,
 ნაომით წინასწარმეტყველთ შენსა ქებად არ გამყოფარო,
 ნანდვილ მევედრებელთ შემწეო, მგმობართა პირდამყოფარო.

ოსე ნაომით მიქია, ამოს ამბაკომ ქებული,
 ოხრიან შენს დიდებასა სულის-წმინდითა შვებულნი,
 ორი ბუნება შენ მიერ იშვების არ დაკლებული,
 ოხერ-ქმნილი ვარ, მეუფლე ცოდვისგან განქიქებული.

პალატ გიწოდეს ცად უვრცედ, ცხედრად ღვთის განსასვენებლად,
პორფირად სამეუფოდა, მწიკვლთაგან შენ უვნებელად,
პირმეტყველ ცადა ახალად, იგავად მოსაძებნელად,
პასუხი ჩემთა ნაქმართა შემიქმენ გასაძებელად.

უამმან მიილო შენ ძლითა ყოვლთ სასწაულთა ნიშობა,
უამს, ოდეს უკანასკნელსა შენ მიერ იქმნა ღვთის შობა,
უამთ ქვეშ უმყოფი აწ მზეს ქვეშ, ვიხილეთ, ახლა იშობა,
უეშთა მბრძოლთ ჩემთა შერისხდი, ვის აქვს ჩემზედა იშობა.

როკავს დავით სულის წმიდით, რა გიხილავს მისა სულად,
როს დედოფლად სახელ გიწეს და გიჩემებს მის ასულად,
რეკს გაბრიელ ხარებასა, ზოსელას გეტყვის ღვთისა სულად.
რომელმანცა ქრისტე გვიშევ, ღირს-მყავ წმიდავ მის ა სულად.

სრულ იქმნა სიტყვა შენ მიერ წინასწარმეტყველთ თქმულია,
სულის-წმიდისა მობერვით გიხილეს შენ ქალწულია,
სულწჳიდა, ბიწ შეუხები, უმწიკვლოდ აღმოსულა,
სალხინებლო ცოდვილთავ, აღმომსვი მე დანთქმულია.

ტრედო, სოლომონის ქებით უმანკოო სიწმინდისად,
ტიბერიოს კეისრის ზე აღიწერე დიდ დრაქმისად,
ტომისაგან დავითისა მითხოვილი ქალი ქმრისად,
ტკბილო, შენთა მვედრებელთა აღმომმსვი მე დანთქმისად.

უარსო შენით არსებას მიიღებს კაცებისასა,
უსაზღვრო შეისაზღვრება, შენ უვრცელეს გყოფს ცისასა,
უპირატესო არსთასა და ყოვლთა ბუნებისასა,
უშველე არჩილს, მარიამ, ლექს გიჰკობს ვედრებისასა.

ფერი ცეცხლებრნი მნათობნი, ვის თვალთა შედგმად ზარობენ,
ფრთითა იფარვენ პირებსა, სამწმინდა არსსა გალობენ,
ფესევდით ოქროვანითა, მის მარჯვნივ შენცა გამკობენ,
ფრიად ცოდვილსა, მარიამ, მილხინე, მტერი მხარობენ.

ქალწულთა შორის ქებულო, ყოვლთ ტომთა გამორჩეულო,
ქერობინ-სერობინებთა სიწმინდი ა შენ მორეულო,
ქარტავ გრაგნილო უხელოდ, ღვთის სიტყვით გამოწერულო,
ქვენ მეოხება ჩემზედაც, სხვათ ცოდვილთ ზედა ჩვეულო.

ღელეო, დაუთესველად ხვავისა გამომღებლო,
ღრმად საქებლო ქალწულო და ძისა მაწოვნებლო,
ღელვა გვემულთა შემწეო, უფსკრულით აღმომღებლო,
ღირს მყავ წყალობას მე შენსა, მარიამ, საგალობლო.

ყვავილო იაკობისო, შროშანთა უსურნელესო,
 ყოლე ბიწ შეუხებელო, მხის შარვანდთ უნათლელესო,
 ყრმის მწოვენებელო ქალწულო, შენ წყლული გამიმთელ ესო,
 ყოფნი ნუ შემწედ, ღვთისათვის, მტერთა გზა დამიბნელესო.

შენ სულმცირეო ღრუბელო, ვინ იტვირთ ყოვლთა მტვირთველსა,
 შემცველსა გარე არსთასა, სიტყვასა ღვთისა სულ მთელსა,
 შეიწყნარ საშოს ცისაგან დაუტევენელსა ნათელსა,
 შემცოდეს ცოდვის საპირეს გინდ გამძრცივი შიგნით მითელსა.

ჩრდილოვანო მთაო წმინდავ, ღმერთი მოგყავს რომელ სამხრით,
 ჩემსა ცოდვას აღგიარებ ღამე, დილით, დღე და სამხრით,
 ჩადრკა კაჩა, აღარ ძალუც ზიდვა ზურგით, აღარც სამხრით,
 ჩავარდნილვარ, აღმომემსვი, ცოდვის უფსკრულს, მისკენ სამ ხრით.

ცხადობს აწ ყოვლი იგავით, რაც წინ არ იქადაგება,
 ცილობა წარმართებრივი და მათი ცუდი გაგება,
 ცოდვილთა შენ ხარ მეოხი, განდგომილთ კვალად დაგება,
 ცდილობს ბელიარ დამანთქას, შეპრისხენ, ნუ შექაღება.

ძალი წინასწარწერილთა შენ გმკობენ, შენ გქადაგებენ,
 ძლევას პირველს მამისას შენ მიერ გარდააგებენ,
 ძმაცვავს გუნდითურთ ბელიარ და ისევ ველარ აგებენ,
 ძალგძს, ყოვლს ცოდვილს ულხინე და მეცა ნუ დამაგდებენ.

წარსწერდა დავით პირველვე ფსალმუნად საგალობელად,
 წინაშე შენსა მოვიდა გაბრიელ მახარობელად,
 წინდებულ იოსებისა, აწ იქმენ ღვთისა მშობელად,
 შამლად შენ უხვი წყალობა მეც, მხედავ ვის საღმობელად.

პირმრავალი, ცოდვა-უფსკრულ, გევედრები მე საწყალე,
 კმუნვა ჩემი სიხარულად შემიცვალე, შემიწყალე,
 კჟუა მომეც სასინანლო, რომელჰან შევ შენ მოწყალე,
 კანგსა დამხსენ მტერისასა, მერმე შიშით გამიწყალე.

ხილმან მოწყლა პირველ ადამ ერთის (ნების გარდასვლამა,
 ხოლო მეთნად სამუდამოდ სრულ ვიცოდე ავ-გულამა,
 ხემ მწარისად ნაყოფისა გამოღებად დარგულამა,
 ხედავ და მსწრაფლ შემეწივე, თორ დამფარა ცოდვის ღამა.

კორცსა ბრძოლა მოერია, სულსა ზრახვა უმეცრული,
 კიდი გავდევ, გასვლად წინ მიც, ქვეშ ცოდვა მიდგს ზღვებრ, არ რული,
 კვივილი და სიტყვა ცუდი არ ვიუქმე სულა ცრული;
 კამს, რომ შენვე მომიძიო სამწყსო შენი დაკარგული.

ჯერკვალნი, დრკუნი საქმენი ვარჩიე ღეთისა ნებასა,
 ჯერეც არ მიმძიმს, არ ვინან, სად შოვდრეკ ლალს გონებასა,
 ჯეროვანს საქმეს უშენოდ ვერათ ვიქ გაგონებასა.
 ჯერვიყო ასრე, მაშინცა შენ გვედრი მოგონებასა.

ჰალეხედ ცოდვისა მწვერვალსა მე დაუცხრომლად მოქმედი,
 ჰალეგზენ ყოვლი გულისთქმა, აღელაღენ ვა მალა ქედი,
 ჰალვირ უსხმელად ვისრბოლე, მგზავსად ვის სჭირდა თავქედი.
 ჰალსარება ვთქვი, მილხინე, შენ გვიშვე ვინ შემოქმედი.

ჴი არა მაქვს ღირსება ვედრებად მოტევებისა,
 ჴი ღირსი ვარ სამართლით ორსავ სოფლისა ვნებისა,
 ჴი, მარიამ, თუ წმიდა წყალობა მოგინდებისა,
 ჴი მე ცოდვილს მომხედე, საქები ეს იქნებისა.

*
 * *

თუ მხოლოდ ოდენ მართალთას ისმენ ჰუვილს და ვედრებას,
 არ იქმნას საოცრება რამ, მკვიდრივე იქმნას მკვიდრებას,
 მე უღირსი ვარ წყალობის, მიზამ, ჰყოფ საკვირველებას,
 და იტყვიან: „უყო უღირსად, შეხედე მის მოწყალებას“.

ანგანთქება

ალექსანდრე ბაგე, გული დავდვა

(პასუხად სებას)

ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ა

სულხან ორბელიანიშვილისა

აღმას ბასრი გალესული დაჰკვეთს ენათ, ვა მით ზმნათა,
ქუ თვით იტყვის: კმარის ლმობა მის ნათქვამთა, ორპირ თქმათა;
ჟამად რას სთხოვთ, ტვირთს უმძიმებთ ფუცკით ქმნილთა ღირსთა ყრმათა.
შლის ჩირთს ცა ძლივ წვიმით, კეზით, ზე კუელ ჯირკათა ჰაი გი სხმათა.

ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ა

არჩილისა

(სულხანის პასუხად)

აღვძრა ბაგე, გული დავდევა, ეს ვის ზე ტე თამაშობდეს.
იცოდო, კილომ მონაკვეთე, ნებ ორ პრტყელი ჟამად რბოდეს.
სად ტომ უფროს ფრიად ქმნილა, ღრმა ყოფს შაირს, ჩურჩენილობდეს.
ცნობით ძალით, წმიდათ კერეტით ხელ-კრმლით, ჯვარით ჰაი გომობდეს.

ანგანთქეზა

ამიცანად სათარგმანებელნი

ანბანთქება

აზიციანალ სათარგმანებელნი

1. არსი ყოვლთა დამაარსი, სხვა უარსო არსად არი, არასი ხამს შედარება, არს ყოვლს ნიეთთა არ სადარი, არ არიან უმისოდ არ ღრუბელი არ სა დარი. ა ნებაა მის მიერი, განგვეშოროს არსად არი.

2. არს ერთი რამე ასეთი, ვინ ახსნით არის სახელი, არა ვარგა რა უმისოდ ქალაქ, სოფლები, სახელი, არ მეფე, არა გლახაკი, არ ბრძენი, არა სახელი. ამას ვინ ახსნის, იცოდეთ, ეს არის ყოვლთა სახელი.

3. ზუნებითა ვინ კაც იყო, სრული ცოდვა არ იცოდა, ბიწოვნება ვერ შეეხო, არას ცოდვით არ იცოდა, ბატონი თუ მოყმე ვინმე თუ ვერ ვიცნობთ, არი ცოდვა. ბიჭურად ვინ ვერ მიხვდება, უმეტრებით შემეცოდვა.

4. ბრძანეთ, ცხენით ცად ვინ ახდა, ქვეყანასა სულ ელია, ბევრი მდღღობდა ღვთივ შვენიერ, არა მღრღღობდა სულ ელია, ბრძენთა ადვილ მისახლომი, ეს უნდ იყოს სულელი ა ? ბრიყვი ვეჭობ ვერ მიხვდება, ან ვინ არის სულელია.

5. განმიცხადეთ, მეცნიერნო, ცად პირმეტყველად ვინ იწოდეს? განცქვიფრებით სურვილითა უცხოხათვის ვინ იწოდეს, გაიტანჯენ ორსავ სოფელს, ხრმალნი მათზედ ვინ იწოდეს. განმიმარტეთ ეს ამბავი, ვირ წამი წამს დაეწოდეს.

6. გესლ-მკებნელი ერსა დიდსა სასიკვდიინედ ჰკებნდა მწარეთ, გველის სახე რვალით ქმნილი ძელს დამსჭვალეს მოსახმარეთ, განიკურნის ვინც შეხედის, ან ვინ წარელის შორით გარეთ. გულს გაავლებთ, უნდა ახსნათ, თორ სხვა ვინმე მოიხმარეთ.

7. დღე ორს ერსა ერთს დღედ უჩნდა და მეორეს ღამედ ბინდათ, და მდინარეს სისხლად ხედვენ, მეორე სვამს წყულადვე წმიდათ. დარიგება ნურვის გინდათ, ნურვინ ჰგონებთ ერად ჰინდათ, დაეხსენით ვინ ვერ ახსნათ, გასაგონლად რადლა გინდათ?

8. დღეს მოვალს ერთი საცნობლად, ძნელია, ხმა კი გვესმისა, დაგვებრავს გულსა, გვეცემა პირსა, მტვერულად გვესმისა, დგა, სადით მოვა, სად მივა, არ ვიცი, არ თუ გვესმისა, დაგვეცემს ხანდახან პირდაღმა, მაგრა ზურგს ვერ დაგვესმისა.

9. ეს მიბძანეთ, ვინ მწირობდა, მამბრეს სამს კაცს ვინ ისტუმრებს? ერთი მარტო ცოლქმარანი, თუ ვით დახვდენ, მყის ისტუმრებს. ერთი მირბის ზვარაკისად, ერთი პირს ხსნის მალის ტუმრებს, ერთად კამეს, აწ მიბძანეთ, ერთი ორთა სად ისტუმრებს?

10. ერთმან უფროთმან მცურავმან ქვეყანა ააშენაო, ეს იქმნა მიზეზ ზაშინ, რაც სიკვდილს გარდაჩა შენაო. ერთხელ არ გეტყვი ნეტარძსა, მრავალჯერ გიხმობ შენ აო. ერმან გამოსცნოთ, თუ ბერმან, აღარვის გინდა შენაო.

11. ვინ სამ ბეწვითა ძლიერებს შრავალს მებრძოლსა ერია, ვირისა ყბითა ხმელითა ათასი მოკლა ერია, ვის ენლა საქმეს დაფარულს, ვის მცნება გარდაერია, ვთქვათ უზენაოდ არ ქმნილად, თურე განგება ერია.

12. ვინ ნახა ღვინო წებნილი, ტევანი ეგოს რა ტევნად, ვინმცა ან ცათა შემცველი კეცისა ჭურსა დატევნად? ვისცა ეს სრულად არა სწამს, ცოდვა ვის ექმნას მიტევნად? ვიდრე რომნი და ჩინელნი არ მოიყარნენ რატევნად.

13. ვიტყვი რასმე ამიცანას, ვინცა ახსნით, მანდ ა გორი: ვინ ვერა სცნობთ, აქ მიბოძეთ, თუ ვისმე გაქვს მან დგორი. ვით შეგიძნდესთ შესატყობრად, ვაეო, არის მანდა გორი. ვის ხელთ ჰქონდეს, გამოართვი, სათამაშოდ მანდ აგორი.

14. ზომას გარდახდა თორე და თორმეტ არვეთა ხო ება, ზომისებრ მითქვამს, ოლითგან სიწმიდე არ ეთხოება; ზენარიო ვიტყვი, მას ჩვენგან სიკეთე არ ეთხოება, ზაკვით განაძო სამოთხის მხედველი, არ ეთხოება.

15. ზრდის ანაგებად სხვადასხვა მართვეთა, რისას, ვინაო, ზე ჰაერს ფრინავს, თუ ცურავს, ქვეძრ ოშია თუ მფშენაო. ზენდა მიწვენით ვინ აღზრდის, ველარ წაიყვანს შინაო. ზებირ მიბძანე, მთარგმნელო, რას ხელო, რასა ქშინაო?

16. ცე, ძველი, ყოვლთა უძველი, მზეს ქვეშ ახლად იხილებს, ცაერისა თუ სხვათ ნივთთა მცენარედ, თუ იხილებს, ცარსთა ყოვლთა მიზეზია, არვინ მაზედ იცილებს. ცე მე ვინცი, ის ვერ თარგმნის, ვინ მყუდროს ზის, იხილებს.

17. ცე, გვიყვარს, გვინდა ყოველს კაცსა, მაგრამ განქარდეს მტვრად ავლებ, ცეცადოთ, ვერათ დაიჭერთ, მაღალს ზღუდებსა რად ავლებ? ცაერ ბრწყინვალედ მხედველობ, ვირე ხარ, თვალს ზე აავლებ. ცერთ წამ ყოელი განქარდეს, მსწრაფლ მიხვდე, თუ გულს გაავლებ.

18. თვით სოდომით გომორამდინ თავსა ლტოლვით ვინ ახარებს? თქვან სხვათ, ცეცხლით დამწვარს შეშებს სინანულით ვინ ახარებს? თვით უზიდავს ზურგით წყალსა, არ მოიხმარს ვინა ხარებს.— თქმულსა ამას ის გამოსცნობს, სამო!ელსა ვინ ახარებს.

19. თქმას ლექსისას ეს ზნედასკირს, სიტყვას უცხოს შემოიყვანს, თვალის მზერით კურცხს გამოსტეხს, მართვის ასრე გამოიყვანს. თქმულა ფრინველად, ვერა ფრინავს, თავსა ნავარდს ვერ აიყვანს. თქმულს ამას ვინ ვერ ახსნი, გიჩუჩუნებს, კაცო, გიყვანს.

20. იტყვით კაცსა უდელ მამოს, ნათესავიც ვერ უხსენეთ, ილოცევა, პირველ მღრღლობდა, თქვით, ვინ იყო, აწ ახსენეთ! იერუსალიმს მიფედ იჯდა, ესე ჩემგან მოიხსენეთ. იცით ვინცა, უძეკროსთ აძენეთ და უფროსებს მოახსენეთ.

21. იყო კაცი ქებასა შინა დამალული, არ თუ დავით, იგი ვინმე მას სდევნიდა სასიკვდილედ ავსადა ვით, ისიც მასვე ქებას შევიდა მოსვენებად, ვითა და ვით. იცნა, მაგრამ არას ავნებს, ცხებულობით მშვიდი დავით.

22. კაცით ერთით ყოველს კაცს ზედა, თქვით, სიკვდილი რით შემოხდა? კეთილ-ყოფა ბოროტის წილ, ან ცხოვრება ვისგან მოხდა? კვლავ კაცთაგან უხილავი ზენათ ხილვად ვინ გარდმოხდა? კარგ-კაცურად ვინ ვერ სთარგმნით, მეკდემა გიხმსთ, ქუდის მოხდა.

23. კაცი ერთი ორის კაცის ძე, მიბრძანეთ, ვით იქნება? კმა არს ცნობად, ვით დაირთო სჯულისაგან, ვით იქნება. კაცო, ეგ რით დავიჯერო, ორთაგან რით შეიქნება? კარგად სცანით, ვის სიბრძნე გაქვსა, თუ არ იტყვი, არ იქნება.

24. ლტოლვილი მთასა უდაბნოს, სად ჰპოებს მუნ სამხადოსა? ლოცვა ამას ჰყოფს მართლისა, ფრინველიც მისცემს საზრდოსა. ლუკმის პურისა მთხოვარმან, ნახეთ, ვინ გამოზარდოსა! ლაყაფს ესე სჯობს, ეს ბრძანოთ, ძე თქვენი გაიზარდოსა.

25. ლეკვს დასვამს ერთი მხეცი რამ, სამ დღე უსულო იდება, ლოკას დაუწყებს მშობელი, ხმა მისი არ იდიდება, ლომი რა ყურსა ჩაჰყვირებს, მყის აღდგეს ლეთისა დიდება. ლმობიერად გიხმსთ თარგმანი, ამისი გამოკიდება.

26. ლოდბარები უხუთ-ასოთ წიგნში ხმას ვერ ამოიღებს, ლაპარაკი არ იქნება, ვერც ვინ სიტყვას შემოიღებს. ლალ-მეტყველნი მსაჯულისგან პასუხს ვერვინ გამოიღებს. ლხინად მჯდომნი ვერას იტყვის, მოსამატსა რით მოიღებს.

27. მე უთხარ, გზა მიძს საგძელო, მზეს ნუ დაიყვან, მოისო. მან მრქვა: [გ[კითხავ რას, მითარგმნე და დაგიყენო, მო ისო. მითხრა: ვინ ფრდილობს სოფელსა სისხლით და პირს ვინ მოისო? მეგობრად ვის ყვა მზაკვარი, პურის-მტედ გვერთს ვინ მოისო?

28. მანს ვიტყვი ძნელ სათარგმნოსა, შემდგომი ასო იონებს, მამულად არა თარშე აქეს, იპოედ წარსვლად იონებს; მდელი სჯის თავსა, ვინათგან ხელსა ვერ მიჰყოფს ი იონებს, მალლით უფსკრულად შთასრული კვალად აღმოსვლად იონებს.

29. მართვეთა თვისნი მშობელნი არას აქმევენ არასა, მისთვის ყვიან, ჩივიან, სამუდმოდ ხპობენ, არ ასა. მეძიებელნი ამისნი თარგმანსა ჰყოვნით ა რასა? მე მითქვამს, აწ თქვენ ახსენით, დადუმება სჯობს არასა.

30. ნებიერ შვილი გაზდილი მამას ვინ წაეკიდება? ნებაეს დაპურობა მეფობის, სიმდიდრის გამოკიდება. ნახავს ლაშქარსა მამისას, მყის ლტოლვას მოიკიდება. ნაძვისა ხესა თუ სხვას ხეს, ქოჩრით ვინ დაეკიდება?

31. ნათელს რა ევლტის უგვაშო, ვთქვათ, ან ჩვენ რით მოგვეახლოს, ნანდილვე არსად უგვაშო, ვით ვთქვა, მონათაც გვიახლოს. ნეტარ უმისოდ კაცთ საზრდო რით იქმნას, ვინ განგვიახლოს? ნდომა აქეს ნათლის ხლებისა, იქვი მაქეს მან არ იახლოს.

32. ოთხ ხატელთა კიდის-კიდე ხმა გაისმა საწადელი, ოდითგანით აჩრდილებრთა წარხდა სახე უწინდელი, ოხრა მათი სასურველი ტკბილად გვესმას მაშინდელი. ოქროპირებრ თუ ვერ სთარგმნით, რას გარგიათ სხვა ვინ მღრღელი?

33. ოდენ აქეთ კაცთა, იტყვიან, გავძლებით მათით არაო; ოდეს არა აქეთ სრულ სდრტეინვენ, რად მეც არა მაქეს არაო? ორთაგან ერთი ყირმიზი, ერთი სპეტაკი არაო. ოხრად დაურჩესთ, სხვათ დარჩეს, ვინ ავად მოიხმარაო.

34. ორფერხი ვინმე ოთხფერხსა დაუძახებს დაედოსა. ოდეს დადგეს, ჩამოზიდავს, ოთხს ასოს რაც დაედოსა, ორთავ სწორედ შეუქზადებს, ძმა ეძმოს, თუ და ედოსა, ობლებს ეტყვის: „სხვას მოგართმევ“, დელიას მზეს დაედოსა.

35. პირველ ჯვარი დაისახვის, როს ყურს მანა გაეცემის, პირმზე სიბრძნით კეთილად ჰყოფს, ხრმლით არავის გაეცემის. პატივი და სასძლო წმიდა ქალს ავად არ გაეცემის, პარვით გავლის კარვის კარსა, ხმა არვისი გაეცემის.

36. პირუტყვია, ცეცხლსა განვლის, ვით გრილს წყალსა, დაუწველად, პოვნა მისი ძნელი არის, კლდეთ იყოფის თუ აწ ველად; პირში ხელსა ვერ ჩაუყოფ, მაშ დაგრჩება მოუწველად. პირმეტყველად არ ჩაგაგდებ, ვინცა ახსნი ამას ძნელად.

37. პატიოსნად დადებულა, განძად ყოვლთ ნივთთ უმაგრესად, პატივითა მას მიაართმენ მეფეთ, ჰყვანდეს მოსაგრე სად. პრპენსა რბილსა ხელოსნები მოგვითხრობენ მისად მრე სად? პირით მისსა გაცემასა ამოიტყვის მოანგრე სად?

38. ჟამადა გვაქვს თორმეტი რამ, ოთხი კეცი, მე თქმა მაცა, ჟინადა სჭირს სამას სამოცს ხუთი ახლავს, მაცა, მაცა, ჟამი თითოს ათორმეტი ყოვლდღე არ აქვს, ვინცა მაცა? ჟესთა გექმნეს სათარგმანოდ, მე ხელთა მაქვს, ვინ ამაცა?

39. ჟანი მწადდა სხვად რამ მეთქვა, მაგრამ სიტყვა დაიზარა, ჟამსა იმას ეს არ იყო, თამარმა შვა ოდეს ზარა? ჟღერს ხმა-მაღლა შესატყობლად, დაგვიძახის მის დროს ზარა. ჟორჟოლაძემ თუ ვერ ახსნას, დაუძახეთ, „ზარა-ზარა“.

40. რომელმან ცოდვა არა იცოდა, ის ვისმე უთქვამს, ჩვენთვის იცოდა, რა არის არსი, ან დანაარსი, რომელი ამან არა იცოდა? რაბამ ვარ რა მე, მიამბო რამე, უმისოდ თავი ვინ დაიცო და? რამეა ესე, მიბძანეთ ეს მე, ძმას ვინ ინახავთ ან და იცოდა.

41. რა არის გვარი, არა შობს, არც ოდენ გარდაშენდება, რა სხვა სხვას გვარსა მიუდგეს, მით იშვას, მით მოშენდება; როს დაიბადოს მაშინცა მაშა არ დაუშენდება, რაზომ პატივი მივაპყრათ, ზურგი არ შეუსვენდება.

42. საქმელი მკამელისაგან გამოხდა, რა არს, ახსენით! სიტკობებასა ძლიერი გვიწვთის, სახელი ა ხსენით. სერს მსხდომთა ვეჭობ ავად ჰყავთ, ვინ ამის მთქმელი ახ სენით. სახლსა დაიკვეთთ თავზედა, არ ამოსწყდებით ახ სენით.

43. სამს ათეულს ეტლოსანი სრულ ცას ქვეშეთს გარ უარსა, სოფლებსა და ქალაქებსა არ დაარჩენს დაუარსა; საცილებლად თუ არვის გაქვსთ, მაშ, ნუ ბრძანებთ სრულ უარსა, სახილველად ძნელი არის, ვინ მას ასრე დაუარსა.

44. ტირილი და ლალადება ჰარმათ ისმა მოისროდეს, ტყეპა იყო მუნ დედათა, ოდეს ჩვილნი მოისროდეს. ტოლ-ტოლებსა მახვილით სერენ, არ ისარსა მოისროდეს, ტვინთხელსა და გულფიცხელსა რად შეგვანდა ეს ეროდეს?

45. ტალახში რამ იწუმბება განბანილი სანაგროეს, ტვირთმძიმეთა დასასჯელი საქმე რამცა მოიგროეს? ტირილითა განწმდებიან, ჟამი მისი მოიდროეს, ტბადვე შთაქლენ მწვირისასა, სიწმიდე სრულ გაიდროეს.

46. უშობნი ვართ, თუ მეორედ არა ვიშვნეთ სუფევისად, უფლებულ ვართ სატანასგან, მაშ, შექმნილვართ სუფევისად. უფ-ლნი ვართ თავთა ჩვენთა, ნუ ბაძი ვართ სხვის ავისად, უფროს ბრძენთა ამიხსენით, თქვენთვის მითქვამს, სხვის არვისად.

47. უსუსური რამ ფრინველნი ფრთეთ არათი შეილებენ, უბრძანებლად სიბრძნით მრავალს სურნელს თვისად შეილებენ, უტკბოს ყოვლთა სანოვაგეთ შემზადებენ, მოგვილებენ, უფალნი და ხელმწიფენი მას სიციცხლედ მიილებენ.

48. ფიცი და აღთქმა ძნელია, ვით სჯულიც მემოწმებისა, ფილასოფოსთა გასინჯეთ სიტყვისა აწ ამებისა: ფიცს ვერ სტეხს, მამა ასულსა ჰკლავს, ქალიც ეწამებისა. ფრთხილად თქვით, ცუდათ თავს იკლავს თუ ნებით ეწამებისა

49. ფრთხილი, პატრონის ერთგული რა რის, ყველას გინახავს, ფიცხი და მრავალსახელი, გარემოს ყველას გინ ახავს, ფინთი, ბუნებით მოძულე სჭუმრისა, რა დინახავს. ფასიც დიდი ამს ზოგიერთს, ცუდებსაც ბევრი ინახავს.

50. ქალი მივა ძელსა ზედა, დასაჯდომლად, არ დაისომს, ქვეით სითმე გაეცლება, თუმც უპირებს არ და ის ომს. ქვე ჩაიშთო ჯავრიანმან, თუცა ლახვარს არ დაიკომს. ქება გიხმსთა ვინც შეიტყობთ, ამის ნალველს არ დაისომს.

51. ქალაქს გარეთ ვინ გავიდა ტაბლას მჯდომი, ან სად იყო? ქვე მჩურჩნავმან შესაპყრობლად, ბძნეთ, ხელი ვისნე მიყო? ქათმის ხმოზა ვის ატირებს, ვინ მოძღვარი უარყო? ქება გვიღირს, ვინ შეუწდო, სხვათაგან არ უარი ყო.

52. ქედს ზეითი სრულ წყლტუ არის, მას ქვეითი ფაჩვნიერი, ქალაქს ბიჭებს ერიდება, რა გინდ იყოს შვენიერი; ქება მისი ესევ არის, უნდა იყოს გონიერი. ქაჯიანიც მალ შეიტყობს, ვინ ვერ მიხვდა მეცნიერი?

53. ღამე რამ სენი მომსვრელი პირმშოთა სვრიდა უწყალოდ, ღებენ წყრთილებსა სანიშნოდ ოდენ სისხლითა, უწყალოდ; ღარიბი მწირნი მუნ მყოფნი დაიცვენენ, მზობენ საძალოდ. ღვთის რისხვით სრულნი ქალაქნი, ბძანეთ, ვინ ტირან საბრალოდ?

54. ღრმად რამ მინდა ამოვიწყო, შესატყობრად შეუტყვია, ღალადებს და ვერას იტყვის ჩვენ სასმენლად, შეუტყვია; ღვთის განგებას ვინ მიხვდება, რად სასმენი შეუტყვია? ღარიბსა და თუ მდიდარსა ეს ვისმცა არ შეუტყვია?

55. ყდა არა აქვს, ქსელს თითონ სთავს, ბადესა ქსოვს სანადიროს, ყოვლდღე ამას შეექცევა, უნდა რამ მოინადიროს; ყმა არა ჰყავს, ამას ჯერა, შეეყრება მას ნადი როს. ყრმებრ ჩვილებრივ ვინ ვერ ახსნას, თავი მან გაინადიროს.

56. ყოლე სამთა მეფის შიშით ვინ ოქროს ხატს არა უგეს, ყრიდეს ნახსლევს ნაძეძითურთ, მძლავრი ცეცხლი ქვე დაუგეს. ყოფა მათი მოიძაგეს, კერპს ბომონი არ აუგეს, ყიოდეს, ღმერთს აღიდებდეს, სხვა პასუხი გააუგეს.

57. შობას პირველსა ვინ ოსპზედ სცვლის, საქმესა იქმს ეს ავსა, შესცვლის კურთხევას კიცხუადა, სხვას უკეთეს რას ესავსა? შემგბრით მუკელსა გაიძღებს, მაპის კურთხევით ესავსა. შეჰგავს არ წყლტუსა, ვინ ახსნით, მონადირესა ეს ავსა.

58. შვიდთათ იწყება ყოველი არსი და დასაბამია, შეჯდომა ეტლთა მნათობთგან სიმაღლედ დასაბამია; შენვე გიხმს, ბრძენო, თუ მეთქვას კარგად რამ დასაბამია. შემტყობი სასურველია, ვერ მცნობი დასაბამია.

59. ჩვილს ყმაწვილებს ერთს ქვეყანას ასე წყალში ჩააგდებენ, ჩასმენ რასქე მდინარესა, ცუდათ არსად გააგდებენ; ჩახედვენ თუ ძირს წავიდა, ან თუ ზვით მოიგდებენ. ჩქარად ბრძანებთ, ვერ მიხვდებით, რომელს რაზე აიგდებენ.

60. ჩემია ესე ნათქვამი, თქვენცა თქვით ამის საღარი, ჩაიწვრთნეთ, სცანიით, მცნობელნო, სად ქარია და სა ღარი? ჩვენც რამ გვაქვს ფერად, ვერ ვიცნობთ, არ ვიცით, გვიდგა, სად არი. ჩვენი ყოფა და სიცოცხლე, ჩვენი მზე, ჩვენი საღარი.

61. ჩალის წონად, მათათ უმძიმედ, ბრძენთ რა უთქვამთ, ეს შევიტყოთ, ჩრდილო-ბღვრით და აღმოსავლით დასავლამდინ თუმცა ვიყოთ, ჩვენს ხელად ვერ შემოვიგდოთ, ვერ ვიმონოთ, ვერც დავიტყოთ. ჩარხთა ბრუნვა, იგავთ ახსნა ვინ შეიტყოთ, მან დაიტყოთ.

62. ცით ბძანებულის არა-ქმნად ხელნი ვინ სად განიწოდეს?
ცნობიერად ვერ იქმონენ საქმეს, ვინ რომ მღრღლად იწოდეს.
ცეცხლი უცხო საკმეველად მიაქვთ, ამაღ დაიწოდეს.
ცდით მიბრძანეთ, ესე საქმე ვიზე იქმნა უწინ ოდეს?

63. ცრუ რამეა, დაუდგრომი, ერთი ჩვენი თანამყოლი,
ცდილობს რომ არ გაგვეყაროს, ვით მუსაიბ-კაამყოლი;
ცარიელი, უსარგებლო, ყოვლის რასმე მიმოყოლი.
ცუდ-მაშვრალად დადებულა კაცი ამისი ამყოლი.

64. ძვალმან, ველად მიგდებულმან, ნაომარს ვის წყალი ასო?
ძაღლისაა თუ ვირისა, გაარჩიეთ, რომლის ასო?
ძალ უზომოდ შექურვილმან, პირველ ესევე მტერთა ასო.
ძლით ოთხპოცდა თუ ვერა სთქვათ, აწ თქვენ ბრძანეთ, ბრძენო ასო.

65. ძალად სჯობს მთვრალსა სპილოსა, კვლავ ასე დადედღებისა,
ძალ-უსუსურსა ქალს-ქალწულს მივა და დამონდებისა,
ძუძუთა ცხვირსა ჩაუღებს, ძალთაგან დასუსტებისა.
ძმანი ახსნიან, თუ დანი, საქებრად დაიდებისა.

66. წიგნს ვკითხოთ, იუსჯულოვა უფროს ყოვლთ კაცთა მან ასე,
წინ დაისვენა კერპები, ტყუილი მეთქვას მანასე,
წაიგდეთ წინა კუროსა, ჩასვით კარს მისა მანა სე,
წილი ხედა სინანულისა, მით თავი იხსნა მანასე.

67. წყალს იტყვიან ტბად მდგომარედ ყვითლოსანის კაცის მტერად,
წავლენ ნახვად, მოეგებვის წყალი წყნარა, ნებიერად.
წარივლტიან მნახავები, უკან მისდევს ვერ მიმწვევრად.
წინ ორმოგებს ჩაუთხრიან დასაწყევტლად, დასაკერად.

68. ჭრელის კაბისა ცმისათვის ვინანი შურსა მალევედეს?
ჭას ვინ ჩააგდეს, მიბძანეთ, საჩინოს რასთვიან მალევედეს?
ჭაბუკსა მზეებრ გავისილსა სიღრმედ ჩაშვებით მალევედეს.
ჭირსა ჩააგდეს მართალი, უსისხლოდ სისხლსა მალევედეს.

69. ჭრელია უანგარიშოდ, მრავალფერად აგვიჩნდებისა,
ჭაბუკობს, ხან დაბერდება, ხან ვარდებ გაგვეშლებისა;
ჭირსა და ლხინსა ორსავე სამუდმოდ არ შერჩებისა,
ჭორად არ თქმულა, ვის მოყვრობს, მასცა მალ აეშლებისა.

70. ხედავს წინასწარ თვალითა, თეთრი არ ჰქონდა, შეხება,
ხილვით სულისა თვალითა თქვა შეუხებლის შეხება;
ხმობდა: ქალწულმან ქალწულად შვას ძეო არ იხერხება,
ხმა მისი კილის-კიდემდინ გაისმა, ვინ იხერხება.

71. ზედავ სახეს უსულოსა, შენს საქციელს სრულ გიჩვენებს,
ხარხარით რა გაიციინო, გაგიციინებს, არ ისვენებს,
ხმას ვეროდეს ამოიღებს და ვერცავის შეგიჩვენებს,
ხატ-კეთილს თავს მოაწონებს, გონჯს თავს ევად შეუჩვენებს.

72. კელიტოპირ წვიმა ცას ქვეშ კალოს მდებარს არ დაეცა,
კმელი იყო სულ ქვეყანა, მაზედ ცვარი გარდმოეცა,
კელოვნებით ამად სცადა, თუმცა მტერი მას დაეცა.
კელს ვერ ჰყრიდე, ვერ ახსნიდე, მანდ ნუ მიზი, წა, ამეცა!

73. კელით კმნილი უსულო რამ მინახავს, რომ ფიცხლად იძვრის,
კამს, ეს ჰპოოთ, რად არ ძალუძს მისებრ სრბოლა, არას იძვრის.
კმელს ვინა ჯდეს, აგრევე მაზედ ზედ ვინ აჯდეს, არ დაიძვრის.
კელს ვერა ვჰყრიოთ, რა გაყინოს, მაგრამ ის კი არ დაიზვრის.


74. ჯორმან ნახა ზეციერი კაცი, მაგრამ ხმას ვერ გასცემს,
ჯაბნად დადგა, აცათრთოლდა, ყროყინით სწყვეს, ვინ მას გასცემს;
ჯდა ვინ ზედა, გაუკვირდა, არგანითა მედგრად მას ცემს.
ჯაერმან იპყრა ურჩებისმან, თუ შინ მივა, სხვას კაცს მისცემს.

75. ჯაბანსა ჰგავს თვალად რამე, მის ტოლს ყველას უძლიერე;
ჯარად ვლენან, ილაშქრებენ, ამიერით იმიერე;
ჯეჯილების შემოსელამდინ საზლო შინ აქვს მიწიერე,
ჯორის შავის მოფერენი თვით სახელი დამიწერე.

76. ჰაი თუ დაჰკლავს მართალი, მამა ძეს სისხლსა ვის ასომს?
ჰაი არ რიდებს სიკვდილსა, მაგრამ ლახვარსა ვერ ასომს,
ჰაი ვირს ჰკიდებს შეშასა, საყვარელს შეილსა პრა სომს.
ჰაი მამისგან ძის დაკლვა უძნელესია მართ ას ომს.

77. ჰაერში ფრინავს, იტყვიან, არაზედ დაჯდების არა,
ჰაქვს მამლის ზურგი დედალსა ბუდედა, ან გაისარა,
ჰამბობენ აქვსთო ზოგიერთს მისის ფრთებისა ისარა.
ჰე, მეც მინახავს სრულ მთელი მეფესა თავზედ ესვა რა.

78. ზი ებრძვიან ურთიერთს ჩენი სამუდმოდ სახლები,
ზო ერთსა მიჰყავთ აქ მყოფი, სხვას მოჰყავს აქა სახლები,
ზორთაგან ერთი გვაოხრებს, ერთით მოშენობს სახლები,
ზო მის დღეს ერთი კარგია, ერთი არ არი სახლები.



ჩარხებრ მბრუნავი ლექსი

10

11

12

13

14

15

16

17

18

19

20

21

22

23

24

25

26

27

28

29

30

31

32

33

34

35

36

37

38

39

40

41

42

43

44

45

46

47

48

49

50

51

52

53

54

55

56

57

58

59

60

61

62

63

64

65

66

67

68

69

70

71

72

73

74

75

76

77

78

79

80

81

82

83

84

85

86

87

88

89

90

91

92

93

94

95

96

97

98

99

100

ჩარხები მბრუნავი ლექსი

I

1. ამოებას იგავით ასოთა შენობს მოესო,
ამოებას იგავით ასოთა შენობს მოესო,
ამოებას იგავით ასოთა შენობს მოესო,
და ამოებას იგავით ასოთა შენობს მოესო. ¹

2. მოესო ამოებას იგავით ასოთა შენობს,
მოესო ამოებას იგავით ასოთა შენობს,
მოესო ამოებას იგავით ასოთა შენობს,
და მოესო ამოებას იგავით ასოთა შენობს.

3. იგავით ასოთა შენობს მოესო ამოებასა,
იგავით ასოთა შენობს მოესო ამოებასა,
იგავით ასოთა შენობს მოესო ამოებასა,
და იგავით ასოთა შენობს მოესო ამოებასა.

4. შენობს იგავით მოესო ამოებასა ასოთა,
შენობს იგავით მოესო ამოებასა ასოთა,
შენობს იგავით მოესო ამოებასა ასოთა,
და შენობს იგავით მოესო ამოებასა ასოთა.

5. ასოთა შენობს მოესო ამოებასა იგავით,
ასოთა შენობს მოესო ამოებასა იგავით,
ასოთა შენობს მოესო ამოებასა იგავით,
და ასოთა შენობს მოესო ამოებასა იგავით.

II

1. შენობს ასოთა მოესო ამოებასა იგავით,
ასოთა ამოებასა მოესო შენობს იგავით,
მოესო შენობს ასოთა ამოებასა იგავით,
და ამოებასა ასოთა შენობს მოესო იგავით.

2. ასოთა ამოებბასა მოესო იგავით შენობს,
 იგავით ამოებბასა მოესო ასოთა შენობს,
 ამოებბასა იგავით მოესო [ასოთა] შენობს,
 და მოესო ამოებბასა იგავით ასოთა შენობს.

3. ამოებბასა იგავით ასოთა შენობს მოესო.
 შენობს ასოთა იგავით ამოებბასა მოესო,
 ასოთა შენობს იგავით ამოებბასა მოესო,
 და იგავით ასოთა შენობს ამოებბასა მოესო.

4. მოესო ამოებბასა იგავით შენობს ასოთა,
 ამოებბასა მოესო იგავით შენობს ასოთა,
 იგავით შენობს მოესო ამოებბასა ასოთა,
 და შენობს მოესო იგავით ამოებბასა ასოთა.

5. იგავით შენობს მოესო ასოთა ამოებბასა,
 ასოთა შენობს იგავით მოესო ამოებბასა,
 შენობს მოესო ასოთა იგავით ამოებბასა,
 და მოესო იგავით შენობს ასოთა ამოებბასა.

III

1. აბარებ უარს უკეთეს მოეცო მოისარისა,
 აბარებ უარს უკეთეს მოეცო მოისარისა,
 აბარებ უარს უკეთეს მოეცო მოისარისა,
 და აბარებ უარს უკეთეს მოეცო მოისარისა¹.

¹) ესეც წინა ლექსის მსგავსად არის დედანში.
 სიტყვების დალაგების პრინციპიც იგივეა.

პარკონტეპი

მ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი

საქართველოს წმინდანი

- 19,₄ ხელქერალს კაცს K; ცხრას იქით-აქ ხელქერილს კაცს LM;
ორს ცხრას იქი-აქ ხელქერილს კაცთ ჰაერში ახლტებოდა E (აღსანიშ-
ნავია, რომ აქ ტექსტი შემდეგშია გადაკეთებული).
- 52,₄ ვე] ვერ E.
- 55,₂ კამათლობდენ AK.
- 72,₂₋₃ ისლარბერ მთვარეს კოჩები, ვინცა რომე (რამე M) ოხიჭურობს,
ხელ-ფურჩოზა და კულის თლა LM.
- „ ისლარ ბერდა მთვარეს კოჩებ, ვინ ოხიჭურ ვარადაობს,
ხელ-ფურჩოზა, კულის გათლა K.
- „ ისლარბერ მთვარეს კოჩები, ვინ ოზი ჭური ვარადაობს,
ხელ-ბურჩოზა, კულის გათლა E.
- დეფექტურობის გამო K ხელნაწერი წყდება ამ (ე. ი. 72) სტროფზე
L და M წყდება 96 სტროფზე (ჩათვლით), თუმცა ეს ხელნაწერები
დეფექტური არაა.
- 97,₃ აბრამსაც ჰყვანდა E.
- 98,₃ ხმით] სმით A.

გაბაბსება კაცისა და სოფლისა

- 14,₂ ვით] ვითა A.
- 17,₃ მით რა ამით] მითარა მით A.
- 20,₂ დადებულმან] დიდებულმან AB.
- 48 სტროფი აკლია B ს.
- 58,₁ ჰო] ზი.
- 85,₃ გამომამობ] გამომამომ A.
- 88,₁ იხელიწიფოს contra metrum A.
- 1107,₂ მა[] მათც B.
- 1112,₃ გაღარიბდე] გაღირიბდე A.
- 1115,₁ დასალაობლაღ] დასალაობლად A.
- 1134,₃ ეგზომ] ეგრე B.
- 1189,₃ მრავალ-ფერთა] მრავალ-ფერა A. ამ სტროფის აზიაზე A-ს მიწერილი
აქვს ორა ტექსტის ხელით: „ეს ლექსი გარდუიჯლია“.

199 სტროფის შემდეგ B ხელნაწერში მოდის სამი სტროფის დასაწყისი სიტყვები წითურით:

1. თქვენ გინდათ
2. ყოვლის ქვეყნისა
3. გმართებს კაცო

მაგრამ სტროფები შეგებულნი არაა და თავისუფალი ადგილია დატოვებული. თავისუფლად დატოვებული ადგილები შემდეგაც გვხვდება, ოღონდ უტექსტოდ.

202,₃ ბატონისშვილნი] ბატონისშვილნი A.

206,₂ ოდითგნით] ოდიდგანით A.

208,₁ იმერეთს] იმერითს A.

209,₄ ცუდს სიტყვასა A.

211,₂ ფსკერთა] ჰსკერთა A.

221,₁ ნავნი დანთქმული A.

221,₂ დასმული A.

221,₃ მოსული A.

221,₄ წინასწარმეტყველთა თქმული A.

224,₃ ვინცა] ვინც A;

ვინც რომ გასცემს მის სახელზედ, ხედავ ისრევ მას ახმარა.

231,₄ ვამბობ] ვანბობ AB.

257,₂ წყლის რღვნითა] წყლით რღვნისგან B.

301,₂ კარგა] გარგა A.

311,₂ მაშ] მაშა A.

311,₄ ყოველთა] ყოველთ A.

319,₄ ვა] ვაი AB.

327,₄ ვა] ვაი AB.

349,₁ ყოვლსა] ყოვლსსა A.

357,₃ ოც - შვიდმეტად] ოცდათ - შვიდმეტად აწ AB (contra metrum).

სტროფები 356 — 358 A და B ხელნაწერში მოთავსებულია „ჩარხებრ მბრუნავი ლექსის“ ბოლოს. E და მისი ტიპის ხელნაწერები (FG) ამით სანაცვლოდ იძლევა შემდეგ ორ სტროფს:

სადა არს ლაწვთ თეთრ-ყირმიზად შერთვა, სიწმინდე ვერცხლისა?

სადა ვარძობა ბაჭისა, თვალთ წყალი მის სიკვირცხლისა?

წარბ-მშვენიერსა წამწმითა ძალუცს დაბერვა ცეცხლისა,

და ცხვირს მათთა შუა მდგომელსა ძალი აქვს მკვდრის სიცოცხლისა.

ვთქვათ სოფელი რასა სტყუა, გველია თუ ანუ ევა,

ვით რომ შექმნა შემოქმედმან, ისევ ჰგია, არის ე ვა!

ჩვენის ავის ნაქმართთა არ ესეც კი დაიწყევა.

და თუ უფალი გამოგვისევეს, რა ქნას, ერჩს და მოგვესევა.

სიტყვა სანთლისღებო

- 22,₁ თავდაპირველად ნაცვლად სიტყვისა „ბევრს“ ყოფილა „ვერ“.
42,₃ მომკალია] მომაკალია A.

ღამისნი ასეულნი (გეორგი)

- 5,₂ ნაბერწყალითა] ნაბერწყალითა A.
97,₁ საამებელთა] საამებელსა A.
97,₂ საქებელთა] საქებელსა A.

ღამისნი ასლაათნი (მესამე)

- 36,₁ თვითოეულთ] თვითოეულთა A.
40,₂ ვა] ვაი A.
51,₁ contra metrum.
54,₃ გველთ] გველს A.
71,₁ უწინდელნი] უწინდლე A.
94,₁ ვა] ვაი A.

სამიჯნურონი

(ლექსნი აქაიქ ნათქვამი)

- 1,₁ სამ აგერ] რამ აგერ B.
2,₃ მათმან] ჩემმა B.
2,₄ გვერთ] გვერც B.
6,₁ უიმისოა] უამისოთ B.
6,₂ ველარა რით] ველარითი A.
8,₂ გეწვიოს] გეწვიოს A; მალე] ცუდად B.
9,₃ ყოველი] ყოელი A.
9,₄ ნეტაი] ნეტავი B.
10,₂ ესვას] ესოს B.
10,₃ მისნი მკვრეტელნი ტრფილნი არ ერთხელ, ბევრჯელ აწამის B.
13,₂ სად ნათობს] სადა ზის B.
14,₄ მეჯნუნებრ] მეჯნურებრ A, მიჯნუნებრ B.
15,₄ ველარ] აღარ A.
16,₁ წამ-წამად] წამწამთა B.
18,₂ გულსა] გულზედ B.
18,₃ ერთის განით] ერთის გნითა B.
18,₄ მოგვარჩინე] მოგვაჩინე B.
21,₁ ყოქლნი ამბობენ] ამბობს ყველანი A.
22 სტროფი B ს აკლია.
24,₃ რამ] რომ A.
28,₃ მის სწორს ვარსკვლავსა ეძებდეს, მაგრამ ვერ მოუპოვოს B.

- 31,₃ სხვისა მისსა] სხივთა შუქსა B.
 37,₃ შვენებით] ჩვენებით A.
 38,₂ მათ მოშლოდეს] სულ მოშლოდეს B.
 38,₃ თუ მიჯნური] რომ მიჯნური B.
 40,₄ ეყარნიან] ეყარიან A.
 43,₃ კაშკაშით] კაშკაშად B.
 46,₄ აშთარხანმან] ასტარხანმან B.

მ ე ზ ე თ ა

- 3,₇ მოჯრობით] მოარაჯობით A.
 7,₁ ხელეჰყო] ხელყო A; დაუცთომელო] დაუცთომელნო A.
 34,₄ ურიცხვთ] ურიცხვთა A.
 52 სტროფი აშიაზეა მოთავსებული. მეოთხე ტაეპი (ანუ ჩვენი გამოცემით ორი უკანასკნელი ტაეპი) A ხელნაწერში წიგნის აკინძვისას ჩამოკვეთილა. ტექსტი შეგვსებულია E ხელნაწერიდან. აქვე აღსანიშნავია, რომ E-ში სტროფების შემდეგი თანმიმდევრობა გვაქვს: 49, 52, 51, 50, 54, 53, 55.
 55,₈ ვიქვ] ვიქუც A.
 56,₁ შაპ-აბას] შაბაზ A.
 74,₅ შფოთობდეს] შფოთეყდეს A.
 86,₆ მონახოკს] მონახოქსა A.
 89,₇ სახედარი] სახედვარი AE.
 98,₄ უდებებითა] უდებებებითა A.
 101,₃ მარტოდ იაქად] მარტო დიაქად AE.
 109,₁ მოწყენით] მოწყენითა A.

ა ნ ზ ა ნ თ ძ ე ზ ა

(ა სულ ასულა)

სტროფის ბოლო ტაეპის ნაწილაკი „და“ ანბანთქებათაგან ყველგან ამოვიღეთ.
 ცეთ] ჰეთ A.

ა ნ ზ ა ნ თ ძ ე ზ ა

(არ ადვილია აღკრძალვა)

- არ ადვილია] არადვილია A.
 შ,₄ შვენიარი] შვენიერი A.
 ძ,₃ ძალს უზამს] ძალსუზამს A.

მ ი ს რ ა მ ი ა ნ ი

- 11,₃ თემურაზ] თემურაზ A.
 25,₁ ესევეს] ესევეს AB.
 89,₃ უთხრა] უთხარ AC.
 89,₄ ღირს ვარ] ვღირსვარ AC.
 მოაბადისა] ომადისა AC (სათაურში, 89 და 90 სტროფებს შუა).
 99,₄ ლხინთა] ლხინთად A.
 100,₄ შეწყობილნი] შეწყობილი A.
 126,₃ აღრაგუნი] არდაგუნი AC.
 134,₃ გაზიდულობა] გახიდულობა.
 134,₄ უსულობა] უსულობდა A.
 154,₄ აქაც და ქვევით ყველგან, როგორც A ისე C (და, მაშასადამე, B ხელნაწერიც) იძლევა ფორმას. კვიროს, ვიროს ნაცვლად. ჩვენც უცვლილად ვტოვებთ ხელნაწერების ამ წაკითხვას.
 194,₁ ძეწნამ] ძეწმან A, ძეძმან C.
 201,₁ შარომ (sic) AC.
 212,₂ ჩხნდესა (sic) AC.
 236,₄ ის უყო, აწ ესე] ის უყო და აწესე A, ის უყო და აწ ეს C.
 237,₄ გორაბსა] გორბასა AC.
 251,₄ მსწავლელი] მსწავლე A, მასწავლე C.
 252,₄ მრუდსა არ ვეძებ] მრუდსა არ ვეძებო A, მრუდს არ ვეძებ C.
 264,₄ მიჯნურად] მინჯურად A.
 266,₂ გორაბს] გორბას AC.
 271 სტროფს A ხელნაწერის აშიაზე მიწერილი აქვს: არაკი.
 272 სტროფს A ხელნაწერის აშიაზე მიწერილი აქვს: შეგონება.
 278 სტროფს აშიაზე: შეგონება (A).
 283,₂ მოეთნეოდეს] მოეთნეოდა A.
 „ 3 გაექცეოდეს] გაექცეოდა A.
 „ 4 შეექცეოდეს] შეექცეოდა A.
 303,₄ ვა] ვაი AC.
 319,₄ ჰაი-ჰაი] ჰაი ჰაი A, აჰაი-ჰაი C.
 326,₄ მოექცა] მოიქცა A.
 339 სტროფს უწერია: არაკი (A).
 342 სტროფს — შეგონება (A).
 344 სტროფს — არაკი (A).
 349,₂ შეიქნების] შეიქმნების AC.
 351 სტროფს უწერია: შეგონება (A).
 368 სტროფს — შეგონება (A).
 370 სტროფს — არაკი (A).
 373,₄ შეიმკევე] შეიმკეუე AC.
 376,₂ გარდუქციე] გარდექციე A.

- 384 სტროფს -- შეგონება.
 385 სტროფს — არაკი.
 396,₂ მონა ბერძენნი| მონანი ბრძენნი AC.
 417 სტროფს — არაკი.
 430,₁ ბნელად| ბნელედ AC.
 434,₃ რა| არ AC.
 435,₄ გარდიფარებდა| გარდიფარედა A.
 450 სტროფს — არაკი.
 451,₃ ხელს| ხილს AC.
 456,₁ შექქნია| შექქნია A.
 456,₂ გასაამებად| გასაამებლად A, გასაამებად C.
 476,₁ მოჰკლავ| მოვკლავ AC.
 479,₁ მასთან არ დამდებისა| მასთანა არ დამდებისა AC.
 495,₁ ჰოა | ჭი AC.
 505,₁ ორგულობითა| ორგულებითა AC.
 505,₂ სნეულობითა| სნეულებითა C.
 515 სტროფს — არაკი.
 533 სტროფს — არაკი.
 540 სტროფს — შეგონება.
 551 სტროფს — შეგონება.
 561,₄ უფელისაო| უუთ ვლისაო A; უთელისაო C.
 574 სტროფს — შეგონება.
 589,₃ contra metrum.
 593,₂ სნეულობას| სნეულებას A. —
 „₃ გრძნეულობას| გრძნეულებას A.
 „₄ ჩვეულობას| ჩვეულებას AB.
 613,₁ ჰო| ჭი AC.
 624,₃ მიკვირს| მიკვირის A, მიკვირეს C.
 633 სტროფს — არაკი.
 637,₄ აშენებდა| აშენებდა C.
 651,₂ სეტყვ| სერტყვ AC.
 667,₄ კეიშანს| კეიშანს AC.
 668,₄ ვის| სად C; A ხელნაწერში თავდაპირველად ყოფილა თუ, შემდეგ ეს შეუსწორებიათ ასე: სად და იქვე მიუწერიათ აგრეთვე ვის. ჩვენ ვამჯობინეთ უკანასკნელი წაკითხვა.
 678,₄ ვა| ვაი AC.
 683,₄ ვა| ვაი AC.
 693,₂ მაშრიყისკე| მაშრიყისყე A, მაშრიყისკენ C.
 695,₁ სურნელთ| სურნელთ A.
 696,₄ ვა| ვაი A.
 725,₁ ვაი ავის ბატონის ყოლასა, ვა სრულ უყოლობასა AC (contra metrum).
 726,₁ ავს| ავსა A.

99ა. აწ იხმნა ყოვლნი მეჭენი ღირსი ქვე-ჩამოსხდომისა,
 სხვა თავისხელის მქონენი ზე იდგნენ მონად ხდომისა.
 მეფეს არ ჰქონდა სურვილი კაცისა მიუხდომისა.
 და გამოჩვენება სწადიან მათისა მას დახდომისა.

109ა. მოაბად შაროს გარდმოვლით სიტყუითა ეაშიყოდა,
 იგი საწუთროს აუგსა მეფეს წინ გამოიტყოდა:
 „მას სწადსო მოგვაყი[ვ]ნებდეს, ისემც შენ კარგა იყო, და,
 და მაგრამ მე მისი სიტრუე არც ყოლე არ დავიტყო, და.“

111ა. რადგან ვარდი ხელთნაპერი მკვერეტელს აგრე გულს წაუღებ,
 ოდეს წალკოტს რტოზე ები პირ-მობუტყო, ხელ-მიუღებ,
 ნეტა რამცა იქნებოდი! თუ მიბრძანებ, სულს დავიღებ,
 და თუ ქალს მომცემ შენ სანაცლოდ, სიხარულის კარს გამიღებ.

114ა. შენებრ ნაყოფი ჩემს სახლსა შენი ჯდეს, ანათობდესა,
 დედოფლად ბანოვანთზედა მფლობელი შუქს აკართობდესა,
 მაშინ მზეს სხივსა სამუდმოდ წინაშე ჩემსა ჰფენდესა,
 და ბედი ჩემი და წადმართი ამაზედ უფროსობდესა.

115ა. შევნიერმან შაროჲ ჰკადრა: შენწან მხეჲან არა მივის,
 ხელმწიფეო, სხვას ვის ჰქონდეს შენისთანა არამი ვის?
 გალანამცა მოგახსენო, ბედი ჩემი თუ აწ მივის.
 და პირი მისცეს ერთმანერთსა, ნიშანი რამ დასდევს მძივის.

116ა. მოაბად შარო აფიცა ცეცხლზედ, ვთქვათ, თუ რას უწევდეს
 თუ ქალი ეშვას, მას მისცეს, მექორწილეთა უწვევდეს.
 შეზილეს მუშკი ვარდის წყლით, კალამსა ამოუწვედეს.
 და მტკიცედ დაწერეს ეს საქმე, ვისმინოთ სად მიუწვედეს!

122ა. პაემანზედ გარდავიდა წელიწადი ოცდაათი,
 ყოველს კაცსა დაავიწყდა მძახლობა და საქმე მათი.
 დაორსულდა იგი მთვარე, მზის თამამად მოკამათი.
 და მინატრია, მის ნაყოფსა შობა მიხედეს კარგ საათი.

123ა. ცხრა თვე გავიდა, იშობა მისგან ელვარე მთვარეა,
 არ მუცელია შაროსი, მაშრიყსა არ უარეა.
 მუნით აღმოხდა მზე ახლა, ვინ გაანათლა არეა,
 და სად დგა მუნ ჩილი, ღამესა სანთელი რა სახმარეა?

130ა. რამინ ასე მოიწიფა, ვარდსა ია მოეხვივა,
 საულვაზე აუმწვანდა, ვით აპრილმან აალივა.
 იგი ნორჩი სასურველი ედემს წყარომ მოაწივა.
 და ვარდს ბულბული დაავიწყდა, მისთვის ხელი მას დაჰყივა.

131ა. ბრძენთა რამინის საქებრად ქება არ მიუწვდებოდეს, მას ხელოვანი მხატვარი დასახვად ვერ მიხვდებოდეს; ცდილობდენ, თუმცა ემსგავსათ, ვით მის სიკეთეს ხვდებოდეს. და ცუდად შვრებოდენ, არ იქმნის, კალამი გაუცვლდებოდეს.

134ა. მრავლისგან ცოტა სიკეთე მითქვამს რამ თუ რამინისა, შევენება მზეებრ პირისა, ლაწვეს ფერი ე რამ ინისა? თვალ შავ, წარბ მშვილდი, წამწამი მქვრეტელთა გულს ეგრგინისა; და წვერ-მერცხლის ბოლო, თმა გრუზი, სული ფშვის ზიმირინისა.

135ა. სანადიროდ, სანაჯაროდ ყოვლ-დღე მოყვასთ მოაწვევდა. მის ისარს ვინ დაათავებს, ანუ მშვილდსა ვინ მოსწვედა? შუბთ მღერით და ასპარეზით მასთან ვერვინ მიაწვედა, და წყალ-ჯავარი ეგზომ ჰქონდა, მზეს სინათლეს შეაწვედა.

138ა. შიი-მოაბად რამინთან გაგზავნა დიდებულები, ხუზისტინთ მარავს მიიხმო მთვარე-გავსილი, ულები, სწორაფით მივიდენ წინაშე, არ გზაზედ ხან-დაზმულები. და მნახველთა იმას შესწირეს გული, გონება, სულები.

141ა. აწ ამისი მეშინიან, ბუღე აღარ მოეწონოს; გარდაფრინდეს სხვაგან სითმე, თვისი მსგავსი მოიგონოს, ძებნოს ტოლი შესაფერი, სწორი სწორსა მიეწონოს. -და უებროსა მარტოობა ძნელია, ვინ დაამონოს.

142ა. თუცა გავზარდე აქამდინ ათასის სათუთობითა, ჩვენი აღარა მოსწონს რა, პასუხს გვეცემს კუშტ-კუშტობითა; მზე მოსწურვია, გაშლია ვარდს პირი მობუტკობითა. და აღარას ვლირსვარ, დამშვრალვარ მე ამის შესამკობითა.

144ა. რა დილას ადგეს, მონათ და მხევალთა ითხოვს მსახურად, შესამოსელსა ბრწყინვალეს შეიმოსს მზისა სახურად, შუადღე ოქროქსოვილსა გვირგვინს ძვირფასსა სახურად, და მწუხრი ოქსინოს; წამს და წუმს თვითოს ფერს, შაროვ, დასტურად.

144ბ — 145ა. პურის ქამის ჟამს ჯამ-ტაბაკს ოქროსას მურასას ითხოვს, მონათ უებროთ კეკლუცთა, თორ უსახურთა დაიჯხოვს; ნადიმად ქალნი ზარიფნი გვერც უნდა უჯდეს, გაკიცხოს. და მე არ მიჯერებს პატრონი, ეპრიანება, სხვათ ჰკიჯხოს.

172ა. მაშინ მომეც შენ ასული, როს ოცდათს წელს უკან შობდი, ოდეს მარავს სანაევროზოთ მოხველ, თავსა შეიმკობდი, შუა მჯდომი ბანოვანთა ყველას უფრო ანათობდი. და ჩემის ბედით მოიშოვე, თორ სიბერეს არაკობდი.

182 ა. ზარდი გაბრუნდა მუქართ, გაეს, სტუმრად არ ეწვეოდა, თუმც მას არ უნდა აქ ლხინი, არცა ვის დაეწეოდა. ცხენს მათრახი ჰკრა, გაფრინდა, პირს აღარ აეწეოდა. და ასე წავიდა, ცხენის მტვერს ნიავე ვერ ეწეოდა.

188 ა. რა ვნახე მათი ქვეყანა, სამოთხესავით შეენოდეს, ლომნი ჰაბუკნი, ქალები კეკლუცათ იქ იყრებოდეს; მათი დარბაზი ცას ჰგვანდა, ვარსკვლავით რა იმკვებოდეს. და ქორწილობდეს და იშვებდეს, კმუნვა შორს გაშორდებოდეს.

197 ა. ვით ბრძნის ბნელი და ნათელი სწორად სჩანს, ერთად ერგების, აგრეე უმეცარს კარგი და ავი რამ არ გაეგების. უპკოს ხელმწიფის წყალობა ბრძნის მსგავსად არ შეერგების. და დიდს აუგს ქვეშ ვართ, თუ თქვენგან პასუხი არ მიეგების.

199 ა. მოახსენა: დია მმართვეს ნახულის თქმად, თუმც ვზარობდე, ართუ ჭორი მოგახსენო; თქვენს საქმუნავს მე ვზარობდე? რაც მინახავს, იგი მითქვამს, ვაგლახ მე, თუ ავპირობდე! და მე არა ვარ იგი კაცი, მე ჭის-მეტს მოურაობდე.

206 ა. მოაბადს ტვირთი ტვირთზედა ჯავრისა ზედ დაეკიდა, გამწარდა მისი საწუთრო, ეს საქვე რა წაეკიდა; ცეცხლი მოედდა, მუნითგან მრავალთა სხვათ წაეკიდა. და დაფიქრდა ძნელსა საქმესა, ძირიან გამოეკიდა.

234 ა. რა მზე ჩავიდა, დაღამდა, მოაბადს ბედიც ჩაეცხო. გაექცა შანშა კვიროსა, ხორასნისაკენ გაზეცხო. რა ცნეს ლაშქართა, ესენიც გაუდგნენ, უკან მისდევსო, და მათგან დაღვრილსა მინდორი სულ ერთპირ სისხლით აეცხო.

317 ა. მოედდა ცეცხლი უთმინო, სამუდმო დაუშრეტელი. მას ჰქონდა მისი სიცოცხლე სამსალად დასახვრეტელი, მტირალი იჯდა ბნელსა ქვე, აღმა არავის მკვრეტელი, და დარჩა საღაფსა ობოლი მას მისგან გაუხვრეტელი.

319 ა. იმას დარბაზსა ლხინითა საწუთრო სავსეს მისცემდა, მეორეს ვარდის სანაცლოდ ხელთ ეკალ-ნარსა მოსცემდა; მოაბად ცად აღამალლა, კვიროს ქვე მიწად დასცემდა, და იგი სვამს ჭიქას ნებისად, ეს გულზედ ქვასა იცემდა.

321 ა. ვით ღრუბლიდამ ელვა ღამე, ანუ დღე მზე გამობრწყინდეს, ეგრეთ შუქი მუნ ვისისა ქვეყნად ჰკრთოდა, თუმც მოსწყინდეს; მისსა პირსა სხვა მნათობი მიწყვი ყველა დაებინდეს, და მთიებიცა მას ჰნატრობდა, რამინს ვითა არ მოუნდეს?

322 ა—323 ა. განგებამან ქართა ქროლით კუბოს ფარდა გარდმოჰხადა,
მუნით შუქი მზისა მსკავის ვისმან ქვეყნად გამოჰხადა;
რამინს ეცა პირსა სხივი, ცხენიღამე გარდმოჰხადა,
და ქვე დაეცა დაბნედილი, სიმხნე ასე გაუხადა.

389 ა. ვისმა ძიძას ესე სიტყვა დაუმაღლა, მოუსმინა;
ადგა ნაცრით, წამოვიდა, კვლავლა გული არ ატკინა,
აბანა და განუსვენა, სადღედოფლოს მიაწვინა,
და მერმე მორთო სამკაულით ბროლ-ვარდი და პირად მინა.

391 ა. მოსთქმიდა, თუ: „ბედო ჩემო, მიწყვიე სულა თავ-ჩაღმართო,
რად აბეზარ იქმენ ჩემგან, ეტლო ჩემო წარუმართო?
კას მფრინველნი, ქარ-ჰაერნი უბედოდ მთქმენ, უკულმართო.
და ჩემი საქმე სხვას ჩემებრსა ნულარამცა ნუ დამართო.“

393 ა. მლაშის წყლით თუ პირს იბანდის და მიწაზედ გარდაიქცის,
მუნ საშაქრე ლერწამისა ამოლიედის, აღმოიციც;
აშარტა თუ დაწეს მოისვის, იაგუნდად გარდაიქცის,
და მკედაჲს, მიწაქმნილს, თუ დაჰყივის, მისგანც სიტყა გამოიციც.

399—400 ა. მოასპარეზობს ხელმწიფე, დიდებულთ ყოველ-დღე მოაწვევს,
რა ბურთს ჰკრავს ყვანჯსა სიმაღლით, თუ სთქვა, ცამდისინ ააწვევს.
ნადირობს, მისგან ნადირი ცოცხალი ვერსით გააწვევს.
და კვლავ ნადირობდის, მწუხრიდამ სვამს, განთიადსა შეაწვევს.

402 ა. ყოლის ქვეყნის მოსავალი ერთ დოსტაქნად უჩნდა შესმად;
ბედის მისის სიკეთითა ეტლსა უნდა მხარსა შესმად;
მეფობისა შარავანდი მისი მზეს უხმს პირსა შასმად,
და ხველთა კიდე ხელთა ჰქონდა, უწოდლიან იმას შას-მად.

403 ა. უთხრა: ბედი დღე და ღამე მებრძვის, ყოფა დამამწარა,
აწ ჩემისა სიხარულის ხისა ძირი სრულ გამხმარა,
გული გაძლა სიცოცხლითა, შემწე აღარ მომხმარა,
და თავს მოვიკლავ უსაცილოდ, მაგრამ ჩემთვის არც ის კმარა.

417 ა. ვისი მოაბადს თვალს დარჩა, გლახაკს ვით მდიდრის დრაჰკანი,
ან მშვივრის ღომის დაბმულის წინ ხტოდეს კანჯარს ბატკანი.
მას სასურველი საწოლი უჩანს, ვით ბნელი საკანდ,
და მოყვარე დამძიმდებოდა, ესმის მტრის იშის რაკანი.

433 ა. თქვენ მრავალფერი ყვავილი სასიხარულო წინ გიდგან,
დღე და ღამ უქვერეტო, გვერდს ახლავთ, მიჯნურად ქმნილხართ ოდიდგან.
მე ეგზომ ვშორავ, ვით იცით, ცის სიმრგვლე კიდის კიდითგან.
და ახლო მოყვრისა აგრე ხართ, შორს მყოფსა სული რად მიდგან?

442 ა. მის ქალის ხლება მას ყმასა წყლულზედა ემაღამოდა;
მათ საუბარი მრავალფრად იუბნეს, ე მალ ამოდა.
მას ჭირ-ნახულსა საწუთო ლხინს შეჭყრის ე მალ, ამოდა.
და ზეგარდმო ეტლი უძახდა, ქვე მყ-ფსა ემაღამოდა.

447 ა. რაზომ მწვაეს ალი უთმინო გულს მისის მიჯნურობისა,
ვგრეც ვნატრულობ, დღეს ჩემებრს იგიმც ნუ შეესწორობისა.
რაც ჭირი ვნახო, მას ლხინი მაგად ნუმც მოშორდებისა!
და ღმერთს ვეხვეწები, სამისო ჭირიმც მე შემეყრებისა.

507 ა. შეჭირვებისა ტკივილი უმწარე არის სხვებისა;
კაცს დღეს დაჯღევს სამუდმო ხსენება უ-ვაებისა;
სამისო ღონე თმობისგან სხვა არსად იშოებისა.
და ღვთის მინდობისა უმჯობე ზურგი სად იპოებისა?

677 ა. შენ გელეოდე, არად მჩნდა მე შენი რამინაია,
შენსა ნაჭებსა შეხედე, ის არა რამ ინაია;
რალას ხელსა მყრი მას მერმედ, გაგიტყდე რა მინაია.
და მას სული სადლა შერჩება, დაცვივნეს რა მინა ია?

ს ა რ ჩ ე ვ ი

	85-
არჩილიანის ტექსტისათვის (ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა)	V11
საქართველოს ზნეობანი	1
გვამისა რვათა ასოთა	14
გაბასება კაცისა და სოფლისა	17
სიტყვა სანათლისღებო	63
ლექსნი ასნი ორმუზლნი: პირველი	71
ლექსნი ასეულნი: მეორე	81
ლექსნი ასდაათნი: მესამე	95
კაცს უთხარ	111
იამბიკო ლექსები (იცის ბრძენმან)	117
სამიჯნურონი (ლექსნი აქა-იქ ნათქვამი)	125
ვისრამიანი	133
მეფეთა საკებელნი და სამხილებელნი	223
ანბანთქება (ახალი შენოდებული)	255
ანბანთქება (საქველნი და სვედრებელნი ღვთისმშობლისანი)	263
ანბანთქება (სულხანის პასუხად)	271
ანბანთქება (ამიკანად სათარგმანებელნი)	275
ჩარხებრ მბრუნავი ლექსი	287
ვარიანტებრ	291

გ ა ს წ ო რ ე ბ ა ე ი

გვ. სტროფი, ტაეპა

დაბეჭდილია

უნდა იყოს

8,45 ბ	არგარდუარო	არ გარდუარო
16,138 ბ	უ არამე	უარამე
16,16 დ	რამე	რა მე
24,378 ბ	წამი ერთო	წამიერთო
30,186 ბ	გამოწყვესა	გამო წყვესა
34,123 ბ	უ ხარო	უხარო
41,183 დ	ეგა ვითარი	ეგ ავითარი
56,181 ბ	და ავებს	დაავებს
67,320 ბ	კა ამყოლ	კამყოლ
88,45 ბ	გაიკვირ ისა	გაიკვირისა
91,74 ბ	რას-არებ	რასა რებ
94,99 ბ	ა რვისა	არვისა
103,27 ბ	გარდაისო	გარ დაისო
106,26 ა	ა ვადარი	ავად არი
128,4 ბ	ვერ	ვერ
162,211 ბ	ხვარსნით	ხვარასნით
196,206 ბ	მორამესწყნარადა	მორამესწყნარდა
197,221 ა	კბუკსა	კაბუკსა
220,211 დ	რადა გსმენ	რა დაგსმენ
225,4 ა	ვსურის	ვსუ რის
245,101 ა	რათა ბაქება	რათა ბა ქება
246,101 ბ	ვყავ არ	ვყავარ
278,1 ბ	ისტუმრებს	ისტუმრებს
279,16 ა	უღელ მამოს	უღელმამოს
283,27 დ	ეს აესა	ესავსა *

* ვასწორებთ საღვენ ნიშნებსაც:

46,22:1 გ—მე მავალთო, მრავალ წილად მოგცემ, ჰოვოთ საღებნელმ

47,22:4 დ—ხარს არ ძალევედეს სახრითა, ხან არ უძახდეს...

65, გ—მისი საკრული მიქორებს მკიშნედა, რითლა ჟაშო?

83,1:2 ა—ბრძენს თუ სცემ, სობრძენს შესძინებ, უგუნურს—სიმძულვარესა.

122,32 ა—ბნელი მეწიფა, თქვენს კვალსა სიჯაბნით ვერ შეგუდეგო.

